

*„ცოდნა, სწავლა–განათლება და უშრეტელი წყაროა, როგორც
კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად, ქონების და სარჩოს
მოსაპოვებლად... მცოდნე კაცი... ქვასაც წყალს გამოადენს, სიმდიდრის
წყაროს იქ ამოახეთქებს, საცა უცოდინარს სიზმარშიც არ მოეჩვენება“
(ილია)*

**საქართველოს განათლების მეცნიერებათა
აკადემიის**

მ თ ა მ ბ ე

В Е С Т Н И К

АКАДЕМИИ ОБРАЗОВАТЕЛЬНЫХ НАУК ГРУЗИИ

**NEWSLETTERS
OF
ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA**

№ 13

თბილისი - ТБИЛИСИ - TBILISI

2014

ჟურნალი გამოდის საქართველოს განათლების მეცნიერებათა
აკადემიის გადანყვეტილებით

სარედაქციო საბჭოს თვმჯდომარე – აკადემიკოსი ნათელა ვასაძე

სარედაქციო საბჭო

| | |
|-----------------------|--------------------------|
| ბალანჩივაძე რევაზ | – რედაქტორი |
| იმნაძე ბორის | – რედაქტორის მოადგილე |
| რუხაძე ირინა | – რედაქტორის მოადგილე |
| მალლაკელიძე ნათელა | – პასუხისმგებელი მდივანი |
| ბიბილეიშვილი იური | |
| გვარამია გია | |
| გაბეჩავა როზა | |
| კარანაძე თამაზ | |
| პეტრიაშვილი ოლღა | |
| რამიშვილი კონსტანტინე | |
| ქადაგიძე ლამარა | |
| ცუცქერიძე ზურაბ | |
| ჯახაია ლეონიძე | |

Журнал издается по решению Академии образовательных
наук Грузии

Председатель редакционного совета – академик Натела Васадзе

Редакционный совет

| | |
|----------------------|---------------------------|
| Баланчивадзе Резо | – редактор |
| Имнадзе Борис | – заместитель редактора |
| Рухадзе Ирина | – заместитель редактора |
| Маглакелидзе Натела | – ответственный секретарь |
| Бибилеишвили Юрий | |
| Джахая Леонид | |
| Гварамиа Гия | |
| Габечавა Роза | |
| Каранадзе Тамаз | |
| Кадагидзе Ламара | |
| Петриашвили Ольга | |
| Рамишвили Константин | |
| Цуцкиридзе Зураб | |

The journal is issued under the decision of the Academy of
Educational sciences of Georgia

Head of the board of editors – Natela Vasadze, Ph. D.

Board of Editors

| | |
|---------------------|----------------------|
| Revaz Balanchivadze | – chief editor |
| Boris Imnadze | – deputy editor |
| Irina Rukhadze | – deputy editor |
| Natela Maglakelidze | – secretary-in-chief |
| Iuri Bibileishvili | |
| Gia Gvaramia | |
| Roza Gabechava | |
| Tamaz Karanadze | |
| Lamara Kadagidze | |
| Olga Petriashvili | |
| Zurab Tsutskiridze | |
| Leonid Jakhiaia | |



ბუნება და მისი ჰუმანურ-ალფრდელოგიტი მნიშვნელობა
ი. გოგებაშვილის მოქმედებაში

იაკობ გოგებაშვილი ჰუმანური აღზრდის მიზნით მოზარდთა სრულყოფილ მიდრეკილებათა განვითარებას, მათ რეალურ განათლებას რომ მოითხოვდა, აუცილებლად თვლიდა ფართო საბუნებისმეტყველო ცოდნის შეძენასაც. ამის ნათელი მაგალითია მისი ენციკლოპედიური ხასიათის სახელმძღვანელო „ბუნების კარი“, უკვდავი „დედაენა“ და მრავალი ცალკე მოთხრობა, ლექსი და სასაუბრო, რომლებიც, იაკობის სიტყვებით რომ ვთქვათ „სხვადასხვა ცოდნით ბავშვთა გამდიდრებასთან ერთად უნერგავენ მათ ზნეობრივ, ჰუმანურ პრინციპებს და, მაშასადამე, მოქმედებენ მათზე აღმზრდელობითი სულისკვეთებით და მიმართულებით“.

იაკობს შესანიშნავად ესმოდა, რომ ადამიანი ბუნების ნაწილია, მისი მკვიდრი და იმ წესებით არსებობს, რაც ბუნებას თავის წიაღში გააჩნია. მისი შეხედულებით, „ბუნება მკაცრი, შეურყეველი კანონების ნაშენი სიკეთეა, მაგრამ ისეთი, რომელიც გულს გადაუხსნის მხოლოდ ამ კანონების ბეჯითად მცოდნე ადამიანებს, იმათ ვისაც უნარი აქვს გაიგოს და შეიგნოს ამ კანონების შინაგანი ლოგიკა, უგნურთათვის კი ბუნება მტერია.“ იაკობი ყველა ზნეობრივ, ისე როგორც საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებს, ისეთ კონკრეტულ საგანსა და ურთიერთობებზე აფუძნებს, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ რეალურ ყოფასთან, ცხოვრებასთან.

იაკობის ყველა ქმნილება, რომლებიც გარემომცველ ბუნებას, მის შინაგან დინამიზმზე აცნობს მომავალ თაობებს, ქართული სულით, ხასიათით და, რაც მთავარია, მისდამი ღრმა პატივისცემით და სიყვარულითაა გაჟღენთილი. „ბუნების კარის“ შედგენის დროს, - წერს იგი, - „ჩვენ გვერდი ავუქციეთ იმისთანა მშრალ საგნებს, როგორც არის დაწვრილებითი კლასიფიკაცია მცენარეებისა და ცხოველებისა. სამაგიეროდ დიდი ყურადღება მივაქციეთ იმას, თუ როგორ ცხოვრობს ცხოველი, როგორ იბრძვის არსებობისათვის, რა დამოკიდებულება აქვს სხვა ცხოველებთან და მეტადრე ადამიანებთან და თვით სამშობლოსთან (ფრინველების მოგზაურობა, ორაგულის ცხოვრება, შინაური ცხოველები)“ (1,241). სწორედ ამიტომ არიან ეს არსებანი ღრმად ემოციურნი და შთამბეჭდავნი. ამიტომაც იაკობის საბავშვო ნაწარმოებები — „თავისი ესთეტიკური ღირსებითა და სიძლიერით ღრმად რომ სწვდებიან ყრმათა სულს, ინტიმური სიტბო რომ შეაქვთ მათ განცდებში და აკეთილშობილებენ მათ გრძნობებს“, შენიშნავს პროფ. გ. თავზიშვილი.

იაკობი გულისტკივილით შენიშნავდა, რომ ბუნების უცოდინარობა მარტო იმათ კი არ აყენებს ზიანს, ვინც ხვნა-თესვით და მებაღეობა-მევენახეობით ცხოვრობს, არამედ უფრო მეტად იმათ, ვინც ფრინველთა და ცხოველთა სიყვარული არ იცის, ტყის სუნთქვა არ ესმის, წყაროს ბუტბუტს ვერ იგებს, ვინც ბუნებაში ცოცხალ არსებას ვერ ხედავს და ამის გამო დაკარგული აქვს სათნოების, სიბრალულის, სულგრძელობის გრძნობა.

„ცხოველები, ფრთოსნები, მათი ზნე და ჩვეულება ხიბლავს ბავშვს“, - მიუთითებს იაკობი, და სწამს, რომ სასარგებლო და სასიამოვნო მხოლოდ ისეთი ნაწარმოებია, რომლებშიაც მოცემულია ბუნებისა და მისი საგნების აღწერა, მათი ახსნა მარტივი ენით. ამიტომ მიაჩნია მას, რომ „დედა ენის შემდეგ, ამ ყველაზე დიდი მოძღვრისა და აღმზრდელის შემდეგ, ბავშვის შემეცნებითი ძალების განვითარების საქმის უტყვი, მაგრამ მძლავრი, ჩუმი და უპრეტენზიო, მაგრამ შინაგანად მდიდარი და შეუცვლელი მოთავე და წინამძღოლი არის ბუნება, მასში ჩამარხული კანონზომიერებანი“ (2.109).

ბუნების გამაკეთილშობილებელ როლსა და ძალაზე რომ მიუთითებს, იაკობი, აკრიკიკებს მისი დროის ბიუროკრატიულ სკოლას, სადაც „ისე უსულგულოდ, ისე უძღურად და მკვდრად ასწავლიან ბუნებისმეტყველებას, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მის ჩონჩხს, რომ ჩვენს ბავშვებს და ყმანვილებს სრულიად უცრუვდებათ მასზე გული“. ასევე ნუხს იაკობი იმის გამო, რომ ქართულ ოჯახებშიც მხოლოდ ფანტაზიით კვებავენ ბავშვებს, „რეალური ვარჯიშობანი“, ცხოველი ბუნება, უმდიდრესი გარემო, მშობლებს სრულიად მივიწყებული აქვთ. ვერ

ხედავენ მის სიუხვეს, წესრიგს, სიკეთეს და ამით მომავალ თაობას უსპობენ საშუალებას ეზიარონ ბუნების მშვენიერებას.

იაკობ გოგებაშვილის საბავშვო ნაწარმოებებში დიდი ოსტატობითაა დახატული მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა ბუნებისა და ადამიანთა ურთიერთობისა და საქმიანობის სფეროდან — იქნება ეს ბუნების მოვლენები, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, ცხოველები თუ სხვა, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს სისრულე მხოლოდ ერთი მხარეა სინამდვილისა. არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ გარემოებების გარკვევა, თუ როგორ იყენებს იაკობი ბუნებას ბევშვებში რეალისტური მსოფლმხედველობის შესამუშავებლად, ჰუმანისტური გრძნობების ჩასანერგად და გასაძლიერებლად.

იაკობი ცდილობს ბუნების სამყაროდან მოიხმოს ისეთი მაგალითები, რომლებიც ბავშვებს ასწავლიან ფრინველთა თუ ცხოველთა არა მარტო სიყვარულსა და სიბრალულს, არამედ დაანახებენ მათ სარგებლობას ადამიანებისათვის, დაუსაბუთებენ მათი არსებობის აუცილებლობას დედამიწაზე.

ბავშვების სულის დიდი მესაიდუმლე ისეთი სიყვარულითა და ჰუმანურობით გვიხატავს უშნო და უღაზათო ფრინველ-ცხოველებსაც, მაგ. ღამურას, ზღარბს, ონავარ, ერთი შეხედვით თავის მომაბეზრებელ ჩიტუნებს, ისე საინტერესოდ ყვება მათ უანგარო გარჯაზე, თავისუფლების მოყვარეობაზე, რომ შეუძლებელია ნორჩი აღსაზრდელის გულში მათმა მაგალითმა კეთილი თესლი არ დათესოს, ბუნების მეგობრად არ აქციოს.

ჰუმანიზმის უსაზღვრო გრძნობითაა გაცისკროვნებული იაკობის რიგი ნაწარმოებები, სადაც ბავშვები გებულობენ — რა სიხარულით ბრუნდებიან სამშობლოში მერცხლები, შოშიები და სხვა ფრინველები, რა თავგანწირვით ძღვევენ ისინი საშიშროებით სავსე ათასობით კილომეტრს. ამ მოთხრობებით ბავშვი სწავლობს, თუ როგორ უნდა უყვარდეს მშობელი მხარე, მამა-პაპის მინა-წყალი.

ამ მხრივ შეუდარებელია იაკობის „ორაგულის მოგზაურობა“. ეს მოთხრობა მრავლმხრივ საყურადღებოა. იგი მიმზიდველი ენით და ღრმა მეცნიერულობით აცნობს ბავშვს ამ თევზის გამრავლების ბიოლოგიურ თავისებურებებს, მის გზას მდინარის სათავეებიდან ზღვისაკენ და პირიქით, მაგრამ ბავშვის გონებისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს მოთხრობის ემოციურ მხარეს, მის მორალს — ცნობიერებას მოკლებული, მუნჯი ორაგულები კასპიის ზღვის ნაპირებიდან უძნელეს გზას გამოივლიან არაგვის სათავეებამდე, რადგან მხოლოდ იქ, სადაც თვითონ მოევიდნენ ქვეყანას, დაყარონ ქვირითი და დასაბამი მისცენ ახალ თაობას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცხადია, იაკობის საბავშვო ნაწარმოებების ამ ფრთოსნებს, ცხოველებს თუ თევზებს არავითარი მამულიშვილური გრძნობა, ეს წმინდა ადამიანური, საზოგადოებრივი გრძნობა არ გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, მათ ლტოლვას მშობლიური მხარისაკენ ვერავითარ ზნეობრივ მიზეზს ვერ მოუძებნით, მაგრამ ეს ლტოლვა ისე ხატოვნად არის აღწერილი, ისეთი ინტერესის აღმძვრელია, რომ ბავშვს აუცილებლად ჩააფიქრებს, სულს გაუნაზებს, გაუფაქიზებს. ეს ჰუმანური გრძნობები კი მასში აუცილებლად აღზრდის ნამდვილ პატრიოტს, „მგზნებარე მამულიშვილს“. ბუნება, როგორც ცოდნის და ტკბობის წყარო, მიიყვანს „ახალი ტიპის ქართველს“ სრულყოფილებამდე.

ჰუმანისტი ადამიანის ზნეობრივი არსენალის გასამდიდრებლად, მასში სათნოების, სიკეთის, სილამაზისა და მშვენიერების გრძნობის აღსაზრდელად იაკობი ოსტატურად იყენებს ბუნების პეიზაჟის მხატვრულად გადმოცემის ხერხს. ამ ხერხის საშუალებით იგი პეიზაჟს თავისი მოთხრობების იმ მოქმედ ფაქტორად აქცევს, რომლებიც ინვევენ გმირების ხასიათებისა და განცდების სისტემატურ ცვალებადობას. იაკობისათვის ბუნება რომ ადამიანის ფიზიკური და სულიერი არსებობის განუყოფელი ნაწილია, შესანიშნავადაა გამოხატული მისსავე სიტყვებში - „ბუნება შეუდარებელი მკურნალია კაცის ვარამისა და დარდისა“.

ბუნება და ადამიანი განუყოფელია, - თვლის იაკობი. ბუნებამ, მშობლიურმა გარემოცვამ მოაშორა ნაღველი პატარა ქეთოს („იავნანამ რა ჰქმნა“). დედის ნანამ და მასთან ერთად მშობლიური ბუნების სურათებმა გააცოცხლეს მასში წარსული. ბუნების ჰარმონიამ დაუბრუნა მას სიცოცხლის სტიმული. დავუკვირდეთ დილის სურათს, იაკობი რომ გვიხატავს და დავრწმუნდებით — რა ძალით შეეძლო მას ქეთოს გრძნობაზე ემოქმედა. „...შეუდარებელი დილა იყო. არემარეს კაშკასა მზისაგან თავს დასდიოდა მთელი შადრევანი ბრწყინვალე სინათლისა და ამ სინათლის მცენარეებზე ათასფრად აებრჭყვიალებინა

დილის ნამი. ტყე სავსე იყო ფრინველების გამაცოცხლებელი ყვირლ-ხვილით, ბაღში ვარდის კოკრები საამურად გადაშლილიყო და გარშემო მოეფინა წარმტაცი სურნელება. ამ ვარდების მახლობლად ტკბილად დასძახოდა ბუღბუღი, რომელიც იქვე ხეზე მოთავსებულიყო. ბუნება ხარობდა, დღესასწაულობდა. თითქოს ათას ბედნიერ ქორწილს ერთად იხდისო” (4.60).

როგორც ზევით ვწერდით, იაკობი მომავალი თაობის ჰუმანისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის აუცილებლად თვლიდა ნათლად ეჩვენებინა გარემომცველი ბუნების მთელი მრავალფეროვნება, შედარების ხერხის დახმარებით დაეხატა ბუნებაში არსებული კეთილი და ბოროტი, სასარგებლო და მავნე.

როდესაც იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში ბუნების ადგილსა და როლზე ვლაპარაკობთ, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ბუნების შესწავლას პრაქტიკული გამოყენებითი კუთხით უდგებოდა, მაგრამ არასოდეს ივინყებდა იმ საგანმანათლებლო თუ სააღმზრდელო მინიმუმს, რაც აუცილებლად უნდა მისცეს საბავშვო ლიტერატურამ ბავშვს დედა ბუნებისა და მასთან ადამიანის გონივრული დამოკიდებულების სფეროში. აქედან გამომდინარე, საინტერესოა იაკობის ბუნებისადმი დამოკიდებულების კიდევ ერთი ასპექტი. კერძოდ ის, თუ რა დაულალავ საქმიანობას ეწეოდა იაკობი საიმისოდ, რომ მომავალ თაობაში ბუნების სიყვარულის ჩანერგვასთან ერთად, მათში გაეღვივებინა მისი მოვლისა და დაცვის შეგნება. ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, თუ რა დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მიმართებით განუულ შრომას ბავშვებში ჰუმანიზმის გრძნობის ჩასანერგად.

ბუნების საგნებსა და მოვლენებს შორის დიალექტიკური, მიზანშეწონილი კავშირთაობა რომ საკმაოდ შერყეული იყო, ეს იაკობის ეპოქაშიც შეიმჩნეოდა. იაკობმა შესანიშნავად იცოდა, რომ ბუნება თავისთავად არც ბოროტია და არც კეთილი, მაგრამ როდესაც ადამიანი უცერემონიოდ შეიჭრება მის წიაღში, დაიწყებს მისი წონასწორობის რღვევას, მისი კანონების შესწორებას ან უგულვებელყოფას, დაუყოვნებლივ მიიღებს პასუხს — დაკარგავს ყველაზე ერთგულ და სანდო მეგობარს, მტრად გაიხდის სიცოცხლის წყაროს — ბუნებას. აი, რას წერს იაკობი ნარკვევში - „დიდი მნიშვნელობა ტყისა და ტყის მცველი ფრინველებისა”. - „ქართველი ძალიან უმადურად ექცევა ტყესა: დაუზოგავად ჩეხავს და აჩანაგებს მას. სადაც წინად მწვანე ტყე შვენოდა, იქ ბევრგან ეხლა მხოლოდ ცარიელი, მზისაგან გადამწვარი ხრიოკები გამოსჩანან. ეს დიდი უგუნურებაა... თუ ტყის დაზოგვა არ ვისწავლეთ, ჩვენს ქვეყანას მოელის დიდი უბედურება... ცხოვრება დიდად გაგვიჭირდება” (3.204).

ბუნებისადმი ადამიანის კეთილგონივრული დამოკიდებულების იდეა, რომელიც იაკობთან მორალურ-პედაგოგიური სიბრძნის სიმალეზე დგას, განსაკუთრებული სიმძაფრით დღეს, ჩვენს სინამდვილეში ჟღერს. ბუნების უსულგულო ხელყოფამ კატასტროფის წინაშე დააყენა კაცობრიობა. ამიტომაც ასე აქტუალური და თანამედროვე დიდი პედაგოგის გამაფრთხილებელი შეგონება: „ყოველი ადამიანი, როგორც ვიცით, ცხოვრობს ბუნებაში, დამოკიდებულია მასზე, მის კანონებზე. თუ მას კარგად აქვს შესწავლილი ბუნება, მისი ძალნი, მისი მოვლენანი და კანონები და გონივრულად უთანხმებს მათ თავის მოქმედებას, ცხოვრებას, ბუნებაც ხელს უწყობს კაცსა, ემოჩილება და აჯილდოებს იმით, რომ ანიჭებს სიმრთელეს ჯანისას და ქონებას, - ამ ორ ბურჯს ბედნიერებისას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ კაცი უვიცია ბუნებისმეტყველებაში, არ გაეგება რა მისი, ეწინააღმდეგება მის კანონებსა და არღვევს მათ. მაშინ იგი ისჯება ბუნებისაგან უფრო უღმობლად, უფრო სასტიკად, ვიდრე დამნაშავე — სახელმწიფოსაგან.”

იაკობი თვლის, რომ ბუნებასთან და საერთოდ, გარესამყაროსთან ბავშვის სწორი დამოკიდებულების აღზრდა, ხოლო ასეთი აღზრდის დროს ბუნების დაცვის გრძნობის ჩანერგვა, მცენარეებზე, ცხოველთა სამყაროზე ზრუნვა, მათი მოვლის ჩვევების გამომუშავება ის მკვიდრი საძირკველია, რომელზედაც შენდება მაღალი ჰუმანისტური თვისებები.

ბავშვი, რომელიც ასეთი გზით იზრდება, მოკლებული იქნება ისეთ მავნე ჩვევებს, როგორიცაა ბოროტება, უსამართლობა, სიავე, სისასტიკე, განკერძოებულობა, სიხარბე. მისთვის მოთხოვნილებად იქცევა ზომიერება, სათნოება, გულმონყალება, ადამიანებისადმი კეთილგანწყობა.

ფადაუდბელია იაკობის უბადლო „დედაენის” მნიშვნელობა ქართველი ერის თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში. საყოველთაოდ ცნობილია რომ იგი, როგორც პროფ. უ. ობოლაძე შენიშნავს: „წარმოადგენდა სასწავლო წიგნს არ მარტო ყრმათათვის, არამედ მთელი ხალხისათვის, წიგნს უპირველესსა და უსაყვარლესს, გენიალური შოთას „ვეფხისტყაოსნის”

შემდეგ. იგი მთელს ხალხში, დიდსა თუ პატარაში ნერგავდა ცოდნისადმი ღრმა ინტერესსა და სინათლისადმი ცნობიერ მისწრაფებას; ამალღებდა ხალხში პატრიოტულ გრძნობას და ნერგავდა მასში უკეთესი მერმისის რწმენას” (2.96).

მოკლედ შევეხოთ რა ადგილი უკავია „დედა ენაში“ ბუნებას, როგორ ახერხებს დიდი პედაგოგი ბუნების მშვენიერებისა და მასში გამეფებული განუმეორებელი შინაგანი წესრიგის დასურთხატებით მომავალ თაობას ჩაუნერგოს ჭეშმარიტი მამულიშვილობა, მართალი აზრი პატიოსნებაზე, შრომაზე, დედაშვილობაზე, ხალხთა მეგობრობაზე, მოყვასის სიყვარულზე, როგორ უკავშირდება „დედა ენის“ უმთავრეს ამოცანას — ენის შესწავლას მომავალი თაობის ჰუმანისტური სულისკვეთებით აღზრდა.

ბუნება „დედა ენაში“ გარეკანის პირველ გვერდზე იწყებს მეფობას. აქ, ამალღებული სახელწოდების - „დედა ენის“ შემდეგ შემოგანათებს მწვანე მდელო, ყვავილები, მოფარფატე პეპლები და ამ მშვენიერი გარემოს განუყოფელი ნაწილი — უზრუნველი პატარა ბიჭი („დედა ენა“. პირველი ნაწილი, თბ., 1912 წ.). „დედა ენის“ მეორე ნაწილის გარეკანზეც ბუნების მომხივლელი სურათია მოცემული — სოფლის ველ-მინდორი თავისი მბრძანებლით — გლეხი კაცით, ეშმაკი მელია ნადავლით — მსუქანი ბატით; აბიბინებული ჯეჯილი, მონწული ღობე... („დედა ენა“, მეორე ნაწილი, თბ., 1912 წ.).

„დედა-ენა“, - წერს პროფ. ვ. რამიშვილი, - მეტად ემოციური, დიდი ჩანაფიქრისა და ღრმა განცდის გამომხატველია, მრავლისმეტყველია, თბილი, მშობლიურად მოაღერსეა. მასში, ვით ზურმუხტის თვალში, გულის საამოდ ელვარებს დედა ენის მარადიული სიყვარული, რომელიც ბულბულს თავზე ჯილა-გვირგვინად დასდგომია და მშვენიერების უბადლო მაგლობელი ფიქრებში ღრმად ჩაუძირავს, დაუდუმებია, გაურინდებია” (4.19). შეუძლებელია „დედა ენის“ ამ გარეგნული მხარის ეფექტურობის უგულვებელყოფა. მისი მიმზიდველი და სავსებით ცხოვრებისეული ფორმა და შინაარსიც, ხელოვნების ნიმუშია.

„დედა ენის“ პირველი, მომხიბლავი სიტყვაა — ია. ყველასათვის საყვარელი და ახლობელი ყვავილი, სინაზისა და განახლების სიმბოლო, კეთილი, გულუხვი მასპინძელივით უღებს კარებს ბავშვებს საიდუმლოებით მოცემული ცოდნის სამყაროში შესასვლელად. „ჭეშმარიტებასავით მარტივი და მიმზიდველია იგი, - წერს პროფ. ვ. ზამბახიძე, - მაგრამ ვინ იცის, რამდენი დრო და ფიქრი მოანდომა იაკობ გოგებაშვილმა ამ პირველი სიტყვის ძებნას, რომელიც ასე ადვილგამოსათქმელი, ადვილდასამახსოვრებელი, ემოციური და ესთეტიკურად დამატკობელი უნდა ყოფილიყო ბავშვისათვის” (5.80).

იას, გაზაფხულის მახარობელ პირველ ყვავილს, ბუნების მარადიულობის გამოხატულებას მიანდო იაკობმა ბავშვის გარე სამყაროსთან მიახლოების, მის წიაღში შესვლის, მისი საიდუმლოებების ახსნის როლი. ამ პანანინა სიტყვით იაკობმა ბავშვისათვის გასაგები კილოთი უმღერა სიცოცხლისა და გამარჯვების რწმენას, ოპტიმიზმს, რომელიც შეუძლებელს აკეთებინებდა იაკობის სამშობლოს, ხალხს.

იაკობს, ბუნების ცოცხალ მაგალითებს რომ აცნობდა ბავშვს, სწამდა, რომ ერთი სიტყვაც კი, რაც მისთვის ძვირფასი და ახლობელი გარემოდან იყო აღებული, მოაგონებდა — „რამდენიმე საგანს, რამდენიმე ჰაზრს. მოსწავლე იგრძნობს მაშინვე კავშირს ბუნებასა, ცხოვრებასა და სწავლას შუა და რადგან ყოველს ყმანვილს უყვარს ბუნება და ცხოვრება, სწავლაზედაც ნახალისდება” (6.7).

ბუნებამ უნდა მოიყვანოს ბავშვი მაღალ ზნეობამდე. ეს ჭეშმარიტება იაკობისათვის ნათელია, მაგრამ მიზნის მისაღწევად მას აუცილებლად მიაჩნია ბუნებით ტკობის სწავლა, ბუნების შეცნობა. „დედა ენის“ პირველივე მოთხრობები, პატარა ლექსები სწორედ ამ საქმეს ემსახურებიან. იგივე „ია“, „ხე“, „სოკო“, „ვაზი“, „ოფოფი“, „პეპელა“, „მოსიყვარულე ამხანაგი“, „პატარა ქალის ნატვრა“, „მძინარე ნიბლია“, „ტოროლა“, „კურდღელი“ და მრავალი სხვა ბუნებასთან თანდათანობით დაახლოებაა, თანდათანობითი, რადგან ბავშვი მარტივი სურათებიდან უნდა მივიდეს ბუნების ფართო ტილომდე.

„დედა ენის“ სახელმძღვანელოში ვხვდებით მრავალ მასალას, რომლებშიც გადმოცემულია ფრინველთა და ცხოველთა სამყაროს მკვიდრთა სიძნელეებიც, ფათერაკებით სავსე ცხოვრება, რაც წარუშლელ კვალს ტოვებს პატარების გულსა და გრძნობებზე. ეს შთაბეჭდილებები მოზარდთა გონებაში შესაბამის დასკვნებად ყალიბდება. ისინი ხელს

უნყობენ მათში ამხანაგებს შორის ურთიერთმხარდაჭერის, ძმური დამოკიდებულების, თანადგომის, სიკეთის, სამართლიანობის, სათნოების გრძნობის აღზრდას.

ბუნების შეცნობას, მის ჰუმანისტურ გააზრებას ემსახურება „დედა ენაში“ მოთავსებული ხალხური ლექსები, ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები, რებუსები, სასაუბროები. შეუძლებელია ბავშვის გული არ აათრთოლოს ბუნების ხატოვანმა სურათებმა, სულ რამოდენიმე სიტყვით რომ არის გადმოცემული და რომლებსაც ავტორი ანდაზებს უწოდებს - „აგერ მოდის გაზაფხული, - დედა-მინის დამფარველი, ააყვავა ტყე და ველი, მინდორს დასდვა კაი ფერი“; „გაზაფხული დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო, ჩიტმა ჩიორამაო საძირკველი გადგაო“; „იამა გმობა შობითა, ვარდმა გაგზარდა ქებითა, ნარგიზმა ძუძუ განოვა, მას გევხარ სურნელობითა“; „თებერვალი ბერავსო, მარტი ტყავსა ჰკერავსო, აპრილი გაჩქარებულა, სახნილ-საკვეთსა ფერავსო“; „მარტი რომ წინ გედოს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებ“; „ირემმა ირემს ბალახი აუშვირა“; „ბევრი ბუზი ბუზის, ფუტკართან ყველა სტყუის“; „ჭიასაც რომ ფეხი დაადგა, ისიც კი ხმას ამოიღებს“ და სხვ. (7.47,75,98).

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბუნება დიდი ქართველი პედაგოგის, - იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებით მემკვიდრეობაში, როგორც ჰუმანისტური გრძნობების აღზრდის ერთ-ერთი საშუალება, ემსახურება მისი პედაგოგიური, ფილოსოფიური და ზნეობრივი მრწამსის პრაქტიკულ განხორციელებას, რადგან ადამიანი სწავლობს ბუნებისაგან, ემოცილება მის კანონზომიერებებს, წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, მისთვის როგორც სოციალური არსების, ჰუმანისტი პიროვნების ფორმირებისათვის საფუძველთა საფუძველი უნდა იყოს ბუნების ავ-კარგის, ბუნების კანონების შესწავლა. იაკობის „ბუნების კარი“, „დედა ენა“ და საბავშვო მოთხრობები სწორედ ბუნების გაცნობის, შესწავლის და შეყვარების საშუალებაა, ანუ როგორც თვითონ აღნიშნავდა, „ბუნებაში შემავალი კარია“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. გოგებაშვილი, ტ. 9, თბ., 1961.
2. უშ. ობოლაძე, ი. გოგებაშვილი ქართული სახალხო სკოლის ფუძემდებელი, თბ., 1977.
3. „დედა ენა“, II ნაწ., თბ., 1912.
4. ვ. რამიშვილი, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, თბ., 1979.
5. ვ. ზამბახიძე, ერის საუნჯე, თბ., 1960.
6. ი. გოგებაშვილი, ტ. V, თბ., 1958.
7. დედა ენა, თბ., 1876.

თამაზ კარანაძე

ბუნება და მისი ჰუმანურ-აღმზრდელოებითი მნიშვნელობა

ი. გოგებაშვილის მოქმედებაში

რეზიუმე

იაკობ გოგებაშვილის უმდიდრესმა პედაგოგიურმა ნააზრევმა ქართველთა მრავალი თაობა აზიარა ბუნების მეცნიერების სიმდიდრეს, ჰარმონიულობას, ასწავლა უსულო თუ სულიერ არსებათა სამყაროში ჰუმანურ თვისებათა აღმოჩენა, მათი ესთეტიკური თვალთვლით ჭვრეტა. ასწავლა, რომ ადამიანი ბუნების ნაწილია და იმ კანონზომიერებებით უნდა ცხოვრობდეს, რაც ბუნებას თავის წიაღში გააჩნია, რომ ბუნება შეუდარებელი მკურნალია ადამიანის ყველა სატკივარისა, ამიტომაც საჭირო მასზე ზრუნვა, მისი სიკეთის დაფასება.

TAMAZ KARANADZE

ПРИРОДА И ЕЁ ГУМАНИСТИЧЕСКИ-ВОСПИТАТЕЛЬНОЕ ЗНАЧЕНИЕ В УЧЕНИИ Я. ГОГЕБАШВИЛИ

Резюме

Богатейшее педагогическое наследие Якоба Гогешашвили приобщило многие поколения грузин к богатствам естествознания, гармонии, научило открывать гуманные свойства

недушевлённых и одушевлённых существ в мире, их эстетическое восприятие. Научило, что человек – часть природы и должен жить по тем законам, которые существуют в её недрах, что природа – несравнимый врачеватель всех человеческих недугов, поэтому надо заботиться о природе, ценить её блага.

TAMAZ KARANADZE

NATURE AND ITS HUMANISTIC-EDUCATIONAL SIGNIFICANCE IN ACADEMIC INSTRUCTION OF I. GOGEBASHVILI


Abstract

Rich pedagogical contribution of I. Gogebashvili initiated many generations of Georgians with the riches and harmony of the science of nature. It has taught the ways to discover humane properties in the world of living and nonliving beings; to comprehend them with esthetic insight; the facts that a human being is a part of nature and should live based on the regulations the nature possesses in its sinus, that nature is the incomparable cure to all the pains and therefore it is inevitable to take care of it and appreciate its virtue.



ჩვენი იუბილარები

გალაქტიონ სიხარულიძე — 90



საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრს, პროფესორ გალაქტიონ სიხარულიძეს დაბადებიდან 90 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 70 წელი უსრულდება. აკადემიის გამგეობა, ჟურნალ „მომამბეს“-ს სარედაქციო საბჭო, კოლეგები და მეგობრები გულითადად ულოცავენ ღვაწლმოსილ პედაგოგს და მეცნიერს საიუბილეო თარიღს.

პროფესორი გალაქტიონ სიხარულიძე დაიბადა 1924 წლის 18 ნოემბერს, ქალაქ ბათუმში; მისი მამა, ცნობილი ქართველი ჟურნალისტი თომა სიხარულიძე 1937 წლის რეპრესიებს ემსხვერპლა, ხოლო დედა მარიამ ბედია შუა აზიაში გადაასახლეს. უდემამო ყმანვილზე მზრუნველობა მამიდა თინა სიხარულიძემ და მისმა მეუღლემ გიორგი ჩხაიძემ იკისრეს, რომლებიც აჭარაში აღიარებული პედაგოგები იყვნენ და მომავალ პედაგოგზე და მეცნიერზე კეთილისმყოფელი გავლენა სწორედ მათ მოუხდენიათ.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1941-1943 წლებში ახალგაზრდა გალაქტიონი პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა სარფსა და ბათუმში. 1948 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1948-1951 წლებში სწავლობდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1953 წელს გამოჩენილი მეცნიერის, პროფესორ გიორგი თავზიშვილის ხელძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

გალაქტიონ სიხარულიძე 1951 წლიდან სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწევა თბილისის ა. კუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტსა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას გალაქტიონ სიხარულიძე კარგად უთავსებდა უმაღლესი სკოლის პედაგოგის და მომავალ მასწავლებელთა აღმზრდელის საპასუხისმგებლო

და საპატიო მისიას. სწორედ ამიტომ იმსახურებდა იგი სტუდენტებისა და კოლეგების პატივისცემას და სიყვარულს. წლების განმავლობაში ბატონი გალაქტიონი მუშაობდა პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, პედაგოგიური ინსტიტუტის (შემდგომში უნივერსიტეტის) საკვალიფიკაციო საბჭოს სწავლული მდივანად და არჩეული იყო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრად.

გალაქტიონ სიხარულიძის მიერ ათეული წლების განმავლობაში წაკითხული ლექციები პედაგოგიკის ისტორიაში გამოირჩეოდა მაღალი ერუდიციით და პრობლემათა არსში წვდომით, რაც განაპირობებდა სტუდენტთა ინტერესს და აქტიურობას.

ამაგდარი მეცნიერი ხელხვაგვიანი ხვდება საიუბილეო თარიღს. ათეული წლების განმავლობაში ბატონი გალაქტიონი, დიდი რუდუნებით იკვლევდა საქართველოს განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის პრობლემებს. მის მიერ შესრულებულია არაერთი სამეცნიერო-პედაგოგიკური გამოკვლევა და სახელმძღვანელო:

„სახელოსნო განათლება საქართველოში“ (1952), „ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის მოკლე კურსი“ (1966), „გიორგი თავზიშვილი“ (1977). გალაქტიონ სიხარულიძის თანავტორობითა და რედაქტორობით გამოიცა „ქართული პედაგოგიკის ისტორიის“ პირველი სახელმძღვანელო (1974). მისივე ავტორობით 1986 წელს გამოვიდა „კაცთმოყვარეობის აღზრდა ოჯახში“. იგი არის „პედაგოგიკის ისტორიის“ სახელმძღვანელოს (1988) თანავტორი. გალაქტიონ სიხარულიძემ განსაკუთრებული ამაგი დასდო ქართული პედაგოგიკური აზრისა და მდიდარი საგანმანათლებლო ისტორიის პოპულარიზაციას ყოფილ საბჭოთა კავშირში. ამ მიზნით იგი ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდა „ქართული პედაგოგიკური აზრის ანთოლოგიის“ შედგენაში, რომელიც რუსულ ენაზე გამოიცა მოსკოვში 1987 წელს. მისივე რედაქტორობით მომზადდა ანალოგიური ანთოლოგია, ქართულ ენაზე (ტომი I), სამწუხაროდ იგი კვლავ ელის გამომცემელს.

გალაქტიონ სიხარულიძე განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ქართული პედაგოგიკის კლასიკოსის და განმანათლებლის იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლის მიმართ. იგი არის იაკობ გოგებაშვილი ხუთტომეულის ერთ-ერთი შემდგენელი და მეორე ტომის რედაქტორი (1989-1990 წწ), იაკობ გოგებაშვილის „სალმრთო ისტორიის“ (1992) ნინასიტყვაობის ავტორი და წიგნის რედაქტორი. ნიშანდობლივია კიდევ ერთი გარემოება იაკობ გოგებაშვილთან მიმართებით; 1999 წელს გამოვიდა მხატვრულ-პუბლიცისტური ფილმი „იაკობ გოგებაშვილი“, სწორედ ამ ფილმში გალაქტიონ სიხარულიძემ გაახმოვანა სულმნათი იაკობი.

სხვადასხვა დროს გალაქტიონ სიხარულიძეს გამოქვეყნებული აქვს 150 მეტი სამეცნიერო ნაშრომი და სტატია. იგი ხშირად იყო სადისერტაციო ნაშრომების ოფიციალური ოპონენტი. მისი ხელმძღვანელობით არაერთი ახალგაზრდა მკვლევარი შეემატა ქართული პედაგოგიკური მეცნიერების რიგებს.

პედაგოგთა მომზადებაში და ქართული პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებაში განეული ღვაწლის გამო გალაქტიონ სიხარულიძე დაჯილდოვდა „სახალხო განათლების წარჩინებულის“ ნიშნით (1965), 1985 წელს მიენიჭა საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის წოდება, 1988 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საატესტაციო კომიტეტმა მას პროფესორის წოდება მიანიჭა, ხოლო 1995 წლიდან, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის დაარსებიდან ამ აკადემიის აკადემიკოსია.

იაკობ გოგებაშვილის სახელის უკვდავსაყოფად გალაქტიონ სიხარულიძის დამსახურება საგანგებოდ აღინიშნა და 1990 წელს იგი დაჯილდოვდა იაკობ გოგებაშვილის მედლით, ხოლო 1993 წელს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ და პუბლიცისტურ თხზულებათა ხუთტომეულის შედგენა-გამოცემისათვის მიენიჭა განათლების დარგის უმაღლესი ჯილდო — იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია.

ქართველ პედაგოგთა აღმზრდელი და მრავალი ახალგაზრდა მეცნიერის დამკვალიანებელი ღვაწლმოსილი მეცნიერი, სანიმუშო მოქალაქე გალაქტიონ სიხარულიძე უხვად იმკის იმ სიკეთის ნაყოფს, რაც ასე უშურველად თესა ხანგძლივი ცხოვრების მანძილზე თავის სათაყვანებელ სამშობლოში. იგი ეხლა დამსახურებულ პენსიაზეა, თუმცა მისი ინტერესის საგანი კვლავ ქართული განათლება და მეცნიერებაა.

ვულოცავთ ღვაწლმოსილ მეცნიერს და კოლეგას სახელოვან იუბილეს, ჯანმრთელობას და სულიერ მხნეობას ვუსურვებთ საყვარელ შვილებთან, შვილიშვილებთან და მისთვის ძვირფას ადამიანებთან ერთად!

ГАЛАКТИОН СИХАРУЛИДЗЕ – 90

Академику Академии образовательных наук Грузии, профессору Галактиону Сихарулидзе исполняется 90 лет, а его научно-педагогической деятельности – 70 лет. Правление Академии, редакционный совет журнала «Моамбэ», коллеги и друзья сердечно поздравляют заслуженного педагога и ученого с этим знаменательным юбилеем.

Профессор Галактион Сихарулидзе родился 18 ноября 1924 года в городе Батуми, в семье известного грузинского журналиста Фомы Сихарулидзе. После окончания средней школы, в 1941-1943 годах молодой Галактион занимался педагогической деятельностью в Сарпи и в Батуми. В 1948 году окончил филологический факультет Тбилисского государственного университета. В 1948-1951 годах учился в аспирантуре в Институте педагогики имени Якоба Гогешашвили. В 1953 году защитил кандидатскую диссертацию под руководством выдающегося ученого, профессора Георгия Тавзишвили.

Галактион Сихарулидзе с 1951 года занимался научно-педагогической деятельностью в Тбилисском государственном педагогическом институте имени А.С.Пушкина и научно-исследовательском институте имени Якоба Гогешашвили. Им выполнено немало научно-педагогических исследований и создано учебников: «Ремесленное обучение в Грузии» (1952), «Краткий курс психологии и педагогики» (1966), «Георгий Тавзишвили» (1977). Под редакцией Галактиона Сихарулидзе и с его участием издан первый учебник «История грузинской педагогики» (1974). В 1986 году вышла его книга «Воспитание человеколюбия в семье». Он один из авторов учебника «История педагогики» (1988). Галактион Сихарулидзе много сделал для популяризации в бывшем Советском Союзе грузинской педагогической мысли, богатого образовательного наследия. С этой целью вместе с другими грузинскими учеными участвовал в составлении «Антологии грузинской педагогической мысли», которая была издана на русском языке в Москве в 1987 году. Под его редакцией была подготовлена аналогичная «Антология» на грузинском языке (том 1).

Галактион Сихарулидзе уделял исключительное внимание научному изучению наследия классика грузинской педагогики и просветителя Якоба Гогешашвили. Он один из составителей собрания сочинений Якоба Гогешашвили в пяти томах и редактор второго тома (1989-1990), автор предисловия и редактор «Божественной истории» Якоба Гогешашвили (1992).

В разное время Галактион Сихарулидзе опубликовал более 150 научных работ и статей. Он часто выступал официальным оппонентом диссертационных работ, под его руководством немало молодых ученых пополнили ряды грузинской педагогической науки.

Заслуги Галактиона Сихарулидзе в увековечивании памяти Якоба Гогешашвили были особо отмечены, и в 1990 году он был награжден медалью Якоба Гогешашвили, а в 1993 году за составление и издание пятитомника педагогических и публицистических произведений Якоба Гогешашвили присуждена высшая награда в области просвещения – премия имени Якоба Гогешашвили.

Поздравляем заслуженного ученого и коллегу со славным юбилеем, желаем ему здоровья и духовной стойкости, вместе с его детьми, внуками и дорогими для него людьми!

GALAKTION SIKHARULIDZE – 90

It has been 90 years since the birth and 70 years of scientific-pedagogical activities of the member of Academy of Education Sciences of Georgia, Professor Galaktion Sikharulidze. Academy governance, the editorial board of the journal “Moambe”, colleagues and friends cordially congratulate the honored pedagogue and a contributing scientist on the jubilee.

Professor Galaktion Sikharulidze was born on November 18, 1924 in Batumi; his father a renowned Georgian journalist was a victim of repressions of 1937 and a mother, Mariam Bedia was exiled to the Mid East. The care of the boy left with no parents became the obligation of his aunt Tina Sikharulidze and her husband Giorgi Chkheidze. They were pedagogues recognized in Adjara and their positive impact seemed to have left the first traces on the future teacher and a scientist.

Having finished school in 1941-1943 young Galaktioni was practicing teaching in schools of Sarfi and Batumi. He graduated Tbilisi State University, department of Philology in 1948 and became a graduate student of doctoral studies at I. Gogebashvili Pedagogical Scientific Institute. He defended his thesis in 1953 under the guidance of a renowned Georgian scientist, Professor Giorgi Tavzishvili.

In 1951 he starts working for A. Pushkin State Pedagogical Institute and I. Gogebashvili Pedagogical Scientific-Research Institute. In different years he was a vice dean of the department of Georgian philology, secretary in chief of the board, a member of scientific board of the university, etc.

During decades he has been exploring and searching the problems of Georgian education and pedagogical thinking, he is the co author and author of many text books; author of 150 scientific works and articles.


Is awarded the badge of the “successor of Public Education) (1965), has been wearing a title of an honored worker of higher education of Georgia since 1985, is a professor since 1988 and an academician of the academy of Science of Georgia since the establishment (1995).

He was rewarded the Medal of Iakob Gogebashvili in 1990 and the highest award in the field of education – Iakob Gogebashvili Prize for compiling and publishing five volumes of pedagogical and public stories by Iakob Gogebashvili.

The teacher for many Georgian pedagogues and various young scientists, a model citizen Galaktion Sikharulidze gains the fruits he has so tediously planted throughout his long life in his motherland. He is retired currently but Georgian education and science still stay the priorities of his interests.

We congratulate an honorable scientist and a colleague with the jubilee and wish him health and spiritual bravery together with his children, grandchildren and people dearest to him!

გურამ ხანდამიშვილი – 80



გურამ ირაკლის ძე ხანდამიშვილი (დაბ. 29.07.1934, თბილისი) - პედაგოგი, ჟურნალისტი; საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის (1995) და საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი (2001), ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (2012), პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი (1981), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1988), პედაგოგიკის დოქტორი, პროფესორი (1995), საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი (1982).

დამამთავრა ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ქართულ-რუსული ფილოლოგიის განხრით (1959). მუშაობდა: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობაში უფროს კორექტორად, რედაქტორად (1961-1963); გამომცემლობა განათლებაში გამომშვებად, უფროს ტექნიკურ რედაქტორად, რედაქტორად (1963-1971); საქართველოს განათლების სამინისტროს ყოველთვიურ სამეცნიერო-პედაგოგიულ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში“ განყოფილების გამგე-რედაქტორად, პასუხისმგებელ მდივნად, მთავარი რედაქტორის მოადგილედ (1971-1984); მთავარი რედაქტორის მოადგილის რანგში კურირებდა ამ ჟურნალის რვა (8) საგნობრივ-მეთოდოლოგიურ ყოველკვარტალურ დამატებას (თითოეულის მოცულობა - 5 ნაბეჭდი თაბახი), პარალელურად იყო ერთ-ერთი ასეთი დამატების - „დაწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდას“ - რედაქტორის მოადგილე, რედაქტორი.

1984 წლიდან მუშაობს საქართველოს განათლების სამინისტროს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ, სწავლულ მდივნად (1986), ხოლო 1987 წლიდან, აქ ექსპერიმენტული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების შექმნის შემდეგ, არის ამ პედაგოგიური გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილე (პარალელურად - ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეც). 2008 წლიდან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეერთების შემდეგ,

რეორგანიზაციამდე, იგი კვლავაც რჩება ამავე გაერთიანების დირექტორის მოადგილედ, ხოლო დღემდე კი ი. გოგებაშვილის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ.

წინა საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მოპოვების პერიოდში, საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით იგი თბილისის მსხვილ წარმოება-დანესებულებებში არაქართულენოვან მოსახლეობას, მუშა-მოსამსახურეებს სწავლის ქართულ ენას. ამავე პერიოდიდან 2010 წლამდე შეთავსებით მუშაობს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის ეროვნულ უნივერსიტეტში დეკანად, აქვე კითხულობს ლექციებს ქართულ ენაში. ასევე, ამავე დროიდან ი.გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე არსდება და 2012 წლამდე ფუნქციონირებს (გამოდის) შპს სერიული სამეცნიერო პედაგოგიური კრებული „საზრისი“. გურამ ხანდამიშვილს აქაც მისი რედაქციის თავმჯდომარის მოადგილეობა ეკისრება და ამასთან ასრულებს მთ. რედაქტორის ფუნქციებს.

გ.ხანდამიშვილის ძირითადი ნაშრომებია: „მოზარდთა საზოგადოებრივი აღზრდა საბავშვო და სასკოლო პრესის მეშვეობით“, „სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენა-ანალიზის საკითხები“. ამ ბოლო პერიოდში იგი ინტენსიურად მუშაობს უწყვეტი განათლების პრობლემატიკაზე. უურნალ საზრისში ზედიზედ აქვეყნებს სტატიებს: „უწყვეტი განათლების ასპექტები“, „უწყვეტი განათლების ცხოვრებისეული და პედაგოგიური იმპულსები“, „უწყვეტი განათლების შუქ-ჩრდილები“, „უწყვეტი განათლება და პიროვნული ფაქტორი“, „განათლების უწყვეტობა - ტაძრისაკენ მიმავალი ერთი გზათაგანი“ და სხვ. საერთოდ კი იგი არის 150-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა და მრავალი საჟურნალგაზეთო წერილის ავტორი, აგრეთვე, 300-მდე წიგნისა თუ ნაირგვარი დანუშულებების პედაგოგიურ გამოცემათა რედაქტორი; ეწევა მთარგმნელობით მუშაობას. 2011 წელს დაიბეჭდა მისი პოეტური კრებულიც - „ჩემი არასრული მე“, რამაც დამატებითი ელფერი შესძინა მის ნამუშავეს.

იგი კეთილი მეოჯახე და მზრუნველი მამაა, მეგობრებისა და თანამზრახველთა ფართო წრით გარემოსილი.

გურამ ხანდამიშვილის მიერ განეული საქმიანობა, მისი მეცნიერული რუდუნება დაფასებულია სხვადასხვა ჯილდოთი, მათ შორის, რაც თავად მას განსაკუთრებით ეძვირფასება - იაკობ გოგებაშვილის მედლით. კვლავაც ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და ნაყოფიერ შემოქმედებით ცხოვრებას.

P.S. ჩვენი „მომბის“ ამავე ნომერში გთავაზობთ მის რამდენიმე ლექსს, რომლებიც ზემოაღნიშნულ კრებულში არ შესულა.

ГУРАМ ХАНДАМИШВИЛИ – 80

Гурам Ираклиевич Хандамишвили (род. 29.07.1934, Тбилиси) – педагог, журналист; член Академии гуманитарных наук Грузии (1995) и Академии образовательных наук Грузии (2001), вице-президент этой же Академии (2012), кандидат педагогических наук (1981), старший научный сотрудник (1988), доктор педагогики, профессор (1995), заслуженный журналист Грузии (1982).

Окончил русско-грузинский филологический факультет Тбилисского государственного педагогического института им. А. С. Пушкина (1959).

Работал: в Издательстве сельскохозяйственного института Грузии старшим корректором, редактором (1961-1963); в издательстве «განათლება» («Просвещение») выпускающим, ст. техническим редактором, редактором (1963-1971); в ежемесячном научно-педагогическом журнале Министерства просвещения Грузии «სკოლა და ცხოვრება» («Школа и жизнь») заведующим-редактором отдела, ответственным секретарем, заместителем главного редактора (1971-1984). Как зам. гл. редактора курировал ежеквартально выходящие к нему приложения, параллельно был зам. редактора, редактором одного из восьми приложений этого журнала – «დანებთი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა» («Начальная школа, дошкольное воспитание»).

С 1984 года он заместитель директора НИИ педагогических наук им. Я. С. Гогебашвили, ученый секретарь (1986), а с 1987 года, когда здесь образовалось научно-производственное педагогическое объединение (до его реорганизации), он зам. директора этого объединения, параллельно и зам. директора института, кем и остается по сей день.

В 90-е годы прошедшего столетия, после обретения независимости Грузии, он обучает грузинскому языку русскоязычных работников крупных производственных предприятий и учреждений г. Тбилиси, параллельно работает деканом в Тбилисском университете им. Святого Ильи, читает там лекции, вместе с тем является заместителем председателя редколлегии научно-педагогического серийного сборника «საზრისი» («Мысль»), а также его редактором.

Г. Хандамишвили автор двух монографий и более 150-ти научных трудов. В последние годы особо следует отметить его статьи посвященные проблематике непрерывного образования. Он также автор сборника стихов – «ჩემი არასრული მე» («Моё неполное Я»).

Г. Хандамишвили за долгосрочную и плодотворную работу награжден медалью Якоба Гогешашвили.

Г. Хандамишвили добрый семьянин и заботливый отец, верный друг и преданный делу сотрудник. Сердечно поздравляем его с юбилеем и желаем ему крепкого здоровья и долгой творческой жизни.

GURAM KHANDAMISHVILI – 80

Guram Khandamishvili (Date of birth: 29 July, 1934, Tbilisi) – Pedagogue, journalist, member of the Georgian Academy of Humanitarian Sciences (since 1995) and of the Georgian Academy of Educational Sciences (since 2001), of the latter he became the vice-president in 2012. He was granted the scientific degree in the Pedagogical Sciences in 1981, was conferred a title of senior scientist in 1988, received a title of a doctor of pedagogy and professor in 1995 and was named Georgia's honored journalist in 1982.

In 1959, Guram Khandamishvili graduated from Tbilisi State Pedagogical Institute of A.S. Pushkin with the specialization in Georgian and Russian philology. Later, he worked at the publishing house of the Georgian Agricultural Institute as a senior corrector and afterwards as an editor (1961-1963); from 1963 to 1971 he was senior technical editor and then editor at the Publishing House "Education"; from 1971 to 1984 acted as the head of the unit and editor, executive secretary, deputy chief editor of the monthly scientific-pedagogical journal ("Skola da Tskhovreba", means School and Life) of the Ministry of Education of Georgia. In his capacity of the deputy chief editor Guram Khandamishvili was overseeing the edition of eight supplements of the above mentioned journal, while he was deputy chief editor and later editor of one of those supplements – "Primary School and Pre-school upbringing".

Since 1984 Guram Khandamishvili served as a Deputy Director at the Institute of the Pedagogical Sciences of Iakob Gogebashvili, while also held a position of scientific secretary (from 1986). Later, in 1987, following the establishment of the experimental scientific entity he is being appointed as the Deputy Director General of that entity, while acting as the Deputy Director of the Institute of Pedagogical Sciences - part of the entity. Since 2008, following the merger of the Institute of the Pedagogical Sciences with the Ilia State University, Guram Khandamishvili continued to act as the Deputy Director of Iakob Gogebashvili Institute of the Pedagogical Sciences, the position he occupies till present date.

In the early 90ies of the past century, in the period of Georgia's regaining of the independence, through the society "Tsodna" (Tsodna means *Knowledge*) he taught Georgian language to non-Georgian population, particularly to the employees of big enterprises in Tbilisi. From that period, till 2010 he worked at the Tbilisi National University of Saint Ilia, occupying the position of the Dean and giving lectures in Georgian language. At that point, a serial scientific pedagogical journal "Sazrisi" (Sazrisi means *Sense, meaning*) was established under the auspices of the Iakob Gogebashvili Pedagogical Institute, which was published until 2012. Guram Khandamishvili is the deputy chief of the editorial team of the journal .

Guram Khandamishvili is an author of two monographs and over 150 scientific works. Over the past years, he wrote number of articles dedicated to the issue of continuous education. He is the author of the compilation of the poems - "Chemi arasruli me" (Means - *My Incomplete Myself*).

Guram Khandamishvili was awarded the medal of Iakob Gogebashvili for his long, outstanding service and excellence.

Guram Khandamishvili is a true family man, caring father, trusted friend and a dedicated colleague. We wholeheartedly congratulate him with the anniversary and wish him a good health and further fruitful work.

გურამ ხანდამიშვილის ლექსები

სამშობლო სამანები

ამ მთების იქით ისევ მთებია,
იმ მთების იქითაც - მთები;
თმა თქვენს სიყვარულში გამთეთრებია,
მე მხიბლავს სიმაღლე თქვენი.

ამ ველებს იქით ფართო ველებია,
იმ ველებს იქითაც - ველები;
მე მთრგუნავს თქვენი სევდა-ელეგია,
მომხვდურნი, გადამთიელები.

ეს ჩემი მთებია, ჩემი ველებია,
ჩემს აქეთაც და იქითაც;
თავს ყველა მკვიდრი შემოგგვევლებიათ
ნახვისას და თქვენზე ფიქრითაც.

იმ ველებს იქით ისევ ველებია,
იმ მთების იქითაც - მთები.
სიყვარული ნურც გამომნელებია
და მონატრება თქვენი.

დედაქალაქისა

თბილისი - ჩვენი სამშობლოს დიდება!
ხუთჯვრიან დროშათა გადმოკიდება!
ჩვენ მასპინძლობის გადმოდინება!
და... ყველა მისკენ მოედინება.

ოცნების კოშკები შენდება, იგება,
აგური აგურზე, ქვა ქვაზე იდება,
ჭიშკარიც უკლებრივ ყველასთვის იდება,
ქალაქის პატრონმა ეს ასე ინება.

თუ ზღვარს არ განსაზღვრავთ, მიგულეთ მკითხავად,
ის აგვევსება უცხოელ მდგმურებით,
მერე კი შემოვლენ დაუკითხავად,
დაგვემუქრებიან განადგურებით.

რუსთაველზე

რუსთაველზე, ჭადრები რომ შრიალებენ,
დანმენდილი ვიტრინები კრიალებენ,
რესტორნები, კაფეები გრიალებენ,
რეკლამები, ათასფრად რომ ბრიალებენ...
რუსთაველზე, ქალ-ვაჟნი რომ რიალებენ,
კაზინოში რულეტები ტრიალებენ,
სულნასული მათხოვრები წრიალებენ,
იქვე ახლოს უსაქმური ყიალებენ...

რუსთაველზე ქვაფენილი ტყვრება-ცვდება,
ვინც გალუულ ქვებს მისტირის, არა ცდება;
მე ამ ქვებით ხსოვნა-სევდა მემატება
და აქედან წასულები მენატრება.

ლტოლვილს

დრო მიდის, აქ უკვე შვილები გეზრდება,
არ დაავინყო ფსოუ!
მათი დამოძღვრა ნუ მოგბეზრდება,
არ გამაგონო: "ვოუ!"

გახსოვდეს, შენა ხარ იმ მიწის მცხოვრები,
შენია იმ ზეცის ცვარი,
შენ უნდა მოთიბო ის საძოვრები,
უნდა მოაძოვო ცხვარი.

იქ უნდა გათალო ოთხსიმა ჩონგური,
ვაჟს დაანინდინო ქალი,
შენ უნდა კვლავ შენთვის მოთოკო ენგური...
მაშ, ზიდე სამშობლოს ვალი!

ერთხელ სოხუმში

ამდენმა წვიმამ ამოავსო ზღვა და ხმელეთი,
ამდენი წვიმით გადაღლილი გული გასივდა;
და იმ გოგომაც მოიხვია თბილი ხალათი,
ხელნი უბეში შემომიწყო, მგონი გაცივდა.

აღბათ შეიგრძნო ჩემი მკერდის სითბო უღევი,
მიხვდი გოგონას შეამცივნა, გათბობა უნდა
და ეს ამინდი ერთი გახდა ჩემთვის სრულებით,
ერთი, სამყარო ჩამოიქცა თუ გადაბრუნდა.

ღმერთო, ძლიერო, განმატევე წაწყმედისაგან,
ამას გთხოვ კიდევე, ამ სუსტ გოგოს მფარველად ვყავდე,
და არაფერი აღარ მინდა ამ ქვეყნისაგან -
ოღონდაც ვნამდე!
ოღონდ ვუყვარდე!

უპირველეს ყოვლისა

გლეხი ამბობს დროდადრო: თუ არ იქნა მოსავალი,
არ იქნება არაფრით არა ხალხის მომავალი;
ექიმს უთქვამს: მთავარია ჯანმრთელობა კაცისა;
ეკოლოგს კი - მოვლა გემართებს ამ ბარის და ამ მთისა;
სტატისტიკოსს - ციფრებზეა აგებული ქვეყანა,
კარგია, რომ ყველაფერი რიცხვში გადაგვეყვანა;
მასწავლებელს - სუყველაფრის საწყისთა აღფაბეტი,
ჩუქურთმისმჭრელს - ყველაფერზე მთავარია ტრაფარეტი.
ასეთ რამის გამგონე გადირია ინჟინერი:
ტრაფარეტზე მთავარია ქვა-რკინა-ხე თუნდაც ღერი;

მომღერალმა, მეჩონგურემ შეაჯერეს ერი, ბერი:
ყველაფერზე მთავარია სულიერი წანამღერი;
მღვდელმა - ლოცვის გარეშე არაფერი გამოვა,
უამისოდ, იცოდეთ, რომ სეტყვა, კოხი წამოვა.
სტუდენტს უთქვამს: მთავარია დაგროვება ცოდნისა,
მართლმორწმუნეს - მთავარია არიდება ცოდვისა;
სინოპტიკოსს - მთავარია ცვლა მზისა და თოვლისა,
პოეტმა თქვა: - პოეზია, უპირველეს ყოვლისა!

გულხმირება

ხშირად ვიგონებ ბარათაშვილს, ორბელიანებს,
თვალწინ მიდგანან კურკა, ტატო, მათი მთანმინდა
და თუ ეს განცდა ბედკრულ ნამყოს მომიტრიალებს, -
არა, არ მინდა!

დაუპოხავი ურემივით დრო მიჭრიალებს,
სევდა მავსებდა, როცა თოვდა, ან როცა წვიმდა,
თუ კვლავაც ისე გადავყევი დღეებს ჭიანებს, -
არა, არ მინდა!

ცუდი და კარგი ახლაც იმავე ალაღ ბრიალებს,
თითქოს მის ცეცხლში ჩაგუბულა წარსული წმინდა,
თუ ის ყველაფერს განურჩევლად გაატიანებს, -
არა, არ მინდა!

ზეცას ავხედე, ღვთის გზავნილი შუქი ციალებს,
მისი გარდმოსვლა ხომ ყოველთვის სიკეთეს ქმნიდა;
ისევ ვიხსენებ ბარათაშვილს, ორბელიანებს
და... მე ეს მინდა!

გალაკტიონს

დაეძებს ჟამი მერყევიც, მყარიც
პოეტს, რომელიც ქარში იღვწოდა,
რომელმაც ქარზე მომართა ქნარი,
ქნარი, რომელიც ქარ-ქარ იწვოდა.

მოვა თაობა ასი ათასი
და გადაარჩევს ლექსებს ბლუჯებად,
და მხოლოდ ერთს თუ ექნება ფასი,
ერთი დასი თუ დასაუნჯდება.

დროც მოვა მუდამ მარტივი მლოდი,
იმ გადარჩეულთ ჩათვლის ბურჯებად
და როგორც ვინმე მარტილოლოგი
ათას წლის მერეც არ დამუნჯდება.

ნიკო სამადაშვილს

სარდაფში ღვინო, ქუჩაში თქეში,
დარდები გულში, მტრედები სხვენში;

არ ამერევი აროდეს სხვებში,
ო, რა მძიმეა ეს ნუთი ჩვენში.

შენც გაგიმეტეს (მე მით უმეტეს),
თანაც ქვეყანა რამოდენაა!
საცა მეგობარს და პოეტს უმეტრეს,
წვიმა და ღვინო რა ბედენაა!

ვილაცამ ქრისტეც ათრია თმებით,
"თვალთ დაუფუშნა" მათრახის ქნევით;
ჩვენ კი რომ გვცვივა, არყებით ვთბებით,
თან თავს ვიმშვიდებთ საკუთარ თნევით.

ვაგლახ, ბომონდიც გაჯერდა მყვრებით,
ქართველთ ქვეყანა აგვევსო მკვდრებით;
ჩვენ კი დუქნებში უაზროდ ვტყვრებით
და არა ვნაღვლობთ, რაა ჩვენს ქვევით.

ის მით ხარობდა ჯავრს თუ შეჭამდა,
როგორც მთამსვლელი დაცდილ ასვლაზე,
მისი სიცოცხლეს იმით შეჯამდა,
რომ მოკვდა ნიკო ქუჩის ასფალტზე.

არ დაამადლეს გოლგოთა, ჯვარცმა,
მშრალი გლოვა თუ ცრემლი ღვარღვარა
და მის საფლავში ღმერთმა და კაცმა
წვიმა და ღვინო ერთად ჩაღვარა.

ვაჟავ, გისმინოს უფალმა!

ვაჟავ, პოეტთა დიდებავ,
გოლიათურის ტანისავ,
ჩარგლის მზის გადმოფინებავ,
რაზიკაშვილთა გვარისავ,
არაგვის ჩამოდინებავ,
ფშავლის ფხიანის ხმალისავ!

წუხელის ვნახე სიზმარი,
გჭვრეტდი ფიქრებში გართულსა,
ჰგვანდი ღვთის მისანს, მზისდარი,
გულში ხვაშიადჩართულსა;
მთასაც ესმოდა, ბარსაცა,
ალიღინებდი ქართულსა,
ჩამოჰკრავდი და აჰკრავდი
მაგ შენსა ჯადო ფანდურსა,
შენსავე ხელით გათლილსა
ეროვნულ გრძნობით მართულსა:

მზეო, მზევ მანათობელო,
ბრმა ღამე ვისთან დაჰყავი?
ქვეყნიერების მშობელო,
საქართველო რად დაჰყავი?

არწივთა საბუდეებელში
რად მოგვისიე ჭილყვავი?

ის გაზაფხულიც დადგება,
კვლავ აყვავდება იაცა,
ამა სოფლისა სიკეთე
ყველას ტოლ-სწორად მიეცა;
პირი უცინის ქვეყანას,
ვაჟკაცსაცა და დიაცსაც;
ეს დალოცვილი მნათობი
ჩვენც გვახარებს და ჭიასცა!
მაშ, მოგვმადლე-ღა, უფალო,
ქვეშ მიწა, მაღლა - ღია ცა!

ნატვრა

ჭკვიანი, თანაც შესახედავი,
რკინის მკვნეტავიც ვიყო ნეტავი;

ფხიანი, თანაც გამძლე-ამტანი
დამყვეს ჯან-ღონე ჭირში გამტანი;

გზიანი, თანაც წაღმაკეთილი
მქონდეს ცხოვრება გამოკვეთილი;

ვიყო სვიანიც, სამართლიანიც,
არ მივაყენო არვის ზიანი;

ქმნილმქნა მზიანიც, მაღალზნიანიც,
საზრიანიც და თავაზიანიც;

ანმყო ნატრული მქონდეს ფენილი,
შემრჩეს წარსულიც, გადაფრენილი;

მიყვარდეს, თანაც უნდა მჯეროდეს,
ვერ დავივიწყო იგი ვეროდეს;

დღეის ყლორტები, ხვალის იანი
მყავდეს ბადიშნი ხალისიანი;

ღმერთო, სავალიც გამოუკვეთე,
მიეცი ველი თესონ სიკეთე;

შენი მადლფენა მახლდეს და ოდეს
იქ რომ წარვსდგები, არა მრცხვენოდეს;
ჩემი კაცობა ყველგან დავიცვა,
ასე ვიცხოვრო, ასე დავინვა.

მოდი, შენ, და გაიგე

ქალი მოკლე თმებით აგებს,
კაცი - გრძელი ენით,

ზოგი იმით, რომ სულ ტირის,
ზოგი - კბილთა ღრჭენით.

ზოგს უხდება შავი ჯუბა,
ზოგს კი მოკლე კაბანი,
მოდი, შენ, და გაიგე
სილამაზის ანბანი.

ზოგ კაცს მოსწონს შრომა-გარჯა,
ზოგს კი კაფე ან ბარი,
მოდი, შენ, და გაიგე
ამ ტიპების ამბავი.

ზოგი მუდამ პიარს ეძებს,
ზოგს არ ეპიარება,
მოდი, შენ, და გაიგე
ვის რა ეპრიანება.

ზოგს დროშაც კი არად უღირს,
ზოგს ძალას სძენს მისი ტარი,
მოდი, შენ, და გაიგე
რომელია პეიტარი.

ზოგი იძენს ხარბი ხვეჭით,
ზოგი პოვებს დაკარგვით,
მოდი, შენ, და გაიგე
ამ ცხოვრების ავ-კარგი.

ცეცხლთან

შემოდგომაზე სიცოცხლე წყდება,
იბურებიან ზეზე ხეები,
ცეცხლთან გროვდება ფაქტების წყება,
ძველ დროს ნატრობენ ვილაციები.

აქ მოუყრიათ თავი გლახუნებს,
ვაჟბატონებს თუ სხვათა მსახურებს,
ჰყვებიან ამბებს, სიზმრებს ნახულებს,
ზოგი ჩუმად ზის და ცეცხლს ჩაჰყურებს.

მე ვითვლი დღეებს გადაზაფრულებს,
ახდენილ საქმეთ, ან განზრახულებს,
ვისხენებ ჩემთვის ლექსებს ხალხურებს
და ძველ ძმაკაცებს, უკვე წასულებს.
ცეცხლი კვლავ ღვივის, წარსულს ახურებს,
წვავს წლებს ლხინნაგემთ და ჭირნახულებს,
იმედებს ბლაგვს და წვერწამახულებს,
კაცი კი ზის და ზეცას გაჰყურებს.

მე ვუვლი ყვაველთ გადანახულებს,
მე ვუვლი ნერგებს ძირშენახულებს,
მე ვუვლი ფესვებს დამსკდარ-დახრულებს
და ველი, ველი სხვა გაზაფხულებს.

გრძნობათა უდაბნოში

ერთი გოგონა მიყვარდა,
თეთრსახა, თვალეპკვიცირა,
ეს წინათ იყო, ახლა კი
მე მასზე არა ვიცი რა.
ბევრჯერ კოშკებიც აიგო,
ბევრიც ვევედრე, ვეხვეწე,
რომ ვერაფერი გაიგო,
ავდექი, გადავიხვეწე.
და ახლა, როცა უდაბნოს
ნელი ნაბიჯით მივყვები,
იმ წრფელი გრძნობის სანაცვლოდ
აკიდული მაქვს ნიგნები;
თვალეპ და ტუჩებგამშრალი
დავეძებ სულის ოაზისს,
მომიკვდა კვალი გამქრალი,
ბედის აქლემზე მოლა ზის.

ნილხდომილება

ისე გამიმეტე, ვით უცხო სტუმარი,
მე კი წასვლა მიჭირს, გშორდები ტაატით
და მხრებით მიმაქვს მზარავი გუმანი -
უსაყვარლესი ქალის ღალატი.

დავთმე მანდ რაც მქონდა, დავირქვი "წასული",
ოდენ წამოვიღე ეს ძვლები და ტყავი,
შენთვის დაწყებაა, ჩემთვის დასასრული,
ყარიბი ვიქნები! მე ასე გავყავი.

კვლავაც ავიტან კადნიერებას,
გაჩუქებ თილისმას, რომ მარად განქალდე
და იმ ერთ ნაგლეჯ ბედნიერებას,
რომელიც როგორღაც შემომრჩა აქამდე.

თანმდევი შიში

შენს მედალიონს შევხსენი ძეწკვი,
მეძვირფასება ყვითელი ქარვა,
ერთხელ დავკარგე ჯაჭვიც და ლეკვიც,
ესეც არ მინდა წაილოს ქარმა.

ვბერდები, ძვირფას სახსოვრებს ვკარგავ,
დამიკარგია ოქროც და ქარვაც,
ხსოვნის ტილოზე შენს სახეს ვქარგავ
და მეშინია მისი დაკარგვაც.

გემზე

წყნარი საღამო, მივცურავ გემით,
სირინოზების ვისმენ სიმღერებს,

ზღვა ვარაყდება მთვარეულ ვერცხლით
და მეპარება ფრთხილად სიბერე.

თავს ნებას ვაძლევ, ქალს ვუთვალთვალე
და თვალებითაც ძალმძის ფერება,
მას რომ შეხვედრა ვთხოვო, თუნდ ხვალე,
უბრალოდ, აღარ შემეფერება.

შემომალამდა, მივცურავ გემით,
ნამყო მომდევს და, ალბათ, მენვევა,
ახლა ანაზდად შენს ძახილს ველი,
თან ვგრძნობ, რომ ველარ წამომენვეა.

იქნებ შენ უკვე არც ფიქრობ ჩემზე?
გემი კი არა, წლები ირწევა
და ამ სიბერის მოვერცხლილ გზებზე
ჩემი ბოლო გზა ასე იწყება.

ახლაც არ მჯერა

მატარებელი გავიდა ჩქარი,
შენსკენ განვდილი ხელის მკვნეტავი,
ამ ვაგონების გამყოლი ქარი
თუ დამიტოვებს იმედს ნეტავი?

მე უპოვარი, როგორც გლახაკი,
ილაჯგამწყდარი მივდევ ვაგონებს,
ეს გამეტება, ბოლო, ახლა კი,
ქანცგაცლილ ცხენის სირბილს მაგონებს.

...დავძრნი ქუჩებში მშიერი ძაღლი,
ეჭვები სულში მძაფრად ბოგინებს,
შენს მკერდთან ახლოს ცისფერი ძარღვი
ვის უთბობს ნეტავ ახლა ლოგინებს?

უარმყოფელი ირიბი მზერა,
ტუჩამრეზილი, ღიმგაკვეთილი,
კვლავ თვალწინ მიდგას და არა მჯერა,
რომ მწარე ხარ და არა კეთილი.

ინტერმეცო

ვნახე სიზმარი საოცარზე გასაოცარი:
ვერის ბალიდან ხელს გვიქნევდა ჩვენი მოცხარი,
არც კი დავფიქრდით, წამსვე მისკენ გამოვიქეციით
და როგორც წინათ ერთარსებად გადავიქეციით.
- მოდი, წავიდეთ ჩვენს ძველ სახლში, - დამცდა ანკარად,
ვთქვი და პასუხიც შემომესმა ცხადად, აშკარად:
- არა, ვერაფრით ვერ დავიწყებ ისევ თავიდან,
მე მხოლოდ სიზმრად გამოვდივარ ჩემ საფლავიდან.

ჩვეულებრივი დღე

წყნარი, მზიანი დარია,
იზმორებიან რძლები,
არ უნდათ ასე ადრიან
ლოგინში ჩარჩეთ ქმრები.

მე კი პირსავსე ვნებებით,
ოთხმოცწლიანი ბავშვი,
დღეს სხვა გზით წავესვენები,
რადგანაც უკვე დავშრი.

მკვდარს სიკვდილი არ ამცირებს,
გამოსვენებას - ზრუნვა,
ზოგს ჩუმი მოთქმა აცილებს,
ზოგს დუდუკი და ზურნა.

მზეზე ბრწყინავენ ღილები,
არავის ეტირება,
სიცოცხლე, როგორც მღილები,
გროშად არ ეღირება.

ხსოვნას დათქვამენ სანამდე,
სალამო ხანიც დადგება,
მე კი გათხრილი სამარე
ლოგინად გამომადგება.

არ მინდა სიკვდილი ლოგინში

დრო იყო და მეც ყოჩებში ვერიე,
ახლა სნებამ ხელი უღვთოდ დამრია,
უძღურება ველარ მოვიგერიე,
გროშად მიღირს გარეთ წვიმს თუ დარია.

ქუჩა ჯერობს ნაირ-ნაირ ფერებით,
გაზაფხული არიალებს ყვავილებს,
ლამის გული ამომვარდეს ძგერებით,
ვერ ავდივარ ხველებას და ქავილებს.

ფანჯარაში იჭყიტება დილის მზე,
ალარ მიცდის, გაიკვირტა ხეხილი;
- გამოდიო გარეთ! - მიხმობს პირიმზე
და საფლავიც გულმკერდგადაღელილი.

მეც გავდივარ! შინ დავტოვე ხუნდები,
მაგიდაზე - ლუკმა დაუღეჭავი
და ვგრძნობ უკვე უკან არ შევბრუნდები,
ბოლო ლექსი მრჩება დაუბეჭდავი.

მოვდივარ

მოვდივარ მანდ, სადაც სხვის ფეხით მოდიან
სრა-სასახლიდან, ქოხიდან, ოდიდან,
მოვდივარ, როგორც მოდიან ომიდან,
აქ ყოფნას მანდ ყოფნას არჩევენ ოდითგან.

მოვდივარ, ამოველ ჩემ მტრების ოხთიდან...
ერთიდან,
ორიდან,
სამიდან,
ოთხიდან...
მოვდივარ, არ ვნაღვლობ, დავტოვე სინათლე,
რადგან ვერ ვიპოვე ამ ქვეყნად სიმართლე.

მის ძებნას აქ ფუჭად რომ უნდებიან,
ამიტომ უკან არ ბრუნდებიან,
მოვდივარ სანუთროს გადასახედიდან,
მოვდივარ დროებით გადასახლებიდან.

სამშობლო, ვაგლახმე! ერთთავად ასეა,
მედროვეებით ნიადაგ სავსეა!
აქ იგი ვილაცის სამმართველოა,
მანდ კი მარადთა საქართველოა.

პედაგოგიკის თეორია და ისტორია

ლალი (პარპარი) აბდლაძე

ენობრივი პოლიტიკა XIX საუკუნის აფხაზეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლებსა და სასულიერო სასწავლებლებში

სასულიერო განათლების სფეროში აფხაზური ენის მდგომარეობის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. აფხაზებს ძველად არ ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა. მნიგნობრობისა და დამწერლობის ენა აფხაზეთის სამთავროში იყო ქართული. ეს როლი, როგორც მკვლევარი ვლადიმერ ნვერავა აღნიშნავს თავის ნაშრომში, „ქართულ ენას არ დაუკარგავს, მაშინაც კი, როდესაც საქართველოს სამეფოს დარღვევის შემდეგ წარმოიშვა აფხაზეთის სამთავრო, განსაკუთრებული პოლიტიკური ცხოვრების მატარებელი. მე-19 საუკუნის აფხაზეთის მთავრის კანცელარია ქართულ ენაზე მუშაობდა. ქართული ოფიციალური ცნობებითაც, უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე კავკასიის მმართველობას და მის წარმომადგენლებს ჩვეულებრივ ქართულად მიმართავდა“ (1 გვ. 139).

1810 წელს, როცა აფხაზეთის სამთავრო ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ნომინალურ დამოუკიდებლობას, პირველად წინადადება განათლების სფეროში აფხაზური ენის გამოყენების შესახებ წამოაყენა აფხაზეთის მთავრის პირადმა მოძღვარმა, ქართველმა დეკანოზმა, იოანე იოსელიანმა. მისი პროექტით, სოფელ ლიხნში, აფხაზეთის მთავრის რეზიდენციასთან უნდა გახსნილიყო სასულიერო სასწავლებელი, სადაც აფხაზ ბავშვებს მიეცემოდათ შესაძლებლობა, მიეღოთ სასულიერო განათლება დედაენაზე. ამ წინადადებას მხარს უჭერდა აფხაზეთის მთავარი, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ მასზე უარი განაცხადა. საეკლესიო-სამრევლო სკოლების ნორმალური მუშაობისათვის საჭირო იყო არამარტო სათანადო კადრები, არამედ სათანადო სახელმძღვანელოები და საღვთისმეტყველო ლიტერატურაც. თავდაპირველად მეფის ხელისუფლება დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა ასეთ სკოლებში არაქრისტიანი ბავშვების მიზიდვის საქმეს. საჭირო იყო სათანადო მოქნილობა და ტაქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან მიმართებაში, რომ ისინი არ დამფრთხალიყვნენ და ასეთ სკოლებში თავიანთი ბავშვის სწავლებაზე უარი არ ეთქვათ მათი გარუსების შიშით. ამ მიზნით „საზოგადოებამ“ გადანყვიტა, საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სწავლება პირველ ხანებში ყოფილიყო ძირითად მშობლიურ ენაზე. ამისთვის კი საჭირო იყო იმ ხალხთა ენაზე დამწერლობის შექმნა, რომლებსაც ის ჯერ კიდევ არ ჰქონდათ, მაგრამ ეს უნდა გაკეთებულიყო რუსული ალფაბეტის საფუძველზე, რათა შემდეგში გაადვილებულიყო მონაფეთა სწავლება რუსულ ენაზე. „ამ მიზნით „საზოგადოებასთან“ შეიქმნა სპეციალური, ახალი დამწერლობის შემქმნელი კომისია, თავმჯდომარე იყო ცნობილი ლინგვისტი, გენერალ-მაიორი ბარტოლომეი, ხოლო ერთ-ერთი წევრი, ასევე ლინგვისტი და გენერალ-მაიორი უსლარი.

აფხაზურის დამწერლობა ენად გადაქცევის ისტორია XIX საუკუნეში იწყება, კერძოდ, აფხაზური დამწერლობა 1862 წელს შექმნა გენერალმა პეტრე უსლარმა.

1862 წელს „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებამ“ თბილისში შექმნა კომისია აფხაზეთის სამრევლო სკოლებისათვის პირველი აფხაზური საანბანო სახელმძღვანელოს შესადგენად. „კომისიას თავმჯდომარეობდა გენერალი ი. ბარტოლომეი, ხოლო წევრები იყვნენ: ქართველი დ. ფურცელაძე და რუსი ვ. ტრიროგოვი. კომისიას დახმარებას უწევდნენ აფხაზი მოღვაწეები: მღვდელი იოანე გეგია, პრაპორშჩიკი გიორგი ქურციკიძე, აზნაური სიმონ ეშბა. კომისიის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს აფხაზური ტექსტი შეამოწმეს და შეასწორეს ჰასან მარლანია, კონსტანტინე გიორგის ძე შარვაშიძემ და გრიგოლ ალექსანდრეს ძე შარვაშიძემ. წიგნი დაიბეჭდა თბილისში 1865 წელს. მასში აფხაზური საკითხავი მასალა თარგმნილია რუსულ და ქართულ ენებზე“ (დადიანი გ. 2 : <http://church.ge/>).

1866 წელს რამდენიმე აფხაზური სოფლის სამრევლო სკოლაში შემოღებული იქნა სწავლება აფხაზურ ენაზე, რაც უეჭველად დადებითი ფაქტი იყო, მაგრამ 1884 წელს „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებამ“ საერთოდ აკრძალა სწავლება აფხაზურ ენაზე და არსებულ სამრევლო სკოლებში შემოიღო სწავლება რუსულ ენაზე. იმავე წელსვე აფხაზეთის სამრევლო სკოლებისათვის თბილისში გამოიცა „მოკლე საღვთო ისტორია“,

რომელშიც ტექსტი წარმოდგენილია აფხაზურ და რუსულ ენებზე. აფხაზური თარგმანი შეუსრულებიათ იოანე გეგიას, დავითკაცის ძე მარღანისა და გიორგი ქურციკიძეს.

უეჭველად პროგრესული მოვლენა იყო XIX საუკუნის შუა წლებიდან რამდენიმე აფხაზურ სოფელში სამრევლო და საერო სკოლების დაარსებაც, სადაც აფხაზ ბავშვებს ექმნებოდათ შესაძლებლობა, მიეღოთ დანყებითი განათლება, მაგრამ ამ სკოლებში სწავლების ენა რუსული იყო, ხოლო აფხაზურს მხოლოდ დამხმარე ენის ფუნქცია ეკისრებოდა. მას ხელი უნდა შეეწყო რუსულის საფუძვლიანად შესწავლისათვის. აფხაზური ენის ეს ფუნქცია ცხადად ჩანს დ.გულიასა და კ. მაჭავარიანის მიერ შედგენილი საანბანო წიგნის წინასიტყვაობიდანაც.

ცარიზმი გეგმავდა აფხაზი ხალხის დაჩქარებული ტემპით გარუსებას და ამ გეგმას არ მალავდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები და არც მისი იდეოლოგები. მაგალითად, პ. უსლარის მიერ აფხაზური დამწერლობის შექმნიდან მეოცე საუკუნის 10-იან წლებამდე აფხაზური ენა პრაქტიკულად იშვიათად იხმარებოდა განათლების სფეროში. 1864 წლიდან, როცა რუსეთმა საბოლოოდ დაიპყრო აფხაზეთის სამთავრო, რუსული ხელისუფლება თვითონ შეეცადა აფხაზურ ენაზე სწავლების ორგანიზებას და 1865 წელს, პირველი აფხაზური საანბანო სახელმძღვანელოს გამოცემიდან ერთი წლის შემდეგ, რამდენიმე აფხაზურ სოფელში გახსნა სკოლები აფხაზი ბავშვებისათვის, რომლებშიც სწავლება რუსულენაზე მიმდინარეობდა, მაგრამ ისწავლებოდა აფხაზური ენაც. „საზოგადოების“ ზემოთ აღნიშნულმა კომისიამ რუსული შრიფტის საფუძველზე შეადგინა და 1885 წელს გამოსცა აფხაზური ანბანი და სახელმძღვანელო, რომელშიც მოცემული იყო ქრისტიანობის ძირითადი პრინციპები-მცნებები. 1866 წლიდან აფხაზ ბავშვებს სკოლებში ასწავლიდნენ ამ ანბანით. 1868 წელს კომისიამ აფხაზური ენა იმდენად ახალგაზრდულად და განუვითარებლად მიიჩნია, რომ მასზე წმინდა წერილის გადათარგმნა შეუწყვეტია, მაგრამ 1899 წელს „საზოგადოება“ კვლავ უბრუნდება აფხაზური დამწერლობის საკითხს. ამ ენაზე გადაითარგმნა ზოგიერთი ლოცვა“ (1 გვ. 140).

1892 წელს თბილისში გამოიცა აფხაზური ენის რიგით მეორე საანბანო სახელმძღვანელო. მისი ავტორები იყვნენ აფხაზური მხატვრული ლიტერატურის მომავალი ფუძემდებელი დიმიტრი გულია და მისი ქართველი მასწავლებელი კონსტანტინე მაჭავარიანი. წიგნში შევიდა რუსულიდან თარგმნილი ლოცვები, „ათი მცნება“ და „მრწამსი“. გარდა ამისა, რუსიფიკაციის იდეოლოგები მიზნად ისახავდნენ აფხაზი ხალხის მოწყვეტას ქართული კულტურული სივრცისაგან (მანამდე აფხაზები ოჯახებში სწავლობდნენ ქართულ ენას და იყენებდნენ მას ოფიციალური საქმისწარმოების, ქრისტიანული ღვთისმსახურებისა და კულტურის დარგებში). რუსი იდეოლოგები და ხელისუფლება ასახელებდნენ რამდენიმე მიზეზს, რომელთა გამოც შეუძლებელი იყო აფხაზურ ენაზე განათლების დანერგვა. ესენია: 1. აფხაზურ ენაზე საერო და სასულიერო განათლების ორგანიზება შეუძლებელია, რადგან ამ ენაზე არ არსებობს სასწავლო ლიტერატურა; 2. აფხაზურ ენაზე არ არსებობს არც ორიგინალური და არც თარგმნილი მხატვრული ლიტერატურა; 3. აფხაზები არ არიან ქართველები, რის გამოც მათთვის ქართულ ენაზე სწავლება და ქრისტიანული ღვთისმსახურება დაუშვებელია; 4. აფხაზებმა იმ დონეზე უნდა ისწავლონ რუსული ენა, რომ საბოლოოდ დაივიწყონ დედაენა და გარუსდნენ.

რუსიფიკაციის ერთ-ერთი იდეოლოგი ევგენი ვეიდენბაუმი წერდა: „აფხაზური ენა, რომელსაც არა აქვს დამწერლობა და ლიტერატურა, რალათქმა უნდა, განწირულია მეტ-ნაკლებად ახლო მომავალში გასაქრობად. საკითხი ასე დგას: რომელი ენა შეცვლის მას? ცხადია, რომ [აფხაზურ] მოსახლეობაში კულტურული იდეებისა და ცნებათა დამწერგავის როლი უნდა შეასრულოს არა ქართულმა, არამედ რუსულმა ენამ. ამიტომ მე მიმაჩნია, რომ აფხაზური დამწერლობის დაფუძნება თვითმიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ ის უნდა გახდეს ეკლესიისა და სკოლის მეშვეობით ქართული ენისადმი მოთხოვნილების დასუსტებისა და მისი [ქართულის] სახელმწიფო ენით [რუსულით] შეცვლის იარაღი“ (მაისურაძე გ. 3 : <http://expertclub.ge/>).

ე.ვეიდენბაუმი შეგნებულად ჩქმალავდა იმ დროისათვის აფხაზური დამწერლობის არსებობის ფაქტს. ჩგარდა ამისა, მას უნებურად წამოსცდა, რომ აფხაზურ მოსახლეობაში შენარჩუნებული იყო ქართული ენის ცოდნის ტრადიციული მოთხოვნილება. ასეთ პირობებში გმირობის ტოლფასი იყო იმ აფხაზ და ქართველ მოღვაწეთა საქმიანობა, რომლებიც მაინც ცდილობდნენ აფხაზური ენის სწავლების დანერგვას რეგიონის აფხაზურ სოფლებში დიდი მეცადინეობით შექმნილ სკოლებში. ამ მხრივ განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით აფხაზ განმანათლებლებს: „აფხაზური განათლების პაპად“ მიჩნეულ თომა ეშბას, დიმიტრი გულიას,

ანდრეი ჭოჭუას, დიმიტრი მარლანიას, სამსონ ჭანბას, ანტონ ჩუკბარს, სიმონ ბასარიას, ნიკოლოზ პატიფასა და სხვებს, აგრეთვე, მათ ქართველ თანამოაზრეებსა და თანამებრძოლებს: კონსტანტინე მაჭავარიანს, პეტრე ჭარაიას, ნიკოლოზ ჯანაშიას, მარიამ (მამო) დადიანსა და სხვებს. მაგალითად: პეტრე ჭარაია, რომელიც ბრწყინვალე ლინგვისტი იყო და არის ავტორი შესანიშნავი გამოკვლევებისა ქართული და აფხაზური ენების სტრუქტურისა და ისტორიის, აფხაზური ფოლკლორისა და ეთნოლოგიის საკითხებზე, ასწავლიდა აფხაზურ და ქართულ ენებს სოფელ ეშქითში მოსახლე აფხაზ ბავშვებს.

ჩვენ მიერ აფხაზეთის მაგალითზე წარმოდგენილი მასალები ცხადყოფს, რომ ქართული ენა მიზანდასახულად იდევნებოდა სასულიერო სასწავლებლებში, მაგრამ მაგრამ მან თვითმპყრობელურ რეჟიმს, რუსიფიკატორულ პოლიტიკას, მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი.

ლიტერატურა:

1. ჭვერავა ვლ., საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში., ქუთაისი. 2003 წელი.
2. <http://church.ge/> გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი (ბრძოლა დედაენისათვის XIX საუკუნის მეორე ნახევარში).
3. <http://expertclub.ge>. მაისურაძე გ., რუსეთის იმპერიული ენობრივი პოლიტიკის ზოგიერთი საკითხები აფხაზეთში და მისი შედეგები. ნაწილი I
4. აბდალაძე ლალი (ბარბარე). სასულიერო განათლება და პედაგოგიკური აზროვნება მე-19 საუკუნის გურია—სამეგრელოს ეპარქიაში (დისერტაცია). ხელნაწერისუფლებით.
5. გამახარია ჯ., აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, თბილისი, 2015 წელი.

ლალი (ბარბარე) აბდალაძე

ენობრივი პოლიტიკა აფხაზეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლებსა და სასულიერო სასწავლებლებში

რეზიუმე

აფხაზეთის სამწერლობო ენად გადაქცევის ისტორია XIX საუკუნეში, კერძოდ, 1862 წელს იწყება. აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლებში რუსულ გრაფიკაზე დაფუძნებული აფხაზური ენა განიხილებოდა როგორც დამხმარე საშუალება რუსული ენის შესასწავლად. ამის გარდა, რუსიფიკაციის იდეოლოგიები მიზნად ისახავდნენ აფხაზი ხალხის მოწყვეტას ქართული კულტურული სივრცისაგან.

ЛАЛИ (БАРБАРЕ) АБДАЛАДЗЕ

ЯЗЫКОВАЯ ПОЛИТИКА В ЦЕРКОВНО-ПРИХОДСКИХ ШКОЛАХ И ДУХОВНЫХ УЧИЛИЩАХ АБХАЗИИ

Резюме

История превращения абхазского языка в письменный язык началась в XIX веке, в частности, в 1862 году. В духовных училищах Абхазии абхазская письменность, на основе русской графики, рассматривалась как вспомогательное средство для изучения русского языка. Кроме того, идеологи русификации ставили перед собой цель отделение абхазского народа от грузинского культурного пространства.

LALI (BARBARE) ABDALADZE

LANGUAGE POLITICS AT ECCLESIASTICAL-PARISH SCHOOLS OF ABKHAZIA

Abstract

The article refers to the matter of Abkhazian language, which has become the literary language only in the XIX century, in 1862 to be more exact. Abkhazian language based on Russian graphics was considered to be auxiliary to learn Russian language. Besides, the ideologists of the Russification aimed to separate Abkhazian people from the Georgian cultural space.

მანია ახვლედიანი

მელიტონ კელენჯერიძე — გაბრიელ ეპისკოპოსის სახისათვის

ეპოქა, რომელშიც მელიტონ კელენჯერიძე მოღვაწეობდა, მრავალფეროვანი და ქართველებით აღსავსე იყო. თერგდალეულთა პოზიციები, მამათა და შვილთა დავის შეუპოვრობა, ბატონყმობის გაუქმების ჯერ შეუცნობი შედეგები აძლიერებდნენ წარსულისადმი ყურადღებას, მისი არდავინყება—შენარჩუნებისათვის ზრუნვა ერთგვარ სტიმულს იძლეოდა მყოფადის მტკიცე საფუძველზე ანმყოს დასაშენებლად. ასეთი ვითარება ქმნიდა პირობებს ღირსეულ მამულიშვილთა ღვანლის წარმოსაჩენად. გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენდა დადებითი მაგალითის ძალა. ეპოქისეულ მოთხოვნათა შთაგონებით პედაგოგმა, მკვლევარმა და მწერალმა მელიტონ კელენჯერიძემ ხელი მოჰკიდა დიდი მამულიშვილის გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას და საკუთარი მიზანდასახულობის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა ქართველ საზოგადოებას წერილების, კითხვარების, განმარტებების სახით, ნაშრომის წინასიტყვაობაში კი მოკრძალებით მიუთითა:

„თუ ვკიდებთ ხელს დიდი გვამის ისტორიას, ვკიდებთ შიშით, კრძალვით, მორიდებით, მაგრამ იმის შეგნებითაც, რომ კაცად კაცადმა თავისი ტვირთი უნდა იტვირთოს, სიერის მაყურებელი არ უნდა იქნეს, ყველაფერში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს.“ (1. გვ.1-3).

მას მიაჩნდა, რომ გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ასახვა მეტად საპასუხისმგებლო საქმე იყო, ამიტომაც დასძენდა თავმდაბლურად. „ჩვენ რომ დიდი ისტორიკოსების დაბადებას ვუცადოთ, დღეს ცოცხალი ფაქტები ხალხის ხსოვნაში სავსებით დაცულნი შემდეგ წყველიაღმი ჩაინთქებიან ის საკითხებიც რისი ნახვა—პოვნა—დაკრძალვა დღეს ადვილია, მომავალი ისტორიკოსებისთვის, შეიძლება სულ გაქრნენ. ამიტომ ყველამ რომ თავისი ქნას, ერთიმეორეს არ დაუშვლიან.“ (1. გვ. 1-3).

როგორც ვხედავთ, მიზანი აშკარაა, მიზნის მიღწევის საშუალება კი მამულიშვილური ვალის გათავისებაშია და იქვე გვთავაზობს ავტორი მისეულ მოსაზრებას:

„ამ საქმეს ჩვენ დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობას ვაძლევთ. გაბრიელი ისეთი სახეა, რომელსაც შეუძლია სასიკეთოდ იმოქმედოს კაცზე. თითოეული სიტყვა და საქმე მისი კანონად დასადებია, დღესაც ჯადოსნურად მოქმედებს მისი ცხოვრების მაგალითები ადამიანზე“. (1. გვ.1-3).

მ. კელენჯერიძე მთელი არსებით პედაგოგია და კარგად იცის რა ძლიერ მოქმედებს აღსაზრდელზე დადებითი პიროვნული მაგალითის ძალა. ამიტომაც არ ზოგავს ენერგიას ეპისკოპოსის სახის წარმოსადგენად. იმდროინდელი პრესის ფურცლები, კერძო მიმონწერები და პირადი კონტაქტები ადასტურებენ, რომ წიგნის ავტორმა საერთო ყურადღება და მხარდაჭერა დაიმსახურა და შექმნა მდიდარი მასალის მოპოვების და გამოცემის მატერიალური უზრუნველყოფის ყველა პირობა.

ერთობლივმა დაინტერესებამ განაპირობა მიზანდასახულობის მაღალხარისხოვანი რეალიზება. ნაწარმოები დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით დანვრლებით ცნობებს გვანდის გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრების შესახებ ჩვილი ბავშვობიდან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. საყურადღებოა, რომ ყველა პერიოდის წარმოდგენისას ავტორისეული პედაგოგიური, პროფესიული ალლო და ხედვა იგრძნობა, ჩანს მისი ღრმა განსწავლულობა, აღზრდის პროცესის როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული ყოველდღიურობის ანალიზის დიდი უნარი. იგი ადამიანს ხედავს, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარიდან და პირველივე შესაძლებლობისთანავე აძლევს მას სწორ, ცხოვრებისეულ შეფასებას. გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ გ. კელენჯერისეულ ნაწარმოებს არც ისტორიული ექსკურსი აკლია, არც ფსიქოლოგიური და მრავალმხრივ მეცნიერული. იგი აღმზრდელობითი ხასიათისაა და სამაგალითოდ საგრძნობია ეპოქისეული სიძნელები სწავლა—განათლების საკითხებთან დაკავშირებით, სახეზეა საზოგადოებრივი, სასკოლო საოჯახო აღზრდის ეპიზოდები, ცოცხალ მაგალითებზეა დაყრდნობილი აღზრდის თეორიული საფუძვლების რეალიზების გზები და შედეგთა ხარისხობრივი მაჩვენებელი.

ეპოქა, რომელშიც გერასიმე (მომავალი ეპისკოპოსი) მოველინა ქვეყანას დამძიმებული იყო გარემო პირობებით, ცხოვრების წესი მარტივი იყო, ფუფუნებას მოკლებული.

„თვით ოჯახის წყობილებაც იმდენად მარტივი და ბუნებრივი იყო, რომ ბევრ ფიქრსა და ლელვას არ ითხოვდა ადამიანისგან“ ამბობს წიგნის ავტორი მ. კელენჯერიძე და მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს საოჯახო აღზრდის მომენტებზე. მომავალი ეპისკოპოსის მამა მკაცრი და მოსიყვარულე აღმზრდელი იყო. მან, ეკლესიის მსახურმა, კარგად იცოდა სწავლის ფასი. თვით შრომის მოყვარე და ღვთისმოსავი შვილებისგანაც მუდმივ წესრიგს და თადარიგანობას მოითხოვდა, უხვად უზიარებდა მათ საკუთარ გამოცდილებას. მშობლიური ალლო კარნახობდა, მეტი დრო და სახსრები გამოეყენებია შვილების ცოდნის მოსაპოვებლად, გამოცდილების დასაგროვებლად, მაგრამ მატერიალური პირობები ბოჭავდა მის მიზანდასახულებას. თავს იმით ინუგეშებდა, რომ შეეძლო მოზარდი შვილები მათ შორის გერასიმე საბეროდ მოემზადებია სოფლისსავე ეკლესიაში.

„მაშინდელი ბავშვის აღზრდა ჩვენში თითქმის იგივე „საბეროდ“ მზადება იყო. მონასტერ—ეკლესია იგივე სკოლა იყო. მდიდარი და ღარიბი, თავადი და გლეხი მონასტრისკენ მიიღვროდა, ბევრ წარჩინებულ ქართველ გვამს მიუღია იქ ჩინებული განათლება“ (1. გვ. 27).

როგორც ვხედავთ, გერასიმეს, იგივე გაბრიელ ეპისკოპოსის აღზრდა—სწავლება მამისეულ სახლში იწყება და ეკლესიის ფარგლებში მიმდინარეობს. რუსული ენის სწავლების აუცილებლობას ეპოქა აპირობებს და მშობლებიც იძულებულნი არიან ოზურგეთის ახლოს განლაგებული რუსული სამხედრო ჯარის შენაერთებში იპოვონ რუსული ენის მასწავლებელი.

„რუსული სკოლა, თუმცა გამჩდარი იყო საქართველოში, კეთილშობილთა სასწავლებელიც თბილისში, სემინარიაც, გიმნაზიაც, მაგრამ პროვინციებისთვის ეს უცხო იყო. ჯერ იქ ისევე ძველი დრო ტრიალებდა... ფუნქციონირებდა სკოლა ქართული უენო, მუნჯი, ხალხის შეხედულებით.“ (1. გვ. 21).

ასეთ სკოლათა რაობის შესახებ არაერთ მოგონებას და მოსაზრებას მოიშველიებს წიგნის ავტორი. მათ შორის ილუმენი მამა დავით მიქიაშვილის მოგონების მიხედვით მცირე ეროვნულ სკოლებში „ბავშვების მდგომარეობა აუტანელი იყო, 90% შიშვლები იყვნენ, ეყარნენ უხეირო ქოხებში მშობლები მოუტანდნენ მხოლოდ სიმინდის ფეკილს და ლობიოს, ამასთან არა გასაძლომად. ხან სულ მშვიდნი იყვნენ, შეშა ტყიდან თითონ ბავშვებს უნდა მოეტანათ ზურგით, გამოეცხოთ მჭადი, მოეხარშათ ლობიო ზოგი ვახშმად ეჭამათ, ზოგიც მეორე დღისთვის შეენახათ. მერე მიდგებოდნენ გაკვეთილების სწავლას ცეცხლის შუქზე კერძასთან. მოსწავლეთა ცემა წკნელით სახაზავით, მუხლებზე დაყენება, კარცერში ჩამწყდევა, უსადილოდ დატოვება მიღებული იყო.“ (1. გვ. 116).

მიუხედავად აღნიშნულისა გერასიმეს მისი ოჯახის ნიჭისა და საზრიანობის წყალობით არ განუცდია იმდროინდელი სკოლის დამთრგუნველი გავლენა. მოცემული საგანმანათლებლო პერიოდი გვიჩვენებს, რომ ქვეყნად მხოლოდ სასულიერო სასწავლებელთა ქსელია მოზარდთა განათლების ძირითადი ძარღვი და იგი სასულიერო სემინარიას ექვემდებარება. გაბრიელის მამა შვილის ნიჭისა და გულმოდგინების შემყურე გრძნობს მისი საფუძვლიანი ცოდნით აღჭურვის აუცილებლობას. არ კმაყოფილდება ადგილობრივი საეკლესიო ვიწრო განათლების ფარგლებით და შვილებს, მათ შორის გერასიმეს თბილისში გზავნის სასულიერო სასწავლებელში. ადვილი არ იყო ღარიბი მღვდლის ოჯახს ეზრუნა შვილების განათლების შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისათვის, მაგრამ გერასიმეს მომავლით დაინტერესდა სემინარიის პედაგოგი კლიმენტი კანევსკი საოჯახო აღზრდის წყალობით და ნიჭიერებით გამორჩეული მოსწავლე პედაგოგიმა პირადი მატერიალური უზრუნველყოფით ფსკოვის სასულიერო სემინარიაში წაიყვანა სასწავლებლად. ეს კეთილშობილური ნაბიჯი ღირსეულად დააფასა შეგირდმა და 2 წლის შემდეგ შეძლო პეტერბურგის სემინარიის მსმენელი გამხდარიყო. 1845 წელს სემინარია წარმატებით დაასრულა და საჭირო ცოდნით აღჭურვილმა გადაწყვიტა, დაბრუნებოდა სამშობლოს, რომ მის მიერ მიღებული ცოდნა და გამოცდილება მშობლიურ კუთხეს ხალხს მოხმარებოდა. მას შეეძლო მისი მომავალი დაეკავშირებია მეცნიერების მრავალი დარგისათვის, მათ შორის ფიზიკისა და მათემატიკისათვის, შეექმნა შრომები ექსპერიმენტალურ ფსიქოლოგიაში, ფილოსოფიაში. მიუხედავად მრავალმხრივი შესაძლებლობისა იგი არჩევს ღვთისმსახურებას. გადაწყვეტს მოძღვრის მძიმე ჭაპანი გაიხადოს მიზანდასახულებად

და იცხოვროს სიკეთისა და ადამიანური ურთიერთობებით დატვირთულმა. ამ გზაზე არ დაჰკლებია მოძღვარს არც პატივი და არც წინააღმდეგობებით სავსე მწარე გაკვეთილები.

დიდი ნიჭისა და შესაძლებლობის მქონე ახლად შექმნილი ოჯახის მამა ახალგაზრდობაშივე დასეტყვა განგებამ, ერთბაშად დაატეხა თავს დიდი უბედურება, სულ მცირე დროში დაკარგა 5 შვილი და ახალგაზრდა მეუღლე. მწუხარებამ დააბნია. ცოლ—შვილის ესოდენ მოყვარულს ერთბაშად გამოეცალა საძირკველი. უნდოდა ხელი აეღო ამქვენიური ცხოვრებისაგან, შეენწყვიტა ღვთისმსახურება.

„მინდა ვინმეს დაველაპარაკო, ჩემი ფიქრები გავუზიარო და არავინა მყავს“ შესჩიოდა იგი პეტერბურგელ მეგობარს მღვდელს რუდაკოვს. რუდაკოვმა ამ საოცრად ერთგულმა და გონიერმა მეგობარმა ურჩია მეტი ემუშავა, ეკითხა. დამორჩილდა იგი მეგობრის რჩევას, გამოიწერა ჟურნალები, წიგნები, მაგრამ ვერ ჰპოვა სრული სიმშვიდე. სად წიგნი და სად ცოცხალ ადამიანთან ტკბილი საუბარიო — წერდა იმავე მრჩეველს და ებრძოდა საკუთარ განცდებს. მასში ერთმანეთს უპირისპირდებოდა მწუხარება და მოვალეობა. ბოლოს და ბოლოს ითხოვა ბერად აღეკვეცათ იგი. ეგზარხოსმა იშუამდგომლა სინოდის წინაშე და 1856 წელს 32 წლის ახალგაზრდა ბერად აღკვეცეს სიონის ტაძარში, შეინარჩუნა მასწავლებლობა სემინარიასა და ქალთა ინსტიტუტში, თანდათან დაუბრუნდა სამეცნიერო სამუშაოს, მალე, (1858 წელს) გორის ეპისკოპოსად აკურთხეს. ძნელი იყო მისთვის სასწავლო პროცესიდან წასვლა, პედაგოგიურ სარბიელს მონყევტა. გაუჭირდა მოსწავლეებსაც მასთან განშორება. ამიტომაც უთითებს წიგნის ავტორი: „ბევრი ცრემლი დაიღვარა იმ დღეს სასწავლებელში რასაკვირველია მეტ მგრძობელობას ამ შემთხვევაში ქალები გამოიჩინდნენ, ის ქალები რომლებიც ანაფორის კალთებს ახევენდნენ გაბრიელს ყოველ მოსვლაზე და ხელებს ულოკავდნენ, ის ქალები, რომელთა შორის ბევრს ვნებათა ღელვაც კი აშლიათ ხოლმე და ისტერიკა დამართნიათ საყვარელის მოძღვრის შეხვედრაზე“ (1. გვ. 40).

ასეთ კონტექსტში მიაწინებს გაბრიელის ასკეტური ცხოვრების შინაარსზე ნაწარმოების ავტორი და უხვად იძლევა ცნობებს ეპისკოპოსის ცხოვრების დეტალებზე, რომლებიც ასურათხატებენ მის მისაბამ ადამიანურ თვისებებს, უბრალოებას და უპრეტენზიობას.

„... სადად ჩაცმული დადიოდა კაბა—ანაფორით, შრომობდა ფიზიკურად, ზომიერება და უბრალოება ახასიათებდა ყოველდღიურობაში, უყვარდა ზუსტი ხარჯთაღრიცხვა ყაირათიანობა და ეკონომია, ეკონომიას ეწეოდა სხვა უფრო დიდი საქმისთვის, უშურველად გასცემდა სახსრებს ეკლესიის მშენებლობის, გზებისა და ხიდების მოწესრიგების, მოწყალებისა და ქველმოქმედებისათვის ცხოვრობდა ღოცვა—კურთხევით, მარხვით, უბრალოდ და უპრეტენზიოდ.

უამრავი ახალგაზრდა იზრდებოდა მისი ხარჯით, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა შორეული სვანეთიდან და აფხაზეთიდან ჩამოსულ მოზარდებს. პატიმრებს ეხმარებოდა უჩინრად, მოძღვრავდა მათ საკაიკაცოდ. დაუზარებლად გაცემდა სახსრებს ღარიბ—ღატაკთა, ავადმყოფთა, უმწეოთათვის. არასოდეს ითხოვდა პირად პატივისცემას. მოგზაურობისას არ იახლებდა ამაღას, ერთი ცხენი და ერთი დიაკონი ახლდა მხოლოდ სანმყოს და ეკლესია—მონასტერთა მოსანახულებლად მიმავალს, სძულდა მომხვეჭელობა, სიხარბე, გამობდა ამ მიმართულებით დამკვიდრებულ მავნე ჩვეულებებს. სწორედ, ამის დამადასტურებელია სამეგრელოში მის მიერ განეული შრომა და გაბედული ნაბიჯები მექრთამეობისა და ხალხისათვის საჩოთირო სხვა წეს—ჩვეულებათა აღსაკვეთად.

წიგნის ავტორი პედაგოგი და აღმზრდელი ყურადღებას ამახვილებს, რომ ეპისკოპოსი მომავალი თაობის გასანათლებლად იყენებდა ყველა მომენტს. შემთხვევით შეხვედრებსაც კი. გამოკითხავდა ხოლმე მოზარდებს ღოცვებს, საღვთო რიტუალების საიდუმლოს, თვით აქტიურად ებმებოდა საპასუხო პროცესში, ხანდახან იქვე აუხსნიდა და შეასწავლიდა ღოცვას პატარებს. სასიკეთოდ დამოძღვრავდა და მოწყალებას შეაგებებდა საჭიროების მიხედვით. ყველა ამ თვისებასთან ერთად იგი იყო კარგი ორატორი. წირვას ისე არ გაუშვებდა, თუ ძირფესვიანად არ გაშიფრავდა თემატიკის შესაბამისად შინაარსს. დიდებულად მეტყველებდა როგორც ქართულ—მშობლიურ ენაზე, ისე რუსულად. ბევრი დაბრკოლება ხვდებოდა ყოველდღიურად. წიგნის ავტორის შეფასებით მღვდელმთავარს, სხვას დააბნევდა. წინააღმდეგობები, მაგრამ გაბრიელი არ იბნეოდა, საკუთარი მწარმსით მოქმედებდა და მიუხედავად უკუღმართი დროისა, დაუნდობელი ცენზურისა ხალხისთვის სასარგებლოს და მისაწვდომს ხდიდა ღვთისმსახურების ყველა მომენტს.

ასეთი ცენზურის პირობებში მას არ დარჩენია არცერთი საქვეყნო პრობლემა, რომელიც არ განეხილა ქადაგებების მეშვეობით მთელი სიგრძე—სიგანით. უშიშრად იქცეოდა როცა გრძნობდა, მართალი იყო, შეუპოვრად მოქმედებდა. გაბედულად ქადაგებდა და გაბედულებას უნერგავდა ყველას. მან ქადაგებისას არაფრად ჩააგდო ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებული უკმაყოფილება და მისი უშიშარი მოქმედებით მონუსხვა შეკრების მონაწილენი, შეიარაღებულ ძალას დაუპირისპირდა ქედმუხურელად. განაცვიფრა მის ირგვლივ ყველა, გააორკეცა მის მიმართ მოკრძალება და პატივისცემა.

სამართლიანობაში იყო მისი სწორუპოვარი ძალა. ებრძოდა გავრცელებულ ჭორებს და უხამსობას. „გაბრიელის ქადაგებანი წარმოთქმული სოფლითი სოფლამდე კიდითი კიდემდე სრულიად ხიბლავდნენ კაცის გულს, ატკობდნენ ყურთასმენას და წვდებოდნენ გულის სიღრმემდის. ვის არ გამოუცდია თავის თავზე გავლენა მისი ცხოველი სიტყვის. როდესაც ის დაიწყებდა ქადაგებას, სახე მისი იყო გამომეტყველი მაღალი ზნეობისა და უღრმესი სარწმუნოებისა, რაც სარწმუნოებაზედ გულცივი კაცსაც აუგზნებდა გულში ნაპერწკალს ღვთის სასოებისას და შიშისაც... სახე მისი იყო გამომეტყველი, რომ ის იყო ჭეშმარიტი მოადგილე, ზეციური მწყემსმთავარი იესო ქრისტესი.“ (1. გვ. 118).

წიგნის ავტორის აზრით მისი სიტყვა იყო შთამბეჭდავი, რადგან იგი ეხებოდა იმდროისათვის ყველა საჭირობოროტო საკითხს დაწყებული საერო—საგანმანათლებლო პრობლემებიდან დამთავრებული მორალის, ზნეობის, ყოველდღიური ყოფის, საოჯახო თუ სასულიერო პრობლემათა ავ—კარგს“.

სწორედ მიზანმიმართული აღზრდის სიღრმეა მ. კელენჯერიძის აზრით პიროვნების მაღალზნეობრივი თვისებების სათავე, ღრმა ცოდნის და ერუდიციის საფუძველი ამბობს წიგნის ავტორი და განსაკუთრებით მიაპყრობს მკითხველის ყურადღებას იმ მისაბამ თვისებებზე, რომელიც დამახასიათებელი იყო გაბრიელ ეპისკოპოსისათვის — იგი პირადი მაგალითის ძალით ზრდიდა მრევლს, აჩვენებდა წესრიგს. ეკლესიაში უნესრიგობას რომ შენიშნავდა, თვით აიღებდა ხელში ცოცხს და შენობის მონესრიგებას შეუდგებოდა, ებრძოდა მექრთამეობას, პროტექციას, სიზარმაცეს.

გაბრიელ ეპისკოპოსი არაერთი სამეცნიერო შრომის და პაექრობის ავტორი ხშირად ეწეოდა მიზანმიმართულ ქადაგებებს. მტრობის შურისძიების, ქურდობის, მეძავეობის, ცრურწმენათა აღმოსაფხვრელად. მან ხელი შეუწყო აბრეშუმის ჭიის გავრცელებას საქართველოში. ხალხი მას (აბრეშუმის ჭიას) ოჯახში მეხის მომგვრელ რაობად თვლიდა. გაბრიელმა გაათვითცნობიერა ისინი ცრურწმენის არსში, ასევე აღკვეთა ვითომდა კუდიანების დადაღვის ჩვევა.

კეთილი და სათნო ეპისკოფოსი შეუვალი იყო პრინციპული საკითხების გადაწყვეტისას. არავის გავლენის ქვეშ არ მოექცეოდა, ებრძოდა პროტექციას, უღირსს არასოდეს დაანინაურებდა რა დონის პიროვნებასაც არ უნდა ეშუამდგომლა მისთვის. რაც განსაკუთრებით ჟღერდა მომხვეჭელობით გარემოცულ დროსა და სივრცეში. იგი თავის მხრივ არავის შეაწუხებდა პირადი საჭიროებით, ან პირადი ვარამის გაზიარებით. თუ ვინმე წაისწრებდა მტირალს და მწუხარეს, არ ესიამოვნებოდა. მის სამსყო ეპარქიაში იმდენი ეკლესია აშენდა მისივე ხელდასმით, რამდენიც არ აშენებულა მანამ 2 საუკუნის მანძილზე. მაგრამ როცა აღმაშენებელი უნოდეს, არ მიიღო იგი მაღალი ნოდება. არასოდეს უფიქრია საკუთარი ღვანლის გამოაშკარავებაზე, ყოველთვის ეხმარებოდა გაჭირვებულებს, საპყრობილეში გამომწყვდეულ პატიმრებს. მის მიერ განეული დახმარების შინაარსი მხოლოდ ვინრო წრისათვის იყო ცნობილი უნებურად გამოაშკარავებამდე.

გაბრიელ ეპისკოპოსის — ამ ღვთისწიერი, ღრმა და პრინციპული კაცის გარდაცვალებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. უამრავი დეპეშა და მწუხარების გამომხატველი წერილები იქნა მიღებული საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ავტორები იზიარებდნენ ბრძენკაცის გარდაცვალებით გამოწვეულ მწუხარებას, დარდებოდა მოსახსენებელი პანაშვიდები, გარდაცვლილის პატივგების მიზნით მოდიოდა შესანიშნავი სამახსოვრო ნივთები, შემკული სახარებები, ხატები...

საინტერესოდ, დოკუმენტებზე დაყრდნობით აღწერა მ. კელენჯერიძემ ეპისკოპოსის გარდაცვალებისა და დასაფლავების მომენტები, პედაგოგმა და მწერალმა თავგამოდებით დაძლია ყველა წინააღმდეგობა, რაც თან ახლდა იმ დროისათვის წიგნის შექმნას, გამოცემას

და ნიკო ნიკოლაძის დახმარებით შეძლო გაბრიელ ბრძენკაცის ცხოვრების არაერთი ეპიზოდი გადაერჩინა დავინწყებას.

ყურადსაღებია, რომ მელიტონ კელენჯერიძეს მტკიცედ ჰქონდა გადანყვეტილი გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მომენტების თხრობის გაგრძელება, ამიტომაც სთავაზობდა ნიგნის დასასრულს მკითხველთა ფართო წრეს გაეცათ პასუხი ოთხმოცამდე კითხვისათვის თხზულების მომდევნო თავების შესაქმნელად, გამოთქვამდა სურვილს, რაც შეიძლება მეტი ცნობა ჰქონოდა ეპისკოპოსის შესახებ, რომ სრულქმნილი სახით წარედგინა მკითხველისათვის ღირსეული მამულიშვილის პორტრეტი. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მომდევნო თავებში მოცემული უნდა ყოფილიყო გაბრიელ ეპისკოპოსის „დიდ—დიდი საქმეების ყოველმხრივი განხილვა—დაფასება და მათ შესახებ საბუთების გამოქვეყნება... აქ დაინახავს მკითხველი დიდ გაბრიელს, გაბრიელს მეზრდოლს, გაბრიელს მოაზროვნეს, გაბრიელს მამულიშვილს, გაბრიელს მოქალაქეს. მაშინ იმ დროის სურათიც ნათლად გადაიშლება ჩვენს თვალწინ“ — წერდა იგი.

ნიგნის ავტორს უნდოდა ნათელყოფილი გაბრიელ ეპისკოპოსის მამულიშვილური პოზიცია იმ დროისათვის ბევრ საქვეყნო, საჭირობოროტო საკითხზე. (მათ შორის საეკლესიო ხაზინის გაძარცვის, გელათისეული ნივთების განიავეების, სკოლებიდან მშობლიური ენის გაძევების მცდელობის, ქართული ენის უკუდავების და სხვა საკითხებზე).

ნიგნის ავტორის შრომას ხიბლს მატებს გაბრიელ ეპისკოპოსთან გამოთხოვების ცერემონიალის სრულად წარმოდგენა. გამოსამშვიდობებელ სიტყვათა შინაარსი და დატვირთული სქოლიოები, რომლებიც სრულყოფილს ხდიდა მოღვაწის ნათელ სახეს.

ნიგნის ავტორის მიზანი ერთობ კეთილშობილური იყო. როცა გადანყვიტა დოკუმენტალურ მასალაზე დაყრდნობით, თანამედროვეთა მოგონებების მოშველიებით ოფიციალურ ცნობების ფონზე გაეგრძელება გაბრიელ ეპისკოპოსის სახის სრულყოფა. პირველი ნიგნის ბოლოსიტყვაობაში იგი წერდა: „მეორე ნიგნიდან ჩვენ შევუდგებით გაბრიელის დიდ—დიდი საქმეების ყოველმხრივ განხილვა—დაფასებას და მათ შესახებ საბუთების გამოქვეყნებას“, მაგრამ აურაცხელმა შრომამ ამ სიტყვების ავტორს ფუჭად ჩაუარა, ფიზიკურმა მდგომარეობამ უმტყუნა, ვერ გაუძლო დაუმსახურებელ ბრალდებებს, მის შემდეგ ჯეროვნად ვერავინ იზრუნა მისი არქივის მოვლა—პატრონობაზე და დაიფანტა იგი.

ლიტერატურა:

1. მ.კელენჯერიძე, გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, ქუთ., 1913 წ.
2. მ.კელენჯერიძე, უკანასკნელი დღენი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, ქუთ., 1903 წ.
3. ი. ბასილაძე, გაბრიელ ეპისკოპოსის (გერასიმე ქიქოძის) ქრისტიანული პედაგოგიკა, ქუთაისი, 2000 წ.

მანია ახვლედიანი

მელიტონ კელენჯერიძე — გაბრიელ ეპისკოპოსის სახისათვის რეზიუმე

მელიტონ კელენჯერიძის ნაშრომი ასახავს იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელ ქიქოძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. სიღრმისეულ ცოდნას მონყურებული ახალგაზრდა გაბრიელი სანიმუშო განათლებითა და საქვეყნო საქმისათვის შემართული უბრუნდება პეტერბურგიდან სამშობლოს. მძიმე ხვედრს უმზადებს მას საწუთრო. მიუხედავად ამისა აგრძელებს ნაყოფიერ მოღვაწეობას, გამოირჩევა ღრმა ცოდნით, სამაგალითო ქცევებით. იგი ერთნაირი პასუხისმგებლობით შრომობს სამეცნიერო სფეროში, ამავედროულად ქადაგებს ქრისტიანულ მოძღვრებას, არ გაურბის ფიზიკურ შრომას, აშენებს სკოლებს, ეკლესიებს, არის უბრალო, ყაირათიანი და უხვი ქველმოქმედი, ღარიბთა და უპოვართა გამკითხავი და ქომაგი, გმობს საჩოთირო ჩვეულებებს, უზნეობას, მექრთამეობას, პროტექციას. ქადაგებს ღრმა ქრისტიანული რწმენით და მეცნიერული სიღრმით. პირადი მაგალითის ძალით ზრდის და განანათლებს მრევლს.

МАЙЯ АХВЛЕДИАНИ

МЕЛИТОН КЕЛЕНДЖЕРИДЗЕ ОБ ОБРАЗЕ ЕПИСКОПА ГАВРИИЛА

Резюме

Труд Мелитона Келенджеридзе отображает жизнь и деятельность Гавриила Кикодзе, епископа Имеретии. Жаждающий глубоких знаний, с прекрасным образованием и желанием обустройства мирских дел, молодой Гавриил возвращается из Петербурга на родину. Но судьба приготовила ему тяжелую участь. Потеряв пятерых малолетних детей и молодую жену, в 32 года он постригается в монахи. Он продолжает плодотворную деятельность, выделяется глубокими знаниями, примерным поведением. Он с усердием трудится в научной сфере, одновременно проповедует христианское учение, не брезгует физическим трудом, строит школы, церкви, он – простой и щедрый меценат, защитник и попечитель убогих и обездоленных, борец против несправедливости, безнравственности, взяточничества и протекции. Гавриил проповедует с глубокой христианской верой и научной глубиной, силой личного примера множит и просвещает приход.

У автора книги была весьма благородная цель. Опираясь на документальные материалы и воспоминания современников, Мелитон Келенджеридзе подробно описывает, как кончина епископа Гавриила повергла в глубокую скорбь не только благодарный приход, но и всю православную Грузию.

MAIA AKHVLEDIANI

M. KELENJERIDZE FOR THE IMAGE AND PERSONALITY OF BISHOP GABRIEL

Abstract

The work of Meliton Kelenjeridze describes life and activities of Gabriel Kikodze, Bishop of Imereti. Being eager to acquire in-depth knowledge, young Gabriel equipped with knowledge and readiness for state activities, returned from Petersburg back home but the fate prepared hardships for him. After losing five children and a young wife he decides to become a monk at the age of 32. Later he continues fruitful activities; is distinguished by having profound knowledge and model behavior. With the same sense of responsibility, he works in the science field, and simultaneously preaches Christ, does not avoid manual labor, constructs schools and churches; he is a simple, thrifty and generous philanthropist. He cares of poor and miserable; condemns doubtful habits and immorality, bribery, favoritism; preaches with lively Christian faith and scientific depth, and being a role model for others develops and educates parish. The book's author has benevolent intentions. Based on the document material and recollections of contemporaries, in spite of official data, he decides to continue perfecting the image and personality of Bishop Gabriel. Meliton Kelenjeridze emphasizes the grief the parish and entire Georgia on the Bishop's passing away.



იმიერ ბასილაძე

დიმიტრი უზნაძე ექსპერიმენტული პედაგოგიკის მკვლევარი და ქართული პედაგოგიური მეცნიერების ფუძემდებელი

პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს XX საუკუნის დასაწყისიდანვე, რომელსაც ექსპერიმენტული პედაგოგიკის აღმოცენების ეტაპად მიიჩნევენ და მას საქართველოში საფუძვლად დაედო დიმიტრი უზნაძის მიერ 1912 წელს შექმნილი სამეცნიერო ნაშრომი "ექსპერიმენტალური პედაგოგიკის შესავალი". დიმიტრი უზნაძის მიერ მეცნიერულად და პრაქტიკულად იქნა დამტკიცებული მოზარდის აღზრდისათვის აუცილებელი ის პრინციპები და მეთოდები, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ბავშვის სულიერი ცხოვრების ცოდნა და გათვალისწინება. ქართული პედაგოგიკური აზროვნების

ისტორიაში ეს არის მნიშვნელოვანი პერიოდი, როდესაც პედაგოგიკა და ფსიქოლოგია ურთიერთკავშირში აყალიბებდნენ თავიანთ მეცნიერულ პოზიციებს. სწორედ დიმიტრი უზნაძე იყო ის მეცნიერი, რომელმაც პედაგოგიკას თავისი ადგილი, როლი და მნიშვნელოვანი პოზიცია მიუჩინა ჩვენში. მისი აზრით, არ იყო სადაო, რომ პედაგოგიკა არის მეცნიერება, ხელოვნება და პრაქტიკა.

სწორედ ქუთაისში მოღვაწეობის წლებში მან საფუძველი ჩაუყარა თავის მდიდარ ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ მემკვიდრეობას. ამ წლებში შექმნილი მისი სამეცნიერო შრომები, თავისი ფართე არეალით სრულ უფლებას იძლევა დიმიტრი უზნაძე ჩაითვალოს ქართული ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მეცნიერებების ფუძემდებლად. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს მისი სურვილი და პრაქტიკული მოქმედებაც ყოველივე მეცნიერული თავად შეემონმებინა პრაქტიკული კვლევა-ძიების კუთხით. მან არა მხოლოდ შექმნა პირველი სრულყოფილი სახელმძღვანელო მსოფლიოს ისტორიაში, არამედ თავად ასწავლიდა ამ საგანს ქუთაისის გიმნაზიაში. განსაკუთრებულია ქართული სასკოლო განათლების სიტემისათვის მის მიერ 1915 წელს დაარსებული პირველი ქართული ქალთა სკოლა "სინათლე", რომელშიც თავდაპირველად ინერგებოდა მისი მეცნიერული ნააზრევი.

დ. უზნაძის მდიდარი მემკვიდრეობის მკვლევარებს დასახელებული წიგნი მიაჩნიათ, ისეთი ახალი დისციპლინების დასაწყისად, როგორც არის ექსპერიმენტული პედაგოგიკა და ბავშვის ფსიქოლოგია.

ექსპერიმენტული პედაგოგიკა, როგორც პედაგოგიური მიმდინარეობა XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა. მისი წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია ცნობილი პედაგოგებისა და ფსიქოლოგების ს. ჰოლის, ა. ბინეს, ე. მოიმანის, ე. თორნდაიკის სახელთან. ამ მიმდინარეობის მომხრეთა აზრით მთელი აღმზრდელითი მუშაობა სკოლაში უნდა შეუფარდდეს და შეეგუოს ბავშვის ბუნებას, მის თავისებურებას. გამოკვლევის ძირითად მეთოდს ექსპერიმენტი წარმოადგენდა.

ექსპერიმენტულმა პედაგოგიკამ, მისი თეორეტიკოსების აზრით, უნდა გამოიკვლიოს, თუ რამდენად ეფარდება აღზრდის შინაარსი, ფორმები და მეთოდები ბავშვის ბუნებას, მისი განვითარების კანონზომიერებებს. ამასთან, გამოკვლევა უნდა შეეხოს, ერთი მხრივ, ბავშვის ფიზოლოგიას, ფსიქოპათოლოგიას და სხვ. მეორე მხრივ, იმ პედაგოგიურ ღონისძიებებს, რომლებიც აღმზრდელითი მუშაობაში გამოიყენება. ექსპერიმენტული პედაგოგიკის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ ისინი ქმნიან ზუსტ და უტყუარ მონაცემებზე დაყრდნობილ პედაგოგიკას, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ იყო.

მიუხედავად ამისა, ექსპერიმენტულმა პედაგოგიკამ მაინც შეასრულა ერთგვარი და დადებითი როლი პედაგოგიური მეცნიერების განვითარების საქმეში. ამ მიმდინარეობის მომხრეები პრაქტიკაში იყენებდნენ მეცნიერული კვლევის უდავოდ მისაღებ მეთოდებსაც (დაკვირვება, ბუნებრივი ექსპერიმენტი, პედაგოგიური პროცესის შესწავლა და სხვა) და ამ გზით, შესაძლებელი გახდა ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა. დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ბავშვის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა და პედაგოგიური ექსპერიმენტი პრაქტიკაში დაინერგა.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ნაკლები ყურადღება ექცეოდა ბავშვებზე პედაგოგიურ დაკვირვებას, მათი მეხსიერების ინტერესისა და სულიერი ცხოვრების მეცნიერულ — ექსპერიმენტულ შესწავლა — გამოკვლევას. სწორედ ამ პერიოდში, ქუთაისში 1912 წელს ქართულ ენაზე გამოიცა დიმიტრი უზნაძის შრომა „ექსპერიმენტალური პედაგოგიკის შესავალი“, რომელსაც მან თავისი პრაქტიკული საქმიანობა და საზოგადოებრივი აქტივობა დაუდო საფუძვლად.

ამ შრომის გამოსვლას დიდი აღფრთოვანებით შეეგება ცნობილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ლუარსაბ ბოცვაძე.

ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნა ძირითადი პირობაა დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური შეხედულებებისა. მან თავიდანვე აღიარა იდეა ბავშვის პიროვნების თავისებურებებისა, როგორც ახალი პედაგოგიკის ამოსავალი დებულება. პედაგოგიურმა პროცესმა თავის სისტემა ბავშვის ბუნებას იმგვარად უნდა შეუფარდოს, რომ ბავშვის წინსვლას მაქსიმალური შესაძლებლობა მიეცეს. უზნაძე აქ სვამს საკითხს ექსპერიმენტის, როგორც ფსიქოლოგიური მეთოდის შესახებ, რომელმაც უნდა შეძლოს ბავშვის შემეცნებას საფუძველი ჩაუყაროს. დიმიტრი უზნაძე

აკრიტიკებს კანტის შეხედულებებს ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის ღირებულებების საკითხზე. მისი აზრით, ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის საკითხი ბავშვის პიროვნებას ეხება. აქ იგი ნაწილობრივ იზიარებს ვ. ვუნდტის შეხედულებას. ის ამბობს: „ვუნდტის დებულება პედაგოგებმა რიგაანად ვერ გაიგეს და მიანერეს მას ის, რისი თქმაც ვუნდტს არასოდეს არ უნდოდა. ვუნდტი სრულებითაც არ არის ექსპერიმენტული პედაგოგიკის მონინაალმდეგი; იგი მხოლოდ გვაფრთხილებს, რომ ზრდადამთავრებული ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების გამოკვლევა უფრო საიმედო და მარტივია, ვიდრე ბავშვის სულიერი მდგომარეობისაო. ეს ერთი მხრივ ჭეშმარიტებაა, ხოლო მეორე მხრივ, როგორც ფსიქოლოგმა ბალდვინმა დაგვიმტკიცა, იგი გაუგებრობაზეა დამყარებული“ (1. გვ. 70). აქ დიმიტრი უზნაძე აღიარებს, რომ ბავშვის კვლევაში ექსპერიმენტის გამოყენებას მართლაც დიდი სიძნელები ახლავს, მაგრამ ეს სიძნელები გარდაუვალი ხასიათის არ არის. დიმიტრი უზნაძე არ ეთანხმება იმ აზრს, რომლის მიხედვით ექსპერიმენტის გამოყენება ბავშვის კვლევის მიზნით შეუძლებელია იმ გარემოების გამო, რომ ბავშვი შთაგონებას ეძლევა. დიმიტრი უზნაძის აზრით, ამ სიძნელის მოხსნა შეიძლება, თუ წინასწარ გაუნვეთ ანგარიშს შთაგონების შესაძლებლობას. ამრიგად დიმიტრი უზნაძე დადებითად აფასებს ექსპერიმენტულ მეთოდს ბავშვის კვლევაში, მაგრამ, ამასთან არ ივინყებს იმ სიძნელებსაც, რომელიც ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტს ახასიათებს და ამიტომ მოითხოვს ექსპერიმენტატორისგან დიდ სიფრთხილეს ამ მეთოდის გამოყენებისას.

ექსპერიმენტული პედაგოგიკის ზოგიერთ წარმომადგენელთა მსგავსად ბავშვის ფსიქოლოგიის შესწავლის ერთ-ერთ მეთოდად უზნაძეს „დაკითხვის მეთოდი“ მიაჩნდა, რომელიც იმ დროს დიდი გამოყენებით სარგებლობდა „პედოლოგიაში“. მისი დადებითი მხარე მრავალრიცხოვანი და მრავალმხრივად საინტერესო მასალის დაგროვებაში მდგომარეობდა. დიმიტრი უზნაძე ბინესაგან განსხვავებით, ბავშვის კვლევის პროცესში არა თუ არ ანიჭებდა მას განსაზღვრულ მნიშვნელობას, არამედ იზიარებდა ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგის უილიამ ჯემსის მოსაზრებას რომლითაც „დაკითხვის მეთოდს მართლაც, რომ ბევრი ცუდი მხარე აქვს და უფრო მეტი ჰქონდა. მისი საშუალებით ბავშვის ფსიქიური ბუნების გამოკვლევა თავის თავის მოტყუებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ნამდვილ ჭეშმარიტებათა ნათელყოფას“ (1. გვ. 80). ამრიგად გამოჩენილი ქართველი პედაგოგი „დაკითხვის მეთოდის“ მკაცრი კრიტიკის გზით ასაბუთებდა ამ მეთოდის განუსაზღვრელი მასშტაბით გამოყენების შესაძლებლობას და მიზანშეწონილობას. დიმიტრი უზნაძე აღნიშნავს, რომ მშობლებმა და ბავშვებმა არ იციან თავიანთი ბუნების თვისებანი, არც აღმზრდელს მოეთხოვება ასეთი ცოდნა და დაკვირვების უნარი.

ექსპერიმენტულ მეთოდთა შორის დიმიტრი უზნაძე ყველაზე სწორ მეთოდად აღიარებს ინდივიდუალურ ლაბორატორიულ მეთოდს. იგი წერს: „ ყველა მეთოდზე უფრო სწორი და სერიოზული არის ინდივიდუალური გამოკვლევა ლაბორატორიული მეთოდის საშუალებით. როგორც ქვევით დავინახეთ, აქ მრავალი გზა არსებობს, რომელთაც სხვადასხვა მიმართულებით ბავშვის სულიერი ცხოვრების შუაგულში შევყავართ და თანამედროვე ფსიქოლოგია განსაკუთრებით ამ ინდივიდუალური გამოკვლევის გზას ადგია... ამიტომ არის, რომ დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას ინდივიდუალური გამიკვლევის მეთოდებს აქცევენ. მასიურს სტატისტიკურსა და დაკითხვის მეთოდებს კი ხშირად ისე უყურებენ, როგორც ინდივიდუალური გამოკვლევის პროპედევტიკულ ზომებს“ (1. გვ. 84).

დიმიტრი უზნაძეს ძველი სკოლისათვის დამახასიათებელ უარყოფით მხარედ აღსაზრდელთა სულიერი ცხოვრების შესწავლის უგულვებელყოფას, მისი ბუნებისადმი ანგარიშ გაუწევლობას მიიჩნევდა. აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის ადგილი ქონდა შეუთანხმებლობას, ძალდატანებას. დიმიტრი უზნაძის აზრით კი: „ძალდატანება თავისუფალ სურვილს, ინტერესს, გატაცებას ჰკლავს, უამისოდ კი, შრომა არასდროს ნაყოფიერი არ იქნება. ამიტომაცაა, რომ თანამედროვე სკოლის განათლება ფრიად ვინრო, შემოფარგლული ხასიათის არის“ (1. გვ. 81).

ერთი მხრივ დიმიტრი უზნაძე მოითხოვდა, რომ აღმზრდელს სცოდნოდა აღსაზრდელის სულიერი სამყარო, მისი ბუნება და ფსიქიური ცხოვრება, პედაგოგიურ პროცესში გაეთვალისწინებინა ყოველივე ეს, მეორე მხრივ, იგი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ აღმზრდელი ბრმად მიჰყოლოდა ბავშვის ბუნებას და მხოლოდ ბავშვის სურვილებს დაყრდნობოდა იგი, რამდენადაც ყოველი პედაგოგი ვალდებულია მომავლის საზოგადოებრივი იდეალების მიხედვით აღზარდოს ბავშვი. ის, ჩვენი აზრით, სამართლიანად წერდა: „ყოველი აღზრდა მომავალს ემსახურება, ამიტომ იგი ზნეობრივ სფეროში მაინც დღევანდელი მომენტით კი არ

ხელმძღვანელობს, მას სახეში მუდამ მომავალი აქვსო“ (2. გვ. 437). ამრიგად დიმიტრი უზნაძის აზრით, მომავალი თაობის აღზრდა მხოლოდ ანწყობით კი არ განისაზღვრება, არამედ მომავლის იდეალებით, რომელიც ახალი სკოლის ძირითადი ამოცანებიდან გამომდინარეობენ.

ამრიგად დიმიტრი უზნაძე ექსპერიმენტული პედაგოგიკის ზოგიერთი სხვა წარმომადგენლებისაგან განსხვავებით უარყოფდა, ექსპერიმენტის გაფეტიშებას და მოითხოვდა ბავშვის ბუნების შესწავლისათვის კვლევის ამ მეთოდის, მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში გამოყენებას. მისი აზრით, „თანამედროვე პედაგოგიური მეცნიერება ყველგან და ყოველთვის არ წარმოადგენს უსათუოდ ექსპერიმენტალურ პედაგოგიკას. პირიქით, არის ბევრი მეცნიერი, რომელიც, როგორც ქვევითაც დავინახეთ, ძალზე აღმაცერად და უნდობლობით უყურებს თანამედროვე ექსპერიმენტალური პედაგოგიკის მესვეურთა ფრთაგაშლილ გატაცებას. არც მე ვარ პირადად ამ მჩატე აღმაფრენის მოტრფიალე და არ ვფიქრობ, რომ ექსპერიმენტს ისეთივე შემოუფარგვლელი მნიშვნელობა ჰქონდეს ფსიქოლოგიაში, როგორც ბუნებისმეტყველებაში. ძნელი წარმოსადგენია, რომ ადამიანის სული ისეთივე სიმარტივით გამოიმუშავდეს ექსპერიმენტში, როგორც გარეშე ბუნებთა მოვლენათა სიგრძე—სიგანე“ (1. გვ. 3).

დიმიტრი უზნაძე ექსპერიმენტალურ პედაგოგიკას თვლის ფსიქოლოგიაზე დამყარებულ პედაგოგიკად, მაგრამ იქვე დასძენს, რომ „პედაგოგიური მეცნიერება მარტო ფსიქოლოგიურ მეთოდებზე არ არის დამოკიდებული. მას ბევრი ისეთი მხარე და პრობლემა აქვს, რომელთა ნათელყოფითაც მხოლოდ სხვა მეცნიერებისა და სხვადასხვა მეთოდის საშუალებით შეიძლება“ (1. გვ. 78) ჩვენი აზრით ეს დებულება უდავოდ სწორია და მისაღები. პედაგოგიკამ ფართოდ უნდა გამოიყენოს ბავშვის ფსიქოლოგიის მონაცემები, ანგარიში უნდა გაუწიოს და მხედველობაში მიიღოს მათი ზრდისა და განვითარების ობიექტური კანონზომიერება, მაგრამ, ამავე დროს, მან თავისი საკუთარი საგანი და მეთოდები არ უნდა დაკარგოს.

მისი შეხედულებები ინდივიდისა და კოლექტივის ინტერესების შერწყმის, პიროვნებისა და საზოგადოების ადგილების ურთიერთშეხამების, ინდივიდის ინტერესებისადმი ანგარიშის განწევის, მისი ბუნებრივი ძალების ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობის შესახებ იყო, ჩვენი აზრით, მისი ექსპერიმენტული პედაგოგიკის კედრო.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, დიმიტრი უზნაძე აღზრდის მიზნების, შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების განსაზღვრაში არ უარყოფს სოციალურ მოტივებს და არ ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას ბავშვის ბუნებას, მისი ზრდისა და განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას. ამ საკითხში ის არესებითად სწორ პოზიციასზე დგას და მნიშვნელოვნად განსხვავებულ ხაზს იცავს, ვიდრე ექსპერიმენტული პედაგოგიკის ზოგიერთი თეორეტიკოსი. მეცნიერული კვლევის მეთოდებისა და პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ურთიერთობის საკითხშიც მისი იდეები და შეხედულებები მისაღებია და მართებული.

ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ დიმიტრი უზნაძემ ექსპერიმენტალური პედაგოგიკა მექანიკურად კი არ გადმოიტანა ჩვენში, არამედ კრიტიკულად გადაამუშავა და შემოქმედებით ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბა ბევრი დებულება, რომლებიც დღესაც მისაღები და საყურადღებოა თანამედროვე სკოლის განვითარებისათვის. ეს იყო პედაგოგიური ხასიათის პირველი ნაშრომი, რომლითაც საქართველოში იწყება ექსპერიმენტული პედაგოგიკის, როგორც დამოუკიდებელი დარგის განვითარება. ამავედროულად, როგორც აღვნიშნეთ დიმიტრი უზნაძის მიერ მეცნიერულად და პრაქტიკულად იქნა დამტკიცებული მოზარდის აღზრდისათვის აუცილებელი ის პრინციპები და მეთოდები, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ბავშვის სულიერი ცხოვრების ცოდნა და გათვალისწინება.

ლიტერატურა:

1. უზნაძე დ., ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალ, 1912 წ.
2. უზნაძე დ., „აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტალური პედაგოგიკა“, ყურნალი „განათლება“, 1912, №6.
3. უზნაძე დ., პედაგოგიური თხზულებანი, თბილისი, 2005 წ.
4. ბერულავა ნ., დიმიტრი უზნაძე, თბილისი, 1967 წ.

იმერ ბასილაძე

დიმიტრი უზნაძე ექსპერიმენტული პედაგოგიის მკვლევარი და ქართული პედაგოგიური მეცნიერების ფუძემდებელი რეზიუმე

დ. უზნაძის ექსპერიმენტალური პედაგოგია იყო პედაგოგიური ხასიათის პირველი ნაშრომი, რომლითაც საქართველოში იწყება ექსპერიმენტული პედაგოგიის, როგორც დამოუკიდებელი დარგის განვითარება. მის მიერ მეცნიერულად და პრაქტიკულად იქნა დამტკიცებული მოზარდის აღზრდისათვის აუცილებელი ის პრინციპები და მეთოდები, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ბავშვის სულიერი ცხოვრების ცოდნა და გათვალისწინება.

დიმიტრი უზნაძის მიერ შექმნილი სამეცნიერო შრომები, თავისი ფართე არეალით სრულ უფლებას იძლევა დიმიტრი უზნაძე ჩაითვალოს ქართული პედაგოგიური მეცნიერებების ფუძემდებლად.

ИМЕР БАСИЛАДЗЕ

ДМИТРИЙ УЗНАДЗЕ - ИССЛЕДОВАТЕЛЬ ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНОЙ ПЕДАГОГИКИ И ОСНОВАТЕЛЬ ГРУЗИНСКОЙ ПЕДАГОГИЧЕСКОЙ НАУКИ Резюме

Экспериментальная педагогика Дмитрия Узнадзе была первым научным трудом, с которого в Грузии начинается развитие экспериментальной педагогики, как самостоятельной отрасли знания. Им научно и практически были сформулированы обязательные для воспитания ребенка те принципы и методы, посредством которых возможно стало изучение его духовной жизни. Созданные Дмитрием Узнадзе научные труды своим широким ареалом дают полное право считать Дмитрия Узнадзе основателем грузинской педагогической науки.

IMER BASILADZE

DIMITRI UZNADZE THE RESEARCHER OF EXPERIMENTAL PEDAGOGY AND THE FOUNDER OF GEORGIAN PEDAGOGICAL SCIENCE Abstract

Dimitri Uznadze's Experimental Pedagogy is the first pedagogical work which starts the development of the experimental pedagogy as the independent field in Georgia. He scientifically and practically tested the methods and principles for child's upbringing, which helps to understand and take into consideration the child's spiritual life. Due to his wide range of scientific works, we have all the reasons to consider D. Uznadze as the founder of Georgian Pedagogical Science.



იური ბიბილეიშვილი

მწერლის პედაგოგიური შეხედულებები¹

/გაგრძელება/

2010 წელს საქართველოში ღირსეულად აღინიშნა მწერალ ოტია იოსელიანის დაბადებიდან 80 წლისთავი. საქართველოს მწერალთა კავშირმა "ქართული პროზის რაინდის"

¹ პროფ. იური ბიბილეიშვილის სტატიის „მწერლის პედაგოგიური შეხედულებების“ ბეჭდვა ჩვენ წინა ნომერში დავინწყეთ. იქვე დავპირდით მკითხველს, რომ შემდეგ ნომერში /ან ნომერებში/ ამ ვრცელი სტატიის გაგრძელებას შევთავაზებდით. ვასრულებთ ჩვენს დაპირებას და გთავაზობთ სტატიის გაგრძელებას.

წოდება მიანიჭა იუბილარს. ოტია იოსელიანის იუბილეს გამოეხმაურა თითქმის ყველა გაზეთი და ჟურნალი. პოპულარულმა გაზეთებმა “უქიმერიონმა” და “მწერლის გაზეთმა” გაშლილი გვერდები მიუძღვნეს საყვარელ მწერალს. “მწერლის გაზეთის” ფურცლებზე საქართველოს სახალხო არტისტმა, რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ ხალხის მამა უწოდა ოტია იოსელიანს. რუსთაველის პრემიის ლაურიატმა მწერალმა რევაზ მიშველაძემ განაცხადა: “ყველა ძეგლი შენთვის მემეტება, ჩემო ოტია.. შენს ძეგლს, რომელიც სიცოცხლეში დაიდგი შენი კალმითა და შენი კაიკაცობით, ვერასოდეს აიღებენ”.

ჟურნალებმა “განთიადმა” და “ჭოროხმა” ვრცელი კრიტიკული გამოკვლევები გამოაქვეყნეს მწერლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით გამომცემლობა “ბაკმა” გამოაქვეყნა ოტია იოსელიანის ცნობილი წიგნის – “ჩემი ასავალ-დასავალი” – ახალი გამოცემა, 2010 წლის გაზაფხულზე და გამოვიდა მწერლის “რჩეული”, რომლებიც მკითხველმა სიყვარულით მიიღო.

არ წყდება მკითხველთა კერძო და კოლექტიური ვიზიტები მწერალთან. დღეს საქართველოში ბატონი ოტია იოსელიანი ერთადერთი მწერალია, ვისი საცხოვრებელი სახლი ქ. წყალტუბოში მწერლის სიცოცხლეშივე იქცა კულტურის ცენტრად.

ყველაფერი ეს ბუნებრივად აძლიერებს ინტერესს მწერალ ოტია იოსელიანის შემოქმედების ყოველმხრივ შესწავლის, მათ შორის, მწერლის პედაგოგიური კონცეფციების, მიმართ.

წინამდებარე ნაშრომი – “მწერლის პედაგოგიური კონცეფციები” ორი მეცნიერების — პედაგოგიკისა და ფილოლოგიის — მიჯნაზე სრულდება. პედაგოგიკის სპეციალისტი აუცილებლად კარგად უნდა იყოს ჩახედული მხატვრული აზროვნების სამყაროში, რომ მხატვრულ სახე-ხასიათებში მწერლის შეხედულებების აღმზრდელითი ასპექტები მიზანმიმართულად დაუკავშიროს სწავლებისა და აღზრდის თეორიულ-მეცნიერულ პრობლემატიკას.

ამ ნაშრომში “თეორიულ პედაგოგიკასთან” ერთად ჩვენ ხშირად გამოვიყენებთ სინტაგმას “პრაქტიკული პედაგოგიკა”. განსხვავება მათ შორის დიდია. თეორიული პედაგოგიკა სილოგიზმების გამოყენებით აყალიბებს მეცნიერულ შეხედულებებს, ლოგიკის ძალით განსაზღვრავს მოსალოდნელ შედეგებს. ეს შედეგები კი, თავის მხრივ, განპირობებულია მრავალი ფაქტორით, პირობით, რომელთაგან ერთ-ერთის სისუსტის გამო შეიძლება შედეგის ეფექტიანობა შემცირდეს. მაგალითად, სწავლებისა და აღზრდის საუკეთესო პრინციპებისა და მეთოდების დამუშავებით თეორიული პედაგოგიკის ღვაწლი შეიძლება უეფექტო აღმოჩნდეს, თუ სკოლას არ ჰყავს კარგად მომზადებული მოაზროვნე აღმზრდელ-მასწავლებელთა ძლიერი პედაგოგიური კორპუსი.

სულ სხვა ღირსებით გამოირჩევა “პრაქტიკული პედაგოგიკა”, რომელსაც, “თეორიული პედაგოგიკისაგან” განსხვავებით, თან ახლავს სწავლებისა და აღზრდის პროცესში მონაწილე ყველა ფაქტორის ჩვენება. სახეებით ჩვენება მხატვრული ნაწარმოების მთავარი თვისებაა. ოტია იოსელიანის პროზაში განვითარებული პედაგოგიკური კონცეფციები ჩვენების ხერხებით არის გაცხადებული და, შესაბამისად, მაღალია მისი დამაჯერებლობის ხარისხი. სხვათა შორის, თეორიულ პედაგოგიკაში ჩვენების დამაჯერებლობის მაღალი ეფექტურობის გათვალისწინებით პედაგოგიკის მრავალი გამოჩენილი კლასიკოსი თავის პედაგოგიურ მომძლავრებას სწორედ მხატვრული ნაწარმოების სახით გეთავაზობს (ფრანსუა რაბლე “გარგანტუა და პანტაგრუელი”, ჟან-ჟაკ რუსო “ემილი, ანუ აღზრდის შესახებ”, ა. ს. მაკარენკო “პედაგოგიური პოემა”, გიორგი წერეთელი “ჩვენი ცხოვრების ყვავილი”, ედმონდო დე ამიჩესი “გული”, (“მოსწავლის ჩანაწერები”).

ამ თვალსაზრისით, შეუძლებელია გადაჭარბებით შეაფასოთ მხატვრული სიტყვის ძალა პიროვნების ფორმირებაში. ოტია იოსელიანის შემოქმედება ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია აღზრდაში (ფართო გაგებით) მხატვრული სიტყვის გამოყენების მაღალი ეფექტიანობისა. მწერლის ყოველ ორიგინალურ პედაგოგიურ მოსაზრებას (კონცეფციას) თან ახლავს ლოგიკური შედეგების სახეებში ჩვენება.

ოტია იოსელიანის პედაგოგიური კონცეფციები ნასაზრდოებია მწერლის თვალთ დახატული მოვლენებით. მწერლის ბევრი რომანი და ნოველა შეიცავს მრავალ პედაგოგიურ პასაჟს, რომელიც აფართოებს მკითხველის პედაგოგიური ხედვის არეს. ეს უმეტესად დადებითზე დაყრდნობის პრინციპით აღწერილ ეპიზოდებში იკითხება. პედაგოგიკაში საგანგებო ყურადღება ექცევა აღმზრდელითი პროცესის წარმართვას დადებითზე დაყრდნობის პრინციპით.

ნებისმიერ აღსაზრდელში არის ერთი ისეთი თვისება, რომელიც მას საუკეთესო პიროვნებად წარმოაჩენს. აღმზრდელმა თავის აღსაზრდელთან მუშაობაში სწორედ ამ თვისებას უნდა მიაგნოს და ჩასჭიდოს ხელი და ამით მოიპოვოს აღსაზრდელის ნდობა. აღზრდაში კი ძალიან დიდია აღმზრდელისადმი აღსაზრდელის ნდობის ფაქტორი, რადგან ეს აღსაზრდელი, პირველ რიგში, მოაზროვნე არსებაა, რომელსაც შეუძლია მიიღოს ან არ მიიღოს აღმზრდელის რჩევა-დარიგება. ამიტომ აღმზრდელს აღსაზრდელთან ურთიერთობაში სჭირდება არა მხოლოდ პედაგოგიური განათლება, არამედ პედაგოგიური ხელოვნებაც. შემთხვევითი არ არის, რომ პედაგოგიკას განმარტავენ, როგორც მეცნიერებას და ხელოვნებას აღზრდის შესახებ.

ოტია იოსელიანის თხზულებებში დახატული ცალკეული პერსონაჟების გამორჩეული ხასიათის ნიშან-თვისება, როგორც დადებითი თვისებების აღმზრდელობითი ძალის მატარებელი, წარმატებით გამოიყენება ნებისმიერი ასაკის მკითხველთან მიმართებაში. სანიშნოდ დავასახელებ მოთხრობას “დიდი ფარნა”. მოთხრობის პერსონაჟები – ფარნა და მისი მეუღლე ელპიტე მრავალ ღირსებათა შორის კიდევ ატარებენ ისეთ პიროვნულ ღირსებას, რომელიც ოჯახის სიმტკიცის ლიბოდ არის მიჩნეული. ეს არის ოჯახის წევრთა, განსაკუთრებით, მეუღლეებს შორის ურთიერთპატივისცემა. მოგეხსენებათ, ბევრ ოჯახში დიდი უსიამოვნების მიზეზად ხშირად იქცევა მამაკაცის დათრობა და შინ გვიან დაბრუნება. ფარნას მეუღლე ელპიტე კი ასე არ იქცევა. “რა დროც უნდა ყოფილიყო, ელპიტე ჩაცმული ელოდა ანთებული ჭრაქით და ეზოს მიუახლოვდებოდა თუ არა გადამთვრალი ქმარი, ჭიშკარს მოაღებდა”.

– ეფ! — ერთს შეიძახებდა ჭიშკართან ფარნა.

გამთენიის ხანი რომ ყოფილიყო, ცოლი მაინც ამას ეტყოდა:

– გიჩქარია, ჩემო ბატონო. ხომ კარგი დრო გაატარე...

– ეფ! — გაიმეორებდა ფარნა, - ელპიტე, ეს ქვეყანა ვის შერჩენია...

– არავის, შენი ჭირიმე, ვინც არ მოიხმარა და არ მოილხინა, ამ ქვეყნიდან რა წაიღო?!

კიბის საფეხურზე, სჭირდებოდა თუ არ სჭირდებოდა, ელპიტე ქმარს მხარში უნდა შესდგომოდა.

– ნამეტანი ვქენი, ეფ. ამდენი არ უნდა დამელია, - სიმთვრალეში არ უღალატებდა ფარნას ჭკუა.

– იმე! — იტკიცდა ცოლი, - აბა, იქ ჭიქა საინის სარეცხავად კი არ იყავი წასული.

– არა, ნამეტანი არაფერი ვარგა...

– მამა გიცხონდა, ერთი კაი ყანნი კიდევ რომ მიგერთმია, იმ სულგანათლებული დედის რძესავით შეგერგებოდა”.

ოტია იოსელიანის პედაგოგიური კონცეფციები ემყარება პრინციპს, რომლის მიხედვით ადამიანი — ეს არის ამოუწურავი, უფსკერო ოკეანე, რომლის თვისებებზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს და ეს ოკეანე იმდენად ღრმაა, რომ მეცნიერებისათვის მიუწვდომელია და მის თვისებებზე მსჯელობით რომ გვგონია სიღრმეებს ვწვდებით, უბრალოდ, მაინც მის ზედაპირზე ვრჩებით (“ქალი გამოვიდა საღალატოდ”).

შესაბამისად, ინტენსიურად უნდა ვითარდებოდეს მეცნიერება აღზრდის, განვითარებისა და განათლების შესახებ. მასწავლებლის ოსტატობას საზღვარი არა აქვს, იმიტომ, რომ საზღვარი არა აქვს ადამიანის სულიერ და ინტელექტუალურ სამყაროს.

ამასთან დაკავშირებით, საგულისხმოა ოტია იოსელიანის შეხედულებები სკოლისა და ოჯახის აუცილებელი თანამშრომლობის შესახებ. მწერლის შეხედულებით, ბავშვის ინტელექტუალური შესაძლებლობები მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა იყოს როგორც სკოლის, ისე ოჯახისა და, თუ გნებავთ, პირველ რიგში ოჯახისა. რომანში “შავი და ცისფერი მდინარე” მინიშნებულია, რომ “ბავშვს რასაც ოჯახი წაართმევს, სკოლა ვერ აუნაზღაურებს”. არ კმარა, რომ ბავშვი უსაზღვრო შესაძლებლობებით დაიბადოს. მისი განვითარების პირველი ექვსი წელი ოჯახში მიმდინარეობს და ეს ოჯახს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს. მწერალი განაგრძობს: “მშობლებს სკოლაში ჯიშით, სისხლით, ტრადიციით, ენითა და შრომით უკვე გამოკვეთილი, გამოთლილი, გამოკოპიტებული მასალა მიჰყავთ მასწავლებელთან, რომელსაც ოსტატი ჩარხავს, აშალაშინებს და ხვენს. პედაგოგი, თუ ბარის ტარად გამოჩორკნილი მიუტანე, ჯვრად ვერ აქცევს. თესლი თუ ფშუტეა და მწირ ნიადაგზე აღმოცენებული, მას გამარგვლა და გამოროდება წყრთა ტაროებს ვერ დაასხმევენებს (“შა-ვი და ცისფერი მდინარე”, ნიგნი მეოთხე, თავი მესამე).

არ შეიძლება ამაში მწერალს არ დავეთანხმოთ.

ვრცელი მოთხრობა “სოფლის თვალი” ახალგაზრდა გეოლოგის ლაშას ცხოვრების შესახებ იწყება ერთი საგულისხმო პედაგოგიური კონცეფციის გამჟღავნებით: “მგონია, ადამიანი იმაზე ადრეც კი, სანამ ანბანის სწავლას დაიწყებდეს, რაღაცისათვის უკვე არის მოწოდებული და მერე ოჯახი, სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი მასში მხოლოდ იმას ზრდიან, რისთვისაც ის გაჩნდა. ამ საკითხზე პედაგოგიკურ, ფსიქოლოგიურ და მხატვრულ ლიტერატურაში ერთმანეთის გამომრიცხავი შეხედულებები ბატონობს. ანტონ მაკარენკო და ლევ ტოლსტოი ფიქრობდნენ, რომ დაბადებიდან ხუთ წლამდე ვინც როგორი ბავშვი არის, ის იქნება შემდეგ მთელი მომდევნო სიცოცხლის მანძილზე. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი დემოკრიტე (460-370 ძვ. წ.) კი ფიქრობდა, რომ აღზრდას შეუძლია ბუნება შეუცვალოს ადამიანს. ამავე თვალსაზრისს ანვითარებდა XVIII საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსი ჰელვეციუსი (1715-1771 წწ.) და წერდა: “რომ აღზრდა ჩვენ გვაქცევს იმად, რაც ვართ” და კიდევ მეტი, თვლიდა, რომ “აღზრდას ყველაფერი შეუძლია; მას გენიოსების წარმოქმნაც კი ძალუძს”. დენიდიდრო (1713-1784 წ) გადაჭრით უარყოფს ჰელვეციუსის შეხედულებას აღზრდის უსაზღვრო შესაძლებლობების შესახებ და ამტკიცებს, აღზრდით შეიძლება ბევრ რამეს მივალნიოთ, მაგრამ აღზრდა ავითარებს იმას, რაც ბუნებამ მისცა ბავშვს. აღზრდის საშუალებით შეიძლება განვავითაროთ კარგი ბუნებრივი მონაცემები და ჩავახშოთ ცუდი.

განსხვავებულ შეხედულებას ავითარებს აკაკი წერეთელი: “მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა”. პოეტი წინა პლანზე მაინც ბავშვის თანდაყოლილ ბუნებას აყენებს.

ოტია იოსელიანი თავის შეხედულებას აღზრდა-განათლების შესაძლებლობებზე მხატვრულად ასაბუთებს ნოველაში “სოფლის სინათლე”. ნოველის გმირი ახალგაზრდა გეოლოგი ლაშა თავისი თავგადასავლის თხრობას იწყებს იმ შეზღუდულობების მოგონებით, რაც ბავშვობაშიც აწუხებდა და შემდეგ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმაც ვერ მოიშორა თავიდან. ახლა ამ შეზღუდულობით ხელ-ფეხ-შეკრულ ადამიანს კომპლექსებით შეპყრობილს უწოდებენ და თვლიან, რომ მისგან განთავისუფლება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ასეთ ტიპს წარმოადგენს ნოველის პერსონაჟი, რომელმაც, მართალია, წერა-კითხვა სკოლაში შესვლამდე ისწავლა, მერეც გულმოდგინედ იყო სკოლაში, მაგრამ ბარე ორ-სამ მოსწავლეს მუდამ მასზე უკეთესი ნიშნები ჰქონდა და “ისინიც, – დასძენს პერსონაჟი, – რომელთაც წიგნი და რვეული თვალის დასანახად სძულდათ, ჩემს გვერდით ისხდნენ და რა ვიცი, უჭირდათ თუ ულხინდათ, სკოლიდან არ დაუთხოვიათ და მაინც და-მაინც არც ბედს ემდუროდნენ. მასხოვს, საშუალოს დამთავრების გამოსაშვებ საღამოზე ჩემზე მხიარულად და გაბედულად კი გამოიყურებოდნენ და ჩვენს კლასელებს თუ სტუმარ გოგონებს თვალეში თვალდაუხამხამებლად შესცივინებდნენ. ბარე ორმა იმ საღამოსვე გაკვაჭა საქმე და არც ხელობა უძებნიათ, არც სამსახური, მალე ოჯახებიც შეაკონინეს”. ლაშამ კი ვერაფერს მოაბა თავი. იგი ვერ პოულობს პასუხს კითხვაზე – “რატომაა, რომ ზოგის ბამბა ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც არა?” – და გულდანყვეტილი აღიარებს: “ვერ იქნა და თავი ვერ მოება ჩემს ცხოვრებას. დავრჩი მარტოხელა და ეული. თავიდანვე მე რომ გოგოზე თვალი დამრჩა, სანამ მასზე საფიქრებლად მოვიცალე, სანამ ვწონე და ვზომე სათქმელი, ვუცადე ბედნიერ შემთხვევას და შეხვედრას, ადგა “ფარადეისთანა” საქმეშემოლეული, ერთსა და იმავე დროს ყველა მოსახვევში და ხის ძირში რომ იდგა და აუზომავ-აუნონავად, პირდაპირ ფეხი დაუდო — არც აცია, არც აცხელა, “ულტიმატუმი” წაუყენა — გინდა თუ არა, უნდა გიყვარდეო”.

მთაში ექსპედიციის დროს ლაშა დაუახლოვდა “სოფლის თვალს” — ზიზოს, მაგრამ ვერც მასთან მიიყვანა საქმე ბოლომდე თავისი გაუბედაობითა და უნიათობით. ამიტომ დაიმსახურა მისგან ასეთი მწარე განაჩენი: “ამ მთების გულში რა დევს, ალბათ, იმის ცოდნაც კარგია, მაგრამ ქალის გულში ჩახედვაც რომ გცოდნოდა, არ განყენდა”.

ლაშას პროტოტიპები თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდებიან რეალურ ცხოვრებაში. მწერალი მათ მიმართ გულგრილი ვერ იქნება. ამაზე მეტყველებს ნოველა “ქალი აგარაკზე”. ნოველის პერსონაჟი – ასაკში შესული ქალი ბაბეც ლაშასავით არა მხოლოდ გაუბედავი, არამედ მიუხვედრელიცაა. ეს იცის მან, მაგრამ ვერ ახერხებს აჯობოს საკუთარ თავს, რადგან მხოლოდ სურვილი არ კმარა, “თუ ბუნებამც არ უშველა”.



თაობათა შორის დამოკიდებულებების საკითხი ტექნიკური პროგრესის თვალსაზრისით ნათლად და შთამბეჭდავად მოგვცა ოტია იოსელიანმა ნოველაში “უშელავათო ხუროს ამბავი”.

პედაგოგიური თეორიის ერთ უმთავრეს პრობლემას ცხოვრებისათვის ახალგაზრდობის მომზადება წარმოადგენს. სკოლის გაუთავებელი რეფორმები, პირველ რიგში, ტარდება იმიტომ, რომ გააუმჯობესონ სკოლაში ცხოვრებისათვის ახალგაზრდობის მომზადება; მაგრამ ხშირ შემთხვევაში მკითხველს ბუნდოვანი წარმოდგება აქვს, როგორი იქნება ჩვენი სკოლა რეფორმების შემდეგ.

უნინარეს ყოვლისა, უნდა დავაზუსტოთ ცნება “ცხოვრების” შინაარსი. ქართულ ენაში ორი სიტყვა გვაქვს – “სიცოცხლე” და “ცხოვრება”. რუსულ ენაში ორივე ამ სიტყვის სათარგმნელად გამოიყენება ერთი სიტყვა – “Жизнь”. “Прекрасна сама жизнь” - წერს ნ. გ. ჩერნიშევსკი თავის ნაშრომში “სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების შესახებ”. ქართულ ენაზე ზოგი თარგმნელი ამ დებულებას ასე თარგმნის: “მშვენიერია თვით სიცოცხლე”, ზოგი ასე: მშვენიერია თვით ცხოვრება”, მაგრამ ქართველი ერთ საგანს ორ სახელს არ უწოდებს. “სიცოცხლე” განსხვავდება “ცხოვრებისაგან”. ცოცხალია ყველა არსება, რომელიც საკუთარი ენერგიით გადაადგილდება სივრცეში. ამასთან შედარებით სხვა შინაარსი დევს “ცხოვრებაში”. ცხოვრობს ის, ვინც მიზანდასახული შრომით ქმნის მატერიალურ, ან სულიერ, ან ინტელექტუალურ სიმდიდრეს. ილია ჭავჭავაძემ ლუარსაბ თათქარიძის მაგალითზე ძალზე ნათელი წარმოდგენა მოგვცა ცხოვრებასა და სიცოცხლეს შორის განსხვავებაზე. ლუარსაბი ცოცხლობს და ის მხოლოდ მომხმარებელია. ის ცოცხლობს იმისათვის, რომ ჭამოს და სვას. ხოლო ჭამს და სვამს იმისათვის, რომ იცოცხლოს. ამიტომ ის სრულიად უსარგებლოა საზოგადოებისათვის. ამისთანა კაცის არც დაბადებით ემატება რაიმე სამშობლოს და არც მისი გარდაცვალებით აკლდება რაიმე ქვეყანას. ცხოვრობს კი ის ადამიანი, რომელიც არა მხოლოდ მოიხმარს (ბიოლოგიური მხარე), არამედ ქმნის.

ამრიგად, სკოლის ამოცანა – ცხოვრებისათვის ახალგაზრდობის მომზადება – მდგომარეობს იმაში, რომ კარგად სწავლებითა და აღზრდით ახალგაზრდობა მოამზადოს მატერიალური, სულიერი ან ინტელექტუალური დოვლათის შესაქმნელად საზოგადოების სასარგებლოდ.

მაგრამ რომელი ცხოვრებისათვის მოამზადოს? აი კითხვა, რაზეც თითქმის არავინ კამათობს. დღევანდელი ცხოვრებისათვის? რა თქმა უნდა, არა. დღევანდელი ცხოვრებისათვის მომზადებაზე ორიენტირებული სასკოლო აღზრდა და განათლება ხვალ უკვე ჩამორჩენილი აღზრდა და განათლება იქნება. ნორმალური სკოლა ცხოვრებას მხარდამხარ კი არ უნდა მიჰყვებოდეს, არამედ ერთი ნაბიჯით მაინც უნდა უსწრებდეს წინ. სკოლაში მოსწავლე თუ იმახსოვრებს იმას, რასაც ასწავლიან, ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებს იგი ალღოს ვერ აუღებს და ჩამორჩება. სკოლამ მოსწავლეს საგნებისა და მოვლენების გაგების უნარი (იან ამოს კომენსკი) უნდა განუვითაროს, რათა ინფორმაციის სწრაფნაკადში დამოუკიდებლად შეძლოს ახალი და საჭირო ცოდნის შექმნა. ეს თეორიულად, მაგრამ ამ იდეას აქვს პრაქტიკული მხარე, რასაც პირველად საგანგებო ყურადღება სწორედ მწერალმა ოტია იოსელიანმა მიაქცია ნოველაში “უშელავათო ხუროს ამბავი”.

ხურო სახლის მშენებლობაზე მუშაობს. სახლის მეპატრონე თვლის, რომ სამუშაო დამთავრებულია. ოსტატი მაინც განაგრძობს მუშაობას. მეპატრონე აცხადებს — სახლი ჩემია და მომეშვით, ოსტატი წავიდესო. ოსტატი პროფესიული პოზიციიდან პასუხობს: “სახლი ვისია, ეს მე არ მეკითხება. ხელობა ჩემია... მაგას (მიუთითებს პატრონზე) ხელობის რა გაეგება. ეს რომ ვინმემ ნახოს და ნახავს, სახლია, ცხვირსახოცი ხომ არაა, მუჭში და ჯიბეში დამალოს, ვის რა პასუხი მივცე?!.. მომკალით და ხელობას ვერ გავიფუჭებ”.

საკუთარი თავის მიმართ ასეთი მომთხოვნი ოსტატი კიდევ უფრო მკაცრია შეგირდის მიმართ. შეგირდისადმი მოთხოვნებში იკითხება სწორედ ის იდეა, რითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ნორმალური სკოლა. ეს იდეა ასეა გადმოცემული მოგზაურსა და შეგირდს შორის ამ დიალოგში.

– ისე ტოლებთან თამაშის და დასვენების ნებას ხომ გაძლევს ოსტატი?

– კი, ბატონო, მაგრამ ხომ გითხარი, საქმის დროს ავია, მაგასავით რომ ვაკეთებ, მიწყრება.

– ისეთნაირს თუ აკეთებ, აბა, რაღა ჯანდაბა უნდა?

– ჩემნაირი მეც ვარო, მიჯავრდება. უკეთესი თუ არ გააკეთე, დრო წინ მიდის, ჩვენ ხომ არ შევარჩებთო. მე რაც ვიცი, ეს ხომ უნდა იცოდე და ისიც, რაც მე არ ვიციო! რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, - ანუ უნდა ბიჭი, თავზე ხელის გადამსმელი რომ იშოვა.

– რა ქენი და მიაკალი თავი! როგორც ხუროთმოძრვარი გირჩევს და გასწავლის, ისე მოიქეცი. უყურე ამას შენ! — გავაბრუნე უკან”.

თანამედროვე სკოლის სტრატეგია უნდა იყოს ის, რაც სწორედ სახვალოდ, თავის ოსტატზე უკეთესი საქმიანობისათვის მოამზადებს ახალგაზრდობას.

პედაგოგიკის თეორიაში კარგადაა დამუშავებული აღზრდის კანონზომიერებები და მათ შორის ერთი კანონზომიერება — რომლის მიხედვით აღზრდა მით უფრო ეფექტურად წარიმართება, თუ აღსაზრდელი კარგად არის ჩართული ამ საქმიანობაში. ოტია იოსელიანის პედაგოგიურ კონცეფციებში აღზრდის ეს კანონზომიერება აღსაზრდელთან აღმზრდელის ურთიერთობის ყოველდღიურ ნორმად არის მიჩნეული. მწერალი თვლის, რომ აღსაზრდელი არა მხოლოდ ჩართული უნდა იყოს საქმიანობაში, არამედ ამ პროცესს აუცილებლად უნდა ახლდეს ნახალისება და შეფასება აღმზრდელის მხრივ.

ეს პედაგოგიური კანონზომიერება მხატვრულად გადმოცემულია რომანის – “ვარსკვლავთცვენა” მესამე თავში – “ხვალინდელი ჯარისკაცი”. ომში წასვლის წინა საღამოს ასეთი საუბარი გაუმართა მამამ გოგიტას: “შვილო, — თქვა მან და შემომხედა. მე გამიკვირდა, მამა ყოველთვის სახელს მეძახდა, - შვილო, - გაიმეორა მან, - ხომ იცი, ამ ხარს ყოველთვის აქედან დაუდექი, უკან ერიდე, წიხლი იცის. ჰოდა, მჭედელს თუ დააჭედინეთ, ლურსმანი კიდეში დააკრას. კარგად არ მოიკიდებს პირს, მაგრამ ჩლიქი ჩამოტეხილი აქვს და ღრმად რომ გაუშვას, ფეხს გაუფუჭებს ხარს. ღვინიას, - ახლა მეორესთან მიმიყვანა, - წინ რქებისაკენ არ გაეკარო. მოკლედ მიაბნევიან ვინმეს. ურემი არავის ათხოვოთ, ვინ იცის, ნაავადმყოფარი ხარი შეაბან და გადმოედება. კავი... — მან თვალი შეასწრო ჩემს გაცეცხვულ თვალებს, კარგა ხანს დააყოვნა და მითხრა: - შენ თორმეტი წლის კი არა, მეტისაც ხარ“ (გ. 2, 388).

აღზრდის ტრაგედია უნდა ვუნოდოთ ნოველაში “გედის სიმღერა” ოტია იოსელიანის მიერ დასმულ პრობლემას: “ორ დღეს ვართ ამ ქვეყანაზე... ბოლოს და ბოლოს, ხომ არ შეიძლება არ ვიყოთ, ის რაცა ვართ”. “ჩვენში არავინ არაა ის, რაცაა”.

– მაგრამ ვინც ის არაა, რაცაა, ის როგორ იქნება, რაც არაა?!

– და, ალბათ, ესაა, რაც ბოლოს მოგვიღებს“.

ამ პრობლემას გამოვლენის მრავალი ასპექტი გააჩნია. ნოველის პერსონაჟები აქცენტს პატიოსნებაზე აკეთებენ და მწერალს შემოაქვს “იძულებით პატიოსანი” და “ბუნებით პატიოსანი” ადამიანების ცნება: “თქვენ ისა ხართ, რომელსაც არ აძლევენ და არ იღებს, თუ აძლევენ და მაინც არ იღებს — იძულებით პატიოსანი თუ ბუნებით...” მწერალი თვლის, რომ ამ ტრაგედიის საფუძველი არის საბჭოთა სისტემა, რომელიც დაფუძნებულია მერყევ იდეოლოგიაზე. ამ იდეოლოგიამ ადამიანს დაუკარგა საკუთარი ღირსება: “არც მათ უნდათ და სწადიან, თვითონაც გმობენ და აკეთებენ, იძრობენ სულს და ეშმაკს აბარებენ!” — აი, ის ფორმულა, რომლითაც მწერალი გამოხატავს აღზრდის ტრაგედიას საბჭოთა საზოგადოებაში.

ოტია იოსელიანი ქრისტიანული მორალის ადეპტია. ის თანმიმდევრულად, ცოდნისა და რწმენის შენადნობის სახით ხატავს მართლმადიდებლურ ზნეობრივ ნორმებს პერსონაჟის მოქმედებაში. მაგალითად, რომანში “ქალი გამოვიდა საღალატოდ” მწერალი წერს: “დღევანდელი ადამიანის ბედი იმდენად რთულია და თავ-ბოლო გაუსაძლისი, თუ სული, რწმენა და ზნეობა არ გაბადია, ლეში ხარ, ცხოველი. გაქვს და როგორი საპატრონოა ის, რაც ღმერთს ებარა. “არა იყვნენ შენ და ღმერთი სხვანი, გარეშე ჩემსა”. “არა იპაროო”, “არა იმრუშოო”, “არა ცილი სწამოო” და სხვა და სხვისი ინდომო და მიიტაცო კი არა, “არა გული გიქმოდესო”... უამისოდ სულის ქონება მურთხის ყოლაა.

ქრისტიანული მორალით, ცხოვრება პიროვნების უმთავრეს ღირსებად არის დასახული. “ერთხელ ეძლევა ადამიანს სიცოცხლე და ყველაფერი უნდა გააკეთო იმისათვის, რომ შენი გონებისად, რწმენისად, სამართლისად იცხოვრო. სხვანაირი ცხოვრება ცხოვრება არაა. სხვის სახლში მდგმურად სანამდე გაძლებ” (“ქალი გამოვიდა საღალატოდ”) ოტია იოსელიანის პედაგოგიურ კონცეფციებში, როგორც მოსალოდნელი იყო, განსაკუთრებული ყურადღება ზნეობრივი აღზრდის პრობლემებს ექცევა. მხატვრული ლიტერატურა თავისთავად გულისხმობს აღმზრდელობითი ფუნქციის განხორციელებას, მაგრამ ჩვენი მწერალი არ კმაყოფილ-

დება მხოლოდ კონცეფციებით და წინა პლანზე პრაქტიკული ზნეობის აღზრდის მოტივებს წამოსწევს, ანუ მოქმედებაში უჩვენებს ჩვენი ქცევების ზნეობრივ და უზნეო ასპექტებს. მწერალი (მის შემოქმედებაზე დაკვირვება გვიჩვენებს) უზნეობის მხილებით უფრო არის დაინტერესებული. უზნეობა ყოველთვის ადვილი დასანახი არ არის და მით არის იგი უფრო საშიში. ეს პრობლემა მწერალმა ფართოდ ასახა რომანში “ქალი საღალატოდ გამოვიდა” და ერთგვარი კრიტიკერიუმის ფორმულაც შეიმუშავა ზნეობრივი და უზნეო ადამიანების ერთმანეთისაგან გასარჩევად: “ვინც ის არაა, ვინც უნდა იყოს, იგი არც არსებობს”. ასე ორმაგი ბუნებით ცხოვრობს რომანის მთავარი პერსონაჟი და მწერალი ბრალს სდებს მას ამისათვის: “სინამდვილეში შენი ცხოვრებით არსად არ ცხოვრობდი და არ იყავი ის, რაცა ხარ”. შედეგიც მიიღო. ნუცა ალავიძეს ქმარმა უღალატა. პროტესტის ნიშნად ნუცამ მიატოვა ოჯახი, ქმარ-შვილი და შურისძიების გზას დაადგა. ქმრის მიერ ჩადენილი ღალატისა და საღალატოდ გამოსული ქალის ცხოვრების წესის გაანალიზებაში ისახება უზნეობის საშინელი ლაბირინთი, საიდანაც გამოსავალი არ ჩანს. სამწუხაროდ, ყველაფრის ამის თავი და ბოლო ქალია. ქალის უზნეობამ მისცა გასაქანი მურთხობას. “ქალისა და კაცის ნაწყმედაში, - წერს ოტია იოსელიანი, - მეტ-ნაკლებად ორივე სცოდავს. თავიდან მდებრმა თუ ცოტა მაინც არ ნაიკეკლუცა და მამრის ნიაღში რალაც ცოდვის მარცვალის არ ჩაადგო, კაცი თუ მთლად მოძალადე მრუში არაა, ვნების ცეცხლი ასე სულ არაფერზე, ცივ სოხანეზე უნაპერნკლოდ არ დაინთება”.

უზნეობის, როგორც ძნელად დასანახ საშიშროებაზე ვსაუბრობთ. უზნეობას ასე ფარავს პერსონაჟი და მწერალი კი ასე ამხელს მას: “შენ ჯერ კიდევ მაშინ სცოდე, როცა სხვა გიყვარდა და სხვას გაჰყევი, როგორც ახლა შეგეძლო”.

“რა შემეძლო”

“რაც მაშინ შესძელი. თუმცა იქ ხინველი გიდგა მხარში, ოღონდ მისთვის დაგენახვებინა შენი ნატასადმი ერთადერთობა და განუმეორებლობა და ქვესკნელის მოციქულს გაჰყევიბოდი, რაკი ლაშა სამუდამოდ შენი იქნებოდა თუ დაჰკარგავდი”.

იმავე რომანში მწერალი ასე წარმოსახავს ქალის პასუხისმგებლობას მურთხების მომრავლებაში.

“მურთხს” ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი არ იცნობს. იგი მწერლის შექმნილი სიტყვაა და გადამყრალბულს ნიშნავს: “ნოე ხინიკადის მოდგმას ამდენი გამოკვლევა არ უნდოდა. შუბლზე ეწერა რაც იყო! ნატამ საათნახევრიანი შეხვედრის შემდეგ თქვა — “მურთხია”. “მურთხის” სიტყვა-სიტყვითი განმარტება თუ მანც არ იცოდი, ვეფხვი და ლომი არ უნდა გგონებოდა, რაკი მის ბგერით აღნაგობაში არსად ასეთი მჟღერი და ძალუმი გამოძახილი არ ისმის. “მურთხში” უფრო მური, ვირთხა, მუნიათხა, მუხთალი, მთხლე, მუხანათი და ... რა ვიცი, ამდაგვარი უკეთური უფრო იკითხება. მწერალი სწორედ ქალს სდებს ბრალს ამისთანა სოციალური ელემენტების მომრავლებაში: “მურთხები ქვეყნად არ იარსებებდნენ, - მიმართავს მწერალი ალავიძის ქალს, - შენ და შენისთანა რომ ხელის დამცლელებად არ ჰყავდეთ... შენ იმდენად გააოხრე და გაათითლიბაზე, აღარც ისაა, რაცაა და საზოგადოებასა და სამართალს კვალი სულ აურიე. ამისთანის მიგნება უფრო ჭირს და ამისთანა უფრო დიდხანს ითარეშებს, ვინემ ტყეში გაჭრილი ავაზაკი. შენ საზოგადოებაში მალვა და გულშავს თეთრი კბილების ჩენა ასწავლე. მაგრამ ადრე მოხდა უფრო დიდი ჯოჯოხეთური ცოდვა. ამისთანები რატომ ჩნდებიან და არსებობენ, როგორ გგონია, მართლა დედამისმა შვა მხოლოდ ასეთი და ასეთნაირი აღზარდა? არც ერთ დედას არ შეუქმნია შვილი მპარავად, მლიქვნელად და სააკვაცოდ. ყველას, ისევე როგორც შენ, შვილი პატიოსანი, ქედუხრელი და სამამულიშვილო უნდა. ქვეყნის მოჭირნახულე და სახელდებული. ამნაირს ის ზრდის თუ არა, ეს სხვა საქმეა. მაგრამ მე დედის სურვილზე და მცდელობაზე მოგახსენებ. ბავშვი კი იმ ოჯახით იზრდება, სადაც დაიბადა და ცხოვრობს, მაგრამ ცალი თვალი მაინც გარეთ უჭირავს, სახლიდან რომ გავა, რა გზაზე დაადგეს, რით უფრო მიიქცევს იმათ ყურადღებას, ვინც ეზოს გადაღმა ელოდება.

გოგო-ბიჭებმა თუ ჭანჭურის ქურდობისათვის ტაში დაუკრეს, მერე ნესვსა და საზამთროს გადმოათრევს სხვისი ბალიდან. თუ მიაფურთხეს და ზურგი შეაქციეს — საკუთარი ეზოს ხილსაც ნამალევიად არ გადაიტანს, ვინმეს ნაქურდალი არ ეგონოსო. შენ და შენისთანაქალებს რომ მურთხებისათვის ხელი გეკრათ და გვერდით არ მისწოლოდით, მათ ის სახლიცა და ის სქელი ჯიბეც არამად და ოხრად დარჩებოდათ. ისინი ხომ თქვენთვის ჰყიდიან სულს, რაკი იციან, თქვენი დაუფლება ამ გზით შეიძლება”.

“ჩემი დაუფლება ამ გზით?”

“აბა, ერთი მუროთხებს ჰკითხე. მას თუ ჰგონია, შენ მეგობრის ერთგულებისათვის გაჰყევი და მისი “პიროვნება” და “დამსახურება” არაფრის მაქნისი იყო...”

“ის ამას გაიგებს?”

“რომ ვერ გაიგებს და არ ვაგებინებთ, უბედურებაც ესაა. დაინახა... რამდენი ოჯახია თქვენს შვიდსართულიან სახლში? ალბათ უამრავი. რამდენი ბავშვი და ახალგაზრდა? ღმერთმა ამრავლოს და ალბათ უამრავია. ხედავენ, ამ მუროთხს აგერ მზეთუნახავი ცოლი ჰყავს”.

“მზეთუნახავი?..

“ყველაფერი შედარებითაა. ნოესთან მართლა მზეთუნახავი დაგერქმევა. მათ ხომ არ იციან, შენ რისთვის, რატომ, სიყვარულითა თუ სიძულვილით გაჰყევი. ერთად ხართ და ცოლ-ქმარი გქვიათ. რა ღირსებები გააჩნია ნოეს? რამ მოხიბლა მშვენიერი ნუცა? არავითარი — გარდა ბინისა და ხარახურისა, ესე იგი, რაა საჭირო იმისათვის, რომ მშვენიერ ქალს დაეპატრონო? ფული, ფული... დღეს თვლა და ანგარიში ბავშვებმაც კი ზედმინევენით იციან, ნოეს ხელფასიც იციან და მისი ჯამაგირი რისი მყიდველია, ისიც. ესე იგი, რა გზას დაადგეს (თუ უკვე დამდგარი არაა) ვისაც ლამაზი, ჭკვიანი, ღვთისნიერი, ერთგული ცოლი უნდა? — ნოესას!” შენ და შენისთანებმა შეჰქმენით მუროთხები, თორემ თქვენ რომ გამურული ცეცხლფარეშები აგერჩიათ გულის სწორად, ნოესთანები ქვეყნად ვერ იბოგინებდნენ. თქვენაა, რომ ყუყუნა წვიმად ეპკურებით და სოკოსავით ამრავლებთ”. ქალის პასუხისმგებლობის უფრო მკაცრი კოდექსი იშვიათად შეგვხვედრია ლიტერატურაში. ოტია იოსელიანი ცხოვრების წიაღიდან მოდის და კარგად იცნობს სინამდვილეს. ამიტომ ცალკე შესწავლას საჭიროებს საკითხი — “ქალთა აღზრდის პრობლემა ოტია იოსელიანის შემოქმედებაში”.



შრომითი აღზრდის თემატიკა პრაქტიკული პედაგოგის თვალსაზრისით არის გააზრებული ოტია იოსელიანის შემოქმედებაში. მოგეხსენებათ, შრომითი აღზრდის მთავარ თეორიულ პედაგოგიკაში დასახულია შრომისათვის მოზარდი თაობის მიმზადება და საზოგადოების უზრუნველყოფა მატერიალური დოვლათით. ოტია იოსელიანი თვლის, რომ მატერიალური დოვლათით საზოგადოების უზრუნველყოფაზე წინ მშრომელი კაცის ხასიათის აღზრდაზე უნდა ვიფიქროთ. მშრომელი კაცი თავის ნაშრომს აფასებს, მისია ის, რაც საკუთრი შრომით აქვს მონაგარი: მართალია, ტექნიკური პროგრესი გლეხს მიწაზე შრომას უადვილებს, მაგრამ აღზრდის თვალსაზრისით არ უნდა მოხდეს მიწისაგან გლეხის გაუცხოება. მწერალი ფიქრობს: “ომს რომ ბოლო მოეღოს და მშვიდობა იქნეს, რაც ახლა ტანკი და ზარბაზანი იჭედება, სამეურნეოდ რომ გადაკეთდეს, თითქოს ხარი, კავი, თოხი და ბარი აღარც დაგვჭირდება. ტრაქტორი დახნავს, დათესავს, მოიმკის და ადამიანი მიწას მოსწყდება, გააცუღლუტებს გლეხს, გააორგულებს. მშრომელს მიწა კი არ უყვარს, თავის ნაშრომი უყვარს. აგერ რომ ბარით ბელტი ამოვაბრუნე, ხელებზე რომ ბებერებს მიჩენს, მღლის და მქანცავს, ეს ჩემია, ჩემი შრომაა. ამ ბავშვებსაც ეს ეყვარებათ. აგერ ბარის საფეხურს რომ ჯილანში ფეხნადგმული აწვება, სიმძიმე და ღონე არ ჰყოფნის, ბალახის ფესვები დააჭრევინოს და ნიადაგში ღრმად ჩაუშვას, მით უმეტეს, ბელტიანი ბარის აწვევ-გადაბრუნება წელს წყვეტს”.

ცხადია, ტექნიკურ პროგრესს სასოფლო-სამეურნეო შრომაში არავინ შეაფერხებს, შრომა თანდათან ინტელექტუალურ ხასიათს შეიძენს, მაგრამ შრომის შედეგით როგორ ისარგებლებს მშრომელი — აი, ეს იყო საკამათო საკოლმეურნეო სოფელში; ოტია იოსელიანი ამ მიმართულებით წარმართავდა მკითხველის ინტერესებს რომანში “შავი და ცისფერი მდინარე”.

ოტია იოსელიანის მხატვრულ ნააზრევში ფსიქოლოგიურ ასპექტებზე დაყრდნობით სათანადოდ არის წარმოდგენილი შრომითი აღზრდის მეთოდის აქტუალური საკითხებიც. მაგალითად, “ბარვისას წინ უნდა დაიხედო და ნამუშევარი დაინახო. გული გაგიკეთდეს და შრომის ხალისი გექნეს. თუ უკან იყურე, გასაკეთებელი, მით უმეტეს, დასაწყისში, ყოველთვის ბევრია და გაშინებს, გულს გიცრუებს”. მართალია, ამ რჩევა-დარიგებაში ბავშვები ადრეულ ასაკში საყურადღებო შეგონებებს ვერ დაიჭერენ, მაგრამ, მწერალი თვლის, რომ რიკტაფელას მაგიერ ვისაც ხელში ბარი და თოხი უჭირავს, ხვალ, რასაც ბრძენი ვერ შეასმენს, მიწა ასწავლის”.

შრომითი აღზრდის პედაგოგიკის მრავალი საკითხია მხატვრულად დამუშავებული

მოთხრობაში “მდინარე ნამდინარეში”. კერძოდ, შრომისადმი დამოკიდებულების აღზრდის საკითხი. მშრომელი გულგატეხილობის, იმედგაცრუებისაგან უნდა დავიცვათ. მინის დამუშავება გლეხისაგან მთელი მისი სულიერი და ფიზიკური ძალების დახარჯვას მოითხოვს. საბჭოთა ხელისუფლება ამას არად აგდებდა და გლეხმა მინაზე შრომა შეიძულა. მაგრამ მაშინაც მოიპოვებოდნენ გონიერი თავკაცები და ახალგაზრდა თავმჯდომარის – იმედოს მაგალითზე საგულისხმო, ცხოვრების ცოდნით ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებს გვთავაზობს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამბობს: “უმჯობესია აშრომო და არაფერს დაჰპირდე, ვინემ დაჰპირდე და არ მისცე. ამიტომ შაბათობები შემოვიღე. წინდანინ იცის, იმუშავებს და არაფერს მიიღებს, მაგრამ ერთმანეთთან პირნათელი ვიქნებით. იმ პირველი შაბათობით გავწმინდეთ ათიოდე ჰექტარი გაველურებული, ეკალ-ბარდებში ჩაკარგული, გატყვევებული ჩაის პლანტაციები, რომელიც საერთო საჰექტორო ფართობებში გეთვლებოდა და არაფერს გვაძლევდა, სამი ჰექტარი ვენახი, რომელიც მას აქეთია, კახეთის მინების ოდენ მოსავალს გვაძლევს. ფერმის შენობა აქ, ადგილზე არ გვივარგოდა. საზაფხულო საძოვარზე რა გაგვანდა — საქონელი მინდორში გვეყარა, ძირითადად ისინიც შაბათობებით ავაგეთ... მათაც ასე ერჩიათ: იცოდნენ, მაშინ კოლმეურნეობის ნამუშევრის ღირსეული ანაზღაურება არ შეგვეძლო და ათ მანეთში მანეთის აღებას, შრომის გაუფასურებას და შეურაცხყოფას — დიდსულოვანი “გასაჩუქრება” ამჯობინებს. “ნართმევას” — “ბოძება”, “წყალობას” — “გაღება”. მე, ალბათ, ჩემი წინამორბედების მაღლიერიც უნდა ვიყო, იმდენჯერ გაუცრუეს იმედი, რომ მათ დაპირებებს ჩემი “არაფერი” ამჯობინეს. მაღლობა ღმერთს, არაფერი დაკარგულია. მეორე წელიწადს კაცდღის ანაზღაურება ორჯერ გაიზარდა, მესამე წელიწადს ფეხზე წამოვდექით, მეოთხე წელიწადს გავიმართეთ. სამჯერ ვზრდით კაცდღის ანაზღაურებას. თუ მივცემთ, კარგად უნდა მივცეთ, არ შეურაცხყოთ”.

ახლა კოლმეურნეობა არ არსებობს და სოფლის მსხვილი ფერმერული მეურნეობები ყალიბდება, მაგრამ შრომითი აღზრდის პრობლემა კვლავ რჩება. თუ სახელმწიფო მხარს არ დაუჭერს თავის სოფელს და თავისუფალ ბაზარზე უკონტროლოდ შემოუშვებს საზღვარგარეთულ პროდუქტს, თუ სახელმწიფო მხარს არ დაუჭერს თავის სოფელს და საექსპორტო გზას არ გაუხსნის მეზობელი ქვეყნების ბაზარზე, სოფლის მშრომელი კაცი კვლავ დაკარგავს ინტერესს მინისადმი. ამის არაერთი მაგალითი თითქმის ყოველდღე გვესმის და ვხედავთ ტელეეკრანზე. ამიტომ სახელმწიფოს მხრივ აქტიური პარტნიორობა სოფლის ფერმერების მიმართ არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სოციალური და პედაგოგიური ასპექტის საკითხია. საქართველოს მომავალი მაინც კარგად მოვლილი სოფელია, შრომისმოყვარე გლეხი და მისი შრომის მაღალი ანაზღაურება. ეს იდეები ხაზგასმით იკითხება ოტია იოსელიანის ნაშრომში.

პატრიოტული მრწამსის ფორმირების პრობლემა არ ახალია, მაგრამ არც სათანადო სიღრმით არის გადაწყვეტილი. იაკობ გოგებაშვილი წერდა, რომ პატრიოტიზმი არ არის თანდაყოლილი თვისება, იგი უნდა აღიზარდოს და ჩამოყალიბდეს მოზარდში. ოტია იოსელიანის პედაგოგიურ კონცეფციებში, ჩვენი აზრით, არის მინიშნება პატრიოტული გრძნობის ერთ საყურადღებო თავისებურებაზე. რომანის “იყო ერთი ქალი” მთავარ პერსონაჟს — მაკას საგანგებოდ არ უსწავლია მშობლიური ადგილების სიყვარული (საიდანაც შემდეგ ყალიბდება სამშობლო საქართველოს სიყვარული), ამ თემაზე მისთვის არავის ჩაუტარებია სპეციალური საუბარი, მაგრამ ყოველთვის გრძნობდა, რომ ის ადგილი, სადაც ფეხი აიდგა, განსხვავებულია ყველა სხვა ადგილისაგან. ეს გრძნობა მოდის იმ პირველი შთაბეჭდილებებიდან, რომელსაც ბავშვში აყალიბებს ადგილის დედის სანახები. მკითხველის წინაშე წინასწარ ვიხდი ბოდმს ვრცელი ციტატის შემოთავაზების გამო, მაგრამ ეს აუცილებელია, რადგან მასში ადგილის დედის განცდის სულისკვეთება იხატება, სულისკვეთება კი, მოგეხსენებათ, საგნობრივი განსახიერებითაა სარწმუნო: მაკა ეზოში შევიდა... სახლს გახედა და ლამის ცრემლი მოერია “მაღე მამაჩემი აღარ იქნება და ამ ეზოში ყველაფერი მოკვდება, - თქვა ტკივილით. ბილიკიდან მაღალ კოინდარში გადაუხვია და ბებერი მსხლისაკენ წავიდა. ახლა აქედან ქმარიც შორეული ერვენა და შვილიც. მათი აშენებული სახლიც შორეული იყო. ამ მწვანე, ძველი ეზოდან იწყებოდა სამყარო, აქედან დაინახა მაკამ ქვეყანა. აღმოსავლეთით, ღობესთან დარგულ ზღმარტლის გაჯაჯულ ტოტებში ამოდოდა ცხელი მზე და დასავლეთით, ტრიფოლიატებში ჩატანებული, ზოგჯერ თავნახელი, ზოგჯერ ხართუთით დამძიმებულ ბჟოლებს იქით ჩაგორდებოდა. ბებერი

მსხლის ტოტებზე სხდებოდნენ ღამით ვარსკვლავები და თეთრი მთვარეც ამ ხის ფითრი ან ტოტებში დაცოცავდა.

ახლაც უბედავი ბჟოლის იქით ჩადიოდა მზე. მაკამ იქ, ახალ ეზოშიც, ბჟოლები მწკრივად გააყოლა ფიცრულ ლობეს, უკვე იმდენად წამოიზარდნენ, რომ მზის ჩასვლას იქაც ისევე ხედავს, როგორც აქ. ამ კონდარ ბალახის თესლი უკეთესია მაკას სახლის წინ. მოლი ჯერ მეჩხერია. ასე არ დგას, მაგრამ გაისიდან გაივსება.

აქ ამოიდგა მაკამ ენა და იმ ენით ელაპარაკა თავის წილ ქვეყანას. ამ მსხლის ქვეშ გამოჰქონდა ბებუას მისი აკვანი, რომელიც ახლა სახლის სხვენზე ინახება...

აქ ცა უფრო ცისფერი იყო, ვიდრე თავისი ახალი ეზოდან დაუნახავს. მაკა ამ ცას ადარებდა ცისფერს. ამ მსხლის გემოთი ზომავდა ხილის ვარგისიანობას. ამ ბალახის ფერზე ღია – ღია მწვანეა მისთვის, მუქი – მუქი მწვანე. ამ ეზოში რომ ქარი იცის, იმაზე ძლიერი ქარი აუტანელია. ამ ზღმარტლზე ნაკლებ ტკბილი ზღმარტილი — უგემური. ამ ტალავერში გამონაჟონი, მზისაგან მოჩითული მინით იცნობს მინას და ყურძნის გემოს”.

მშობლიური გარემოსადმი მაკას სიყვარულს თავად გარემო და მისგან მიღებული შთაბეჭდილებები ზრდის. თუ უფრო შორი პერსპექტივით გავიხედავთ წინ, უნდა ვთქვათ, რომ ოჯახის შექმნა, შენება ახალგაზრდა წყვილმა კარგი გარემოს შექმნით უნდა დაიწყოს. სილამაზე და წესრიგი დიდი ძალაა მოზარდის პირველი ჯანსაღი და შთამბეჭდავი შთაბეჭდილებების ჩამოყალიბებისათვის.

5-6-7 წლის ბავშვების ნაადრევად დაკაცება ომის წლებში ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ მეცნიერულად მისი ახსნა, ჯერჯერობით, არ არის ბოლომდე მიყვანილი. სენსუალისტები ფიქრობენ, რომ ჩვენი ცოდნის ერთადერთი წყარო არის შეგრძნებები. ჩვენ ვიცით, ან შევისწავლით იმას, რაც ჩვენი გრძნობათა ორგანოებით შემოდის ჩვენს ცნობიერებაში.

განსხვავებულ შეხედულებას ავითარებდა XVIII ენციკლოპედისტი დენი დიდრო (1713-1784). ისიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შეგრძნებებს. მაგრამ შემეცნება მას შეგრძნებებამდე კი არ დაჰყავდა, არამედ სამართლიანად მიუთითებდა, რომ ამ შემეცნებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შეგრძნებათა გადამუშავებას გონების მიერ, გრძნობათა ორგანოები მხოლოდ მონმეები არიან, მსჯელობა კი არის შედეგი გონების მოქმედებისა “მონმეებისაგან, მიღებული მონაცემების საფუძველზე“ (ნ. ა. კონსტანტინოვი, ე. ნ. მედინსკი, მ. ფ. შაბაევა — პედაგოგიკის ისტორია, თბ., 1964 წ., გვ. 97).

ოტია იოსელიანი მხატვრულად გაიაზრებს ამ კონცეფციებს და უჩვენებს, როგორ მწიფდება შინაგანად მოზარდი ზრდადასრულებულთა ფუნქციების შესასრულებლად. აი, რამდენიმე დეტალი: “მომიტანა საცალხელო და გადავზერხე კიდეც, მაგრამ ახლა გატოხვა უნდა, გატოხვას — სატოხი და ჩაქუჩი. ზაზამ ჩაქუჩი კი, მაგრამ სატოხი რაა, არც იცის. არც მე ვიცი, ყველაფერს როგორ ვაგნებ და ისე ვაკეთებ, თითქოს ხელი გაჩვეული მქონდეს, აქამდე თუ დამინახავს, თვარა ხო არ მიკეთებია” (“ვარსკვლავთცვენა”).

ამავე მოტივს ავითარებს მწერალი ნოველაში “ჩემი მინა”. გმირი ცხრა წლის ბავშვია, რომლის მამა ომშია, სოფელი შრომისუნარიანი მამაკაცებისაგან დაიცალა. საყანე დასახნავი და დასათესია: “რა ვქნა ახლა, — ყველა პერსონაჟი თავისი გასაჭირის შესახებ, - ამ ივნისში ცხრა წლის ვხდები, მაგრამ არც ტანად ვუქნივარ ღმერთს და არც ჯან-ლონით. ციებიან-ჭირიანი ნაკვდომიაზე ვარ. კარგი გამოცდილი მეხრე თუ არ გვეყოლებოდა, ხარების წინამძღვრობა კი მართებდა, მაგრამ ახლა ისე წახდა სოფელ-ქვეყან, კაცი ჩემზე დადგა. არადა, რაცა ვარ, კიდეც ერთი იმდენი ხნის მაინც უნდა ვიყო, რომ ასეთი მძიმე საქმისათვის გამოვდგე.

უნდა მოვეკიდო კავს!”

აქ მწერალი ადამიანის შესაძლებლობათა განუსაზღვრელობაზე აკეთებს აქცენტს და წერს: “თუ იცი, რომ სხვა გზა არა გაქვს და შეუძლებელი უნდა შეძლო, (ოღონდ უკან დასახევი გზა არ უნდა გქონდეს), შეძლებ... რწმენით აღჭურვილი კოლო მთვლემარე ლომს სისხლს გაუშრობს:” ნოველის გმირი, როგორც დავინახეთ, სრულიად მოუმნიფებელია ხვნა-თესვის მძიმე შრომისათვის, მაგრამ ბევრი ისეთი რამ იცის, რასაც სპეციალურად და გასაგებად არავინ ასწავლის, მაგრამ მაინც იცის, როგორც დენი დიდრო ამბობდა “დიდი მნიშვნელობა აქვს შეგრძნებათა გადამუშავებას გონების მიერ”. მაგალითად, იცის ისეთი არსებითი დეტალები, როგორიცაა: 1) “ხარს ან არ უნდა შემოჰკრა ან მართლა უნდა შემოჰკრა”; 2) “ხარებს თავიანთ დარდი აქვთ. როცა კავს და ღვლექს აწვალევენ, იციან ამას რა მოჰყვება.

უნდა იჩქარონ და მოაბდღვენი მობდღვნან, მაგრამ არ იციან, რამდენი წინ წავლენ, იმდენი ჩქარია და ღრმად წავა საყანეში სახნისი”; 3) ”უღელს ხარი თუ არ შეეჩვია, მითუმეტეს, წინადლით ნახედარს, დამაშრული კისერი აწუხებს”; 4) ”ხარი თუ მთლად დაჯანდაგებული და გულგაფუჭებული არაა, გაქაჩავს უღელს, ერთ მიწოლას მიაწვება, ბოლოს და ბოლოს, ამდენი ესმის, ხარია და ჭაპანი უნდა სწიოს. არა აქვს ამას ამ წუთს მნიშვნელობა, რო მეხრე ჰყავს, უღელს ვერცერთნაირი მეხრე ვერ შეუმსუბუქებს. ეს მერე, როცა ხვნას დაიწყებს, საით წავიდნენ და რა გზას დაადგეს, მეხრემ უნდა მართოს, დააკვალიანოს”; 5) “კარგად გახედნილ ხარს წინამძლოლი არც უნდა, პირველი ხნულის მერე გზას უკან ადგებიან და ნაოშს შუაში იქცევენ. არა და, სახრე რისთვისაა მოგონილი. მარცხენას რომ ფერდზე შემოკვრავ, ეს იმას ნიშნავს, რომ მარჯვნივ უნდა მიაწვეს და გაუხვიოს, რა თქმა უნდა, შემოკვრას გააჩნია, თუ ნელა და უმტკივნეულოდ — ოდნავ, თუ უფრო საგრძნობლად და მწვავედ, ესე იგი, ძალზე გაუმრუდებიათ კვალი და მაშინვე უნდა გაასწორონ, ან პირიქით, მარჯვნიდან მოხვდება და მარცხნივ უნდა წავიდეს, სანამ იქეთა მხრიდან არ შემოკვრავენ. თუ ორივეს გადაუშხივლებ, ეს იმას ნიშნავს, ფეხს უნდა აუჩქარონ”.

ცხრა წლის ბიჭი კაცად აქცია დიდმა საქმემ და დედას ასე მიმართავს: “მოკიდე მაგ სარქე ბანარს ხელი და გამიძეხი წინ, თავზე რომ დამდგომიხარ... ახლა კაცი ვარ. მხნელ-მთესველი, მოჭირნახულე, ბატონი და პატრონი. ვიცი, რა ჯობია და რასაც ვიტყვი, ის უნდა გაკეთდეს”.

ოჯახმა იგრძნო კაცის ძალა და იმედი მიეცა. პერსონაჟიც, თავის მხრივ, მიდის იმ დასკვნამდე, რომ ის ახლა მართლა არის ოჯახის პატრონი: “ხარები დედაჩემმა უნდა ჩამოაბრუნოს. მე კავი თუ ჩამოვითრე, ესეც როგორია, მაგრამ არა, მე! მე! მე ჩამოვაბრუნებ ხარებსაც, კავსაც, უღელსაც, მე დავხნავ, მე დავთესავ, დავფარჩხავ და ყველაფერს მე ვიზამ! აქ უკვე მე ვარ ყველაფერი, გაიგეთ, დედაჩემო და ბებიაჩემო, მაგ სამზადის ღია კარში რომ დამდგარხარ და პირჯვარს იწერ!” ოჯახში შეიცვალა ძალთა თანაფარდობა. “ერთი წელი კი არა, ერთი საათი რას ნიშნავს. რა ვიყავი მეწელან, სანამ თვალატირებულ ქალებთან ნაცარს ვქექავდი, ჩემკენ არც კი იხედებოდნენ და ასე რომ მეთქვა, არავინ გამიგონებდა. ვის სცხელოდა მიბჭუტულ კერიის ძირში მობუნძლული უგერგილო ბაღანას ჭირვეულობისათვის. ხეირიანი ჭირვეულობაც რომ არ ვიცოდი”.

კარგი მასწავლებლის პრობლემა ყოველთვის აწუხებდა სწავლულ პედაგოგებს. პედაგოგიკის ყველა კლასიკოსი დაუღალავად ეძებდა კარგი მასწავლებლის მომზადების პრობლემის გადაწყვეტის მეცნიერულ და მეთოდურ საშუალებებს. სკოლის სახეს ქადაგი მასწავლებელი განსაზღვრავს, რომელიც მოძღვრავს მოზარდ თაობას, არა მხოლოდ გადასცემს ცოდნას, არამედ შესწავლილისადმი დიდ სიყვარულსაც შთააგონებს. ამ შემთხვევაში შექმნილი ცოდნა მოსწავლისათვის იქცევა ძალად, რომლითაც ის წარმატებით გაუსწორებს მხარს რეალურ ცხოვრებას. ასეთ მასწავლებელს ხატავს მწერალი ოტია იოსელიანი რომანში “ვარსკვლავთცვენა”. მეორე მსოფლიო ომის კრიტიკულ პერიოდში, როცა ფართო გასაქანი ეძლევა მხდალებს, პანიკორებს და პოლიტიკურად ბეც ადამიანებს, გონიერი და განათლებული მასწავლებლის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, მის მაგალითზე ჯანსაღი ოპტიმიზმით იმსჭვალებიან მოსწავლეები. ეს ხდება არა მხოლოდ ომის, არამედ ნებისმიერი ისტორიული მოვლენის დროს. ამჯერად მწერალი ომის პერიოდზე ამახვილებს ყურადღებას და იგი ასეა გადმოცემული რომანში:

“მასწავლებელმა სათვალე გაკეცილ ფურცელზე დადო, მაგიდას იდაყვით დაეყრდნო და დაფიქრდა. მომეჩვენა, ახალბედასავით არ იცოდა, რით დაენყო.

– გაზეთს კითხულობთ, ალბათ... — თქვა მან ბოლოს და ჯიბიდან დაკეცილი, მუყაოსფერი ქაღალდი ამოიღო.

– ვკითხულობთ, — უპასუხა წინა მერხიდან ლადომ.

– სადაა გაზეთი?! — წამოცდა ტუხუიას და ჯირკვივით თავი ჩაკიდა.

– მდაა, — თავი დააქნია პლატონმა, — წინ მოიწევს... მართალია, მოიწევს, მაგრამ ისეც არაა საქმე, როგორც მტერს ეგონა.

ჩვენ ყურები ვცქვიტეთ, რადგან არც ერთმა არ ვიცოდით, რა ეგონა მტერს.

– არც ისეა საქმე, — გაიმეორა მან და გაზეთში “უკანასკნელი ცნობები” მოძებნა, — ჩვენს ჯარს უკვე აქვს გარკვეული წარმატებები, — მან ისევ აიღო სათვალე, მაგრამ არ

გაუკეთებია, ცალი ხელით დაიჭირა თვალებთან და ამოიკითხა: “მტერმა ამ შეტაკებაში დაკარგა ორასამდე ჯარისკაცი, ექვსი ტანკი, შვიდი ხელის ტყვიამფრქვევი და საზენიტო ქვემეხი”.

ეს ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს ხდება. მოსწავლეები ახალ კლასში პირველად ხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ კარგი მასწავლებლის შთამაგონებელმა საუბარმა — “არც ისეა საქმე, მტერს რომ ეგონა... მისი ელვისებური ომის გეგმა ჩაიშალა, მოსკოვი ხელუხლებელია, მოსკოვში მშენებლობაც არ შეჩერებულა, ჩვენ გავიმარჯვებთ” — იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოსწავლეებზე, რომ რომანის მთავარი გმირი გოგიტა იტყვის: “ნამდვილად დავიჯერე, რომ სხვა ახალ კლასში... კი არა, სხვა სკოლაში მოვხვდი”.

განუზომელია გონიერი მასწავლებლის ცოცხალი სიტყვის შთამაგონებელი ძალა. ამ რომანში მწერალი პლატონ მასწავლებლის კიდევ ერთ პედაგოგიურ ღირსებაზე მიაქცევს ჩვენს ყურადღებას. კერძოდ: მასწავლებელმა ტყუილი არ უნდა თქვას, მაგრამ არც ისეთი შიშველი სიმართლე არ უნდა უთხრას მოსწავლეს, რაც მის ცნობიერებას ზიანს მიაყენებს. პლატონ მასწავლებელი მიზანდასახულად არჩევს ფაქტებს იმისათვის, რომ თავის მოსწავლეებში გამარჯვების იმედი განამტკიცოს: “მოსკოვი ჩვენია! — პლატონი ყოველ დღით, როცა გუშინდელ მუყაოსფერ გაზეთს გაშლიდა, მონაფეებს გაკვეთილივით გვიხსნიდა, — მტრის წინსვლა შეჩერებულია, - მერე სათვალეს ცალი ხელით თვალებთან მიიტანდა, ცნობებს ჩაამტერებოდა, არ ამბობდა, რომელი ქალაქი დავტოვეთ, ან რომელი დასახლებული პუნქტისათვის ვიბრძოდით: ის კითხულობდა, რა დაკარგა მტერმა, სად გაუჭირდა მტარვალს, რა ზიანი მივაყენეთ და თუ სადმე რამე-ნაირად შევაჩერეთ”.

მასწავლებლის თემა ფართოდ არის წარმოსახული ტეტრალოგიაში “შავი და ცისფერი მდინარე”. მისი მთავარი პერსონაჟი ფარნა ამაღლობელი პედაგოგია, ისტორიას ასწავლის სოფლის სკოლაში. ომის წლებში ის სკოლის დირექტორიც იყო. ამიტომ მასწავლებლებთან ურთიერთობაში უფრო მასშტაბურად ავლენს თავის პედაგოგიურ შეხედულებებს და მეთოდურ გამოცდილებას. ამ თვალსაზრისით ქრესტომათიული ღირსებებით გამოირჩევა რომანის მეორე წიგნის მეორე ნაწილის მესამე თავი. მწერლის ღრმა რწმენით, “მონაფეს უნდა სჯეროდეს, რომ მასწავლებლის პირით ჭეშმარიტება ღალადებს”. ეს პრობლემები იჩენს თავს რუსული ენის მასწავლებლის პრაქტიკაში.

სოფლის სკოლის რუსული ენის მასწავლებელი მედეა ცირეკიძე უკმაყოფილებას გამოთქვამს სწავლისადმი მოსწავლეთა გულგრილი დამოკიდებულების გამო.

– დედას გეფიცები, პირდაპირ არ ვიცი... აუტანელია, შეუძლებელია ასეთ ბავშვებთან მუშაობა... მე რომ მაგათი ხნის ვიყავი და “მუმუ” ნავიკითხე, მთელი ღამე ტირილით გავათენე...”

მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების მცოდნე პედაგოგ ფარნას სხვა მოსაზრება აქვს მედეა ცირეკიძის შთაბეჭდილებებზე და შენიშნავს:

„ბავშვებთან ნუ ჩაიდენთ ამას, მონაფეს უნდა სჯეროდეს, რომ მასწავლებლის პირით ჭეშმარიტება ღალადებს. ფიცით, ან ზედმეტი დარწმუნებით საქმე უარესდება... ბავშვებმა იციან, რომ ფიცი სიცრუის გასამართლებლადაა მოგონილი. არ ვამბობთ, რომ თქვენ ტყუიხართ, მაგრამ უნებური ჩვეულება პატარებს ისე, არ ესმით, როგორც ჩვენ. ისინი, ჯერჯერობით სიტყვას პირდაპირი მნიშვნელობით იგებენ”.

რომანის ამ ნაწილში ოტია იოსელიანი უხვად გვიზიარებს თავის ორიგინალურ პედაგოგიურ მოსაზრებებს მოსწავლისა და მასწავლებლის ცოდნას შორის შეფარდებითი დამოკიდებულების, დოზირებული სწავლების, ცოდნის მასშტაბების შესახებ.

პირველი — შეფარდებითი დამოკიდებულება მოსწავლისა და მასწავლებლის ცოდნას შორის. ეს რთული პედაგოგიური პრობლემაა, რომელიც ბევრი პედაგოგისათვის დღემდე გაუაზრებელია. მაგალითად, ზოგიერთი პედაგოგისაგან გაგვიგონია: “ფრიადს ვერ დავუნერ მოსწავლეს, რადგან ფრიადზე მე თვითონ არ ვიცი ეს საგანი”. მასწავლებელი მართალია ამ მოსაზრების მეორე ნახევარში — მან მართლაც არ იცის ეს საგანი ფრიადზე... მის კოლეგებთან შედარებით. მაგრამ მოსწავლის ცოდნის შეფასება “ფრიადზე” უნდა მოხდეს არა პედაგოგის ცოდნის ფონზე, არამედ სასწავლო პროგრამის მოთხოვნების ფონზე. ოტია იოსელიანის რომანის გმირი ამ ცოდნას შენიშნავს მისი სკოლის რუსული ენის მასწავლებელში და თავაზიანად მიმართავს: “ნურც იმას ცდილობ, შენმა მონაფეებმა სხვაზე მეტი გაიგონ და ერთბაშად იცოდნენ ყველაფერი ის, რაც შენ იცი”.

რუსულის მასწავლებელს უჭირს ამ იდეის გაცნობიერება და იმის გამო, რომ წარმოდგენა არა აქვს დოზირებული სწავლებისა და მოსწავდომობის დიდაქტიკური პრინციპის მოთხოვნებზე, გაკვირვებული იკითხავს: “ესე იგი, რაც ვიცო, არ გადავცემ!” ფარნა განუმარტავს: “შეუძლებელია ბავშვებმა იცოდნენ ტურგენევის ადგილი რუსულ ლიტერატურაში, მისი მსოფლიო მნიშვნელობა და უსიამოვნება ტოლსტოისთან: “ახლა მათ უნდა ისწავლონ “მუმუ”, მაგრამ ისე კი არა, როგორც ჩვენ გვესმის, ან იმ რუს ქალბატონს და მუნჯ მსახურს, ისე კი ვერ გაიგებენ, როგორც სხვადასხვა ფენისა და კლასის წარმომადგენლები. ჯერჯერობით უნდა გაიგონ, როგორც ავი და კარგი... თუ მაინცა და მაინც, ბოროტი და კეთილი, როგორც ეს ზღაპარშია და ამისათვის კი არ უნდა იტირონ, უნდა მიეჩვიონ, რომ ტირილი საქმეს არ შეეღობება. უნდა გაბრაზდნენ სიავეზე... ანდა, ჯერჯერობით, არც ესაა საჭირო. შეიძლება სიავე და თანაუგრძნონ დაჩაგრულს... ესეც თავის თავად... თუ მე და შენ დავაძალებთ, იქნებ ესეც საორჭოფო გავხადოთ”.

მსჯელობის მომდევნო ნაწილში მასწავლებელი მისდაუნებურად გამოავლენს საცოდავ შეზღუდულობას და იტყვის: “არ ვიცო, პირდაპირ, როგორ შეიძლება მოუსმინო ბავშვს, რომელიც უბრალოდ... ვიტყვი, რომ გულგრილად ყვება ასეთი მშვენიერი ფინიას დახრჩობის ამბავს. ჩვენ ხომ ბავშვებში უნდა აღვზარდოთ მგზნებარე სული?” ამაზე ფარნა დინჯად და ცხადად განუცხადეს მასწავლებელს: “ჩვენ უნდა აღვზარდოთ კეთილი და არ მგზნებარე, ამბოხებული, კაცის სიკეთისათვის რომ კაცს ჰკლავს”. ამ დებულებაში ჩვენ იდეოლოგიზებული საბჭოთა სკოლის აღმზრდელობითი მიზნების კრიტიკას ვკითხულობთ, სკოლისას, რომლის აღზრდილმა პავლიკ მოროზოვმა საკუთარი მამა დაასმინა ხელისუფლების წინაშე. ეს არ უნდა განმეორდეს ჩვენს სინამდვილეში.

საინტერესოდ იკითხება ნაწარმოებში პედაგოგიური პედანტიზმის კრიტიკა. პედანტიზმი ყველაფერში ცუდია და ათჯერ უფრო ცუდია, როცა იგი პედაგოგის საქმიანობაში ვლინდება. გადმოცემის მიხედვით, პედანტის ტიპურ სახეს ავლენდა ალექსანდრე პუშკინის მასწავლებელი, რომელიც მთემადიკას ასწავლის ლიცეუმში. დაწყებით სკოლაში პუშკინმა ვერ ისწავლა ოთხი მოქმედება მათემატიკაში. მიამატებდა თუ გამოაკლებდა, გაყოფდა თუ გაამრავლებდა, პასუხად ყოველთვის 0-ს მიუწერდა. ერთხელაც ასეთი “ცოდნა” რომ გამოავლინა, მასწავლებელმა უთხრა: “შენ, პუშკინო, ცხოვრებაშიც ნული იქნები, თუ მათემატიკას არ ისწავლი”.

პედანტიზმის ტყვეობაში ხატავს ოტია იოსელიანი სოფლის სკოლის რუსული ენის მასწავლებელს, რომელსაც ვერ წარმოუდგენია ნორმალური ბავშვი ქვეყანაზე ტურგენევის “მუმუს” წაკითხვის გარეშე: “ბავშვმა “მუმუ” არ წაიკითხოს?” ფარნა ამალლობელისათვის უცხოა პედაგოგიური პედანტიზმი და ცხოვრებაზე მისთვის დამახასიათებელი ჯანსაღი შეხედულებებით პასუხობს: “ტურგენევის არ წაუკითხავს “მუმუ”. მწერალი კიდევ უფრო ღრმად გვახედებს პედანტიზმისათვის დამახასიათებელი პოზიციების საცოდაობაში და ფარნას არგუმენტით გაკვირვებული პედაგოგის სახეს ასე გვიხატავს: “ტურგენევის არ წაუკითხავს? - მედულიმ თავი მოაბრუნა და დირექტორს გაკვეთილის უცოდინარ მონაფესავით მიაჩერდა”. ფარნა განაგრძობს პედანტიზმის მხილებას: “არ წაუკითხავს და დაწერა... ნუ ვიფიქრებთ, რომ ჩვენ უკეთესი ბავშვები ვიყავით, ან თვითონ ტურგენევი იყო ციდან ჩამოვარდნილი”. ამასთან დაკავშირებით მწერალი კიდევ ერთ საგულისხმო კონცეფციას გვთავაზობს: ცოდნის შინაარსისა და ხარისხის დროით, ეპოქით განსაზღვრულობის შესახებ. ჩვენი ცოდნა არ შეიძლება იყოს აბსტრაქტული, მონყვეტილი დროსა და სივრცეს. თუ ცოდნა ძალაა, იგი მაშინ იქნება ძალა, როცა ცხოვრებისეული ამოცანების გადაწყვეტაში დაეხმარება პიროვნებას. ამ თვალსაზრისით განაგრძობს ფარნა ამალლობელი საუბარს სკოლის მასწავლებელთან, რომელსაც მაინც ვერაფრით ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება “მუმუ” არ წაიკითხოს მოსწავლემ და სანიმუშოდ საკუთარი ბავშვობა აქვს მხედველობაში: “მაგრამ, ჩვენ რომ წავიკითხეთ...”

– ჩვენ რომ წავიკითხეთ “მუმუ”. სხვა დროს წავიკითხეთ “მუმუ”... სხვა დროს... სხვა მშვიდობიანობის დროს.

– ახლა, რა, ომი რომაა... არ ვიცო, პირდაპირ, “მუმუსთან” კავშირშია?

– დიახ, როცა მამას, ბიძას, ძმას და ახლობელს უკლავენ, ბავშვის ფსიქიკა გაუხეშდა. ამდენად, ძაძამ და ცრემლმა ფასი დაუკარგა... კინოში, გერმანელის გარდა, მათი საყვარელი

გმირიც ელუბება. ამას გარდა, ჩვენი სოფლის პატარებმა კი არა, უფროსებმაც არ იციან რუსული ენა და უჭირთ იმის აღქმა, რაც ასო-ასოთი ძლივძლიობით ამოიკითხეს..”

ეს პედაგოგიურად და ფსიქოლოგიურად უაღრესად პრინციპული თემების შესახებ საუბარი ბოლოს მაინც მასწავლებლის ავტორიტეტის, მასწავლებლის პიროვნული ღირსებების საკითხებზე ყურადღების გამახვილებით მთავრდება. მასწავლებელს, რომელიც კლასის დასჯის თხოვნით მოვიდა დირექტორთან, დირექტორი ასეთ კითხვას შეაგებებს:

– მაინც გინდათ გამოგყვეთ და მოსწავლეები დავტუქსო, ან დავსაჯო იმისათვის, რომ მთელმა კლასმა ერთხმად არ იცოდა გაკვეთილი?

– თუ თქვენთვის ეს ძნელია...

– არა, ძნელი არაა, მაგრამ ცუდია... თქვენ ბავშვები დასმენისათვის შეგიძლებენ. დამსმენელი და გამცემი თუ ვინმეს სძულს, ბავშვებს სძულთ. შენ, პირიქით, მათი სიყვარული უნდა მოახერხო”. სკოლის დირექტორი ურჩევს მასწავლებელს დაეკითხოს სკოლის სხვა გამოცდილ მასწავლებლებსაც — როგორ მოიქცეოდნენ მის ადგილას. მაგრამ მასწავლებელი ასე ადვილად ვერ იცვლის თავის რწმენას. ვერც რუსულის მასწავლებელმა სძლია თავის თავს და პასუხად ეს მიუგდო დირექტორს: ”მაგრამ მე ბავშვებს დავემუქრები, დირექტორს ვეტყვი-მეთქი... ხომ იფიქრებენ... დირექტორი კვლავ მასწავლებლის პიროვნების დაფასებას ასწავლის თავის თანამშრომელს: ”მართალია, შენ შენი უმწეობა დაანახვე, მაგრამ ახლა ეცადე, რომ ამაში არ დარწმუნდნენ.”

მასწავლებლის თემას არაერთგზის მიუბრუნდა მწერალი ნოველებსა და რომანებში. მიაჩნია, რომ მასწავლებელი მთავარი ფაქტორია სკოლაში კარგად სწავლებისა და წარმატებულ აღმზრდელობით პროცესში. ამიტომ კარგი და ნიჭიერი პედაგოგების გვერდით ოტია იოსელიანი ხშირად ხატავს სუსტ პედაგოგებსა და პედაგოგიური პროფესიისაგან შორს მყოფ სოფლის სკოლის სამხედრო მასწავლებელს. მწერალი თვლის, რომ შეჭირვებულ და პატიოსან კაცს ყოველმხრივ უნდა აღმოუჩინო დახმარება, მაგრამ არა სკოლის და მოსწავლეების ხარჯზე. უდავოდ დადებითი პიროვნებაა აქვსენტი აფხაძე, მაგრამ ომიდან ცალხელა და დაინვალიდებული კაცი სკოლის მასწავლებლად არ უნდა დაენიშნათ. სასკოლო ცხოვრების კარგად მცოდნე ფარნაც შეცდა და დიდი ხვენწა-მუდარით განათლების განყოფილება ძლივს დაითანხმა აქვსენტი აფხაძე სამხედრო მასწავლებლად დაენიშნა. თვითონ ხეიბარს, თითქოს ამის სურვილი არ ჰქონდა, იცოდა, რომ მასწავლებლობა პროფესიაა, რომელიც მისთვის უცხო იყო. მაგრამ ცალხელა ინვალიდი სოფელში სხვა საქმისათვის ფაქტობრივად გამოუსადეგარია. აქვსენტი დაინიშნა სამხედრო მასწავლებლად და მისთვის იმდენად უცხოა სწავლების პედაგოგიური მხარე, რომ ”ერთი-ორის” გარდა მწყობრში მოსიარულე მოსწავლეებისათვის ”სამი-ოთხიც” რომ უნდა ეთქვა, ამაზე არ უფიქრია. მწერალი შენიშნავს: ”ერთი აურზაური ჰქონდათ ბავშვებს: უღერდნენ ”თოფებს” ერთმანეთს და მასწავლებელსაც... ვერაფრით ვერ დაამგვანა გაკვეთილი გაკვეთილს”.

მასწავლებლის პიროვნება ფართო თვალსაზრისით არის გააზრებული ოტია იოსელიანის პედაგოგიურ კონცეფციებში. მწერალი თვლის, რომ ღირსეული პედაგოგის მისიას ვერ განახორციელებს პიროვნება, რომელიც პირად ცხოვრებაში უღირსი წეს-კანონებით მოქმედებს. რომანის ”ქალი გამოვიდა სალაღატოდ” მთავარი პერსონაჟი ნუცა ალავიძე პროფესიით პედაგოგია, მიღებული აქვს უმაღლესი პედაგოგიური განათლება, მაგრამ როგორც პირად ცხოვრებაშია მოკლებული რომანტიკას და ამაღლებულ მიზნებს, ისევე უსახური და უინტერესოა სასკოლო ცხოვრებაში. მწერალი ამხელს პედაგოგიური პროფესიისათვის შეუფერებელ პიროვნებას: ”შენ ბავშვებთანაც ვერ იპოვე ის სინაფილე და ერთგულება, რომელსაც უნდა წარეტაცე, რომელიც უნდა ყოფილიყო შენი საქმის მამოძრავებელი ღერძი, რომლითაც უნდა გეცხოვრა. საუბედუროდ, შენ მხოლოდ მეოცნებე არ იყავი. შენ ხედავდი სინამდვილეს, როგორიც იყო; ვერც ქმნიდი ისეთს, როგორმაც გაგძლებოდა, და არც ისეთის გამოგონება შეგეძლო, რომლითაც უნდა გეარსება”. ნუცა ალავიძისათვის უცხოა პედაგოგიური რომანტიკა. მის გარეშე კი სასკოლო ცხოვრება უსულო და მოსაბეზრებელი სინამდვილეა. ასეთ ადამიანებს მწერალი შეახსენებს, რომ ”სინამდვილე ან არასოდეს არაა ის, რაც გვინდა, ან თუ იგი მაინც არსებობს, ყოველთვის ჩვენგან მოშორებით, მიახლოებისთანავე იმდენივე მანძილით გვშორდება”.

ნუცა ალავიძის ანტიპედაგოგიურ ქცევებში განსაკუთრებით საშიშია ის, რაც დაკავშირებულია ბავშვის ბუნების უცოდინარობასთან. ნუცა არ იცნობს ბავშვს, ამის გამო მან

ბავშვებს ვერ აპატია ან ერთხელ აპატია ტყუილი, ეშმაკობა და სიზარმაცე. თითო-ოროლას, მართლა ბეჯითებისა და გულწრფელების გამორჩევა არც შეეძლო და არც უქნია. "დარჩი შენ შენთვის და ისინი თავისთვის. შენ ასწავლიდი საგანს და ისინიც, რა ჭკუისა და უნარის პატრონიც იყვნენ, იმის კვალობაზე სწავლობდნენ". მწერლის ღრმა რწმენით, ასეთი ადამიანების სამსახური მხოლოდ მოვალეობის მოხდაა, რაც მომაკვდინებლად მოქმედებს სკოლაზე. ამიტომ მწერალი ოტია იოსელიანი ასეთ უკომპრომისო ბრალდებას უყენებს მხოლოდ მოვალეობის კარნახით მომუშავე მასწავლებელს: "სინამდვილეში შენი ცხოვრებით არ ცხოვრობდი და არ იყავი ის, რაც ხარ. ვინც ის არაა, ვინც უნდა იყოს, ის არც არსებობს".

რომანის ამ ეპიზოდზე დაკვირვება ერთხელ კიდევ გვარწმუნებს იმაში, რომ ოტია იოსელიანის პედაგოგიურ კონცეფციებში წინა პლანზეა წამოწეული პრაქტიკული პედაგოგიკის აქტუალური საკითხები და მკითხველს ქმედით სამსახურს უწევს.



როგორც ქორწინებაა ღვთიური საიდუმლო, დაახლოებით ასეთივე საიდუმლოს წარმოადგენს ოჯახში შვილის აღზრდა. აღზრდაში რეცეპტები არ არის და მით უმეტეს ოჯახურ აღზრდაში. პედაგოგიკის თეორეტიკოსები გმობენ მშობლის ზედმეტ მეურვეობას შვილის მიმართ, მიაჩნიათ, რომ ასეთ პირობებში აღზრდილი ახალგაზრდა ჩამოყალიბდება უნებისყოფო, დამოკიდებულ, უინიციატივო პიროვნებად. ოტია იოსელიანი განსხვავებულ კონცეფციას გვთავაზობს. შეიძლება მშობელი მართლაც ზედმეტ მეურვეობას უწევს შვილს, მაგრამ ახალგაზრდა თუ კრიტიკული აზროვნების უნარით არის დაბადებული და საგნებსა და მოვლენებზე საკუთარი შეხედულებები გააჩნია, მშობლის ზედმეტ მეურვეობას მხოლოდ ზრუნვად ჩათვლის, საიდანაც მშობლისადმი შვილის უსაზღვრო სიყვარული ამოიზრდება. რომანში "ტყვეთა ტყვე" ამ პრობლემებსაც ეხება მწერალი. ტიპურ საშუალო გერმანულ ოჯახში იზრდებოდა კლაუსი, რომელიც, როგორც ჯარისკაცი, ახლა საბჭოთა სარდლობის სამხედრო ტყვეა. ომში გატარებული კლაუსის ყოველი დღე დედასთან ფიქრებში მიმდინარეობს. დაჭრილი კლაუსი იგონებს დედის სიტყვებს, რომელიც ომში განწვევის წინ უთხრა: "შენ რომ რაიმე მოგეწიოს, შეტყობინება არ მინდა. ისედაც ვიგრძნობო. მითხარი, მე რომ დამჭრეს, დედაჩემს ეცოდინება?"

- შენ გინდა, რომ იცოდეს?
- არა, ჰანს, არაფერი არ მინდა.
- არც ეცოდინება და ვერც ვერასოდეს გაიგებს.
- გაიგებს, — დარწმუნებით ამბობს კლაუსი".

აი, ასე უსაზღვრო სიყვარული აქვს დედის მიმართ კლაუსს, მაშინ როცა დედა ქმრის ლალატის შემდეგ მხოლოდ შვილის ინტერებით ცხოვრობს, მხოლოდ მის წესიერად აღზრდაზე ფიქრობს: "რამოდენა ბიჭი გახდა კლაუსი და სკოლაში მარტო არ უშვებდა. გაკვეთილების დამთავრებამდე სამსახურიდან გამოიშვებოდა და ბუტერბროდები მიჰქონდა, გაკვეთილების შემდეგ გზაში ელოდა. კინოშიც ერთად დადიოდნენ და ნიგნების მალაზიაშიც. ბიჭი ეზოში სათამაშოდ რომ ჩამოდიოდა, დედას ფანჯრები ღია ჰქონდა. დანოლის წინ ალოცებდა. ნიგნს ჯერ თვითონ გადაათვალიერებდა და მერე აკითხებდა შვილს".

კიდევ ჰქონდა კლაუსის დედას ერთი გამორჩეული, ჩვენ ვიტყვით, მაღალზნეობრივი თვისება. ქმარგაყრილი შვილს "მამას არ უგინებდა", იმიტომ კი არა, რომ ქმარი უყვარდა, არა, ეშინოდა, შვილს კაცთმოძულეობა არ გაეგო". ეს ჭეშმარიტად კარგი თვისებაა, რომელიც მოზარდში განამტკიცებს პატივისცემას ადამიანების მიმართ. მაგრამ ძალიან არ მოსწონდა დედას, როცა მისი კლაუსი გოგოებზე ლაპარაკობდა: "შარშანწინ კლაუსმა რომ იგრძნო მისი კლასელი მეგობარი ულა ყველაზე უკეთესი გოგო იყო, დედას მამინვე უთხრა, ეგონა გაახარებდა, მაგრამ იგი ამ ამბავს გულგრილად შეხვდა. კლაუსი მერე მიხვდა, რომ დედას არ სიამოვნებდა, როცა ბიჭი გოგონებთან გაივლიდა ან მათზე სიტყვას ჩამოაგდებდა". მწერალი თავის ორიგინალურ შეხედულებებს ოჯახში შვილის აღზრდის შესახებ კარგად ამყლავნებს, როცა მიუთითებს, რომ კლაუსი არ აღმოჩნდა დაბეჩავებული მშობლისაგან გადაჭარბებული მეურვეობის გამო. პირიქით, დედის მზრუნველობამ მასში გაამახვილა მშობლისადმი სიყვარული და ერთგულება, მაგრამ ვერ ჩაკლა ჭაბუკში დამოუკიდებელი შეხედულებები

ადამიანებზე; მწერალი მიგვანიშნებს, რომ "შვილს მშობლის წყენინება არ უნდოდა, მაგრამ გოგოებიც ძნელი დასათმობი იყო, მითუმეტეს – ულა".

დასჯა-ნახალისების პრობლემაც აღზრდის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ნახალისების გარეშე აღზრდის ეფექტი უმნიშვნელო იქნება, მაგრამ დასჯის გარეშე აღზრდას ეფექტი საერთოდ არ ექნება. ანტონ მაკარენკომ აღზრდის ახალი, დემოკრატიული სისტემა ჩამოაყალიბა, - აღსაზრდელის პიროვნებისადმი პატივისცემის პრინციპზე დამყარებული - და მოითხოვდა აღსაზრდელში, პირველ რიგში, დადებითი თვისებების აღმოჩენას, მაგრამ დასჯა ვერ უარყო. მართალია, ის სჯიდა არა პიროვნებას, არამედ რაზმს, რომელსაც დამნაშავე პიროვნება ეკუთვნოდა, მაგრამ დასჯა, როგორც აღზრდის მეთოდი, მის პედაგოგიურ სისტემაში რჩებოდა. ამისათვის მას ეკამათებოდნენ: დასჯა მონას აღზრდისო. ხშირად დასჯის შედეგად, შიშის შედეგად ბრმად მორჩილი, მონური სულისკვეთების პიროვნება აღიზრდებაო, მაგრამ თავის ოპონენტებს მაკარენკო კატეგორიულად პასუხობს: დაუსჯელობა ხულიგანს ზრდისო".

ოტია იოსელიანი ნოველაში "ავტომანქანის გატაცება" ამ პრობლემას წამოჭრის და ცხოვრების კარნახით აყალიბებს თავის კონცეფციას: შეუმცდარი არავინ არის, მაგრამ შეცდომები არ უნდა განმეორდეს. ნოველის პერსონაჟი ანდრო "ფრთხილად და წინდახედულად ერეოდა" შვილების აღზრდაში, მათგან არავითარი სიცვლექე და უცნაურობა არ უკვირდა" და ფიქრობდა: "შეიძლება მოხდეს დიდი უსიამოვნება, ფათერაკი და დანაშაულიც კი, მაგრამ ყველაფერს ეშველება, თუ ის აღარასოდეს განმეორდება". რომ არ განმეორდეს დანაშაული, მწერლის აზრით, ქმედითი მექანიზმი უნდა გვექონდეს ხელთ აღმზრდელებს. ეს არის დასჯა: "დანაშაული, როგორი უმნიშვნელოც არ უნდა გეჩვენოს, დაუსჯელი არ უნდა დატოვო, თუ გინდა ის აღარ განმეორდეს, ან უარესი არ მოხდეს".

დასჯის მექანიზმის ოპტიმალური გამოყენება დაკავშირებულია ბევრ რამესთან: აღმზრდელის ავტორიტეტთან, აღსაზრდელის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებთან და ა. შ. მაგრამ ყველაზე არსებითი, პედაგოგიური თვალსაზრისით, არის ის, რომ დასასჯელი ქმედება, ანუ რისთვისაც აღსაზრდელი უნდა დაისაჯოს, აუცილებლად დანვრილებით უნდა იქნეს გაანალიზებული, დასაბუთებული და რაც მთავარია, თვითონ დასასჯელი უნდა იყოს დარწმუნებული თავის შეცდომა-დანაშაულში. მწერალი გვიჩვენებს: "დასჯას დაუსჯელობა სჯობია, თუ... გამოწვლილვით არ იცი, რისთვის სჯი".

მწერალი აბსოლუტურად გამორიცხავს დასჯაში ფიზიკური დასჯის სახეს და ყვირილს, რაც აღსაზრდელის პიროვნების შეურაცხყოფას ნიშნავს. აღმზრდელი არაპედაგოგიურად იქცევი, თუ "აყვირდი, ან კიდევ უარესი — წაუთაქე".

ნოველა "მანქანის გატაცებაში" დასჯა წარმოსახულია არა ძალის, არამედ მორალის ასპექტში. მშობელი მამა შვილის წარმოდგენაში პატიოსნების განსახიერებაა. "ზალიკოს მამა, - წერს მწერალი, - მგონი იმიტომ უყვარდა და პატივს სცემდა როგორც მამაკაცს, რომ მასთან ოღონდ სიმართლე გეტქვა და ყველაფერს გაამართლებდა". ანდროს, როგორც მშობლის კიდევ ერთი საუკეთესო თვისებაა: "როგორი უმნიშვნელო დანაშაულს დაფარვაც არ უნდა გეცადა და სიმართლე დაგემალა, მაშინვე მის თვალში იგი ჯოჯოხეთად იქცეოდა. შვილებს არ შეეძლოთ ეცრუათ, რაკი იმათი ჩადენილი დანაშაული არასოდეს არ იქნებოდა იმაზე დიდი, რაც თვით სიცრუე". როცა ამ ღირსებებით არის შემკული მამა მშობელი, აღზრდის ეფექტიც მნიშვნელოვანია. ეს ჩანს მამასთან საუბრის შემდეგ ზალიკოს განწყობილებაში. მამამ დატუქსა, მაგრამ შეურაცხყოფა არ მიუყენებია. ამიტომ საძინებელში შესული ზალიკო შესაშურ სიმშვიდეს ინარჩუნებს. არ აფორიაქებულა, წონასწორობა არ დაუკარგავს: "ზალიკომ ფრთხილად გამოალო კარი, ფეხაკრებით გავიდა ოთახში, სადაც უმცროს ძმას ეძინა. გაიხადა შარვალი, ნაკეცებში გაასწორა, სანოლის თავს გადადო, პერანგს საყელო გაუსინჯა, ისე ხომ არ გაუჭუჭყიანდა, რომ ხვალისათვის არ გამოდგესო. ფეხსაცმელები წყვილად სანოლის ქვეშ დაალაგა. წინდები ჩაჩარა და ლოგინში ჩაწვა."

ნოველა მთავრდება ფრაზით "ხვალ რა იქნება, წინასწარ არავინ იცის". არავინ იცის, სიყვარულის კარნახით რა ნაბიჯს გადადგამს ხვალ ზალიკო, მაგრამ ვიცით, რომ აბსურდულ ნაბიჯს არ გადადგამს.

ნიგნიერების აღზრდა სკოლის და უმაღლესი სასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა. შესაბამისად, ახალგაზრდამ სწორედ სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის ასაკში უნდა შეიძინოს ნიგნიერება. ნიგნიერებაში ჩვენ ნიგნიერი აზროვნების ჩამოყალიბება

გვესმის. მაგრამ მწერალი თვლის, რომ წიგნიერების კულტურის შექმნას თავისი დრო აქვს, რომლის გასვლის შემდეგ წიგნის კითხვას უკვე აღარ მოაქვს სარგებლობა. უნდა აღვნიშნოთ, რომ წიგნის კითხვისადმი ამგვარი კრიტიკული დამოკიდებულება პირველად სწორედ ოტია იოსელიანის შემოქმედებაში დავინახეთ. ნოველაში "ქალი მაინც ქალია" მოხუცი პერსონაჟი კირილე ასე გვიმხელს წიგნთან დაგვიანებული დამეგობრობის "სიკეთეს". წიგნს ვკითხულობ, რანაირათაც მე მეყურება, მარა სიბერეში რო საქმეთ გვიხდი, რისი მკეთებელიც თავიდან არ ყოფილხარ, ძნელი ყოფილა. ვკითხულობ, მარა თანდათან ვატყობ, რასაც მე ვგებულობ, მარტო ამისათვის ამოდენა შრომას ჯერ დამწერი არ განევედა და, მერე, ამდენ ქალაქს და ხარჯს არავინ იზამდა, რაცხა, ბევრი რამე არ მეყურება". ამ სიტყვების მთქმელის ტრაგედია სიჭაბუკეში წიგნიერების კულტურის ჩამოუყალიბლობაშია, რაც ყოველთვის უნდა ახსოვდეთ ახალგაზრდებს და მათ აღმზრდელებს.

მწერლის შეხედულებით, კერძო პიროვნებისაგან განსხვავებით, ხალხის წიგნიერება-უწიგნურობას სოციალური საფუძველი გააჩნია და იგი ხელისუფლების საზრუნავი უნდა იყოს. სამწუხაროდ, საბჭოთა იდეოლოგია, რომელიც სიკვდილივით უფრთხოდა განსხვავებულ იდეოლოგიურ შეხედულებებს, შეგნებულად არიდებდა თავს ხალხის ფართო მასების წიგნთან ურთიერთობას. ოტია იოსელიანის ნოველაში რკინიგზის დარაჯი, რომელსაც თავსაყარად აქვს თავისუფალი დრო, ისიც არ კითხულობს წიგნს თავისუფალ დროს. ეს დრო კი გახლავთ ჩავლილი მატარებლის გაცილებიდან ახალი მატარებლების გამოჩენამდე: "საჩინო, როგორც სხვა არავინ, კითხვით არაფერს კითხულობდა. სოფელში კოლექტივის გლეხი სჭირდება და არა მკითხველი. ქალაქში — მუშა და არა მწიგნობარი. ჩვენში, დიდი ხანია, ვინმეს ხელში რომ სქელ-სქელ წიგნებს დაუნახავენ, ცოტა საეჭვო თვალთაც კი უყურებენ, მითუმეტეს, სამსახურში ხომ აკრძალულია და აკრძალული. რომელი თავმჯდომარე — დირექტორ — აღმასკომ-რაიკომი დაარღვევდა წესს და კანონს, ისიც ისეთი უსარგებლო საქმისათვის, როგორც წიგნის კითხვა და ამისათვის თავს ან თვითონ რატომ აიტკივებდა, ან ხელქვეითს აუტკივებდა ("კარიერა"). ეს მწერლის მხატვრული გამოწვინი დეტალი არ არის, ამაზე მეტყველებს საბჭოთა პერიოდის ფოლკლორული ნაწარმოები. რაიკომის მდივნის დავალებით ერთ თანამშრომელს თავაძეს თურმე მთელი დღე ეძებდა რამდენიმე კაცი. არ დაუტოვებიათ არც მილიცია, არც საავადმყოფო, არც რესტორან-სასადილო, არც საცხოვრებელი ბინა, არც ახლო მეგობრები, მაგრამ ვერ იქნა და ვერ შეასრულეს რაიკომის მდივნის დავალება. გვიან საღამოს თავისი ფეხით მივიდა რაიკომში ძებნილი კაცი. ყველამ გაიკვირვა — საიდან გაჩნდი, სად იყავი დაკარგული, რომელ მიუგნებელში იყავი მთელი დღეო? "აქვე, რაიონის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში წიგნს ვკითხულობდიო" — უპასუხა თავაძემ. "ბიბლიოთეკა სულ არ გაგვხსენებიაო", — იმართლეს თავი მძებნელებმა.

წიგნი ერი კაცის ცხოვრების მოდელს ხატავს ოტია იოსელიანი რომანში "შავი და ცისფერი მდინარე". ფარნა ამაღლობელი განათლებული პედაგოგია, მაგრამ წიგნი მისთვის არის არა მხოლოდ ცოდნისა და ინფორმაციის წყარო, არამედ ცხოვრების მეგობარი. "წიგნი-მეგობარი" კულტუროლოგიური პრობლემაა და ფართო პლანით მხატვრულ ნაწარმოებში პირველად ოტია იოსელიანმა წარმოსახა. რომანის მთავარი პერსონაჟი ფარნა ამაღლობელი წიგნით ცხოვრობს. არა, ის არ არის წიგნით შეზღუდული ინტელიგენტი, ფარნა ამაღლობელი სოფლის კაცია და ღირსეულად უსწორებს მხარს სოფლის ცხოვრებას, მაგრამ აზროვნებს წიგნიერად, წიგნი მისი განუყრელი მეგობარია: "ძმიშვილებს კარგა ხანია ეძინათ. ფარნა ჩანეულ, ქუდიან ლამპასთან გაშლილი წიგნი ედო. ედო ჩვეულებისამებრ, იმედად, მეგობრად. მაგრამ ახლანდელ მის ჭირს ეს უანგარო "მეგობარიც" ვერ შველოდა... წიგნი იყო მუდამ ჩემი ხსნა და შველა". მაგრამ სხვა ადგილას მწერალი კრიტიკულად უდგება წიგნით ცალმხრივ გატაცებას. მას არ სწამს უკიდურესობები არაფერ საქმეში და მითუმეტეს წიგნთან დამოკიდებულებაში. თავის დროზე დიდი ილიაც აფრთხილებდა საზოგადოებას "არც უწიგნურობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გადმოხედვა". ოტია იოსელიანი, როგორც პრაქტიკული პედაგოგიკის ოსტატი, წიგნის ადგილს ადამიანის ცხოვრებაში აფასებს რეალური ცხოვრებისათვის ახალგაზრდობის მომზადების თვალსაზრისით. "ჩვენში კაცი თუ ხელს გაანძრევს, შიმშილით არ უნდა მოკვდეს. ეს ბავშვებმა აქედანვე უნდა იცოდნენ... ბოტანიკის წიგნში დახატული ბალახის სახელი კიდევ რომ დაიხეპიროს, ბუნებაში ვერ იცნობს. სხვადასხვა

კუთხეში სხვადასხვა სახელს ეძახიან. მცენარე ასიათასია. ერთი და ორი წიგნი ჩამოსათვლელად არ ეყოფა. დავლუპავთ ქვეყანას, თუ მომავალს მარტო წიგნის ამარა დავტოვებთ”.

თვითაღზრდა უმნიშვნელოვანესი პედაგოგიური კატეგორიაა, რომლის მნიშვნელობაზე წარმოდგენა რომ გვქონდეს, ვიტყვი: თითოეული ჩვენგანი თვითაღზრდის შედეგია. თითოეული ჩვენგანი ცნობიერად თუ ქვეცნობიერად მოქმედებს პრინციპით: “არასდროს არ არის გვიან გავხდეთ ისეთი, როგორც გვინდა ვიყოთ”. ამის საუკეთესო ნიმუში გვიჩვენა ძველმა ბერძენმა ორატორმა დემოსთენემ. ენაბლუ ჭაბუკისაგან ორატორობის მსოფლიო ეტალონი ჩამოყალიბდა სწორედ თვითაღზრდის ძალისხმევით.

თუმცა უზნეოდ, მაგრამ მაინც თვითაღზრდის მეთოდით “ზრდის” საკუთარ თავს სატირული მოთხრობის “ათი უკუმცნების” პერსონაჟი კირილე მოდებოდა. მას “ყოველთვის უყვარდა თავის თავთან მუსაიფი, ჩხუბი და ჯიჯლინი, როგორც მეორე პირთან... ხან, როგორც ხელქვეითთან, ან როგორც ასაკით უმცროსთან, რომელსაც ბავშვივით დარიგება და დატუქსვა სჭირდებოდა, ზოგჯერ, როგორც ტოლთან და სწორთან. ისიც ხდებოდა, რომ თვითონ იყო უმცროსი და ხელქვეითი, მაგრამ “უფროსს” დაუზოგავად, მიუკიბ-მოუკიბავად ახლიდა პირში სიმართლეს და შეგონებებით მოძღვრავდა: “არა, ვერ მოგცემ ამის უფლებას და მიტომ! სხვისი თუ მოგწონს, კი ბატონო! გაართვა შენმა წინამორბედმა თავი თავის თავს? და არ გამოუყვანა წირვა? არ ჩაგადენინებ ამას, რასაც ის ვაჟბატონი ჩირთიფირთობდა და უთაურობდა, შენ თუ აგიშვი, ცხვირი შენ დაგიშვენიდა, კაი რამე შენ დაგემართოს!.. თვალებში იყო კირილე ჩაცვიებული კირილეს და მინაში ჩაძვრენას უპირებდა”.

თვითაღზრდის პრინციპის შინაარსში, პირველ რიგში, თვითმხილების მეთოდი მოიაზრება. ადამიანმა უნდა იცოდეს, რა ნაკლი და ხინჯი ახასიათებს: “ვინ ვინ და, მე ხომ ვიცი, რა ხვითოც ბრძანდები! შენ რომ კაცმა შენს ნებაზე ხუმტურზე გაჯირითოს, როგორც მგელი ფარაში არ შეიშვება, ისე შენ კაბინეტში... მაგრამ, როგორც მუნჯის ენა დედამ იცის, ისე მე ვიცი შენი წამალი და ყოველნაირი ასავალ-დასავალი”.

მაგრამ ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. მეორე გახლავთ ის, თუ რისთვის წვრთნის თავის თავს კირილე მოდებოდა ისინაირი ადამიანები? თავის “ათ უკუმცნებას” მწერალმა სატირა უწოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ კირილეები თავის თავს ეგოისტური ვნებების დაკმაყოფილებისათვის წვრთნიან. ეს კარგად არის გამოხატული ამ დიალოგში: “ვერ მოგართვეს, კირილია მუცელმერთა, მარტო იმისათვის რომ უცეცებ თვალებს, შესაჭმელი, შესასმელი, წასაგლეჯი და წასაღლეტი დაინახო. ფართოდ გაახილე მაგ დასავსები თვალები და ცხვირწინ კი არა, შორს გაიხედე. სალაფავი კი გიდგას, მაგრამ ნაგაზი არ დარაჯობს? ჰოდა, უწინ ის უნდა დაინახო. მერე, იმ ნაგაზის იქით თოფიანი დარაჯი რომ გითვალთვალებს და, აი, ის რომ ჩათვლემს და ნაგაზს ჩაეძინება, მერე უნდა მიადგე და თქვლიფო”.

თვითმხილების ბასრ იარაღს იყენებს მწერალი რომანში “ქალი გამოვიდა საღალატოდ”. ნუცა ალავიძე ასე ამხელს საკუთარ თავს: “რატომ გგონია, შენი იმ კაცის ცოლობა, რომელიც არ გიყვარდა, რწმენის ღალატი არ იყო? რაც არ გიყვარს და გულით არ აკეთებ, ღალატი არ გგონია?”

“შენ, იმ შენს მეგობართან შედარებით, ქვეყნის დამაქცევარი ხარ. ნატასთან კი, მაგრამ... ქვეყნის დამქცევი?”

ჩუ, ჩუ, ჩუ!.. ანგარებით გათხოვდი!

“რატომ ანგარებით?”

“აბა რა ჰქვია შენს ამბავს?”

ლიტერატურის, ხელოვნების, ფილოსოფიის, პედაგოგიკის საუკეთესო ნაშრომები ფაქტობრივად თვითაღზრდის პროცესის ხელშემწყობი საშუალება და სახელმძღვანელოა. XVIII საუკუნის ფრანგი განმანათლებელი კ. ჰელვეციუსი სავსებით სამართლიანად წერდა: “ვინც ღრმად იკვლევს საკუთარ სულს, იგი ისე ხშირად იჭერს თავისთავს შეცდომებში, რომ უნებურად თავმდაბალი ხდება. უკვე აღარ ამაყოფს საკუთარი განათლებით და თავის თავს სხვაზე მაღლა არ აყენებს”.

თვითაღზრდის უდიდეს მნიშვნელობაზე წერდა გერმანელი მოაზროვნე თომას კარლაილი: “არაფერი არ ასწავლის კაცს ისე, როგორც საკუთარი შეცდომების შეგნება. ეს თვითაღზრდის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა”.

ოტია იოსელიანის მთელი შემოქმედება ადამიანს ასწავლის არა მხოლოდ ცხოვრების,

არამედ, პირველ რიგში, საკუთარი თავის შეცნობას და შემთხვევითი არ არის, რომ მკითხველთა შორის ხშირად გვესმის: ოტია იოსელიანის ნაწარმოებების წაკითხვის შემდეგ თავს უფრო გაკეთილშობილებულად ვგრძნობო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ოტია იოსელიანი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. I, თბ., 2005.
2. იან ამოს კომენსკი, დიდი დიდაქტიკა, თბ., 1949.
3. რევაზ მიშველაძე, მინანურები სატელეფონო წიგნზე, თბ., 1996.
4. ა. ს. მაკარენკო, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბ., 1950.
5. ვ. ა. სუხომლინსკი, გულს ვუძღვნი ბავშვებს, თბ., 1980.
6. დიმიტრი უზნაძე, აღზრდის ძირითადი ტრაგედია, ჟ. „სკოლა და ცხოვრება“, 1980 წ. №2;
7. კ. დ. უშინსკი — რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბ., 1974.
8. აკაკი წერეთელი — რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბ., 1989.
9. გაზეთი „თანადგომა“, №2 2008

იური ბიბილეიშვილი

მწერლის პედაგოგიური შეხედულებები

რეზიუმე

მწერალმა ოტია იოსელიანმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა პედაგოგიური თეორია ორიგინალური მიხედვებითა და პედაგოგიური ცნებებით. მან შემოიტანა „დედამასწავლებლისა“ და „დედინაცვალი-მასწავლებლის“ ცნებები. „დედინაცვალი-მასწავლებელი უკანონოს არაფერს მოითხოვს მოსწავლისაგან. „დედა მასწავლებელმა“ იცის რა სიძნელები აქვს მოსწავლეს დასაძლევნი და ხელს უწყობს მას სიძნელებების დაძლევაში.

ოტია იოსელიანმა ორიგინალურად განსაზღვრა ცხოვრებისთვის ახალგაზრდობის მომზადების სტრატეგია. შეგირდი თუ მასწავლებლის დარად წყვეტს პრობლემას, იგი მიღწეულის დონეზე რჩება. შეგირდის ნაშრომი ოსტატის შედეგების გაუმჯობესებას უნდა წარმოადგენდეს. ოტია იოსელიანის შეხედულებით სკოლა თანამედროვე ცხოვრებას ერთი ნაბიჯით მაინც უნდა უსწრებდეს წინ.

ЮРИЙ БИБИЛЕИШВИЛИ

ПЕДАГОГИЧЕСКИЕ ВЗГЛЯДЫ ПИСАТЕЛЯ

Резюме

Писатель Отия Иоселиани обогатил педагогическую теорию оригинальными педагогическими открытиями и понятиями. Он внес понятия «мать-учительница» и «мачеха-учительница». «Мачеха-учительница» не требует ничего несправедливого и незаконного от учащихся. «Мать-учительница» сочувствует своим воспитанникам, она знает, почему те не смогли выполнить задание и помогает им в преодолении трудностей.

Отия Иоселиани очень оригинально определяет стратегию подготовки молодежи к жизни. Подмастерье должен выполнять задания лучше своего мастера. Если подмастерье решает свои проблемы так же, как и мастер, то он остается лишь на достигнутом уровне. Работа подмастерья должна представлять собой улучшенный вариант достижений мастера. По мнению Иоселиани, современная школа хотя бы на шаг должна опережать действительность.

IURI BIBILEISHVILI

PEDAGOGICAL OUTLOOK OF A WRITER

Abstract

The writer Otia Ioseliani enriched pedagogical theory significantly with the original viewpoints and pedagogical notions. He introduced the notions of “teacher the mother” and “teacher the stepmother”.

“Teacher the stepmother” demands nothing illegal. “Teacher the mother” is aware of difficulties that a pupil is to overcome and assists him. Otia Ioseliani originally defined the strategy of preparing the youth for life. If a disciple solves the tasks the way his master tells him he remains at the attained level. A disciple’s work must represent the upgraded results of the master’s work. According to Otia Ioseliani a school must be at least a step ahead of the modern life.



ნანი გუგუნავა

პატრიარქის „ეპისტოლენი“ და ეროვნული ღირებულებები

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უნმინდესმა და უნეტარესმა, თანამედროვე ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელმა და ქართველი ერის სულიერმა მამამ ილია მეორემ თავისი მოღვაწეობის ხანას „მზიანი ღამე“ უწოდა და დაამატა „ნუ გეშინიათ, მალე გათენდება“. არ შეიძლება არ აღვნიშნო, - მიუთითებს კათალიკოს-პატრიარქი, რომ ათეისტური ხელისუფლების პერიოდშიც, მრავალმა მეცნიერმა და ინტელიგენციის სახელოვანმა წარმომადგენელმა გაუძლო მძიმე წნეხს. მათ არა მარტო თავად შეინარჩუნეს რწმენა, არამედ რაღაც გზებით ფარულად გადასცეს იგი თავიანთ მოსწავლეებსა და სტუდენტებს. უფალმა აკურთხოს ისინი, მე კი მადლიერებით ვხრი თავს მათ წინაშე. ურწმუნოებისა და მონობის ხანა თავისუფლებამ და ცხოვრების ახალმა წესმა შეცვალა, მაგრამ მას ხალხი მოუმზადებელი შეხვდა. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა დღესაც არ იცის, რა არის სინამდვილეში თავისუფლება (ეპისტოლენი, II, გვ. 268, 2009 წ.)

ბევრი იყო ამ დიდ და ღირსეულ გზაზე ამალმეობაც და განსაცდელიც. კათალიკოს-პატრიარქმა ნამდვილად უდიდესი საქვეყნო ტვირთით იცხოვრა და ღირსეულად, დიდებულად, სიყვარულით აგრძელებს თავის მადლმოსილ, ღვთიური მადლით შუქმოსილ მოღვაწეობას. იგი მოთმინებით, რუდუნებით ატარებს ერის სულიერების მძიმე ჯვარს. დროის მდინარებამ მის დიდებულ მოღვაწეობას, მის მოძღვარებას, რომელშიც მთელი ეპოქის სუნთქვაა ჩადებული, კიდევ უფრო მეტი სიღრმე და სიღიადე მიანიჭა.

კათალიკოს-პატრიარქი მთელ თავის მრავალმხრივ მოღვაწეობას ქართველი ერის სულიერი სრულყოფის, ქრისტიანული კაცთმოყვარეობის სულისკვეთებით აღზრდის საქმეს ახმარს. ჩვენი ერის წყმული სიბრძნე და ცოდნა, სარწმუნოება და მეცნიერება განსაზღვრა თითოეული ჩვენთაგანის ადგილი, როლი და ფუნქცია ამქვეყნიურ ცხოვრებაში. ამისი ერთ-ერთი ნათელი დასტურია მისი „საშობაო და სააღდგომო ეპისტოლენი“.

სწორედ კათალიკოს-პატრიარქის „საშობაო და სააღდგომო ეპისტოლენი“ დაედო საფუძვლად წინამდებარე ნაშრომს, რომელსაც პატრიარქის „შეგონებები“ ჰქვია. უნმინდესის „შეგონებები“ მრავალმხრივი მნიშვნელობის ფასდაუდებელი განძია. იგი თანამედროვე საქართველოს უახლესი ისტორიის ობიექტური და პირუთვნელი მატრიანია. „შეგონებები“ ქართველი ერის აზროვნების, ცოდნისა და ქრისტიანული მართლმადიდებელი სარწმუნოების განმტიკვებას და გაძლიერებას ემსახურება. იგი შეიცავს უდიდეს ცხოვრებისეულ სიბრძნეს, ცხოვრებისეულ საგანძურს, რომელიც თანმიმდევრობით და მიზანდასახულად მიჰყვება ჩვენი ცხოვრების მდინარებას და მიზნად ისახავს ქვეყანაში რეალურად არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. მოძღვრება, რომელიც ამ დიდებულ „შეგონებებშია“ ასახული, ბევრი მზე და სინათლეა, იგი ჩვენი იდეოლოგიაა, მითუმეტეს ჩვენს ქვეყანას ჯერ კიდევ არ გააჩნია მწყობრი, მსოფლმხედველობრივი სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება ეროვნულ ღირებულებებზე. სწორედ პატრიარქის „შეგონებებზე“, ამ ეროვნულ ღირებულებებსა და ფასეულობებზე დაფუძნებულ იდეოლოგიაზე უნდა იზრდებოდეს ჩვენი ახალგაზრდობა.

სამწუხაროდ, წარსულმა წლებმა ჩვენს აზროვნებას ფსიქოლოგიური რღვევის დალი დაასვა. მისი მიზანი იყო ადამიანის არსიდან ღვთის განდევნა და მისი ადგილის დაკავება. ამიტომ ყველაფერი, რაც აღნიშნულ პრინციპს არ ემორჩილებოდა, იდეოლოგიისათვის მიუღებელი

იყო. არ სჭირდებოდა მას დემოკრატია, სიყვარული, თავისუფლება, ქვემარტობა... რწმენის უარყოფამ განაპირობა მსოფლმხედველობისა და ზოგადადამიანური მრწამსის რღვევა. სულიერება ისე დაინთქა, ისე გაილია და გაფერმკრთალდა, ვერც კი ვიგრძენით, როდის დაგვარგეთ იგი. საერთოდ, საზოგადოებას საფრთხე შეიძლება ორი უკიდურესობიდან დაემუქროს. ერთის მხრივ, ფანატიზმის, კარჩაკეტილობის, იზოლაციისა და თვით-დაჯერებულობის მდგომარეობიდან, მეორეს მხრივ კი, პირიქით, თავისუფლების უგუნური გაგებიდან, ზედმეტი ლიბერალიზმისა და ყველაფრის ნებადართულობის პრინციპიდან. ჩვენს დღევანდელ ყოფაში შეიმჩნევა როგორც ერთის, ისე მეორე უკიდურესობის ნიშნები. თუ სახელმწიფოს არა აქვს სწორი რელიგიური და ეროვნული იდეოლოგია, ლიბერალიზმი აუცილებლად გარე ძალების სასარგებლოდ იმუშავებს და შინაგანად ზიანს მიაყენებს ქვეყანას, გააუფასურებს ეროვნულ ღირებულებებს („ეპისტოლენი“, II, 225).

როგორც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მიუთითებს „უგუნური ლიბერალიზმი სათავეა მრავალი ნეგატიური მოვლენის, მათ შორის კორუფციის, დანაშაულთა გამრავლების, საერთო მიშვებულობისა და განუკითხაობისა. ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, კულტურა... აუცილებლად უნდა ეყრდნობოდეს და გამომდინარეობდეს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან.“ მაშასადამე, მისი საფუძველი უნდა იყოს ეროვნული იდეოლოგია. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს ასეთი იდეოლოგია, დასძენს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. ამიტომაც, უკიდურესობებში ვვარდებით და პრობლემებიც გვიათმაგდება. ყველაზე საშიში სულიერი კრიზისია, რადგან ავტორიტარულმა რეჟიმმა, ღრმა კვალი დაგვიტოვა – ურწმუნობა, სულიერების ნაკლებობა, ადამიანთა დამახინჯებული შინაგანი სამყარო...

უალრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს ქვემარტ თავისუფლებას, რომელიც ზნეობრიობის საფუძველია. თავისუფლება სრულყოფილებაა, სრულყოფილება – ღმერთი და ღმერთი სიყვარული არს. ნებისმიერი სახელმწიფო ამა თუ იმ მორალის მქონე საზოგადოებას ემყარება. მაღალზნეობივი საზოგადოება ძლიერი და განვითარებული სახელმწიფოს საწინდარია.

სახელმწიფო უნდა განვითარდეს და მისი იდეოლოგიის განმსაზღვრელი უნდა იყოს არა გარე გეო-პოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვნული ინტერესები. ამ ინტერესებს უმნიშვნელოვანესად უნდა მიიჩნევდეს როგორც ხელისუფლება, ისე პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მასმედია („ეპისტოლენი, II, 434).

არ შეიძლება საზოგადოება უარყოფდეს თავის ისტორიულ ზნეობრივ საფუძველებს და ამავდროულად აშენებდეს წარმატებულ ქართულ სახელმწიფოს, რადგანაც ნებისმიერი სახელმწიფო მისი ისტორიიდან მომდინარეობს და საკუთარ ტრადიციებზეა დაფუძნებული.

როგორც ყოველთვის, ანალიტიკური, სახელმწიფოებრივი აზროვნებით გამოირჩევა პატრიარქის პოზიცია, ეროვნული იდეოლოგიის შემუშავების აუცილებლობის მიმართულებით.

აქედან გამომდინარე, პატრიარქი საერთო სახალხო დარბაზის შექმნის საკითხს აყენებს, რომელიც ყველა ფენიდან შეკრებს ჯანსაღ, გონივრულ წინადადებებს და მასალას მოუშაადებს ხელისუფლებას ეროვნული იდეოლოგიის განსაზღვრისათვის.

„ეპისტოლენის“ ორტომეულში ფართო ადგილი უჭირავს ერის სულიერი მამის, უწმინდესისა და უნეტარესის, თანამედროვე პედაგოგიკური აზროვნების კლასიკოსის ილია მეორეს პედაგოგიკურ შეხედულებებს, რომელიც აღზრდისა და განათლების თეორიაში ახალ პედაგოგიკურ კატეგორიებს შეიცავს.

პატრიარქი საუბრობს განათლების სისტემის გარდაქმნის, სასწავლო გეგმის დახვეწის, სწავლების შინაარსის სრულყოფისა და არსებული სტრუქტურის გაუმჯობესების საკითხებზე. სასწავლო პროგრამა თანდათან უნდა რთულდებოდეს ისე, რომ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მივიღოთ ანალიტიკურად, ღრმად მოაზროვნე ახალგაზრდები, ამიტომ საჭიროა მეცნიერთაგან შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეიმუშავებს პროგრამებსა და ცალკეულ საგნებში სახელმძღვანელოებს. პატრიარქი რეკომენდაციას გვაძლევს შემოღებული იქნას სასკოლო კურსი „ღრმა აზროვნების“, „საოჯახო ეთიკის“, „ესთეტიკის“ სწავლებისათვის. ის ამავე დროს ყურადღებას ამახვილებს მასწავლებლის როლისა და დანიშნულების თაობაზე. მასწავლებლობა ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო და საპატიო პროფესიაა მთელ მსოფლიოში. ჩემი შეხედულებით, ბრძანებს კათალიკოსი, ყველაზე დიდი ხელფასი, ნებისმიერი

პროფესიის ადამიანებთან შედარებით, პედაგოგებს უნდა ჰქონდეთ, აქ უნდა მივიზიდოთ ყველაზე ნიჭიერი კადრები, რომელნიც გამორჩეულნი იქნებიან, როგორც ცოდნით, ასევე რწმენით, სიყვარულით, მოთმინებით, მაღალი სულიერებით, ზნეობით, კულტურით.

შევეხებით აღზრდის სამი გარემოს ახლებურ გააზრებას. როგორც ცნობილია, თეორიული პედაგოგიკა აღზრდის სამ გარემოში მოიაზრებს ოჯახს, სკოლასა და საზოგადოებას. აღზრდა სკოლასა და ოჯახში კარგად არის მეცნიერებაში დამუშავებული. რაც შეეხება აღზრდას „საზოგადოებაში“, დღემდე პედაგოგიკის სპეციალისტები ამ საკითხს გვერდს უვლიან, არავითარი კვლევა ამ მიმართულებით არ მიმდინარეობს. მაშასადამე, არც აღზრდის პროგრამა არ გაგვაჩნია. აქედან გამომდინარე, კათალიკოს-პატრიარქმა სავსებით სამართლიანად და ობიექტურად „საზოგადოება“ ეკლესიით ჩანაცვლა. ჯერ ერთი, ეკლესიაში საზოგადოების ყველა სოციალური ფენაა წარმოდგენილი, (ღმერთს მაღლობა საქართველოში ყველა ეკლესია-ტაძარი სავსეა მრევლით) სადაც საეკლესიო ცხოვრება, წირვა-ლოცვა აღზრდის მაღალი ეფექტის შემცველი, შესანიშნავი სკოლაა. ამიტომაც პატრიარქის მიერ საზოგადოების ეკლესიით ჩანაცვლება უაღრესად საყურადღებო, საჭირო და აუცილებელი მოსაზრებაა, რასაც ფართო პედაგოგიური სპექტრი სამართლიანად უჭერს მხარს. ცალკე უნდა შეიქმნას აღზრდის პროგრამა, – მიუთითებს კათალიკოს – პატრიარქი, რაც გულისხმობს ურთიერთობების კულტურასა და ქცევების ნესების შესწავლას. დღეს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ეს მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია მოისუსტებს და მისთვის მხოლოდ ოჯახი ზრუნავს. საჭიროა აღზრდის საერთო მეთოდით ხელმძღვანელობდეს და ურთიერთკავშირში იყოს ოჯახიც, ეკლესიაც და სასწავლებელიც, ანუ გამთლიანდეს ის გარემო, სადაც მოზარდი ყალიბდება (2004 წ. II, 295).

პატრიარქის „შეგონებებში“ სხვადასხვა ასპექტით ვხვდებით შეფასებებს სულიერი ფასეულობების აღზრდის მიმართულებით. ქართული იდეა ორ უმთავრეს სვეტს ეყრნობა. ესაა სულიერი ღირებულებები, რაც გულისხმობს მართლმადიდებელ სარწმუნეობას, მის წეს-ჩვეულებებს და ეროვნულ-კულტურული ფასეულობები, რითაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა (2007 წ. II, 357).

„თუ არ აღზრდით ჩვენში სულიერ ფასეულობებს – ღვთის რწმენასა და მისგან გამომავალ სიკეთეს, არ ექნება აზრი და მიზანი ჩვენს ფიზიკურ ძალას, ჯანმრთელობას, გონებრივ განვითარებასა და თვით სიყვარულის უნარსაც კი. აუცილებელია პიროვნების სულიერი და ფიზიკური მონაცემების ჰარმონიული განვითარება და არა მისი ცალკეული შესაძლებლობების წინ წამოწევა.

სულიერება ხალხში თავდაპირველად გზას იკვლევს ცალკეულ მაღლმოსილ პიროვნებათა წყალობით. შემდეგ კი ეს ნიჭი ეფინება მთელ ერს და ამალღებს მას, ამიტომაც პიროვნების როლი ქვეყნის ცხოვრებაში უდიდესია (1993 წ. I, 357).

თუკი არსებობს სულიერი ფასეულობანი: რწმენა, იმედი, სიყვარული, ჭეშმარიტება, სიკეთე... მაშინ კაცობრიობის ისტორია ამ ღირებულებათა ცხოვრებაში თანდათანობით განხორციელებას უნდა გვიჩვენებდეს, სინათლისა და სიკეთის მიერ ბოროტის და ბნელის დაძლევის ადასტურებდეს. ამ მეტად რთულ პროცესში უნდა მონაწილეობდეს ღვთაებრივი და ადამიანური ძალა, ამ ორი ძალის სინერჯია. სულიერ ფასეულობას ვერავითარი მეცნიერება, ტექნიკა და სხვა რამ მატერიალური ვერ შეცვლის - ბრძანებს პატრიარქი.

ეპისტოლეთა ორტომეულში გარკვეული ადგილი უჭირავს ერის სულიერი მამის – ილია მეორის შეხედულებას ქალის, დედის როლისა და დანიშნულების შესახებ. სწორად უთქვამთ — როგორიცაა ქალი, ისეთია ოჯახი, როგორცაა ოჯახი, ისეთია სახელმწიფო. ქართველი ქალი, დედა, მუდამ ფუძე და საძირკველი იყო ქართული ოჯახისა, ქართული სახელმწიფოსი. გავისხენოთ ის პირველი ქალები, რომლებმაც თავინთი ძლიერი სულით და გონიერებით უდიდესი როლი შეასრულეს ქვეყნის ისტორიაში. ზოგიერთი ქალი კაცობრიობის ყოფნა-არყოფნის საკითხსაც განაპირობებდა. ამის დასტურად ქალთა მოდგმის სიამაყის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხსენება კმარა.

დღეს განსაკუთრებული მისია ეკისრებათ ქართველ დედებს, რომლებმაც უნდა შეძლონ ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში ეროვნული ღირებულებების დამკვიდრება. მათ უნდა ჩაუხერგონ შვილებს ღვთისა და მოყვასის სიყვარული, ერთგულების, თანაგრძნობის უნარი... ჩვენს შვილებს უნდა შეეძლოთ მოთმინებაც, შენდობაც, გატანაც. ეს იმას კი არ ნიშნავს, თითქოს მათ არ უნდა ვასწავლოთ ღირსების დაცვა. მაგრამ მათ ღირსება ღირსეულად უნდა დაიცვან —

მიუთითებს კათალიკოს-პატრიარქი და იქვე დასძენს: „დედობა ღვთისა და ერის წინაშე დიდი პასუხისმგებლობაა, ახლა დედა ველარ ასრულებს იმ მოვალეობებს, რასაც უნდა ასრულებდეს. ბედნიერია ის ოჯახი, სადაც დედა თავს სწირავს ოჯახისათვის... ახლა გავრცელებულია ასეთი ტერმინი – თანასწორია ცოლი და ქმარი. საღმრთო წერილი ამბობს: ოჯახის მეთაური არის ქმარი. ოჯახი ესაა ერთი სხეული და შეუძლებელია, ერთ სხეულზე იყოს ორი თავი...“

რა მაღალზნეობრივია ქალი, რომელიც გამოირჩევა ღვთისმოშიშობით, სინაზით, სათნოებით, პატიოსნებით, შრომისმოყვარეობით, სიფაქიზით, მზრუნველობით, კეთილგონიერებით. ასეთი ადამიანი სიკეთეს უხვად გასცემს და გარშემომყოფებზეც კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს (1998 წ., II, 143).

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ძლევა მოსილი მეფის გვირგვინი ამშვენებდა ქართველ ქალს. რად ღირს დიდებული მეფეთმეფე თამარის სახელი, რომლის წინამძღოლობის პერიოდში საქართველო ერთიანი და ძლიერი იყო.

აი, რას ბრძანებს კათალიკოს-პატრიარქი – „წმიდა თამარ იქმნა ის ბრწყინვალე, დაუვალი ვარსკვლავი, რომელიც მარად უნათებს საქართველოს და ათბობს ყოველი ქართველის გულს“ (1984 წ., I, 137).

სამაგალითო შვილები ხშირად საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ ერის ღირსებას და უდიდეს გავლენას ახდენდნენ ქვეყნის განვითარებაზე. გავიხსენოთ თუნდაც ქეთევან წამებული. არა მარტო საქართველოს, შუა საუკუნეების მთელ ქრისტიანულ სამყაროს არ ჰყავს ასეთი დიდი მოწამე (2008 წ., II, 386).

კათალიკოს-პატრიარქის „ეპისტოლენი“ შეიცავს უაღრესად საყურადღებო და საგულისხმო მასალებს – ცოდნისა და რწმენის, ცოდნისა და განათლების, კულტურის, რწმენისა და მეცნიერების სინთეზის, ეროვნული ცნობიერების, სახელმწიფოებრივი აზროვნების და სხვა უამრავ ცხოვრებისეულ საკითხებზე, რომელიც მეცნიერთა მუდმივი კვლევის საგანი უნდა იყოს და თითოეული ქართველი ადამიანის ყოველდღიური მოქმედების კრედო, ცხოვრების წესი.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის „ეპისტოლენი“, მისი „შეგონებები“, ეს ნამდვილი საუნჯე უნდა გახდეს სახელმწიფოს მართვის საფუძველი, ქვეყნის მოქალაქეთა, ქართველი ახალგაზოგობის აღზრდის პროგრამა და ძირითადი ორიენტირი.

ფასდაუდებელია კათალიკოს-პატრიარქის ღვანლი აჭარის სულიერი აღორძინების საქმეში. ის ხშირად აღნიშნავს, რომ ქრისტეს ნათელი პირველად აჭარიდან შემოვიდა ქრისტეს შობიდან პირველ საუკუნეში და დასძენს – „აჭარამ უნდა მოაქციოს დანარჩენი საქართველო“. შემთხვევითი არ არის, რომ აჭარაში მასობრივი მონათვლები კათალიკოს-პატრიარქის სახელთანაა დაკავშირებული. მე მომსწრე და მონაწილე ვარ, როგორც იმხანად აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, იმ დღესასწაულისა, მოსახლეობის იმ მასობრივი მონათვლისა ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში, რომელიც პატრიარქმა ჩაატარა და როგორც ტრადიცია იგი დღესაც გრძელდება აჭარის სინამდვილეში.

„შეგონებებიდან“ მოვიხმობ კათალიკოს-პატრიარქის სიტყვებს: „არიან ადამიანები, ღვთის ნიშნით გამორჩეულნი, რომელნიც თესენ სიყვარულს, სათნოებას, ქმნიან, აშენებენ, თვითონ იწვიან და სხვას გზას უნათებენ“. ჭეშმარიტად ასეთი პიროვნება ბრძანდება თავად უწმინდესი და უნეტარესი.

დიდი მადლია, ღვთის უშურველი წყალობაა, ასეთი სულიერი საჭეთმპყრობელი და წინამძღოლი რომ ჰყავს ქართველ ერს. უწმინდესის სიდიადის ჩრდილში დგომის წყალობა ნუ მოგვიშალოს ღმერთმა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- I. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II, „ეპისტოლენი“, წიგნი I, 2009 წ., თბილისი.
1. პედაგოგიური შეხედულებები, – I ტ., გვ. 168, 169.
2. სკოლის რეფორმა, – I ტ., გვ. 345.
3. ქართველი დედის მისია, – I ტ., გვ. 79, 300, 301.
- II. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II, „ეპისტოლენი“, წიგნი II, 2009 წ., თბილისი

4. ეროვნული იდეოლოგია, II ტ., გვ. 45, 307, 434.
5. სკოლა მეორე ოჯახში, II ტ. გვ. 13.
6. ქალი ოჯახში, II ტ. გვ. 143.
7. სკოლა, ოჯახი, ეკლესია, II ტ., გვ. 144, 261.
8. აღზრდის პროგრამა, II ტ. გვ. 295.
9. რელიგიური და ეროვნული იდეოლოგია, II ტ. გვ. 225.

ნანი გუგუნავა

პატრიარქის „ეპისტოლენი“ და ეროვნული ღირებულებები

რეზიუმე

ნაშრომში მოცემულია ქართველი ერის სულიერი მამის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს დასაბუთება ქვეყნის ეროვნული იდეოლოგიის შემუშავების აუცილებლობის შესახებ, რომლის გამსაზღვრელი უნდა იყოს არა გარე გეო-პოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესები.

სტატიის განხილულია პატრიარქის პედაგოგიური შეხედულებები, რომელიც აღზრდისა და განათლების თეორიაში ახალ პედაგოგიკურ კატეგორიებს შეიცავს. მოცემულია აღზრდის სამი გარემოს ახლებური გააზრების საკითხები. თეორიული პედაგოგიკა აღზრდის სამ გარემოში მოიაზრებს ოჯახს, სკოლასა და საზოგადოებას. პატრიარქმა მესამე გარემო – საზოგადოება ეკლესიით ჩაანაცვლა, რაც უალრესად საყურადღებო მოსაზრებაა, რასაც ფართო პედაგოგიკური სპექტრი სამართლიანად უჭერს მხარს.

ნაშრომში ვხვდებით პატრიარქის შეფასებებს სულიერი ფასებულობების აღზრდის მიმართულებით, ქალის, დედის როლისა და დანიშნულების შესახებ.

ნანი გუგუნავა

ЭПИСТОЛИИ (ПОСЛАНИЯ) ПАТРИАРХА И НАЦИОНАЛЬНЫЕ ЦЕННОСТИ

Резюме

В работе дано обоснование взглядов духовного лидера грузинского народа, его святейшества Илии II о необходимости разработки национальной идеологии, которую должна определять не геополитическая обстановка, а национальные и государственные интересы.

В статье рассмотрены педагогические взгляды Патриарха, которые в теории воспитания и образования содержат новые педагогические категории. Дано новое понимание теории трёх сфер воспитания. Теоретическая педагогика под тремя сферами воспитания подразумевает семью, школу, и общество. Патриарх третью категорию «общество» заменил церковью, что является наиважнейшим понятием, которое справедливо поддерживается широким спектром педагогической общественности.

В труде представлены воззрения Патриарха на воспитание духовных ценностей, назначение женщины, ее роли как матери.

NANI GUGUNAVA

A MESSAGE AND NATIONAL VALUES OF PATRIARCH

Abstract

The work conveys the necessity to elaborate national ideology urged by the spiritual Father of Georgia, his Holiness and Beatitude Ilia the second, which should be defined not by foreign Geo-political factors but by national and state interests. The work also deals with the pedagogical views of Patriarch, which includes new pedagogical categories in upbringing and educational theory; reveals three basic components (family, school and society) to be considered in upbringing. Patriarch replaces the society with church which is undoubtedly an important move supported and encouraged by a wide pedagogical spectrum. In the work we come across the estimations of Patriarch highlighting spiritual values of upbringing and the role of a woman as of a mother.



წინმო ორჯონიძე

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ორგანიზაციის მოდელი

საგანმანათლებლო დაწესებულებათა ბევრი ხელმძღვანელი დღესდღეობით ცდილობს შექმნას საავტორო სკოლები. რისი მოცემა შეუძლია ამას? სკოლის როგორი მოდელია უკეთესი? რა მიმართულებითაა უფრო მიზანშეწონილი სკოლის განვითარება? რა ეტაპებს გაივლის სკოლა, რომესაც არჩეული აქვს ყველაზე უფრო პერსპექტიული მიმართულება? ყველა ეს და მრავალი სხვა კითხვა დგება სკოლების ადმინისტრაციებისა და პედაგოგიური კოლექტივების წინაშე. ვეცადოთ ვიპოვოთ პასუხები ამ კითხვებზე.

დავინწყოთ თანამედროვე სკოლების მოკლე დახასიათებით. ცნობილია, რომ არ არსებობს მართვის უკეთესი ან უარესი ხერხი, არსებობს მართვის ხერხები, რომლებიც გარემოებათა ადეკვატური ან არაადეკვატურია. როდესაც სკოლაზეა საუბარი, აქ მთავარია საგანმანათლებლო მიზნები. ცხადია, თუ ეს მიზნები არის არა უბრალოდ ლამაზი სიტყვები, არამედ კურსდამთავრებულის გააზრებული სახე, რომლის ნახვა სურთ მასწავლებლებს, და შესაბამისად თუ ეს თვით სკოლის სახეა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს პირობები ასეთი კურსდამთავრებულის ჩამოსაყალიბებლად.

ამრიგად, როგორ მიზნები არსებობს უფრო ხშირად სკოლებში?

მეტწილად გვხვდება შემდეგი მიზნები: უბრალოდ მოსწავლის პიროვნების განვითარება, ყოველმხრივი განვითარება; განვითარება ჰუმანური მიდგომის საფუძველზე, განვითარება ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე და ა.შ.

საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება ძირითადად “კონვეიერული” რჩება. მაგრამ თუკი ადრე ეს იყო ერთი “კონვეიერი”, რომელიც “ანარმოებდა” “საშუალო” მოსწავლეს, ახლა სკოლებში კიდევ რამდენიმე “კონვეიერი” ჩნდება: სასკოლო “ელიტის” წარმოებისა და საშუალოზე დაბალი დონის უნარების მქონე მოსწავლეთა “წარმოების”.

სკოლების “კონვეიერული” ორგანიზება გულისხმობს ყურადღების გაძლიერებას სწავლების, და არა აღზრდის მიმართ. და იმთავითვე ჩნდება საკითხი პიროვნების განვითარების შესახებ. ტრადიციული სკოლა არც თუ ცუდად ახორციელებს მოსწავლის ცოდნით შეიარაღებას სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად, მაგრამ პიროვნების განვითარებისათვის, როგორც მსოფლიოში არსებული გამოცდილება ადასტურებს, საჭიროა სხვა ორგანიზება როგორც საგანმანათლებლო პროცესის, ასევე მთლიანად სკოლის მმართველობისა.

გარდა ამისა, სკოლებში მოსწავლეთა ნაკადებად დაყოფის შემოღება (უმეტეს შემთხვევაში სიახლეები სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ნაკადებს სხვადასხვაგვარად უწოდებენ: გიმნაზიის ან ლიცეუმის კლასები, კლასები ამა თუ იმ საგნების გაღრმავებული შესწავლით, კორექციის კლასები და ა.შ.) არ წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ სკოლებში ბავშვთა ასეთი “სელექციის” სოციალურ შედეგებს. სწორედ სოციალური მიზეზების გამო მრავალი ევროპული ქვეყანა ცდილობს თავი აარიდოს ბავშვების დაყოფას ნაკადებად.

განვიხილოთ დასავლეთევროპულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაგროვილი გამოცდილება და სკოლების საქმიანობის შესაძლო მოდელები.

ყველა ევროპული სკოლა ცდილობს, რომ ბავშვების არათანაბარი უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, თითოეულს მისცეს იმდენი, რის ათვისებასაც იგი შეძლებს. სკოლების უმეტესობა ფიქრობს, თუ როგორ მისცეს ბავშვებს არა მარტო ცოდნა საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად, არამედ განავითაროს ბავშვი ინტელექტუალურ, ემოციონალურ და სოციალურ პლანში.

ევროპული გამოცდილების ანალიზი უჩვენებს, რომ ამჟამად შეიძლება გამოიყოს მასობრივი სკოლის 5 ძირითადი მოდელი. ამასთან, ხდება სკოლების შესაძლებლობის გათვალისწინება, რამდენად შეუძლია მათ უზრუნველყონ ბავშვის მიმართ დიფერენციალური მიდგომა, საგანმანათლებლო ბაზის მოცულობა და თვითგანვითარების უნარი. იმ მიზნების თვალსაზრისით, რომლებსაც სკოლების ისახავენ, ხუთიდან პირველ სამ მოდელს შეიძლება ეწოდოს სწავლების სკოლები, მეოთხესა და მეხუთეს - არატრადიციული.

ნაკადობრივ-დონეებრივი სკოლები (მოკლედ ვუნოდოთ მათ პირველი მოდელის სკოლები) ხასიათდება მოსწავლეთა დიფერენციაციით ჯგუფებად უნარების დონის მიხედვით (ტესტირების შედეგების მიხედვით ბავშვებს ანაწილებენ სასწავლო ნაკადებად).

ყველაზე მაღალ ნაკადში, რომლის კურსდამთავრებულს შეიძლება უნივერსიტეტებში და სხვა პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარების იმედი აქვს, ყველა საგანს ასწავლიან უმაღლეს დონეზე (მოცემული სკოლისათვის). ეს არის ნაკადი, სადაც ამზადებენ სკოლის “ელიტას”. თუ მოსწავლე ვერ ძლევს რომელიმე საგანს, მას უხსნიან, რომ მას ან არ შეუძლია ამ დონის ნაკადში სწავლა, ან იგი “ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცობს” და იგი გადაჰყავთ სხვა ნაკადში, სადაც მოთხოვნები უფრო დაბალია და, შესაბამისად, ამ კლასების კურსდამთავრებულებისათვის გზა ხსნილია უფრო დაბალი რანგის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ან წარმოებაში.

თითოეულ ნაკადში მოქმედებს სწავლების თავისი პროგრამა, თავისი მოთხოვნები, საგნების თავისი ნუსხა და, როგორც წესი, თავისი მასწავლებლები. სწავლების პროგრამები ასეთ სკოლებში ჩვეულებრივ “გარედან” აიღება, შრომის განაწილება მასწავლებლებს შორის ხდება ამ პროგრამების შესაბამისად.

ამრიგად, მოსწავლის მიმართ ასეთ სკოლებში ძირითადი დევიზი შეიძლება ასეთი სიტყვებით იქნას გამოხატული: “აილე, რამდენსაც შეძლებ, იქიდან, რისი მოცემაც ჩვენ გვევალება შენთვის, და გარშემო მყოფთა დახმარების იმედი არ გქონდეს”.

საგნობრივ - დონეებრივი სკოლებს (ვუნოდოთ მათ მეორე მოდელის სკოლები) მოსწავლეებისადმი დიფერენციაციული მიდგომის უფრო ფართო შესაძლებლობები გააჩნიათ. აქ მოსწავლეებს ეძლევა საშუალება შეისწავლონ თითოეული საგანი მათთვის დასაძლევ დონეზე, მაგალითად, მათემატიკა - უმაღლეს დონეზე, ინგლისური - დაბალ დონეზე, და გადავიდნენ დონიდან დონეზე ნებისმიერ საგანში წელიწადში სამჯერ. გარდა ამისა, მოსწავლეებთან მუშაობენ ფსიქოლოგი, კონსულტანტი და სხვა სპეციალისტები, რომლებიც აკვირდებიან თითოეული მოსწავლის წარმატებებს ყველა საგანში, არკვევენ მათ უნარებს და სურვილს აითვისონ საგანი უფრო მაღალ დონეზე და აუცილებლობის შემთხვევაში აღმოუჩინენ ხოლმე მას საჭირო ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ დახმარებას.

დონიდან დონეზე გადასვლა მიიღწევა არა მასწავლებლის საქმიანობის გართულების და მისი კვალიფიკაციისადმი მოთხოვნების შესაბამისი ამალღების ხარჯზე, არამედ უფრო რთული ორგანიზაციული ზომების გატარების გზით. ამისთვის მუდმივად ხდება ერთი პარალელის ყველა კლასის გადაფორმირება ისე, რომ მასწავლებელთან კლასში აღმოჩნდნენ დაახლოებით ერთნაირი უნარების მქონე ბავშვები. შესაბამისად, არიან მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიან საგანს მაღალ, საშუალო ან მინიმალურად დასაშვებ დონეზე ორიენტაციით.

ამრიგად, მოსწავლეებისა და სასწავლო მასალის დაჯგუფების ძირითადი პრინციპი ასეთ სკოლებში არის არა ნაკადობრივი, არამედ საგნობრივი.

სწავლების პროგრამები ასეთ სკოლებში ასევე “გარედან” შემოდის. აღზრდის ამოცანები ასეთ სკოლებში, ისევე, როგორც პირველი მოდელის სკოლებში, ძირითადად დაიყვანება წესებისა და ნაყენებული მოთხოვნებისადმი დამორჩილების უნარების ფორმირებამდე.

“შერეული უნარების” სკოლები. ასეთი სკოლების (ვუნოდოთ მათ მესამე მოდელის სკოლები) საგანმანათლებლო მიზნები, ისევე, როგორც პირველი და მეორე მოდელის სკოლებისა, იმაში მდგომარეობს, რომ მისცენ ცოდნა საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად. მაგრამ მესამე მოდელის სკოლების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ აქ არ არსებობს ბავშვების არავითარი შერჩევა სწავლების სხვადასხვა დონისათვის. მოსწავლეთა ცოდნის მაღალი დონის მიღწევა საგნებში შესაძლებელია მხოლოდ მასწავლებლის მაღალი კვალიფილაციის დროს და მისი უნარის წყალობით, შექმნას კლასებში კოლექტივიზმის, მოსწავლეთა ურთიერთდახმარების ატმოსფერო და ა.შ.

მესამე მოდელის სკოლების დასავლური ვარიანტის ძირითადი დევიზია: “მივცეთ ყველას ყველაფერი!” ანუ ივარაუდება, რომ ყველა მოსწავლეს შეუძლია და ვალდებულია აითვისოს ძირითადი საბაზო კურსი. საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებაში ეს იდეა ჩვეულებრივ რეალიზდება იმგვარად, რომ კლასს განათლების შინაარსის შემდეგი საბაზო ერთეულის შეწავლა მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია, რაც კლასის ყველა (!) მოსწავლე აითვისებს წინა მასალას. აქ მასწავლებელს არ შეუძლია (როგორც ეს ადრე საბჭოთა სკოლაში იყო დაშვებული) დაუნეროს მოსწავლეს ან მოსწავლეთა ჯგუფს ორიანები და გადავიდეს შემდეგ თემაზე.

პირველი და მეორე მოდელის სკოლებისაგან “შერეული უნარების” სკოლა რამდენიმე თავისებურებით განსხვავდება. ჯერ-ერთი, მასწავლებლები მართლაც ძალიან კარგად უნდა ფლობდნენ დიდაქტიკური დიფერენციაციის, მოსწავლეთა ჯგუფური ორგანიზების, კოლექტივიზმისა და ურთიერთდახმარების მეთოდებს და ა.შ., თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ასეთ კლასთან მუშაობას თავს ვერ გაართმევენ.

მატრიცული სკოლები (მათ ვუნოდოთ მეოთხე მოდელის სკოლები). ასეთი სკოლების მიზნები გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე სწავლების მიზნები, აქ დიდი ადგილი უკავია არასასწავლო შემადგენელს. მიზნების საფუძველს წარმოადგენს სწრაფვა ასწავლონ მოსწავლეებს მოქმედება. მაგალითად, ზოგიერთი სკოლა შეიძლება ორიენტირებული იყოს მოსწავლეთა სოციალურ ადაპტაციაზე საკმაოდ ვიწრო სფეროში: ასწავლიან გარკვეულ სიტუაციებში მოქმედებას, სხვა სკოლები ასწავლიან უფრო ფართო სფეროში მოქმედებას: ასწავლიან მოქმედებას სოციალურ სფეროში, ზოგიერთი სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებისათვის ისეთი თვისებების განვითარებაზე, რომლებიც საჭიროა მეცნიერ მკვლევარებისათვის და ა.შ.

მოღვაწეობის მიზნები შეიძლება ძალიან განსხვავებული იყოს. ეს გამომწვეულია იმით, რომ მიზნებს ერთად ირჩევენ პედაგოგები, მოსწავლეები და მათი მშობლები. თითოეული ჯგუფი განსხვავებულად ხედავს მოსწავლეთა ახლანდელ და მომავალ პრობლემებს მოცემულ რაიონში შექმნილი სოციალური სიტუაციიდან, არსებული ტრადიციებიდან, გავრცელებული ყოფილი ჩვეულებიდან, ცხოვრების სტილიდან და ღირებულებებიდან გამომდინარე. სკოლის, მოსწავლეებისა და მშობლების ერთობლივი მუშაობის შედეგად ყალიბდება განათლების მიზნების ერთიანი ხედვა. ამ ხედვის მიხედვით მასწავლებლები ერთად განსაზღვრავენ, თუ რა და როგორ უნდა ასწავლონ თავიანთ მოსწავლეებს, როგორ შეარჩიონ სწავლების თემები, რომლებიც, მათი აზრით, უფრო პასუხობენ მოსწავლეთა მოთხოვნებს მოცემული მომენტისათვის, ყველაზე უფრო საინტერესო და სასარგებლოა მათთვის.

სასწავლო კურსი, რომელსაც შეიმუშავენ და სთავაზობს სკოლა, შედგება არა მარტო კოგნიტური, არამედ არაკოგნიტური ხასიათის საგნებისაგან, ანუ ისინი ავითარებენ არა მარტო ინტელექტს, არამედ ინდივიდუალობის ნორმატიულ, ემოციონალურ და ექსპრესიულ “შემადგენლებს”. სწავლების არაკოგნიტურ (მაგალითად, აღმზრდელობით) კომპონენტს შინაარსის, დროის, ფორმებისა და მეთოდების მიხედვით იმდენივე ყურადღება ეთმობა, რამდენიც კოგნიტიურს. უფრო მეტიც, სწორედ არაკოგნიტური კომპონენტი განსაზღვრავს კოგნიტურის შინაარსსა და ორგანიზებას.

მოსწავლის მოთხოვნები და ნორმები არა არის დაფიქსირებული, ისინი შეიძლება განსხვავებული იყოს სხვადასხვა მოსწავლესთან მიმართებაში. შინაარსისა და კრიტერიუმების მიხედვით ეს ნორმები ყოველთვის არ შეესაბამება სახსტანდარტებს - შინაარსი და კრიტერიუმები შეიძლება თვით მასწავლებლებმა დაანესოს მოსწავლეებთან ერთად.

მონათესავე საგნები, როგორც წესი, ინტეგრირებულია ბლოკებად. აქცენტი კეთდება მოსწავლეთა ინდივიდუალურ განვითარებასა და დამოუკიდებელ სწავლებაზე.

მეოთხე მოდელის სკოლების დამახასიათებელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სასწავლო კლასები შერეულია და მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით შეიძლება საკმაოდ დიდი იყოს, 40 კაცამდე. მასწავლებლები ხელს უწყობენ კლასების შიგნით მოსწავლეთა ინიციატივით სხვადასხვა არაფორმალური ჯგუფების შექმნას.

მოდულური სკოლები უფრო მეტად არიან ორიენტირებული მოსწავლეთა ინდივიდუალურ განვითარებაზე, ვიდრე მატრიცული. ეს არის ნამდვილი სუბიექტ-სუბიექტური ურთიერთობების სკოლა. მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს ეპყრობა, როგორც ინდივიდს, რომელსაც უფლება აქვს გავლენა მოახდინოს სასწავლო კურსის შინაარსზე, აირჩიოს სწავლების ისეთი გზა, რომელიც დაეხმარება პირადად მას საუკეთესო რეზულტატების მიღწევაში. მოსწავლეს თვითონ აქვს უფლება დაისახოს მიზნები, მიიღოს გადაწყვეტილებები და, ცხადია, ჰქონდეს პასუხისმგებლობაც.

საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებისათვის მოსწავლეები გაერთიანებული 5-9-კაციან მიკროჯგუფებად. მასწავლებლებიც გაერთიანებულია 5-9-კაციან მოდულებად. მასწავლებელთა თითოეულ მოდულს მიჰყავს მოსწავლეთა რამდენიმე მიკროჯგუფი, ასე რომ სრულდება მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობრივი თანაფარდობის სახელმწიფო ნორმატივები.

პედაგოგები ყურადღებით აკვირდებიან, აანალიზებენ მოსწავლეთა სოციალურ და პირად მოთხოვნილებებს, მათ შესაძლებლობებს, ითვალისწინებენ თავიანთი ერთობისა და მათ (ისევე, როგორც ნებისმიერ) სკოლაში მოსალოდნელი გამოცდების მოთხოვნებს. თითოეულ პედაგოგს აქვს ცოდნა რამდენიმე საგანში, შეუძლია მათი ინტეგრირება თემებში, პროექტებში, კურსებში, ფლობს სწავლების პრობლემურ მეთოდებს, გააჩნია ექსპრესიული და მასოციალიზებელი საქმიანობის ოსტატობა. ასეთ სკოლაში მუშაობა შეუძლია მხოლოდ ძალიან მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგებს, საკუთარი პროფესიის ნამდვილ ოსტატებს.

დასავლეთ ევროპაში მატრიცული და მოდულური სკოლები შედარებით ცოტაა, სულ რამოდენიმე პროცენტი. მაგრამ თუ ვისაუბრებთ განათლების სისტემათა გლობალურ ტენდენციებზე ინფორმაციული პედაგოგიკიდან აზრობრივ პედაგოგიკაზე, ავტორიტარული სკოლებიდან “დიალოგის” სკოლაზე, “კონვეიერული” სკოლიდან ისეთ სკოლაზე გადასვლის მიმართულებით, რომელიც ორიენტირებულია პიროვნების განვითარებაზე, ეს, ცხადია, იქნება გადასვლის ტენდენცია ასეთი მოდელების სკოლებზე.

ლიტერატურა:

1. Поташник М.М., Лазарев В. С. Управление развитием школы. - М., 1995.
2. Уланов В.В. Логика организации школы: Библ. журнала «Директор школы». - Вып. 4. - М., 1998.
3. ზ. ცუცქერიძე, ნ. ორჯონიკიძე, ნამყვანი ქვეყნების განათლების კონფეფციების შედარებითი ანალიზი, ქუთ., 2009 წ.
4. უეინ კ. ჰოი, სესილ გ. მიხელი, განათლების სფეროს ადმინისტრირება (თეორია, კვლევა, პრაქტიკა), ოჰაიოს უნივერსიტეტი, მეექვსე გამოცემა, ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა 2011 წ.
<https://docs.google.com/a/iliauni.edu.ge/file/d/0B5EpMCd-1fGdOUFXNUNleI9SYnlmUFFydTJaejMtdw/edit?pli=1http://library.iliauni.edu.ge/ilib/node/111>

ენიმ ორჯონიკიძე

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ორგანიზების მოდელები რეზიუმე

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა სწორად ორგანიზება არც თუ ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა როგორც საქართველოსათვის, ასევე მრავალი ევროპული ქვეყნისათვისაც.

სტატიაში განხილულია ასეთი დაწესებულებების ორგანიზების ზოგიერთი შესაძლო ვარიანტი. დახასიათებულია თანამედროვე სკოლების ხუთი ძირითადი ტიპი.

სტატია საშუალებას მოგცემთ წარმოიდგინოთ საგანმანათლებლო დაწესებულებების არა მარტო ტიპები, არამედ მმართველობითი სტრუქტურის ვარიანტები და ის ფუნქციები, რომლებსაც ისინი ასრულებენ მოცემულ შემთხვევაში, ჩამოაყალიბოთ აზრი რას ნიშნავს „სკოლის განვითარება“, „სკოლის განვითარების კონცეფცია“, „სკოლის განვითარების კომპლექსურ— მიზნობრივი პროგრამა“ და გამოიტანოთ დასკვნა საგანმანათლებლო დაწესებულების რომელი მოდელია უფრო პერსპექტიული.

НИНО ОРДЖОНИКИДЗЕ

МОДЕЛИ ОРГАНИЗАЦИИ ОБЩЕОБРАЗОВАТЕЛЬНЫХ ЗАВЕДЕНИЙ

Резюме

Правильная организация общеобразовательных учреждений оказалась не столь легким делом не только для Грузии, но и для многих европейских стран.

В статье рассмотрены некоторые возможные варианты организации таких заведений. Охарактеризованы пять основных типов современной школы.

Статья дает возможность представить не только типы образовательных заведений, но и варианты управленческой структуры и те функции, которые они выполняют в данном случае; сформировать

мнение о том, что значит «развитие школы», «концепция развития школы», «комплексно-целевая программа развития школы» и сделать вывод, какая модель образовательного заведения более перспективна.

NINO ORJONIKIDZE

THE ORGANIZING MODELS OF GENERAL EDUCATION INSTITUTIONS

Abstract

Proper organization of general education institutions turned out to be a difficult task both for Georgia and many European countries. The paper suggests some possible versions of organizing such institutions and describes five main types of modern schools, their management structures, and functions to be performed. The work focuses on the meaning of “school development”, “school development concept”, “school development comprehensive-target program” and suggests the most promising model of educational institution.



ბადრი ჴორჩნიძე

განათლების კლასიკური და თანამედროვე თეორიების ზოგად-კრიტიკული მიმოხილვა

ცივილიზებული კაცობრიობის ისტორიაში იმთავითვე მნიშვნელოვანი და აქტუალური გახლდათ განათლების ცალმხრივობის დაძლევა და მრავალმხრივი, ჰარმონიული განათლების შინაარსის დასაბუთება. თუმცა ამ საკითხის გადაჭრა XX საუკუნეშიც ვერ მოხერხდა და მას ალბათ, არც XXI-ე საუკუნეში მოაკლდება სიმწვავე და დრამატული ეფექტუარინობა არსებული პოზლემატიკის შიგნით, როგორც საკითხის დასმის, ასევე მისი გადანყვეტის თვალსაზრისით. სწორედ ამის გამოა, რომ ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურების მიერ დღესდღეობით შემოთავაზებული ზოგად-საგანმანათლებლო პროგრამები, გამონაკლისთა გარდა, დღესაც ცალმხრივად ითვლება, თუმცა გამონაკლისებთან მიმართებაშიც არაა ერთიანი და შეთანხმებული მიდგომა, რასაც საყოველთაოდ აღიარებული და მიუკერძოებელი მეცნიერული მოძღვრების სახე მიენიჭება. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ კლასიკური პედაგოგიკის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, პიროვნების „მრავალმხრივი“ ჰარმონიული განათლება, კვლავაც განუხორციელებელი რჩება.

საზოგადოდ მიჩნეულია, რომ ცნება „განათლებული“ უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე „მცოდნე“, რადგანაც განათლებულობა უშუალოდ ასოცირდება განსწავლულობასთან, ხოლო მცოდნეობა კი რაღაც კონკრეტული დარგის, ან საქმის ცოდნასთან, რაც, ჩვენი აზრით, განსაზღვრული სოციალური ცნობიერების მქონე ჯგუფების მიერ აპრობირებული ზედაპირული წარმოდგენებია, რომელსაც არავითარი ლოგიკურ-თეორიული არგუმენტაცია არ გააჩნია და იგი წლების მანძილზე გამომუშავებული მექანიკური სტერეოტიპია, ვინაიდან თავისთავად ცოდნა განსაზღვრავს განათლებას და არა პირიქით. თუ საუბარი ეხება მცირე რაღაცის ცოდნას და დიდ-მასშტაბური მოცულობის განათლებას, მაშინ აქ გადამწყვეტია არა ზოგადად განათლების უპირატესობა ცოდნასთან შედარებით, არამედ ბევრი რიმეს ცოდნისა – მცირე ცოდნასთან შედარებით. ზოგადად განათლებულობა პირდაპირ ემთხვევა ბევრი რამის ცოდნას, თუმცა ამით განათლება კი არაა ცოდნაზე უფრო მეტისმომცველი, არამედ უბრალოდ, დიდი ცოდნაა პატარა ცოდნაზე მეტი. ამნაირადვე შეგვეძლო შედარება გაგვეკეთებინა დიდსა და მცირე განათლებას შორის და ამ შემთხვევაშიც არაფერი შეიცვლებოდა. არც ისაა სწორი, რომ აღნიშნულ საკითხში იმონებენ ილია ჭავჭავაძეს და იაკობ გოგებაშვილს, რომელთაც არასოდეს არც უფიქრიათ განათლების ცოდნაზე მალლა დაყენება კონკრეტული ვითარების შესაბამისი კონტექსტის გაუთვალისწინებლად.

საერთოდ, ადამიანის მრავალმხრივ განათლებას და ჰარმონიულ აღზრდას ადრეული

ანტიკური პერიოდიდანვე ენიჭებოდა უმთავრესი ყურადღება. ფიზიკური. ზნეობრივი, გონებრივი, ესთეტიკური და სამოქალაქო აღზრდა ძველ-ბერძნული კლასიკური პრინციპის: „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“ განმსაზღვრელი უპირობო მოთხოვნა გახლდათ. კლასიკურ ბერძნულ-რომაულ სკოლაში გიმნასტიკა და მუსიკა ისეთივე მნიშვნელოვანი საგანი იყო, როგორც მათემატიკა, რიტორიკა, ლოგიკა თუ ასტრონომია. პითაგორელები მუსიკას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ. მათთვის მათემატიკა განუყოფელი იყო მუსიკისაგან. სამაგიეროდ, შუასაუკუნეობრივი დოგმატიკურ-ქრისტიანული განათლება, თავისი ასკეტური მსოფლმხედველობის გამო, სხეულებრივ აღზრდას საჭიროდ აღარ მიიჩნევდა, რადგან ქრისტიანულ თეოლოგიაში გრძნობად - ხილული სხეულის დომინანტი სული და გონება იყო. სწორედ ამ პერიოდიდან განისაზღვრა და დამკვიდრდა სკოლებში 7 „თავისუფალი ხელოვნების“, ანუ საერო დარგების სწავლება: „სამი გზა“, ანუ 3 მთავარი ჰუმანიტარული დარგი: გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა; ასევე ოთხი გზა, ანუ საბუნებისმეტყველო დარგი: არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა. (ვ. სოკოლოვი 1979: 92,93). აღნიშნული დარგები შეისწავლებოდა აგრეთვე შუა საუკუნეების პერიოდის ქართულ აკადემიებშიც. შუა საუკუნეების პედაგოგიაში სწავლების შინაარსზე მეტად სწავლების მეთოდიკა იცვლება. ბერძნულ-რომაულ სამყაროში სწავლება მხოლოდ დიალოგური და ინტერაქციული იყო, შუასაუკუნეობრივ ევროპაში კი, გაბატონებული დოგმატურ-რელიგიური მსოფლმხედველობის გამო, სწავლება მონოლოგურ-ლექციური და სქოლასტიკური გახდა. სქოლასტიკის მთავარი სასწავლო მეთოდია გაზეპირება და დამახსოვრება. სქოლასტიკური პედაგოგია ყურადღებას არ აქცევდა ბავშვის ფსიქოლოგიას, ის ბავშვს განიხილავდა მხოლოდ ნედლეულად და მასალად, რასაც მოგვიანებით, ემპირისტი ფილოსოფოსები და მათი მიმდევარი პედაგოგის ფუძემდებლები, სუფთა დაფის, ან ფურცლის სახელწოდებით მოიხსენიებდნენ. ამ დროისთვის ბავშვი მიიჩნეოდა ცოდვილ და მანკიერ არსებად, რის გამოც სწავლების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა მისი შინაგანი ბუნების დათრგუნვა, რადგანაც მიჩნდათ, რომ სწორედ აღნიშნული ბუნების დათრგუნვით შეიძლება ზნეობრივი და გონიერი ქრისტიანის აღზრდა. თანამედროვე დასავლური სოციოლოგიის ერთერთ ავტორიტეტული წარმომადგენელი, გარფუნკელი თვლის, რომ აღზრდის ამგვარი შუასაუკუნეობრივი სტერეოტიპი ახლანდელ დროშიც ინარჩუნებს თავის პოზიციებს (Горфункель. А.Х. 1980: 15; 51). რენესანსის პერიოდში, ანტიკური კულტურის გაყვლით, ხელახლა წინაპლანზე იქნა წამოწეული პიროვნულ თავისუფლებაზე ორიენტირებული ინდივიდუალური განსაკუთრებულობის მორალური აღიარებისა და გამართლების ჰუმანისტური პრინციპი, რამაც ასახვა ჰპოვა აღნიშნული ეპოქის პედაგოგიკის იდეებში, რომელიც ერთთავად გაყვლითი იყო ანტიკლერიკალური და სქოლასტიკური განათლების საწინააღმდეგო სულისკვეთებით. რენესანსის ჰუმანისტებმა, იტალიელებმა: ვ. დე ფელტრემ, პ. ვერჯერიომ და მ. ვეჯიომ, ჰოლანდიელმა ერაზმ როტერდამელმა, ინგლისელმა თ. მორმა, ფრანგებმა: ფ. რაბლე და მ. მონტენმა, ჩეხმა ი.ა. კომენსკიმ და სხვებმა დააფუძნეს კლასიკური პედაგოგია.

რენესანსის ფილოსოფიის თანახმად, ღმერთმა ადამიანი ამქვეყნიურობის გვირგვინად და მეუფედ შექმნა, მოუწყო მას მშვენიერი სამყარო, ლამაზი ბალი, რომელშიც ადამიანი ამქვეყნიური ბედნიერად უნდა ცხოვრობდეს, გონებით უნდა შეიმეცნებდეს და გულით ესთეტიკურად უნდა განიცდიდეს სამყაროს, რომელიც ღმერთის დიადი ქმნილებაა და მასზე უარის თქმა ღვთისგან ბოძებულ ჯილდოზე უარის თქმას ნიშნავდა. სწორედ აღნიშნული პათოსითაა გაყვლითი იტალიელი ჰუმანისტი ფილოსოფოსების: პიკო დელა მირანდოლასა და იერონიმო კარდანოს შეხედულებები (Философский энциклопедический словарь. 1998; 587- 594). სიქველე, თავისუფალი შრომა, სიყვარული, შემოქმედება გახლავთ კლასიკური პედაგოგიური განათლების დედაარსი. ჰუმანისტებმა რელიგია შეინარჩუნეს არა როგორც დოგმატურ ვალდებულებათა ხელოვნურად თავსმოხვევის დამთრგუნველ ძალად, არამედ ადამიანური ბედნიერების დამკვიდრების რწმენის მასტიმულირებელ სიცოცხლის წყაროდ და იმედად, ამიტომაც მის მიერ აღიარებული განათლების ძირეული პოსტულატები ეფუძნება არა რელიგიურ დოგმებს და იდეოლოგიური კონფორმიზმის ბერკეტით მომართულ სოციალურ ცნობიერებას, არამედ მეცნიერებას, ხელოვნებასა და ბუნებრივი კანონების თანახმად რეკომენდირებულ, სულ-ხორციელი ჰარმონიის მიზანდასახული განვითარების ფილოსოფიას.

აღნიშნული ფილოსოფიის თანახმად, როგორც ადამიანი იმყოფება ღმერთის წინაშე

სამყაროს დაკვირვების ცენტრში, ასევე ბავშვიც უნდა იმყოფებოდეს ადამიანთა გამუდმებული მზრუნველობისა და ყურადღების ცენტრში. თანამედროვე პედაგოგიკაში ამას ეწოდება პედოცენტრიზმი, ანუ მოსწავლეზე კონცენტრირება, რადგანაც ყველა ბავშვი განუმეორებელი პიროვნებაა და მას თავისებური მიდგომა ესაჭიროება. ბავშვის აღზრდა უნდა იყოს სისხლსავსე და მრავალმხრივი: სხეულის, გრძნობის, უნარის, გონებისა და ნების ურთიერთშეწონასწორებული განვითარებით, ანტიკური „გიმნასტიკისა“ და სხეულის წრთობის აღორძინებით (ი.იმედაძე 2009; 85). თანამედროვე პედაგოგიკაც, გარკვეულწილად იზიარებს და ეფუძნება რენესანსის კლასიკურ მემკვიდრეობას, თუმცა უკვალოდ არ ჩაუვლია ე.წ. პოზიტივისტური და ცალმხრივი რაციონალისტური პედაგოგიური კონცეფციების ზემოქმედებასაც. რენესანსული განათლების თეორიის ტრადიციულ ნაკლს ღიად და აშკარად არ მიუთითებდნენ, თუმცა რალაცნაირად მაინც გულისხმობდნენ, რომ ადამიანის ბუნებრივი შესაძლებლობების შეზღუდულობისთვის ანგარიშგანევა და შესაბამისად, ცოდნის ტვირთის შემსუბუქება, ვერ პასუხობდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით ნაკარნახევ მოთხოვნებს, რისთვისაც საჭიროდ მიაჩნდათ, ადამიანში, დამატებითი ინტელექტუალური რესურსის მოძიება ნებისმიერი ფორმით და საშუალებით. ერთ-ერთი ასეთი თეორია, რომელიც ჯ. ლოკმა შექმნა, ხასიათდება ლოგიკურ-განსჯითი გონებისა და ფაქტობრივი ცოდნის მნიშვნელობის უზომო გაზვიადებით და სულიერ-ესთეტიკური, შემოქმედებითი ძალების უგულვებელყოფით (იმედაძე 2009: თავი 3). მატერიალისტურ-რაციონალისტური ფილოსოფია კიდევ უფრო გაძლიერდა განმანათლებლობის ხანაში. XVIII საუკუნის ბოლოს საფრანგეთში ერთხანს ოფიციალურადაც კი ცდილობდნენ “გონების კულტის” რელიგიის დანესებას და „უზენაესი გონების” ტაძრებიც კი აამოქმედეს. XIX საუკუნეში - მატერიალიზმი, გონება, ფაქტობრივი საბუნებისმეტყველო ცოდნა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი კულტადაც იქცა. პედაგოგიკაშიც ცალმხრივი რაციონალიზმი გაბატონობდა. ასეთ რეაქციას მოჰყვა ადექვატურად საპირისპირო როგორც ზომიერი, ისე უკიდურესი მიმდინარეობანი: რომანტიზმი, სიმბოლიზმი, XX საუკუნის მოდერნისტულ-ავანგარდული ხელოვნება, ეგზისტენციალიზმი, ჰუმანისტური ფსიქოლოგია, რომელთა სულისკვეთებაც მეტ-ნაკლებად მსგავსია და იგი გამოიხატება რაციონალიზმის წინააღმდეგ ამბოხებაში, თუმცა გასაგები მიზეზების გამო აღნიშნულ მიმართულებებს წამყვანი პოზიციები ვერ დაუკავებიათ და სახელმწიფო განათლების სისტემებზე არსებითი გავლენა ვერ მოუხდენიათ, თუმცა ცალკეულ კერძო სკოლებში აღინიშნებოდა ჰარმონიული პრინციპების მიხედვით აღზრდის ორიგინალური მეთოდების განხორციელების მცდელობანი. ასეთი იყო მაგალითად ე.წ. ფრენსეს, ვალდორფის, ბაზედოვის, შტაინერისა და სხვათა სკოლები, რომელთა უმეტესობა ანთროპოსოფიური ხასიათისა გახლდათ და მისტიკურ ელფერს იძენდა. გამოჩენილმა ფილოსოფოსმა, ხოსე ორტეგა-ი-გასეტმა საზოგადოდ, მთელი XX საუკუნის კულტურის მთავარ მახასიათებლად

დეჰუმანიზაცია მიიჩნია (Ortega-i-Gasset 1991. 188_191).

სციენტისტური პედაგოგიკის პოზიტივისტურად და პრაგმატისტულად კონსტრუირებული რაციონალიზმის მიხედვით გაგებელი განათლება უარყოფითად აისახება ადამიანის ღირებულებათა სამყაროზე, რადგან ცალმხრივი აღზრდა და განათლების სისტემის დეჰუმანიზაცია ინვეეს თანამედროვე ცივილიზაციის უსულგულობას, ზნეობის მკვეთრი დაცემას, ადამიანების გაუცხოებას, ნევროზებსა და დეპრესიულობას, რასაც შედეგად მოსდევს შემოქმედებით უნართა დაკნინება, აგრესიულობის მატება და სხვა უმძიმესი მსოფლიო პრობლემები (ვახანია 2009: 18,19). სწავლების მეთოდის უახლესი მიმართულებაა „დიფერენცირებულისწავლება“ (Tomlinson, C. A., 2000). მისი მიზანია ცალმხრივი რაციონალიზმის უკუგდება და კონკრეტული საგნების სწავლებაში მრავალმხრივი მეთოდების დამკვიდრება, მათ შორის ისეთების, რომლებიც ემყარება მოსწავლის არა ლოგიკურ, ენობრივ და სხვა რაციონალურ, არამედ ხატოვან, ესთეტიკურ, მუსიკალურ, კინესთეტიკურ და სოციალურ, ინტერპერსონალურ უნარებს. მოსწავლეს იმ დოზით უნდა მიენოდოს მასალა, რამდენის ათვისების შესაძლებლობაც მას გააჩნია. მაგალითად, პოსტპრაგმატისტული და პოსტმოდერნული განათლების ლიბერალური პროექტის ავტორი, რიჩარდ რორტი, რაციონალისტურ აღზრდაში ადამიანის თავისუფალი ნებისყოფის ხელყოფის მცდელობის უხეშ ფორმებს ხედავს და მას შემოქმედებითი უნარის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერორად ნათლავს (Rorty 2009; 226).

დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ შემოთავაზებული ნიმუშები მხოლოდ ნაწილობრივ

ართმევს თავს ჩვენს წინაშე დასახულ პრობლემას, ამის გარდა, ძალზე საყურადღებო და მნიშვნელოვანი უნდა გახდეს ყველა ეპოქისა და კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებული პედაგოგიკური კონცეფცია, რათა თანამედროვე განათლების სისტემა დიფერენცირებულად და სპეციფიკურად უდგებოდეს სახვადსხვა სოციალური ურთიერთობის წარმონაქმნებს და ითვალისწინებდეს თითოეული მათგანის ინდივიდუალურ თავისებურებებს.

ლიტერატურა:

1. ვახანია ზ., განათლების ფსიქოლოგია, თბილისი., 2012.
2. იმედაძე ი., ფსიქოლოგიის ისტორია., თბილისი., 2009.
3. Горфункель А.Х., Философия эпохи Возрождения. М.,1980;
5. Ортега-и-Гассет Х. Что такое философия? / Пер. с исп. Н. Г. Кротовской и В. С. Кулагиной-Ярцевой— М.: Наука, 1991.
4. Современная западная философия, Словарь, М,1991;
5. Соколов В.В., Средневековая философия, М.,1979;
6. Rorty R., Philosophy and the mirror of nature, published by Princeton University Press”; N. Y. 2009.
7. Tomlinson, C. A., & Allan, S. Leadership for differentiating schools and classrooms, Alexandria, VA: ASCD., 2000.

ბადრი ფორჩხიძე

განათლების კლასიკური და თანამედროვე თეორიების ზოგად-კრიტიკული მიმოხილვა რეზიუმე

ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურების მიერ დღესდღეობით შემოთავაზებული ზოგად-საგანმანათლებლო პროგრამები, გამონაკლისთა გარდა, დღესაც ცალმხრივად ითვლება, თუმცა გამონაკლისებთან მიმართებაშიც არაა ერთიანი და შეთანხმებული მიდგომა, რასაც საყოველთაოდ აღიარებული და მიუკერძოებელი მეცნიერული მოძღვრების სახე მიენიჭება. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ კლასიკური პედაგოგიკის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, პიროვნების „მრავალმხრივი“ ჰარმონიული განათლება, კვლავაც განუხორციელებელი რჩება.

БАДРИ ПОРЧХИДЗЕ

ОБЩИЙ КРИТИЧЕСКОЙ ОБЗОР КЛАССИЧЕСКИХ И СОВРЕМЕННЫХ ТЕОРИЙ ОБРАЗОВАНИЯ

Резюме

Общеобразовательные программы, предлагаемые официальными государственными структурами сегодняшнего дня, за некоторым исключением, ныне считаются односторонними. Тем не менее, даже в отношении исключений нет общего и согласованного подхода, который был бы общепризнанной и беспристрастной научной доктриной. Таким образом, можно сказать, что одним из основных принципов классической педагогики является всестороннее гармоническое развитие личности, который по-прежнему остается нереализованным.

BADRI PORCHKHIDZE

CRITICAL REVIEW OF CLASSICAL AND CONTEMPORARY PHILOSOPHICAL THEORIES OF EDUCATION

Abstract

The official general-education programs offered by state structures today apart from a few exceptions are still considered to be one-sided. However, even in case of exceptions we cannot observe a unified and coordinated approach to assign universal recognition and unbiased scientific instruction to it. Thus we can say that, one of the main principles of classical pedagogy to provide an individual with “various” harmonious education still remains unrealized.



უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა

იგორ დოლიძე

სამედიცინო და პედაგოგიური ვალეოლოგიისადმი სისტემური მიდგომის თავისებურებანი

უკანასკნელ ათწლეულებში ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნების იდეა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, რადგან მისი ჯანმრთელობის ხარისხი განუხრელად გაუარესდა. ამასთანავე, სულ უფრო მეტად გასაგები ხდება, რომ დღეს არსებული „უკან დაბრუნების სვლა“, დაავადებიდან ჯანმრთელობამდე, სწორედ ეს პრინციპი სინამდვილეში, მიუხედავად პროფილაქტიკის დეკლარირებული იდეისა, რასაც მიიჩნევს კლასიკური მედიცინა - არასწორი და დამღუპველი აღმოჩნდა. სიძნელეს კი ისა ქმნის, რომ ჯანმრთელობის მეთოდოლოგია ჯერჯერობით არ არსებობს. აქ, არც არაფერია გასაკვირი, რადგან რამდენადაც პარადოქსულადაც არ უნდა გამოიყურებოდეს, დღემდე არ არსებობდა თვით ჯანმრთელობის მეცნიერებაც.

მედიცინა გარკვეული მიზეზების გამო გადაიქცა სამკურნალო, ვინროსპეციალიზებულ დარგად და თავისი არსით მოგვევლინა მეცნიერებად, რომელიც დაავადებებზეა მიმართული და ყველაზე ნაკლებად - ჯანმრთელობაზე.

მედიცინის ცალმხრივ განვითარებაზე ბევრს წერდნენ ი.დავიდოვსკი და სხვა უცხოელი მეცნიერები, მაგრამ ჩვენთვის ცნობილი გახდა მხოლოდ ერთი თანამედროვე მცდელობა — საშუალებებისა და ხერხების სისტემის დამუშავება, რომელიც სათანადო ზემოქმედებას მოახდენდა ორგანიზმის დაცვით ძალებზე. ეს არის მიმართულება, რომელმაც მიიღო სახელწოდება „სანოლოგია (სამედიცინო ვალეოლოგია)“ და ყველაზე აქტიურად განავითარესი. ბრეხმანის, ს.პავლენკოს, ს.ოლეინიკის, გ.აპანასენკოს, ე.ვაინერისადა სხვათა სამეცნიერო სკოლებმა. სანოლოგია განისაზღვრა, როგორც „ზოგადი სწავლება... დაავადებასთან ორგანიზმის წინააღმდეგობაზე“, რომლის საფუძველია სანოგენეზი: დაცვით—შეგუებითი მექანიზმების (ფიზიოლოგიური და პათოგენური ხასიათის) დინამიკური კომპლექსი, რომელიც წარმოიშობა ზეჭარბი გაღიზიანების ზემოქმედებისას. ამ მიმართულების შემქმნელები მიიჩნევენ, რომ სანოგენეზის მრავალი მექანიზმი მათი წვრთნის პროცესში შეიძლება გახდეს ერთობ სრულყოფილი, რაც გაზრდის ორგანიზმის რეზისტენტობას და განამტკიცებს საერთო ჯანმრთელობას.

სანოლოგია მედიცინაზე არ ზემოქმედებს მანამ, სანამ ადამიანი ჯანმრთელია და თუ ჯერ კიდევ არ იმყოფება პრემორბიდულ მდგომარეობაში. ადამიანის ჯანმრთელობა დამოკიდებულია არამარტო მედიცინისა და ჯანდაცვის სისტემის გამართულ მუშაობაზე, არამედ სოციალურ—ეკონომიკური პირობების კომპლექსის ზემოქმედებაზე. სწორედ ადამიანის ჯანმრთელობა უნდა იყოს ქვეყნის „სავიზიტო ბარათი“, მისი სოციალურ—ეკონომიური სიმნიფის, კულტურისა და წინსვლის მაჩვენებელი. როგორცაჩანს, მეცნიერება ჯანმრთელობაზე უნდა იყოს ინტეგრირებული, ითვალისწინებდეს ეკოლოგიის, მედიცინის, პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის და ა.შ. დარგთა შორის ზღვარზე არსებულ მონაცემებს. და, რაც დამახასიათებელია ახალი ინტეგრირებული მეცნიერებისათვის, უნდა გამოხატავდეს მიზანმიმართულ ურთიერთდამოკიდებულებას კონკრეტულ სამეცნიერო დარგსა და ფილოსოფიურ აზროვნებას შორის.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რამდენად საჭიროა ჯანმრთელობის მეცნიერება, როცა მედიცინა ისტორიულად აცხადებდა, რომ ჯანმრთელობის შენარჩუნება მისი“ მთავარი მიზანია. მაგრამ, თუ ეს ბაჯალლო სიმართლე იყო, მაშინ ჯანდაცვის წარმატების მაჩვენებელი დაფუძნებული უნდა ყოფილიყო საავადმყოფოების სანოლოთარაოდენობის შემცირებაზე, რიგი საავადმყოფოებისა და სასწრაფო დახმარების სადგურების დახურვაზე, ექიმთა ნაწილის გადაკვალიფიცირებაზე ჯანსაღი ცხოვრების წესის კონსულტანტებად და ა.შ. ამჟამინდელი ჯანდაცვა კი, თავის წარმატებას ხედავს მხოლოდ პოლიკლინიკებში პაციენტთა მიმართვათა რაოდენობისა და სასწრაფო დახმარების მიერ ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფთა

მოცულობის ზრდაში. თუმცა ეს ყველაფერი გარდუვალია, რადგან ავადმყოფთა რაოდენობა კი არ მცირდება, ყოველდღიურად მატულობს.

მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და განმტკიცება სამკურნალო მედიცინითა და საავადმყოფოთა ჯანდაცვის გზით სვლა ყოველად მიუღებლად მიგვაჩნია. საჭიროა შევბრუნდეთ ჯერ კიდევ არადაავადებული ადამიანებისაკენ, მოვახდინოთ მათი პირველადი პროფილაქტიკა და ეს ვაქციოთ ყველაზე მთავარ საქმედ მედიცინისა და ჯანდაცვის სისტემაში, მასში ჩავრთოთ სახელმწიფოსა და საზოგადოების მთელი ძალისხმევა და საშუალებები. ეს ამოცანა კი არ ეტევა მხოლოდ მედიცინის ჩარჩოებში. ამიტომ საჭიროა არა ალტერნატიული, არამედ მედიცინასთან თანამეგობრული მედიცინა.

პედაგოგიური შრომის ტრადიციულ ფორმებს დაემატა ინდივიდისა და კოლექტივის მართვისასხალი ასპექტი — ჯანსაღი ცხოვრების წესის ფორმირება. მოსწავლეთა კრეატიული ვალეოლოგიური აზროვნებისა და ამაზე დაფუძნებული ცხოვრების წესის კორექცია უნდა იყოს წინაპირობა დასაფუძველი მომავალი ჯანმრთელი ოჯახების შესაქმნელად, გარანტირებული უნდა იყოს უნარიგააჩინოს, გაზარდოს და აღზარდოს ბავშვები, უფრო სრულყოფილი გახადოს მომავალი თაობის გენოფონდი - ჯანმრთელი მოთხოვნილებების მდგრადი სისტემის მატარებელი.

ჯანსაღი ცხოვრების წესის პედაგოგიური სტრატეგიის შემუშავება უნდა დაეფუძნოს მოსწავლეების მიერ შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას და ხელს უნდა უწყობდეს რწმენის დამოუკიდებლად გამომუშავებას. რწმენის წყალობით შეიქმნება ჯანსაღი ცხოვრების წესის მოტივაცია, შემდეგ - ვალეომზადყოფნა და თვითმაკონტროლებელი აქტიურობა საკუთარი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. ეს მიდგომა განსხვავებულია დღემდე მიღებული იმ ურყევი მონუმენტური სქემისაგან, როგორცაა „ცოდნა—უნარი—ჩვევა“. ეს ქცევითი სისტემა მობილურია, დინამიკურია და ადვილად ენერება ცხოველმოქმედების ხანგრძლივ პროგრამაში.

ამ სტრატეგიის წარმატება დამოკიდებულია არამარტო უწყვეტი ვალეოლოგიური განათლების სისტემის შემდგომგანვითარებაზე, არამედ, როგორც აღმოჩნდა იმაზეც, თუ როგორ შეიცვლება პედაგოგებისა და განათლების სისტემისადმი წაყენებული მოთხოვნები. ეს კინარმოშობს პედაგოგიკის ზოგიერთ ტრადიციულ ნაწილში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის აუცილებლობას და ახალი მიმართულების შექმნას პედაგოგიურ მეცნიერებაში — ეს არის ვალეოლოგიური პედაგოგიკა.

ქვეყნის დეპოპულაციის პირობებში (შობადობის შემცირებასა და სიკვდილიანობის ზრდას მივყავართ უარყოფით დემოგრაფიულ ბალანსთან) მწვავედ აღიქმება ჭეშმარიტი ფასეულობა, როგორცაა ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. დროა, თანამედროვე ბავშვები და მოზარდები შევიტანოთ წითელ წიგნში. გამონათქვამი: „ჯანმრთელი სული—ჯანმრთელ სხეულში“ სიტყვა სიტყვით უნდაიყოს გაგებული: ამაოა მცდელობა ერის ინტელექტის ზრდისა, როცა საფრთხე ექმნება მოსახლეობის სიცოცხლეს.

საქართველოში ვალეოლოგიის განვითარების პირველ ეტაპზე (იგი ჩემი გადმოსახედიდან 15 წელს ითვლის) არსებითისა და მნიშვნელოვანის გაკეთება ვერ შევძელით. მხოლოდ ის მოხერხდა, რომ დავბეჭდეთ სტატიები და კონფერენციებში წარვადგინეთ მოხსენებები. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ სახელმწიფოებრივი სტრუქტურების მუშაკები წარმოდგენილია ნაკლებად მკითხავი პერსონალით, რომელთაც არ აინტერესებთ ერის სინჯანსაღე და ამასთან, არ აწვდიან ქვეყნის მმართველებს საგანგაშო ინფორმაციას იმის შესახებ, რომ პროგრესული სვლით ნადგურდება ეროვნული გენოფონდი.

ვალეოლოგია ერთობ ახალგაზრდა მეცნიერებაა. იგი ვითარდება საკმარისი დინამიკურობით (რუსეთში, უკრაინაში, გერმანიაში). იმყოფება რა მრავალი მეცნიერების პირაპირზე, ვალეოლოგია თავისი მეთოდოლოგიებით, პრობლემებით, მონაცემებით აიძულებს ამ მეცნიერებათა წარმომადგენლებს, ახლებურადშეხედონ თავიანთ, საკუთარ პრობლემებს. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ თვით ვალეოლოგიაში მიმდინარეობს შესამჩნევი დიფერენცირება. იგი ასახავს იმ მეცნიერთა ინტერესების სპეციფიკურობას, რომლებიც ვალეოლოგიაში მეცნიერების სხვადასხვა დარგებიდან შემოვიდნენ.

ვალეოლოგიური განათლება იწყება ბავშვის დაბადებამდე. ეს გულისხმობს მშობლების ჯანმრთელობის ხარისხის გათვალისწინებას და გრძელდება ნაყოფის მუცლადყოფნის პერიოდიდან მთელი სიცოცხლის მანძილზე. ადამიანის განვითარების დინამიკურ პროცესში

ჯანმრთელობის ფორმირებაში, შენარჩუნებაში და განმტკიცებაში დიდი როლი ენიჭება სამედიცინო და პედაგოგიურ ვალეოლოგიურ განათლებას, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდნენ მშობლები, ექიმები, პედაგოგები და ზრდასრულ პერიოდში თვით კონკრეტული პიროვნება.

სამედიცინო და პედაგოგიური ვალეოლოგიისადმი სისტემური მიდგომა გულისხმობს ადამიანის ინდივიდუალური ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით დარგობრივი პოზიციებიდან ინტეგრირებულზე გადასვლას და მათი შესაძლებლობების დადგენა-განსაზღვრას ჯანმართვისა და განათლების სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში.

სამედიცინო ვალეოლოგია ადგენს ჯანმრთელობასა და დაავადებას შორის არსებულ კლინიკურ განსხვავებებს და ახდენს დიაგნოსტიკას, შეისწავლის ჯანმრთელობის გარედან შენარჩუნებისა და დაავადებების აცილების ხერხებს, შეიმუშავებს მოსწავლე-ახალგაზრდების (მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების) ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმებსა და მეთოდებს ორგანიზმის რეზერვული შესაძლებლობების გამოყენებისა და დაწყებული დაავადებების უკუგანვითარების პირობებში, იკვლევს იმ გარეგან და შინაგან ფაქტორებს, რომლებიც ჯანმრთელობას ემუქრება, შეიმუშავებს რეკომენდაციებს ადამიანის ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის უზრუნველსაყოფად.

რეაბილიტაციის სფეროში სამედიცინო ვალეოლოგიის შესაძლებლობები მალე შესამჩნევად გაიზრდება, რომლის დანერგვის პირობებში დღემდე მოქმედი დომინირებული საშუალებები—ფარმაკოლოგია, დანა და მყუდროება აუცილებლად შეიცვლება და უფრო მეტად იქნება გამოყენებული ფუნქციური მეთოდები და საშუალებები. მოსალოდნელია და სრულებით შესაძლებელია, ამან მიგვიყვანოს ცნებების „ჯანმრთელობა“ და „დაავადება“ გარკვეულ კორექტირებად. განსაკუთრებული მნიშვნელობა სამედიცინო ვალეოლოგიამ შეიძლება შეიძინოს ოჯახის ექიმების მომზადებაში, რომელთა მოღვაწეობა მეტწილად ორიენტირებული იქნება პირველად პროფილაქტიკაზე.

პედაგოგიური ვალეოლოგია შეისწავლის ადამიანის სწავლისა და აღზრდის საკითხებს, რომელთაც სხვადასხვა ასაკობრივ ეტაპზე აქვს ურყევი სასიცოცხლო მოთხოვნილება ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე. ამჟამად ვალეოლოგიის ეს მიმართულება ყველაზე დინამიკურად ვითარდება, რაც განპირობებულია შექმნილი ორი უკიდურესად რთული მდგომარეობით: 1. ეს არის საზოგადოების მოთხოვნილება ოპერატიულად გატარდეს ლონისძიებები ადამიანის გაჯანსაღებისათვის ყველაზე სწრაფი უკუგების შესაძლებლობების მიღების მიზნით; 2. შედარებით იაფად და სწრაფად მოხერხდეს ვალეოლოგიის პროგრამების საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო აღმოჩნდა მძიმე ფინანსურ და ეკონომიკურ პირობებში.

პედაგოგიური ვალეოლოგიის მეთოდოლოგია მოითხოვს სამედიცინო ვალეოლოგიასთან თანამშრომლობას. საერთო საკითხებია: ბავშვების აღზრდა ჯანმრთელობის მყარი მოტივაციით, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, რომლის საფუძველი უნდა იყოს პრიორიტეტული ცოდნის შექმნა ადამიანის ჯანმრთელობაზე და ორგანიზმის ცხოველმოქმედების მექანიზმებზე. სასწავლო პროცესში გამოყენებელი უნდა იყოს ის საშუალებები და მეთოდები, რომელიც მათ დაეხმარება თავიანთი ფიზიკური მდგომარეობის შესაფასებლად შეუქმნან მოტივაცია, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ორგანიზმის ფუნქციური შესაძლებლობები და შეინარჩუნონ საკუთარი ჯანმრთელობა გაჯანსაღების ბუნებრივი საშუალებების მეშვეობით. მოსწავლეთა სომატური ჯანმრთელობის შენარჩუნება პერიოდულად მოითხოვს ვალეოლოგიურ შეფასებასა და დინამიკურ კონტროლს. საჭიროების შემთხვევაში მედიკოსებმა და პედაგოგებმა ერთობლივად უნდა ჩაატარონ მოსწავლეთა გაჯანსაღების ლონისძიებები ფიზიკური ვარჯიშების, ფსიქოკორექციისა და ფსიქოლოგიურ—პედაგოგიური კონსულტაციების ჩატარების გზით. პედაგოგიური და სამედიცინო ვალეოლოგიის ერთობლივი პრინციპები გამოყენებული უნდა იქნეს მშობლებთან მუშაობისას, რათა ოჯახში ბავშვს ჰქონდეს ის კეთილსასურველი საყოფაცხოვრებო პირობები, რომელიც მას გონებრივ—ფიზიკურ ჯანმრთელობას შეუნარჩუნებს.

დღეს, სკოლებში დაინერგა სპორტის სხვადასხვა სახეობაში (ფეხბურთი, კალათბურთი, ჭიდაობა, ცურვა და ა.შ.) ფიზიკური აღზრდის მეცადინეობები. ეს კი მოითხოვს მოზარდის ჯანმრთელობის მდგომარეობის პერიოდულ შემოწმებას, რათა თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი ორგანული გართულებები, ზოგჯერ სიკვდილიც კი. სპორტის სხვადასხვა

სახეობაში არარაციონალურ ფიზიკურ დატვირთვას შეუძლია შექმნას რისკ-ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვნად შეარყევს მოზარდის ჯანმრთელობას. ჯანმრთელი თაობის აღზრდაში კი აქტიურ მონაწილეობას უნდა ღებულობდნენ ერთიანი მეცნიერული მიდგომით შეიარაღებული სახელმწიფო სტრუქტურები. ესენია: სპორტის, ჯანდაცვისა და განათლების სისტემები რაც საშუალებას მოგვცემს ვალეოლოგიური პრინციპების დაცვით შევინარჩუნოთ მოზარდი თაობის ჯანმრთელობა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ძლიერება. მეცნიერთა მიერ დადგენილია: ჯანმრთელობის რეზერვი უსაზღვრო არ არის, მაგრამ უმეტესად ადამიანებს ის არასაკმარისად აქვთ მობილიზებული ბავშვობაში, ხოლო „თვლემს“ მონიფულ ასაკში, რის ადვილად ქრება სიბერეში. არ უნდა დაგვაინწყდეს, რომ საჯარო სკოლებში ქმედითუნარიან ბავშვებთან ერთად სწავლობენ არაქმედითუნარიანი მოზარდები, რომელთა ფსიქო-ფიზიკური აღზრდის თავისებურებანი მოითხოვს ფაქიზ მიდგომას. ვალეოლოგიური (როგორც სამედიცინო, ასევე პედაგოგიური) პრინციპების ადეკვატური შერჩევა მიზანდასახული რეაბილიტაციური ღონისძიებების ჩატარების მიზნით აუცილებელია.

ამრიგად, ახალი მეცნიერების - ვალეოლოგიის საგანია ჯანმრთელი ადამიანი, მისი ჯანმრთელობის შენარჩუნება და არა დაავადებათა მკურნალობა (ეს მედიცინის საგანია).

პრაქტიკული მედიცინა, რომელიც „ეფორიაშია“ მიღწეული წარმატებებით (ადრე განუკურნებელი დაავადების კომპენსატორული „გაჯანსაღებით“ ქირურგიული ჩარევით, მომაკვდავთა გადარჩენით) და მხოლოდ ამაში ხედავს თავის კეთილგონიერულ და კეთილშობილურ მისიას. არადა ამგვარი მიდგომა უკვე მოძველდა. დრო კი ცვალებადია. დღეს, სულ უფრო ხშირად და ბევრად მეტი იწერება იმაზე, რომ მედიცინასა და ჯანმრთელობას შორის არ შეიძლება გავავლოთ ურთიერთთანაბრობის ნიშანი. საჭიროა ხაზი გაესვას იმას, რომ მედიცინამ, როგორც მეცნიერებამ, ვერ შეასრულა თავისი მთავარი დანიშნულება: გაესწრო პრაქტიკისათვის თავისი ახალი მიზნების აღმოჩენითა და სასურველი მეცნიერული გზები შეერჩია ინდივიდუალური ჯანმრთელობის მისაღწევად; მან ჯეროვნად ვერ შეაფასა ჯანმრთელობისკენ მიმავალი პირდაპირი გზა.

ვალეოლოგიურ განათლებასა და ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ადამიანის მოძრაობის რეჟიმს. მინდა გავიზიარო ჩვენი თანამემამულის, ცნობილი კარდიოქირურგის იგორ შხვაცაბაიას მტკიცებულებანი: „დარწმუნებული ვარ, რომ იდეალში მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებულმა ფიზიკურმა დატვირთვებმა-ყოველგვარი წამლების გარეშე- ხელი უნდა შეუწყონ ადამიანის გაჯანსაღებას, მის შესაძლებლობათა დიაპაზონის გაფართოებას და შემგუებლური, დამცველი „ბასტიონების“ გაძლიერებას. სანვრთნელი ვარჯიშები ყველასათვის აუცილებელია, მაგრამ დატვირთვა უნდა იყოს ადამიანის მდგომარეობის ადეკვატური. ზომიერი დატვირთვა სასარგებლოა როგორც ავადმყოფთათვის, რომელთა შემგუებლური შესაძლებლობანი ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად გაივლიან წვრთნას, ასევე ჯანმრთელებისთვისაც - ჯანმრთელობის განსამტკიცებლად და ბოლოს სპორტსმენთათვისაც, რათა კიდევ უფრო განავითარონ ისინი. ყოველივე იმალება დოზებში, ყველა ეტაპზე დატვირთვის თანდათანობით გადიდებაში, მოსვენება კი მუდმივი მტერია.“

დღეს მოსწავლე-ახალგაზრდების ჯანმრთელობის შესანარჩუნებელ ერთადერთ გზად მიჩნეულია ვალეოლოგიური განათლების (როგორც სამედიცინო, ასევე პედაგოგიურის) სამეცნიერო პრინციპების სინთეზი და მისი პრაქტიკული გამოყენება ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად.

იმ ქვეყნებში, სადაც ვალეოლოგია ახალი დარგის სპეციალისტებს ამზადებს, დღესაც მიმდინარეობს მძაფრი კამათი, თუ რომელ პროფესიას უნდა მიენიჭოს უპირატესობა სპეციალისტების მომზადებაში (მხედველობაში აქვთ სამედიცინო და პედაგოგიური პროფილის უმაღლესი სასწავლებლები). ეს მეთოდოლოგიური დავა არაპროდუქტიულად და სუბიექტურად გვეჩვენება. მსჯელობენ იმაზე, რომ ვალეოლოგი უნდა მომზადდეს უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელში და მიეცეს ფართო ფსიქოპედაგოგიური განათლება ან პედაგოგიურმა უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა გამოუშვას სპეციალისტი, რომელსაც ექნება დამატებითი მიზნობრივი სამედიცინო მომზადება ახალი ფიზიოლოგიური ნორმატივებისა და პროფილაქტიკის კრიტერიუმების გათვალისწინებით. ვითვალისწინებთ რა მომავალში ვალეოლოგ-სპეციალისტის მომზადების ეფექტური მიმართულების პერსპექტივას, უპირატესობას ვანიჭებთ სპორტული

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს, რადგან სხვათაგან განსხვავებით, ისინი გადიან ღრმა თეორიულ-პრაქტიკულ მომზადებას ფიზიკური აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის მეთოდულ კაში, ზოგად და სპორტის ფიზიოლოგია-პედაგოგიაში, სპორტულ მედიცინაში, კინეზოთერაპიაში, ფიზიკურ რეაბილიტაციაში და ა.შ. ამასთანავე, რაც მთავარია, მათი აზროვნება მიმართულია გონებრივ-ფიზიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და მაღალი სპორტული შედეგების მიღწევებისა და არა დაავადებების პრობლემებისაკენ.

ვალეოლოგიური დარგის განვითარება და მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცება ბევრნილად არის დამოკიდებული ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვაზე, ბუნებისა და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა მარჯვენებელზე. ჯანმრთელი გენოფონდის შენარჩუნება უნდა გახდეს ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური სიმნიფის, კულტურისა და სახელმწიფო ნარმატების სავიზიტო ბარათი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი.დოლიძე, სპორტული ვალეოლოგია - ზოგადი ვალეოლოგიის განვითარების საფუძველი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2006, 9
2. ი.დოლიძე, ვალეომეტრიული კვლევის თავისებურებანი ანთროპოკოსმიურ მედიცინაში, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2008, 10
3. ი.დოლიძე, სპორტი ვალეოლოგიის პოზიციიდან, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები „ოლიმპიური სპორტი“ - „სპორტი ყველასათვის“, თბილისი, 2009
4. ი.დოლიძე, ვალეოლოგია, როგორც „ჯანმრთელობის მედიცინა“, საქართველოს სამედიცინო ჟურნალი, 2009, 2
5. ი. დოლიძე, ვალეოლოგიური განათლება-ნარმატებული ქვეყნის სავიზიტო ბარათი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2010, 11, 164
6. ი.დოლიძე, რეაბილიტოლოგიისა და ვალეოლოგიის ადგილი ჯანმრთელობის სისტემაში, ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, 2010, 4
7. ი.დოლიძე, სანოლოგია-ჯანმრთელობის მართვის ფუნდამენტური მოძღვრება, ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, 2011, 2
8. ი.დოლიძე, სამკურნალო პედაგოგიკის როლი სამედიცინო ვალეოლოგიაში, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2012, 12
9. ი.დოლიძე, გ.ჩახუნაშვილი, სპორტული ვალეოლოგიის განვითარების პერსპექტივები, ბავშვთა კარდიოლოგია, 2013, 7
10. ი.დოლიძე, გ.ჩახუნაშვილი, ვალეოლოგია (სანოლოგია-სამედიცინო მიმართულება), როგორც „ჯანმრთელობის მედიცინა“, სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2013, 15-10-9, 52-54
11. ი.დოლიძე, გ.ჩახუნაშვილი, დაავადების პათოგენეზისა და სანოგენეზის სისტემური ანალიზი, სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2013, 15-10-9, 64-66
12. ი.დოლიძე, ქვეყნის ჯანდაცვის კრახიდან ვალეოლოგიამდე, იმედი +, 2014, 7, 25-27.

იგორ დოლიძე

სამედიცინო და პედაგოგიური ვალეოლოგიისადმი სისტემური მიდგომის თავისებურებანი

რეზიუმე

მოზარდების ფსიქიურ-სომატური ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით სამედიცინო ვალეოლოგიისა და პედაგოგიური ვალეოლოგიის პრობლემებისადმი მიმართული სისტემური მიდგომა და ამასთან, დარგობრივი პოზიციებიდან ინტეგრირებულზე გადასვლა, განათლებისა და მედიცინის მუშაკების პროფესიული შესაძლებლობების ხარისხობრივი დადგენა, ბევრად გააუმჯობესებს ჯანმრთელობისა და განათლების სახელმწიფოებრივისტრუქტურების მუშაობის ხარისხს. სამედიცინო რეაბილიტაციის სფეროში კი - ხელს შეუწყობს ოჯახისა და სკოლის ექიმების პროფესიული მომზადების დონეს, რომელთა მოღვაწეობა მეტად იქნება ორიენტირებული პირველადი პროფილაქტიკის ღონისძიებების ჩატარების ეფექტურ გადაწყვეტაში.

ИГОРЬ ДОЛИДЗЕ

ОСОБЕННОСТИ СИСТЕМНОГО ПОДХОДА В МЕДИЦИНСКОЙ И ПЕДАГОГИЧЕСКОЙ ВАЛЕОЛОГИИ

Резюме

Системный подход в решениях проблем медицинской и педагогической валеологии с целью обеспечения индивидуального психо-соматического здоровья подростков, а также переход от отраслевой позиций к интегральной, установление качества профессиональной подготовки сотрудников просвещения и медицины, значительно улучшит их уровень работы в государственных структурах здравоохранения и просвещения. А в сфере медицинской реабилитации будет способствовать значительному улучшению профессионального уровня подготовки семейных и школьных врачей, деятельность которых целенаправленно и эффективно будет решать проблемные вопросы первичной профилактики.

IGOR DOLIDZE

PECULIARITIES OF SYSTEMIC APPROACH TOWARDS MEDICAL AND PEDAGOGICAL VALEOLOGY

Abstract

To improve working quality of health management in educational state structures and psychosomatic health in adults the following factors are essential: systemic approach towards the problems of medical and pedagogical valeology, moving from sector based positions to integrated, qualitative determination of educational medical staff career opportunities. The above mentioned will promote professional skills of school and family doctors in medical rehabilitation field. Their activities will be more oriented on conducting effective decisions of primary preventive measures.



სასკოლო პედაგოგია

თინათინ შერვაშიძე

**ბავშვთა აღზრდის ზოგიერთი პედაგოგიური პრობლემა,
ანუ რა სურთ ბავშვებს ?!**

*“ერთხელ (არაბ ფილოსოფოს) გაზალის ჰკითხეს,
როგორ მიაღწიე ასეთ მაღალ საფეხურსმეცნიერებაში?
იმით, რომ არ მრცხვენოდა მეკითხა ის, რაც არ
ვიცოდით — უპასუხა მან”.*

საადი

დღეს, მსოფლიო პროგრესისა და გლობალიზაციის საუკუნეში, ცხოვრების აჩქარებულმა ტემპმა კიდევ უფრო გაართულა სწავლებისა და აღზრდის ისედაც რთული პროცესი. კომპიუტერიზაციის სწრაფ ეპოქაში ძნელია დაინტერესო ბავშვი, რომლის თვალსა და გულს უამრავი მაცდუნებელი სატყუარა იპყრობს. XIX საუკუნის პედაგოგს, სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარჩენისას, საკმაზე მეტი ემოციური მოთხოვნები და პრეტენზიები წაეყენება. პედაგოგიური პროცესების ცენტრში დგას ბავშვი, თავისი ემოციური მდგომარეობით, გემოვნებით, ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობით და ასაკთან შესაფერისი ინტერესებით და მიღწეული შედეგი მხოლოდ ამ შესაძლებლობებს უნდა ეფუძნებოდეს. ამიტომ პედაგოგს ევალება განუწყვეტელი ფიქრი და შრომა იმაზე, თუ როგორ აიმაღლოს ოსტატობა,

როგორ მიიღოს ქემმარიტი ცოდნა, რომლითაც ბევრად სრულყოფილი იქნება თავის საპატიო საქმეში — მომავალი თაობის სწორად აღზრდასა და განათლებაში.

ჟან-ჟაკ რუსო ამბობდა: “ბუნებას სურს, რომ ბავშვები, სანამ დიდები გახდებოდნენ, ბავშვები იყვნენ.....ბავშვებს დანახვის, ფიქრისა და შეგრძნობის თავიანთი, საკუთარი მანერა აქვთ და ყველაზე დიდი უგნურება ის არის, როცა ჩვენი მანერით მის შეცვლას მოვისურვებთ”.²

- დიახ, როგორ ვასწავლოთ? ეს კითხვა მარადიულია და ვერც ერთი გამოჩენილი მოაზროვნე თუ გამოცდილი პედაგოგი თავს ვერ აარიდებს მას. ამიტომ მოდით ჩავხედოთ ბავშვებს თვალეში და ვკითხოთ: რა სურთ მათ? რას ელიან ისინი მასწავლებლებისაგან? სიხარულით ალებენ თუ არა სკოლის კარს?... როგორ აისახება მასწავლებლის გარეგნობა და ხასიათი ამ ცოცხალ “სარკეში”? როგორ ლებულობენ მასწავლებლის პიროვნებას და მოქმედებებს... ჩავიხედოთ და შევასწოროთ ის, რაც შესასწორებელია საქციელში, იერსახეში, დამოკიდებულებებში... ჩვენ უნდა მოვუსმინოთ მათ და გავაანალიზოთ მათი სურვილები და შეხედულებები, რაც გამოიწვევს ჩვენს მიზნებს შორის განსხვავების შემცირებას. ამას შეიძლება, ჩვენს შორის “სარკული ქცევა” ვუნოდოთ. მოდით ერთად ჩავიხედოთ “სარკეში” — მივყვეთ 7-დან 12-წლამდე ბავშვების ნააზრევს.

ექვსი-შვიდი წლის ბავშვი მასწავლებელზე ფიქრობს იმის მიხედვით, თუ როგორ ეპყრობა იგი მას: “მე მიყვარს ჩემი მასწავლებელი, იმიტომ რომ სულ კარგ ნიშნებს მიწერს და მაქვს”. “მე იმიტომ მიყვარს, რომ მეფერება და მილიმის”, “მას არასოდეს არ ვავინყდები და ყოველთვის მეხმარება, ამიტომ მიყვარს”. — ეს თავს იყრის ბავშვის პიროვნების ირგვლივ, განსაკუთრებულად სწავლების პირველ წელს და დადებითად აისახება მათში.

მასწავლებლის გარეგნობას ბავშვებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს: “მე ის მომწონს (მიყვარს), იმიტომ რომ ის ძალიან თანამედროვეა”... “იმიტომ რომ, მას ცისფერი თვალები და ლამაზი კაბა აქვს”; “მე ის მიყვარს იმიტომ, რომ ძალიან ლამაზია”; მაგრამ მიაქციეთ ყურადღება! პატარების სიყვარული უფრო მეტია, ვიდრე თვალთ დანახული სილამაზე. ისინი გულითაც გრძნობენ და ამბობენ: “მე ის მიყვარს, იმიტომ რომ ის დიდია (მოხუცია, ოცდაათს გადაცილებული) და კეთილია” — ბავშვები იწყებენ მთავარი ადამიანური ღირებულებების ნელ-ნელა გარჩევას. ე.ი. სადაც ცენტრში დგას ბავშვი, სადაც მოსწავლესა და მასწავლებელს შორის რკინის ფარდა არ არის, იქ თვალი თვალს ხედავს, გული გრძნობს გულს და გონებაც ერთი მიმართულებით მუშაობს.

საშუალო სკოლის დაწყებით კლასებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შექების, ნახალისების ნებისმიერ ვერბალურ თუ არავერბალურ ფორმას (ლიმილს, თავზე ხელის გადასმას, მცირედ საჩუქარს). ნებისმიერი ეს ფორმა დადებითად და მყისიერად აისახება მოსწავლის ქცევაზე. მას ასევე არამყისიერი, შორს მიმავალი შედეგები გააჩნია, რომლებიც მოსწავლეს უფრო მოტივირებულად და მიზანდასახულად განაწყობს. ამისდა მიუხედავად მოსწავლეთა ხშირი შექება მაინც არ არის რეკომენდირებული: I — იგი ბავშვს უჩენს განსაკუთრებულობის შეგრძნებას; II — გამოაცალკეებს ცალკე კოლექტივისაგან — სოციუმთან გაუცხოვება; III — აღუნებს მის სწრაფვას განვითარებისაკენ.

სხვაგვარად რომ ვთქვათ: გარკვეულწილად, ზედმეტი ქება ძალადობის უტყუარი ფორმაა დამლუპველი შედეგით.

მესამე კლასისათვის მასწავლებლისადმი სიყვარული იშვიათად არის დამოკიდებული მიღებულ ნიშნებზე, პირად დამოკიდებულებებსა და გარეგნობაზე. ბავშვი იწყებს მასწავლებლის შეფასებას არა მაღალი ნიშნების დანერით, არამედ მისი პიროვნულობის ისეთი მახასიათებლებით, როგორიცაა კეთილშობილება, სიკეთე, სისპეტაკე, სათნოება... ეს “ახალი” თვისებები ფართო შესაძლებლობებს წარმოშობს ბავშვისა და უფროსის კომუნიკაციისათვის. თვით ბავშვები მათ მიერ “აღმოჩენილ” ამ ახალ მახასიათებლებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

9-10 წლის ბავშვები თავიანთ თხზულებებში ხშირად იყენებენ სიტყვებს “კეთილი” და “სამართლიანი” და ამ გზით გვიჩვენებენ, თუ რას ელიან თავიანთი მასწავლებლისაგან. აი, რას წერენ ისინი: უყვართ “...იმიტომ, რომ ყოველთვის გვეკითხება გაკვეთილის წინ, გაგვიძნელდა თუ არა გაკვეთილის შესრულება და თუ ვინმე ვერ გაიგებს რაიმეს, ის აგვიხსნის, არასოდეს გვიბრაზდება, “... იმიტომ რომ ყველაფერს გვაგებინებს”.

² ჟან-ჟაკ რუსო „ემილი ანუ აღზრდის შესახებ“, თბ. 1949 წ. გვ. 111.

“... იმიტომ, რომ არ ჰყავს გამორჩეულები, სამართლიანია, “... იმიტომ, რომ ყოველთვის სწორად აკეთებს”.

ასეთ მასწავლებელს, განსაკუთრებით, დანყებით კლასებში “ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ პატარებისთვის ის თითქმის ყოველთვის იდეალური და უდავო ავტორიტეტია. “მე მინდა მას ვგავდე”, ამბობენ ისინი. სკეპტიკოსი იკითხავს: რა საჭიროა ვიცოდეთ რას ფიქრობს თითოეული ბავშვი? მასწავლებელი ხომ, მეცნიერული თეორიებითა და ცოდნა-ჩვევათა ერთიანობით შეიარაღებული შედის საკლასო ოთახში? მე მას ვპასუხობ: მოქმედების ცოდნა დამოკიდებულია მიზეზის, ცოდნაზე და ამ უკანასკნელს თავის თავში შეიცავს (ბ. სპინოზა) და როგორც კ. უშინსკი ამბობს: “თუ პედაგოგიკას სურს აღზარდოს ადამიანი ყოველმხრივ, ჯერ უნდა გაიცნოს იგი ასევე ყოველმხრივ”. ამიტომაც უნდა ვკითხოთ და გავიგოთ: რა სურთ, რა უხარიათ, რატომ უყვართ, ან არ უყვართ ბავშვებს.

საშუალო კლასებში, 11-12 წლის ბავშვებს უფრო “ნათელი თავები” აქვთ და მასწავლებელთა შედარებებით ახდენენ მათ დახასიათებას: ყველა მასწავლებელი უყვართ, რომლებიც სამართლიანი და ჭკვიანია, აქვთ კარგი თვისებები, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც არ მოსწონთ, როცა “... უნდა მაშინვე გავიგო ყველაფერი, მაგრამ ზოგიერთი ჩვენთაგანი ვერ აკეთებს ამას. ეს მე არ მომწონს და ამიტომ ვცელქობ, ისიც არ მომწონს, რომ ხშირად არ მიძახებს, თუმცა ხელს ვწევ”. აი, ამ შემთხვევაში ეკარებათ მათ სწავლისადმი ინტერესი და მოტივაცია, რომ იყვნენ უკეთესები. მათთვის გაკვეთილი მიმზიდველი აღარ არის. ინტერესი, ხომ ყოველთვის მიმართულია ადამიანისათვის ემოციურად მიმზიდველი საგნისადმი. მისი უქონლობა და სიღარიბე ბავშვის ცხოვრებას უფერულსა და უშინაარსოს ხდის, ხელს უშლის განვითარებისაკენ სწრაფვას. ამიტომ, ატრაქციას, როგორც პოზიტიური შეფერილობის მქონე ურთიერთობას, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ უმაღლესი სკოლის სასწავლო პროცესში, არამედ სასკოლო ასაკის ბავშვების აღზრდაშიც სასიკეთო როლს თამაშობს. ატრაქციის ელემენტები სასწავლო-საგაკვეთილო სისტემაში ხშირად უნდა ჩანდეს. სწორედ, ურთიერთგაგების დეფიციტი წარმოშობს ბარიერს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის.

იმისათვის, რომ გავიგოთ რა სურთ ბავშვებს, არ უნდა დაგვაფიქვდეს პატარა ადამიანების ყველაზე საყვარელი და სახალისი აქტივობა — თამაში. ადამიანთა აქტივობის ამ ფორმას უხსოვარი დროიდან იყენებდნენ სწავლების პროცესში და ჩვენც ხშირად უნდა მივმართოთ მასე. თამაშების ორგანიზება სკოლაში, პედაგოგიკური თამაშები სწავლების პროცესში აქტიური სწავლების მეთოდებს შორის ღირსეულ ადგილს იკავებს. ეს საკითხი კვლევის ცალკე თემაა, ჩვენ მხოლოდ ამ მიმართულებით ბავშვების სურვილებზე შევჩერდებით და მოკლედ მოგახსენებთ.

“დღეს კლასში დიდი მხიარულება გვქონდა, ჩვენმა ინგლისურის მასწავლებელმა გვათამაშა. მაგრამ, ის ყოველთვის არ გვაძლევს თამაშის უფლებას. მე ის მიყვარს, როგორც ჩემი დედიკო, - წერს IV კლასელი ბიჭი. ვერც ერთი ელექტრონული ნიგნი ვერ შეედრება ამ ურთიერთობებში მიღებულ შთაბეჭდილებებს, ამ აქტივობებში განცდილ სიხარულს და გათავისებულ ცოდნას.

ამბობენ, რომ გამოუცდელი მასწავლებლები პირველსავე გაკვეთილს ხშირად სახალისო აქტივობებით იწყებენ. ალბათ, რამდენად გაამართლებს ეს მიდგომა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის და ასაკის ბავშვებთან უნევს შესვლა. სახალისო აქტივობა, შეიძლება, ყოველთვის არ აღმოჩნდეს კლასთან ურთიერთობის საუკეთესო გამოსავალი და ის ქაოსში გადაიზარდოს.

გამოცდილი მასწავლებლები ამბობენ, რომ წარმატებული მართვის საიდუმლო კლასის ორგანიზებაშია: ისინი კლასის მართვას ხშირად ქცევის წესების გაცნობით იწყებენ. მასწავლებელმა კლასში შესვლის პირველი წუთებიდან უნდა განაწესოს ბავშვები ნდობითა და პატივისცემით მასწავლებლისა და საგნისადმი. მნიშვნელოვანია ქცევის წესები მოსწავლეებთან ერთად შეიქმნას. ისინი ჩართულები არიან წესების შემუშავებაში და რამდენიმე სოციალურ უნარს ერთად ინვითარებენ (კოლექტიურად და ჯგუფური მუშაობის სხვისი აზრის მოსმენა-გაზიარების, კონსენსუსის და ა.შ.). მნიშვნელოვანია, რომ ყველა ინდივიდში დევს თავდაცვის პირველყოფილი ინსტიქტი, ამიტომ უმცროს კლასელი ბავშვიც კი საკუთარი სიცოცხლის თუ სხვათა პიროვნულ უფლებებს იცავს საფრთხისაგან, რაც კარგად ჩანს ქცევის წესების შემუშავებისას განხორციელებულ აქტივობებში.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ 11-12 წლის ბავშვები გაცნობიერებულად (მასწავლებლის მიერ შესაბამისი განმარტებების შემდეგ) ინტერესით ისმენენ ბავშვთა უფლებათა კონვენციის შესახებ. საქართველო, ხომ აღნიშნულ კონვენციას 1994 წელს შეუერთდა. მხოლოდ კონვენციაში

წარმოდგენილი ოთხი ძირითადი კატეგორიის: სიცოცხლე, განვითარება, დაცვა და მონაწილეობა, გაცნობის შემდეგ. ისინი უფრო გაბედულად საუბრობენ თავიანთ სურვილებზე, ოცნებებზე და მათთან ერთად ვაყალიბებთ ქცევის მართვის სისტემას. სისტემა ზრდის მოსწავლეთა პასუხისმგებლობას, ისინი მუშაობენ თვითშეფასებაზე და იციან, რომ არსებობს სანქციებიც სხვისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში. ამ სისტემაში ჩართულები არიან მშობლები, რომლებიც შეფასების ბარათების საშუალებით იღებენ ინფორმაციას საკუთარი შვილის ქცევის შესახებ.

ჩემი აზრით, ქცევის სისტემის ჩამოყალიბებისას მასწავლებლებმა შემდეგი მიმართულებები უნდა გაითვალისწინოს:

1. მოსწავლეებმა ერთმანეთისაგან გამიჯნონ ბავშვთა უფლებები და მოვალეობები;
2. მოცემულ სიტუაციის გაანალიზებით განსაზღვრონ ბავშვთა უფლებები;
3. ბავშვთა უფლებები კონვენციაში ასახულ უფლებებთან შესაბამისობაში მიიყვანონ;
4. უფლებები შეუსაბამონ მოვალეობებს;
5. მოიფიქრონ სანქციები თითოეული პუნქტის დარღვევისათვის;
6. შექმნან შეფასების ბარათები;
7. იქონიონ მშობლებთან წერილობით ურთიერთობის სქემა.

კონვენციაზე დაყრდნობით სკოლა უნდა გახდეს უსაფრთხო გარემო, სადაც დაცული იქნება ბავშვის ფსიქოლოგიური (პატივს სცემენ მათ თავისუფალ აზრს და პიროვნულ თავისებურებებს), ფიზიკური — (მოსწავლეთა ჯანმრთელობა, არ ექმნება საფრთხე (?!) — ეს საკითხი რჩება „აქილევსის ქუსლად“ ქართულ განათლების სისტემაში; ვგულისხმობ 10 კგ-იან ჩანთებს უმცროს სასკოლო ასაკში, ფიზიკური აღზრდის ნაკლოვანებებს და ა.შ. მაგრამ ეს მტკივნეული საკითხი ჩვენი სტატიის თემა დღეს ვერ გახდება) ინკლუზიური განათლების უფლება — სადაც სხვადასხვა ეროვნების, რელიგიის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეები პატივს სცემენ ერთმანეთს. დიახ, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია!

მასწავლებლო! თუ შენ იცი სხეულის გაკაჟების, ნებისყოფის გამონრთობის, გულის გაკეთილშობილების, გონების გავარჯიშების და განსჯის განონასწორების საშუალება, - მაშასადამე, აღმზრდელი ხარ! მანამდე კი ჰკითხე თქვენს გოგო-ბიჭებს, რა სჭირდებათ ბედნიერებისათვის? რა სურთ ბავშვებს? ნახალისეთ მათი მშვენიერი ინსტინქტები, მაშინ „მე“ ხშირი აღარ იქნება და „ჩვენ“ იშვიათი. შეაჩვიეთ ისინი არა მარტო აზროვნებას, არამედ წადილსაც და თუ ეს წადილი ერთი მიმართულებით იქნება ცნობილი ფრანგი განმანათლებლის ჟან-ჟაკ რუსოს მოწოდებაც: „ბავშვმა უნდა გააკეთოს ის, რაც მას სურს, მაგრამ უნდა სურდეს ის, რაც ჩვენ“ — შესრულებული იქნება.

ჩვენი ქვეყნის მომავალი დამოკიდებულია ახალი თაობის განვითარებაზე, მათი განათლების დონეზე, რაშიც უდიდესი როლი შეაქვს პედაგოგს. პიროვნების ინდივიდუალურობა შეადგენს მთლიანი საზოგადოების სიმდიდრეს და ყოველგვარი შემოქმედებითი შეზღუდვა პიროვნების გამოვლინებისა და განვითარების მიმართ შლის მის შემოქმედებით პოტენციალს. ვერანაირი კანონი ზოგადი განათლების ეროვნული გეგმა თუ კონვენცია ვერ შეცვლის მასწავლებლის ცოცხალი სიტყვის ძალას, კლასში გამეფებულ აქტიურ გარემოს, სადაც მთავარი მამოძრავებელ ბავშვის სულიდან წამოსული შესაძლებლობები და სურვილები.

დღეს, საქართველოს განათლების სისტემაში არსებულ გარდამავალ, მრავალი ხარვეზის აღმოფხვრის პერიოდში, ვფიქრობ უკეთეს ხვალინდელ დღეზე, სადაც საუკეთესო ქართველი პედაგოგები კარგად მოწყობილი სკოლის კანონებით და ცოდნით შეიარაღებულები ძლიერ, კონკურენტუნარიან და ბედნიერ თაობებს აღზრდიან. ამ გზების ძიების უფლებას ჩემი 30 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება და ახალგაზრდების სიყვარული მაძლევს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჟან-ჟაკ რუსო „ემილი ანუ აღზრდის შესახებ“, თბ., 1949 წ.
2. ბრძნული აზრების სამყაროში, თბილისი, 1961 წ.
3. დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, თბ., 1959 წ.
4. „ეფექტიანი სწავლება“ — საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები. 2010 წ. (თავი III, გვ.105-122).
5. ბავშვის უფლებათა კონვენცია, უნიცეფ, 2008 წ.
6. www.ucnauri.com.

7. С.Д. Смирнов «Педагогика и психология высшего образования от деятельности к личности», М., 2001 г.

თინათინ შერვაშიძე

ბავშვთა აღზრდის ზომიერითი პედაგოგიური პრობლემა, ანუ რა სურთ ბავშვებს?!

რეზიუმე

დღეს, კომპიუტერიზაციის ხანაში, ძნელია სწავლების პროცესით დაინტერესო ბავშვები, რომლის თვალსა და გულს ათასი სატყუარა იპყრობს, ამიტომ პედაგოგს ევალება განუწყვეტელი ფიქრი, შრომა და ბავშვის ინტერესების მიმართულებით სვლა. ამ ინტერესების გარკვევაში კი პატარების ჩანაწერები გვიყვებიან რა სურთ ბავშვებს? — ეს არ არის რიტორიკული შეკითხვა, მასზე პასუხი ბევრად განაპირობებს სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის სწორი მიმართულებით სვლას. ამიტომ ჰკითხეთ თქვენს პატარებს.

სკოლის დანეებით კლასებში მათი სურვილები მასწავლებლებთან დაკავშირებით აკუმულირდება შემდეგ სიტყვებში: სამართლიანობა, სიყვარული, სილამაზე, პედაგოგიური თმენა და ურთიერთპატივისცემა. მასწავლებელმა კლასში შესვლის პირველივე წუთებიდან უნდა განაწყობს ბავშვები ნდობითა და პატივისცემით მასწავლებლისა და საგნისადმი. შემდეგ კი ისინი უფრო გაბედულად საუბრობენ თავიანთ სურვილებზე, ოცნებებზე და ერთად აყალიბებენ ქცევის მართვის სისტემას. ბავშვის უფლებების კონვენციაზე დაყრდნობით სკოლა უნდა გახდეს უსაფრთხო გარემო, სადაც დაცული იქნება ბავშვის ფსიქოლოგიური, ფიზიკური, ინტელექტუალური განვითარების უფლებები. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

ТИНАТИН ШЕРВАШИДЗЕ

НЕКОТОРЫЕ ПЕДАГОГИЧЕСКИЕ ПРОБЛЕМЫ В ВОСПИТАНИИ ДЕТЕЙ ИЛИ ЧЕГО ЖЕЛАЮТ ДЕТИ?!

Резюме

Сегодня, в эпоху компьютеризации, очень трудно заинтересовать учебным процессом ребёнка, взор и сердце которого завораживают тысяча соблазнов, поэтому педагогу приходится постоянно думать, как направить интересы ребёнка. А в определении этих интересов нам помогают записки малышей. Чего желают дети? – это не риторический вопрос. Ответ на него во многом определяет верное направление учебно-образовательного процесса. Поэтому спросите ваших малышей.

В начальных классах школы образ преподавателя ассоциируется у детей с такими словами, как справедливость, любовь, красота, педагогическое терпение, взаимоуважение. С первых же минут появления в классе педагог своим доверием и уважением должен расположить детей к преподавателю и предмету. Затем они уже более уверенно говорят о своих желаниях, мечтах и вместе начинают формулировать правила поведения. Опираясь на конвенцию прав ребёнка, школа должна стать безопасной средой, где будут защищены права ребёнка для его психологического, физического, интеллектуального развития. Ещё многое предстоит сделать.

TINATIN SHERVASHIDZE

SOME PEDAGOGICAL PROBLEMS IN RAISING CHILDREN OR WHAT DO CHILDREN DESIRE?!

Abstract

Today in the times of computerization it is difficult to engage a child whose eyes and heart are attracted with thousands of distractions into the learning process. Therefore, a teacher is in charge of continuous thinking and hard work to meet children's interests. This is young children's writings that help us to find out about their strives. What do children desire? – This is a kind of rhetoric question, and the answer to it greatly determines the right move of the educational process. That is why it is essential to ask children questions. At Primary Schools children's wishes regarding their teachers are accumulated

in the words: justice, love, beauty, teaching tolerance and mutual respect. From the very first moment of entering a classroom the teacher should gain trust and respect of students and provoke their love to the subject. Later they will talk about their desires and dreams more courageously and shape behavior of the control system together. On the basis of the Rights of the Child Convention, school should become a secured place, where the child's psychological, physical, intellectual development rights will be protected. There is still much to be done.



ელზა გარაყანიძე

სკოლის მუსიკის მასწავლებლის გადაზადების მოდერნიზაცია

საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე რეფორმებმა, ძირეულმა სიახლეებმა ეროვნულ სასწავლო გეგმაში, საგნობრივი სტანდარტების ამოღებამ, სრულიად განსხვავებული ტიპის სასწავლო-დიდაქტიკური მასალების შექმნამ განსაზღვრა მუსიკის განათლების მიმართულებით სათანადო კვალიფიკაციის მასწავლებლის მომზადებისა და გადამზადების აუცილებლობა. ამ პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია წარმართოს სასწავლო პროცესი განათლების თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, სწავლების უახლესი საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებით ეფექტური მოდერნიზაცია.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით 2006 წლიდან მუსიკის საგანმა საჯარო სკოლაში ძირეული ცვლილებები განიცადა, რაც საგნის სახელწოდებას, სწავლების ხანგრძლივობას და ზოგადად, მის ახლებურ გააზრებას ეხება: „მუსიკა“ თანაბარუფლებიან სასწავლო დისციპლინად გვევლინება. მისი სწავლება სავალდებულოა სკოლის ორ - დანყებით (I-VI), საბაზო (VII-IX) საფეხურზე, ხოლო საშუალო (X-XI-XII) კლასებში მუსიკის საგანი არჩევითი კურსების ნუსხაშია წარმოდგენილი (1).

მუსიკის სწავლების ნებისმიერი პროგრამა, რომელსაც შევთავაზებთ მომავალ თაობას სრულყოფილად ვერ ამოქმედდება თუ ამ პროცესს პროფესიულად მომზადებული მასწავლებელი არ გაუძღვება, რადგან მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული „მუსიკა“ სკოლაში შეასრულებს თუ არა ესთეტიკურ, შემეცნებით და აღმზრდელობით ფუნქციებს (3.8). მუსიკის სწავლება სკოლაში არ გულისხმობს მუსიკის საგნის პროფესიულ დონეზე აყვანას, არამედ უნდა აღვზარდოთ მუსიკის კულტურული მსმენელი, ეს იმას ნიშნავს, რომ მუსიკას უნდა ეზიაროს ყველა ბავშვი და მუსიკისადმი გულგრილი არ დარჩება არცერთი მათგანი. ამით ქვეყანას შეემატება შემოქმედი ადამიანები, რაც მომავალში თავს იჩენს მათი საქმიანობის ნებისმიერ სფეროში.

საჯარო სკოლის მუსიკის მასწავლებლის მომზადების პრობლემის დამუშავებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება იქონია როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ მოღვაწე მკვლევარების შრომებმა, რომლის მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ სკოლის მოსწავლეთა სრულყოფილი მუსიკალური განვითარება ბევრადაა დამოკიდებული მასწავლებელზე. სწორედ მან უნდა შეძლოს გაუღვივოს მოსწავლეს მუსიკისადმი ინტერესი და სიყვარული, განუვითაროს მუსიკალური გემოვნება, რომელსაც მუსიკის აღქმა-გაგების, შეფასება-მსჯელობის, ელემენტარული მუსიციკირების უნარ-ჩვევები ექნება გამომუშავებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა ცხადია, განაპირობა სერიოზული კორექტივების შეტანის აუცილებლობა მუსიკის მასწავლებლის მომზადების სისტემაში და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, განსაზღვრა არსებული პედაგოგიური კადრების გადამზადების მოდერნიზაცია ახალგაზრდა თაობის თანამედროვე აღზრდა-განათლების მოთხოვნების შესაბამისად.

ვეთანხმებით, რა განათლების უწყვეტი პროცესის აუცილებლობას, ვთვლით, რომ თვითგანათლების გარდა, მუსიკის მასწავლებლის პოსტიდპლომური განათლების პირობებში მიზანშეწონილია ტრენინგ-კურსის გამოყენება. მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამამ „მუსიკაში“ დაიწყო მუშაობა ჯერ კიდევ 2008-2009 სასწავლო წელს თბილისის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ცენტრში, სადაც ჩავატარეთ კვლევა 52 მასწავლებელთან. პროგრამა მიზნად ისახავდა მუსიკის მასწავლებელთა დარგობრივი კომპეტენციების შესაბამისობის

უზრუნველყოფას მასწავლებელთა პროფესიულ სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების რეალური დონის გამოსავლენად ტრენინგის მონაწილე მასწავლებლებს შევთავაზეთ ჩვენ მიერ სპეციალურად შედგენილი კითხვარი იდენტური შინაარსით. გამოკითხვა შედგა ჯერ ტრენინგის დასაწყისში I სერია, შემდეგ ტრენინგის დასრულებისას II სერია. კითხვარი მოიცავდა 12 პუნქტს. თითოეულ კითხვაზე მოცემულ პასუხში ტრენინგის მონაწილე მასწავლებლებს უნდა გამოეხატათ თავისი დამოკიდებულება შესატყვისი ნიშნის შემოხაზვით. მიღებული მონაცემები დამუშავდა სტატისტიკურ პროგრამათა პაკეტის SPSS-ის (21-2 ვერსია) გამოყენებით.

კითხვარის **პირველი კითხვით** უნდა დაგვედგინა შეადგენს თუ არა ტრენინგის მონაწილე მასწავლებლებისათვის სირთულეს გაკვეთილის დაგეგმვა საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, შევთავაზეთ მათ სამი სავარაუდო პასუხი: დიახ, არა, ნაწილობრივ. I სერიაში მასწავლებლების უმრავლესობამ 67,3%-მა აღნიშნა, რომ გაკვეთილის დაგეგმვა საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით ნაწილობრივ სირთულეს წარმოადგენს, II სერიაში უმრავლესობამ 92,3% -მა დააფიქსირა, რომ ტრენინგზე მიღებულ ცოდნას გამოიყენებენ გაკვეთილის დაგეგმვისათვის საგნის სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

მეორე კითხვით უნდა გაგვერკვია, ტრენინგის მსმენელები უზრუნველყოფენ თუ არა შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. I სერიაში ტრენინგის მონაწილე მასწავლებლების 84,6%-მა აღნიშნა, რომ ნაწილობრივ უზრუნველყოფენ შედეგსა და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას, II სერიაში 100%-მა კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა.

მესამე კითხვა მიზნად ისახავდა გარკვევას, იყენებენ თუ არა მასწავლებლები ხერხებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის აღძვრას ახალი სასწავლო მასალის მიმართ (მოსაზრებების ურთიერთ გაზიარება, ახალი სასწავლო მასალის შინაარსის დაკავშირება მოსწავლის ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, შექმნილი ცოდნის აქტივაცია და ა.შ.). I სერიაში ტრენინგის მონაწილე მასწავლებლების 73,1%-მა კითხვას გასცა პასუხი ნაწილობრივ, II სერიაში უმრავლესობამ 88,5%-მა აღნიშნა, რომ აქტიურად გამოიყენებენ ხერხებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის აღძვრას ახალი მასალის მიმართ.

მეოთხე კითხვით უნდა დაგვედგინა, იყენებენ თუ არა ტრენინგის მონაწილე მასწავლებლები განსხვავებული ტიპისა და სირთულის სავარჯიშოებს /დავალებებს კონკრეტული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით. I სერიაში ტრენინგის მსმენელების უმრავლესობამ 65,4%-მა კითხვაზე დააფიქსირა პასუხი ნაწილობრივ, II სერიაში 88,5%-მა უკვე დადებითი პასუხი გასცა.

მეხუთე კითხვით უნდა გაგვერკვია, უზრუნველყოფენ თუ არა ტრენინგის მონაწილე მასწავლებლები დაგეგმილ აქტივობათა განხორციელებისათვის სწავლების ორგანიზების სათანადო ფორმების შერჩევას (ინდივიდუალური, წყვილში, ჯგუფური, მთელი კლასის მონაწილეობით). I სერიაში მასწავლებლების 57,7%-მა აღნიშნა, რომ ამ ფორმებს ნაწილობრივ უზრუნველყოფენ, II სერიაში უმრავლესობამ 96,2%-მა კითხვას დადებითი პასუხი გასცა.

მექვსე კითხვა მიზნად ისახავდა გარკვევას, რამდენად ფლობენ და იყენებენ ტრენინგის მსმენელები სწავლება/სწავლის თანამედროვე ტექნოლოგიებს (გონებრივი იერიში, გრაფიკული სააზროვნო სქემები და დიაგრამები, დისკუსია და სხვ). თუ ტრენინგის დასაწყისში I სერიაში მასწავლებლების უმრავლესობამ 67,3%-მა კითხვაზე დააფიქსირა პასუხი ნაწილობრივ, II სერიაში 98,1%-მა აღნიშნა, რომ გაკვეთილზე უზრუნველყოფენ სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას.

მეშვიდე კითხვის დასადგენად ტრენინგის მონაწილე მასწავლებლები ითვალისწინებენ თუ არა მოსწავლეთა მიერ ამოცანების /პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, ინფორმაციის მოძიების, კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარების განვითარებას. I სერიაში უმრავლესობამ 73,1%-მა დააფიქსირა პასუხი ნაწილობრივ, II სერიაში მასწავლებლების 80,8%-მა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ უნართა განვითარებას უკვე გაითვალისწინებენ.

მერვე კითხვით უნდა გაგვერკვია, ახდენენ თუ არა ტრენინგის მსმენელები დავალებების, აქტივობების დიფერენცირებას მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით. I სერიაში მასწავლებლების უმრავლესობამ 71,2%-მა აღნიშნა, რომ ნაწილობრივ ახერხებდნენ ამ შესაძლებლობების გათვალისწინებას გაკვეთილზე, II სერიაში კი აჩვენა, რომ 82,7%-მა კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა.

მეცხრე კითხვაზე ტრენინგზე მონაწილე მასწავლებლების ნახევარზე მეტმა 57,7%-მა უზრუნველყოფენ თუ არა მოსწავლეთა ჩართვას შეფასების კრიტერიუმების შემუშავების, თვითშეფასებისა და თანაშეფასების პროცესში I სერიაში უარყოფითი პასუხი გასცა, II სერიაში მხოლოდ 65,4%-მა კითხვაზე დადებითი პასუხი დააფიქსირა.

მეათე კითხვით უნდა დაგვედგინა საჯარო სკოლის მასწავლებლები გეგმავენ და ახორციელებენ თუ არა კომპლექსური ხასიათის ჯგუფურ აქტივობებს (კონცერტი, პროექტი, წარმოდგენა და ა.შ.). თუ I სერიაში მასწავლებლებისთვის მიცემულ ამ კითხვაში უმეტესად იკვეთებოდა დადებითი და ნაწილობრივ პასუხები, II სერიაში ტრენინგის მონაწილე მასწავლებლების 86,5%-მა კითხვას დადებითი პასუხი გასცა.

მეთერთმეტე კითხვით უნდა გავვერკვია, რამდენად ფლობენ მასწავლებლები ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარების მეთოდებს. I სერიაში მათმა უმრავლესობამ 53,8%-მა დააფიქსირა კითხვაზე უარყოფითი პასუხი, II სერიაში კი მხოლოდ 48,1%-მა აღნიშნა, რომ დადებითად ფლობენ ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარების მეთოდებს.

მეთორმეტე კითხვა მიზნად ისახავდა დადგენას, შეესატყვისება თუ არა ტრენინგის მონაწილე მასწავლებელთა პროფესიული კომპეტენციები მუსიკის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. თუ I სერიაში მათმა უმრავლესობამ 57,7%-მა დააფიქსირა კითხვაზე პასუხი ნაწილობრივ, II სერიაში უკვე 88,5%-მა აღნიშნა, რომ მათი პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები შეესაბამება მუსიკის მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს.

ამრიგად, კითხვარის ჩატარების I სერიის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ მასწავლებლების უმრავლესობას საჯარო სკოლაში მუშაობისას უჭირდათ: შედეგსა და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვა; დაგეგმილ აქტივობათა განხორციელებისათვის სწავლების ორგანიზების მრავალმხრივი ფორმების გამოყენება; სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება; დავალების, აქტივობების დიფერენცირება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით; ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარების მეთოდის ფლობა; მოსწავლეთა ჩართვა შეფასების კრიტერიუმების შემუშავების, თვითშეფასებისა და თანაშეფასების პროცესში.

მიღებული I სერიის შედეგების გათვალისწინებით იყო ჩვენ მიერ ორგანიზებული 5 დღიანი ტრენინგი, რომელიც მიზნად ისახავდა: გააცნოს მასწავლებლებს მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული მუსიკის გაკვეთილების დაგეგმვა, მართვა თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც დაეხმარება მათ, მოიყვანონ შესაბამისობაში საკუთარი ცოდნა და უნარ-ჩვევები ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით, საგნობრივი და პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ტრენინგის მიზნის შესაბამისად განსაზღვრული იყო ამოცანებიც:

- შემოქმედებითად გაიაზროს ეროვნული სასწავლო გეგმითა და საგნობრივი საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული სიახლეები;
- დაეუფლოს მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის, მართვისა და შეფასების უახლეს პედაგოგიურ ტექნოლოგიებს;
- სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვროს გაკვეთილის მიზნები და ამოცანები, მათი შესატყვისი სხვადასხვა ტიპისა და სირთულის მქონე აქტივობები ცოდნის ათვისების სხვადასხვა ფაზისათვის;
- დაეუფლოს მოტივაციის ამაღლების ხერხებსა და მეთოდებს სხვადასხვა ტიპის აქტივობაში ჩასაბმელად;
- აითვისოს და დანერგოს პროფესიულ პრაქტიკაში მუსიკის გაკვეთილების კონსტრუირების, საგაკვეთილო სცენარების დამუშავებისა და რეალიზების თანამედროვე ტექნოლოგიები და სტრატეგიები;
- გაეცნოს თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიის ერთ-ერთი სახის - პედაგოგიური სიტუაციების მოდელირების არსს და სასწავლო პროცესში გამოყენების თავისებურებებს;
- დაეუფლოს შეფასებისა და თვითშეფასების ძირითად სტრატეგიებს და სასწავლო პროცესში მათი ეფექტური გამოყენების ფორმებსა და მეთოდებს.

ტრენინგის ჩატარებისას ვიზილავდით ესთეტიკური აღზრდის თანამედროვე ტენდენციებს;

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმითა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ სიახლეებს; მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესს და მისი განხორციელების თავისებურებებს მუსიკის გაკვეთილზე.

ტრენინგის მონაწილე მასწავლებლებს ვასწავლიდით სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებს და მის გამოყენებას მუსიკის გაკვეთილზე; მოტივაციის აღძვრის ხერხებს; პედაგოგიური სიტუაციების მოდელირებას და მისი სასწავლო პროცესში განხორციელების ხერხებსა და საშუალებებს; მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების სისტემას, კრიტიკერიუმებს, ფორმებსა და მეთოდებს; გაკვეთილის ანალიზსა და შეფასებას.

ამ სიძნელეების დასაძლევად აქტიურად ვიყენებდით პედაგოგიური ტექნოლოგიის ერთ-ერთ სახეს „პედაგოგიური სიტუაციების მოდელირებას“ და შევუდეგით ამ მეთოდის რეალიზაციას. ტრენინგის მონაწილე მასწავლებლებს მივანოდეთ ინფორმაცია მოდელირების ტექნოლოგიის არსზე, ვესაუბრეთ სწავლების პროცესში მის საჭიროებაზე შესასწავლ მოვლენათა გამოსავლენად, ადვილად გასაცნობიერებლად (7,247). გავაცანით განათლებაში მოდელირება და დაკვირვებით სწავლა. ადამიანები ეფექტურად სწავლობენ სხვა ადამიანზე, ანუ მოდელზე დაკვირვებით. მათ სხვების იმიტაციის/მიბაძვის უნარი დაბადებიდან მოსდევთ. ისინი სწავლობენ მრავალი ფსიქომოტორული ქმედების შესრულებას სხვა ადამიანზე დაკვირვებით, როგორც შედარებით მარტივ, აგრეთვე გაცილებით უფრო რთულ ქმედებებს. მოსწავლეზე გავლენას ახდენს არამარტო მოდელის ქცევა, არამედ ის შედეგები, რომლებიც მოდელის მოქმედებას მოსდევს (5,10).

აგრეთვე ვთავაზობდით პორტფოლიოს შედგენას, რომელიც ინდივიდუალური ნამუშევრების კრებულია. იგი გვიჩვენებს მასწავლებლის მიღწევებს საკუთარ პროფესიულ საქმიანობაში. მასში შედის მასწავლებლის CV, ყველა კლასისათვის წლიური სასწავლო კურსის სილაბუსი, თემატური ერთეულის სამოდელო გაკვეთილის, პროექტის ან ღონისძიების გეგმა, გამოყენებული მეთოდების/სტრატეგიების მოკლე აღწერა, შეფასების ცხრილები, გამოყენებული ან შექმნილი სასწავლო რესურსი, მათ მიერ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიების ქსერო-ასლები. ვუხსნიდით ტრენინგის მონაწილე მასწავლებლებს, რომ პორტფოლიოსათვის მასალების შეგროვება წარმოადგენს პროფესიულობის წარმოჩენის „ეფექტიან ინსტრუმენტს“ (6,12).

ტრენინგის დასრულებისას ჩავატარეთ გამოკითხვის II სერია, იმავე კითხვარის მიხედვით, რომელიც გამოვიყენეთ I სერიის დროს (თვალსაჩინოებისთვის შედეგები არის მოცემული I სერიასთან ერთად).

მიღებული მონაცემები მიაჩვენებს მკაფიო ტენდენციებზე, თუ რამდენად გაუმჯობესდა I სერიაში მიღებული შედეგები მომდევნო ეტაპზე (II სერია) და წარმოადგენს გვიქმნის მასწავლებლების გამოკვეთილ მოტივაციაზე სიახლეებისადმი თანამედროვე პედაგოგიურ ტექნოლოგიების სფეროში, მათი სასწავლო პროცესში რეალიზების მნიშვნელობაზე.

კვლევის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ გაიზარდა ტრენინგზე მიღებული ცოდნის გამოყენების მომხრეების რაოდენობა ტრენინგის შემდეგ.

მასწავლებელთა მიერ დაგეგმილ აქტივობათა განხორციელებისათვის სწავლების ორგანიზების მრავალმხრივი ფორმების გამოყენება გახდა უფრო მრავალფეროვანი;

მასწავლებლებმა ყურადღება მიაქციეს მუსიკის გაკვეთილის კონსტრუირებისა და საგაკვეთილო სცენარების დამუშავებისას მრავალმხრივი სტრატეგიების, სწავლების თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებას;

მასწავლებლებმა დაიწყეს მოსწავლეთა შეფასებისა და თვითშეფასების მეთოდების ეფექტურად და მიზანმიმართულად გამოყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის;

კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც აღინიშნება კვლევის შედეგად. ტრენინგის მონაწილეებს გარკვეულ სირთულეებს უქმნის ინტეგრირებული გაკვეთილის მომზადება და ჩატარება.

შედეგები ცხადყოფს, რომ ტრენინგის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს პედაგოგიური სიტუაციების მოდელირების გამოყენებას და მისი საშუალებით არსებითი ხარისხოვანი შედეგების მიღწევას სასწავლო პროცესში.

ამრიგად, საჯარო სკოლაში „მუსიკის“ საგნის პროგრამები მოითხოვს მუსიკის

მასწავლებლის გადამზადების მოდერნიზაციას, რომელიც გულისხმობს მოზარდი თაობის მუსიკალურ კულტურასთან ზიარებისთვის პროფესიული ფუნქციების წარმატებით შესრულებას, მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაბამისობას მასწავლებელთა პროფესიულ სტანდარტთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა (2011-2016). თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2011.
2. მუსიკა. საგნობრივი სტანდარტი. თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2011.
3. ბუსურაშვილი, ჯ. უმცროსკლასელებში მუსიკისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების ფორმირების პედაგოგიური საფუძვლები. თბილისი: სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თსუ, 1990.
4. თხილავა, მ. უმაღლეს სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლის მუსიკალური მომზადება. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი: თსუ. 2004.
5. Bandura, Albert. Social Learning Theory. New York: General Learning Press, 1971.
6. Crappell, C., and Kenneth Thompson. «First Impressions.» American Music Teacher Vol. 62 (January 2013).
7. Большая психологическая энциклопедия /авт. коллектив/. Москва: Эксмо, 2007.

ელზა გარაყანიძე

სკოლის მუსიკის მასწავლებლის გადამზადების მოდერნიზაცია

რეზიუმე

სკოლაში ეროვნულ სასწავლო გეგმაში ძირეულმა ცვლილებებმა, საგნობრივი სტანდარტების ამაღლებამ განაპირობა მუსიკის განათლების მიმართულებით სათანადო კვალიფიკაციის მასწავლებლის გადამზადების მოდერნიზაციის აუცილებლობა.

განათლების უწყვეტ პროცესში, თვითგანათლების გარდა, მუსიკის მასწავლებლის პოსტდიპლომური განათლების პირობებში მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტრენინგ-კურსის ჩატარება თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებით.

კვლევამ გამოავლინა მასწავლებლების გამოკვეთილი მოტივაცია სიახლეებისადმი თანამედროვე პედაგოგიურ ტექნოლოგიების სფეროში და მათი რეალიზება სასწავლო პროცესში.

მუსიკის მასწავლებლის გადამზადების მოდერნიზაციამ ხელი შეუწყო მოზარდი თაობის მუსიკალურ კულტურასთან ზიარებისთვის მასწავლებელთა პროფესიული ფუნქციების წარმატებით შესრულებას, მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაბამისობას მასწავლებელთა პროფესიულ სტანდარტთან.

ЭЛЗА ГАРАКАНИДЗЕ

МОДЕРНИЗАЦИЯ ПЕРЕПОДГОТОВКИ ШКОЛЬНОГО УЧИТЕЛЯ МУЗЫКИ

Резюме

Коренные изменения национального учебного плана в школе, повышение предметного стандарта обусловили необходимость модернизации переподготовки учителя педагогической квалификации по направлению музыкального образования. В процессе непрерывного образования и самообразования, в условиях постдипломного образования учителя музыки считаем целесообразным проведение тренинг-курса с использованием современных образовательных технологий.

В исследовании выявилась чёткая мотивация учителей к новизне в сфере современных

педагогических технологий и их реализация в учебном процессе. Модернизация переподготовки учителя музыки способствует выполнению профессиональных функций учителей для приобщения подрастающего поколения к музыкальной культуре, соответствию приобретённых знаний, навыков и умений с профессиональным стандартом учителя.

ELZA GARAKANIDZE

MODERNIZATION OF SCHOOL MUSIC TEACHERS' TRAINING

Abstract

Profound changes in the national curriculum of school and development of subject standards has led to the need to update appropriate qualification teacher standards in the direction of music education. In the continuous process of education, apart from self-education, we think it is reasonable to carry out a training course with modern educational technologies within the music teachers' postgraduate studies. The survey showed teachers' obvious motivation to the innovations implemented in modern teaching technologies and their implementation in the educational process. The modernization of music teacher training greatly contributed to the successful implementation of teachers' professional skills in order to involve younger generation in music and compliance of the acquired knowledge and skills with teachers' professional standards.



სკოლამდელი აღზრდის პედაგოგია

ლილი მექვაბიშვილი

პასუხისმგებლობის აღზრდა სკოლამდელი ასაკის ბავშვებში

ხშირად გვსმენია ბევრი მშობლისა თუ მასწავლებლისგან, რომ ბავშვებს აკლიათ სიბევეთე, უძნელდებათ გულმოდგინე მეცადინეობა, უჭირთ თამაშიდან სერიოზულ გონებრივ მუშაობაზე გადასვლა, არ მიჰყავთ დაწყებული საქმე ბოლომდე. სკოლაში ბავშვები გაკვეთილზე შედარებით ადვილად სწყვეტენ იმ სასწავლო ამოცანას, რომელიც მათ უშუალო ინტერესებს აკმაყოფილებს, მაგრამ თუ იგი მოკლებულია ამ ინტერესებს და სასწავლო დავალება უნდა შეასრულონ პასუხისმგებლობის მოტივით, მაშინ ისინი გამოეთიშებიან გაკვეთილს, არ ასრულებენ დავალებას გულმოდგინედ, არცკი ცდილობენ დაიმსახურონ მასწავლებლის შექება.

- რა არის ამის მიზეზი? სად უნდა ვეძებოთ იგი? როგორ აღვზარდოთ ბავშვებში პასუხისმგებლობა? საიდან დავიწყოთ?

აი ის კითხვები, რომლებიც ყველა აღმზრდელს, თუ მშობელს უჩნდება ასეთ შემთხვევაში. როდის უნდა დავიწყოთ ამაზე ზრუნვა, მაშინ როცა უკვე ჩამოყალიბდება უპასუხისმგებლობა? რა თქმა უნდა არა, პასუხისმგებლობის აღზრდაზე ზრუნვა ადრეული ბავშვობიდანვე უნდა დავიწყოთ, მაშინ როდესაც ბავშვი ესწრაფვის ყველაფრის დამოუკიდებლად შესრულებას და მის სიტყვათა ლექსიკონში სულ უფრო ხშირად ჩნდება სიტყვები: "მე თვითონ", როცა ბავშვში თავს იჩენს "მე"-ს ცნობიერება.

ამ ასაკში ეყრება საფუძველი მომავალ პიროვნებას, აქ იწყებს აღმოცენებას პირველი მორალური წარმოდგენები, გრძნობები, ჩვევები, დამოკიდებულებები, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ბავშვის პიროვნების შემდგომ ზნეობრივ განვითარებას, პასუხისმგებლობაც უკვე სკოლამდელ წლებში ისახება, მაშინ როდესაც ბავშვი იწყებს თავისი მოქმედებების მონესრიგებას უფროსებისა და გარემომცველი სოციალური გარემოს უშუალო ზემოქმედებით. მაგრამ, პასუხისმგებლობა სკოლამდელ ასაკში, სრულიად მარტივი, არართული მოვალეობებისადმი თავისთავად როდი აღიძვრება, მის გამოვლენას, ჩამოყალიბებას სათანადო

პირობები სჭირდება. ეს კი სწორად ორგანიზებულ, პედაგოგიურად მოწესრიგებულ გარემოს მოითხოვს. პირველ რიგში, ბავშვთან მოზრდილი ადამიანის სწორ ურთიერთობას.

თანამედროვე პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ გამოკვლევებში, როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ, დიდი ადგილი აქვს დათმობილი ურთიერთობის პრობლემას.

ურთიერთობა ადამიანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ყველაზე ადრეული სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცესია, რომლის დროსაც ხდება აზრების, ემოციების და ინფორმაციების უშუალო გაცვლა.

ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბება, მისი ზნეობრივი განვითარების დონე დიდადაა დამოკიდებული იმ ურთიერთობაზე, რომლებიც მას ნიმუშად აქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ან რომელთა უშუალო მონაწილე თვითონ არის. ისეთი ავტორიტეტული პირის ქცევა, როგორცაა მშობელი ან აღმზრდელი ბავშვისთვის ადამიანთა შორის ურთიერთობის საზომად იქცევა და იმის მიხედვით თუ რა თვისებების მქონე უფროსთან აქვს საქმე, თვითონაც იძენს გარკვეულ სოციალურ-პიროვნულ ნიშნებს.

აღმზრდელ-აღსაზრდელის ურთიერთობა განსაზღვრავს პედაგოგისადმი ბავშვის დამოკიდებულებას. მის მიერ აღმზრდელის ემოციურ აღიარებას, ურომლისოდაც იგი არ გაჰყვება მის ზემოქმედებას, შინაგანად არ მიიღებს მისგან რჩევას თუ მითითებას.

როგორი უნდა იყოს აღმზრდელის ურთიერთობა ბავშვთან. პედაგოგი ბავშვის პარტნიორი უნდა იყოს, ურთიერთობა კი ჰუმანურ-თანამშრომლობითი. ასეთ პირობებში იქმნება ორმხრივი პატივისცემის დამოკიდებულება. მოზრდილი ადამიანი, უფრო გამოცდილი და მცოდნე, ინვესტს მასზე პატარას გამოიჩინოს ინიციატივა, დამოუკიდებლობა. ყოველივეს მასტიმულირებლად მოქმედებს პასუხისმგებლობის გამოვლენა-ფორმირებაზე.

თანამშრომლობითი ურთიერთობის დროს აღსაზრდელი არ განიცდის "სოციალურ პრესს", თავისუფლად ვითარდება მისი ინდივიდუალური მონაცემები, უვითარდება შემოქმედებითი დამოკიდებულება საქმისადმი. ამ პირობებში თვით ბავშვებს შორისაც კეთილგანწყობილებისა და თანამშრომლობის ატმოსფერო სუფევს.

სკოლამდელი ასაკის ბავშვები კარგად ამჩნევენ აღმზრდელ-პედაგოგის ურთიერთობის სტილს. ეს გავლენას ახდენს მათ განვითარებაზე. ბავშვებს თავის შესაძლებლობებზე წარმოდგენები, ამა თუ იმ საქმიანობისადმი დამოკიდებულება, ექმნებათ აღმზრდელის შეფასების, ბავშვებთან მისი ურთიერთობის კვალობაზე. როდესაც უფროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვებს ვკითხვით: "რა საქმიანობა უყვართ უფრო მეტად". მათმა ერთმა ნაწილმა განაცხადა: "მე არ მიყვარს საღებავებით ხატვა, იმიტომ რომ არ გამომდის ლამაზად და მიჯავრდებიან", "მე არ მიყვარს სურათის მიხედვით თხრობა, იმიტომ, რომ რაიმე ახლის მოგონება არ შემიძლია და ყოველთვის მსვამენ ადგილზე", "არ მიყვარს მათემატიკის მეცადინეობა, იმიტომ, რომ მე არასოდეს არ მეკითხებიან, მე კი კარგად ვიცი თვლა" და ა. შ.

როგორც ვხედავთ, აქ ძირითადად პედაგოგის მიერ ბავშვის უარყოფითი შეფასებით გამონეული დამოკიდებულებაა.

აღმზრდელ-აღსაზრდელის ურთიერთობა გავლენას ახდენს დავალების შესრულებაზე, შექმნილი პროდუქტის ხარისხზე. როდესაც ბავშვის მიმართ არ იჩენენ კეთილგანწყობას, ნდობას არ უცხადებენ, შედეგიც უარესია. ამ შემთხვევაში ბავშვს არა მარტო ფსიქოლოგიურად უჭირს დავალების შესრულება, არამედ უარყოფითი ემოციური განწყობილება უჩნდება როგორც მოზრდილი ადამიანის, ასევე საქმის მიმართ. ან შეიძლება, ბავშვი ასრულებდეს მასზე დაკისრებულ მოვალეობას ან დავალებას, მაგრამ არა პასუხისმგებლობის მოტივით.

მაგალითად, შეიძლება დავალების შესრულებას ინტერესის მოტივი ედოს საფუძვლად ("მე მიყვარს სხვადასხვა რალაცეების დაპირება" - აცხადებს ბავშვი), ან შექების დამსახურება - ("იმიტომ უნდა გააკეთო ლამაზად, რომ აღმზრდელი შეგაქებს"), დასჯის შიში ("რომ არ გააკეთო კარგად დაგსჯიან"), "შეჯიბრების მოტივი" ("თუ არ გააკეთებ ლამაზად, სხვის ნამუშევარს გამოჰფენენ, ჩემსას კი არა"), შეიძლება ადგილი ჰქონდეს პასუხისმგებლობის მოტივსაც ("დავალება ყოველთვის კარგად უნდა შეასრულო", "დავალების შესრულება აუცილებელია"). ეს უკანასკნელი, უმეტესად თანამშრომლობითი ურთიერთობის პირობებშია შესაძლებელი ჩამოყალიბდეს. ასეთი ურთიერთობის პირობებში აღმზრდელის ავტორიტეტი ბავშვის თვალში იზრდება, სწორედ ასეთ პედაგოგს ეკითხებიან ბავშვები უმეტესად რჩევას.

პრაქტიკაში შეიმჩნევა, რომ ძირითადად დომინირებს აღმზრდელის, ან მშობლის უშუალო-

აქტიურ-ინსტრუქციული ხელმძღვანელობის სტილი ბავშვთან ურთიერთობაში, რის გამოც აღმზრდელის და ბავშვის აქტივობის დონე ერთნაირი როდია, რაც ბავშვებში ზრდის მხოლოდ შემსრულებლობას, ამასთან პასიურ შემსრულებლობას. ამას გარდა, აღსაზრდელებთან აღმზრდელის, ან მშობლის ურთიერთობას არც თუ იშვიათად ახლავს მათ ნებისყოფაზე ენერგიული ზეწოლა, რის შედეგადაც ბავშვები მოკლებულნი არიან ინიციატივას და დამოუკიდებლობას.

როგორც ვხედავთ, იკვეთება აღმზრდელ-აღსაზრდელის ურთიერთობის, ბავშვისადმი აღმზრდელის ხელმძღვანელობის სტილის საკითხი, რაც პასუხისმგებლობის მოტივის ფორმირებაში ერთგვარი ფაქტორია, რადგან სკოლამდელი ასაკის ბავშვებში პასუხისმგებლობის განვითარების დონესა და მათთან აღმზრდელის ურთიერთობას შორის გარკვეული დამოკიდებულება არსებობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. უზნაძე, შრომები, ტ. 6, თბ., "მეცნიერება", 1977.
2. შ. ჩხარტიშვილი, ბავშვის ფსიქოლოგია, თბ., "ცოდნა", 1964.
3. ნ. იმედაძე, სკოლამდელთა ემოციური სფეროს ფსიქოლოგიური თავისებურებები, ჟ. "დანყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა", №1, 1980.
4. მ. დოლონაძე, სკოლამდელთა ნებისყოფის აღზრდა მეცადინეობის პროცესში, თბ., 1991.

ლილი მექვაბიშვილი

პასუხისმგებლობის აღზრდა სკოლამდელი ასაკის ბავშვებში რეზიუმე

პასუხისმგებლობას, როგორც პიროვნულ თვისებას, საფუძველი სკოლამდელ ასაკში ეყრება, მაშინ, როცა ბავშვი იწყებს თავისი მოქმედებების მონესრიგებას უფროსებისა და გარემომცველი სოციალური გარემოს უშუალო ზემოქმედებით, ამდენად, პასუხისმგებლობის გრძნობის ფორმირება უფროსის ბავშვთან ურთიერთობის სტილზეა დამოკიდებული, რაც გულისხმობს თანამშრომლობით ურთიერთობას მათ შორის.

ЛИЛИ МЕКВАБИШВИЛИ

ВОСПИТАНИЕ ОТВЕТСТВЕННОСТИ В ДОШКОЛЬНОМ ВОЗРАСТЕ Резюме

Ответственность, как свойство личности, зарождается уже в дошкольном возрасте, когда ребенок начинает упорядочивать свое поведение под непосредственным влиянием старших и окружающей социальной среды. Таким образом, воспитание ответственности в значительной мере обусловлено стилем общения взрослого и ребенка. Целесообразным является сотрудничество между ними.

LILI MEKVABISHVILI

UPBRINGING SENSE OF RESPONSIBILITY IN CHILDREN OF PRE-SCHOOL AGE

Abstract

Responsibility as a personal feature starts in pre-school age when a child makes first steps in arranging his/her actions by direct influence of adults and surrounding social environment. Thus, the formation of sense of responsibility depends on the style of an adult-child interaction and the latter comprises of collaboration and cooperation.



რელიგიური პედაგოგია

ავთანდილ ასათიანი

სამყაროს ღვთიური წესრიგი და ჰარმონია როგორც ადამიანის განვითარების ფაქტორი ძველი აღთქმის პედაგოგიაში

პიროვნების განვითარების ფაქტორებით, ჯერ კიდევ ადრე, ჩვენს ერამდე პერიოდში, ანტიკური სამყაროს მოაზროვნეები დაინტერესდნენ. სოკრატე და პლატონი მემკვიდრეობის როლს აღიარებდნენ, ხოლო დემოკრიტე და არისტოტელე გარემოს მიიჩნევდნენ გადამწყვეტ ფაქტორად პიროვნების განვითარებაში. შემდგომში კვლავ გაგრძელდა აღნიშნულ მოსაზრებებს შორის დაპირისპირება. ნატივიზმის თეორია განავითარეს გ. ლაიბნიცმა და ნ. მალბრანშემ, ხოლო გამოჩენილი ემპირიკოსები იყვნენ ჯ. ლოკი და ე. კონდილიაკი. როგორც შემდგომში დადასტურდა, ორივე თეორიას რაციონალური საფუძველი ჰქონდა, მაგრამ ისინი მაინც ცალმხრივობით გამოირჩეოდნენ, რადგან ნატივიზმის თეორია უარყოფდა გარემოს გავლენას, ხოლო ემპირიზმი, თავის მხრივ გამოორიცხავდა მემკვიდრეობის როლს. ნატივიზმისა და ემპირიზმის თეორიების გაერთიანებით აღმოცენდა კონვერგენციის თეორია (ვ. შტერნი), თუმცა სრულყოფილი არც ეს აღმოჩნდა, რადგან აღიარებული არ იყო აღზრდის წამყვანი როლი, რაც ცხადყო თანამედროვე მეცნიერულმა კვლევებმა.

პიროვნების აღზრდა-განვითარებაში გარემოს როლის შესახებ საგანგებო მითითებებს გვაძლევს ძველი აღთქმა, რომლის თანახმად ადამიანზე ზემოქმედებას ახდენს დემიურგის მიერ სამყაროში დამკვირებული ღვთიური წესრიგი და ჰარმონია. ამის თაობაზე სხვადასხვა დროს საყურადღებო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერებს: „შემოქმედმა ადამიანთა მოდგმას ორი წიგნი მიანიჭა, — წერდა მიხეილ ლომონოსოვი, — ერთში თავისი სიდიადე აჩვენა; მეორეში - თავისი ნება გაუმჟღავნა. პირველი წიგნი - ეს არის ხილული ქვეყანა, რომელიც უფალმა იმისათვის შექმნა, რომ შეხედავდა რა ადამიანი ამ უზარმაზარ, მშვენიერ და გამართულ შენობას, მისთვის მინიჭებული შემეცნების უნარის წყალობით, ეღიარებინა ღვთის ყოვლადძლიერება. მეორე წიგნი - წმინდა წერილია...“ ხოლო ფლამარიონ კამილის აზრით: „სამყაროს ასტრონომიული ორგანიზაციის მათემატიკური წესრიგი (მონესრიგება) გონების ნაყოფია. ეჭვგარეშეა, რომ ეს გონება გაცილებით აღემატება გონებას ასტრონომებისა, რომელთაც მსოფლიოს მმართველი კანონები აღმოაჩინეს“; გენიალური მაიკლ ფარადეი განცვიფრებულია იმის გამო: „რატომ ამჯობინებენ ადამიანები თავი იმტვირთონ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, როდესაც უფალმა ღვთიური გამოცხადების ასეთი წიგნი გვიბოძა?“.

ღვთისწიგნის წიგნის დასაწყისშივე ღმერთი გვაუწყებს, რომ „მინა იყო უსახურ-უდაბური, და იყო ბნელი უფრსკრულის პირზე. და სული იძვროდა წყლის პირზე“ (დაბ.1:1). სწორედ ღმერთმა დაიწყო ამ უდაბურებისა და ქაოსისაგან მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება, რაც რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. რადგან ღმერთის პირველივე ქმედება უსახურ-უდაბური, ქაოტური სამყაროს გარდაქმნისაკენ არის მიმართული, ამით ფაქტიურად საცნაური ხდება უზენაესი შემოქმედის ყოვლისშემძლეობა, რომელიც უდიდეს სიკეთეს უყრის საფუძველს. როგორც ბიბლია გვასწავლის, ღმერთმა ადამს მეტყველების უნარი უბოძა. თავად ეს უნარი, ღმერთს ჰქონდა. მამასადამე, ეს აქტიც ცხადყოფს, რომ ადამიანი ღვთის ხატადაა შექმნილი. ენის საშუალებით არა მარტო ადამიანები ამყარებენ ერთმანეთთან კავშირს, არამედ, როგორც ბიბლიაში ვკითხულობთ: როცა ღმერთი ედემის ბაღში ჩამოდიოდა და ადამიანს ელაპარაკებოდა, ადამიანიც ელაპარაკებოდა ღმერთს. ე. ი. ღვთიური სამყარო არათუ გამორიცხავს, არამედ ამკვიდრებს წესრიგს და ჰარმონიას, რომლის უპირველესი შემოქმედი ღმერთია, ხოლო ქაოსი და უწესრიგობა, ღვთიური ნების საპირიპირო მოვლენაა.

ღმერთის მიერ უსახურ - უდაბურობისაგან კარგად გამართული სამყაროს შექმნა უმიზეზოდ არ იქნებოდა. შემთხვევით ღმერთს არაფერი გაუკეთებია, მისი ყველა ქმედება დიდ მიზნებს ემსახურება. მაშ რა იყო სამყაროს შექმნის მიზანი?

ღმერთი არის აბსოლუტური სრულყოფილება, ამიტომ სამყაროს შექმნით მას არაფერი არ მოემატებოდა, რადგან უფალი ნეტარია და არ განიცდის არაფრის ნაკლებობას (საქმ. მოც. 17:25). არავის არ შეუძლია მიაგოს მას რაიმე ისეთი, რაც ღმერთს შეუძლია, რადგანაც ყოველივე მისგან გამოვიდა, მისკენ მიდის” (რომ. 11:36). წმინდა მამების აზრით, სამყაროს შექმნის მიზეზი ღვთაებრივი წყალობა იყო. როგორც ფსალმუნებშია ნათქვამი: „კეთილ არს უფალი და მოწყალე ყოველ მის საქმეში” (ფსალ. 144:9). ამდენად, სამყაროს შექმნის მიზეზი უფლის წყალობა და სიყვარული იყო.

ამგვარად, სამყაროს შექმნის აქტი და ადამიანისთვის მასში განსაკუთრებული ადგილის მიკუთვნება, იმით იყო განპირობებული, რომ უფალს სურდა თავისი უსასრულო მადლით, წყალობითა და სიყვარულით ჰყოლოდა ის ქმნილებები, რომელსაც იგი მადლს მიანიჭებს, ისინი ეზიარებიან მის დიდებას და სწორედ მათზე განხორციელდება უსასრულო სრულყოფილებანი.

ადამიანის განღმრთობა იყო ის მიზანი, რომლის გამოც ღმერთმა სამყარო შექმნა. თუმცა, ამის მისაღწევად გარკვეული პირობებიც დააწესა, რომელიც პირველ რიგში სათნო ცხოვრებასა და ღვთის დიდებას გულისხმობს. სწორედ ამისკენ მიმართავდა ღმერთი ჩვენს პირველ წინაპრებს, რომელთა პირველი მასწავლებელი და მოძღვარი თვით უფალი იყო, ხოლო უშუალო გზის გამკვალავი ის ღვთიური წესრიგი და ჰარმონია, რომელიც მინიერ ქვეყანაში სწორედ მათთვის დაამკვიდრა ღმერთმა.

თვით ღვთიური წესრიგი და ჰარმონია უფლის სიბრძნეზეა აღმოცენებული. როგორც იგავთა წიგნი გვაუწყებს: „უკუნისიდან ვარ დაფუძნებული, თავიდანვე, მიწაზე უწინარეს. უფსკრულთა არყოფნისას დავიბადე,.....ვხარობდი მისი მიწის სამყაროში, და იყო ჩემი სიხარული ადამის ძეთა მიმართ” (იგავ. 8:23-31). რადგან სიბრძნემ უფლის შემწეობით დაივანა ძალიან ადრე, ყოველივეზე უწინარეს, მისი დანიშნულება მაინც კონკრეტულია და იგი ადამიანის გაკეთილშობილებისკენ არის მიმართული, სიკეთე კი უფლის მცნებათა დაცვაში მდგომარეობს: „ისმინეთ ჩემი დარიგება, დაბრძნდით და ნუ განდიდდებით. ნეტარია კაცი, ვინც მომისმენს მე, ვინც ფხიზლობს ჩემს კარებთან დღენიადაგ....” (იგავ. 8:33-34). საყოველთაო წესრიგის მოსურნე ღმერთმა ყველაზე კარგად უწყის, თუ საით მოუწოდებს კაცობრიობას: „სამართლიანია ყოველი ნათქვამი ჩემი პირისა, არაა მასში არაფერი დაკლაკნილი და მრუდე. ყოვლად ნათელია ისინი გონიერებისათვის და სიმართლეა ცოდნის მპოვნელთათვის” (იგავ. 8:8-9).

სამართლიანობის, წესრიგისა და საყოველთაო ჰარმონიის მოსურნე ღმერთმა თავისი ღვთიური მიზნების აღსრულებას საფუძვლად სიბრძნე დაუდო. იგი მუდამ ასწავლის კაცთა მოდგმას იმ საყოველთაო ჭეშმარიტებას, რომ სიბრძნე სიკეთე და სიცოცხლეა, ხოლო მისგან განდგომა დაღუპვას ნიშნავს: „თავის გულზე დაიმედებული ბრყვია, ხოლო სიბრძნით მავალი გადარჩება” (იგავ. 28:26).

დაბადების წიგნის მიხედვით, ვიდრე ღმერთი დედაკაცს შექმნიდა, ჯერ ყველა ცხოველი და სხვა ცოცხალი არსება მიჰგვარა ადამს, რომელმაც თითოეულ მათგანს სახელი დაარქვა. ამით უფალმა ცხადყო ადამის, ე.ი. მისივე შექმნილის უპირატესობა ყველას მიმართ. ეს ეპიზოდი აშკარად ადასტურებს ადამიანის მაღალ მისიას ყველა სულდგმულთან შედარებით, რაც მანამდე შეუქმნია ღმერთს. ადამის განსხვავებულობა ცხოველებისგან მის სიცოცხლეს ადამიანურს და განსაცვიფრებელს ხდის. თუმცა არც სამყარო და არც დედამიწა ადამიანთა საკუთრება არ არის, ისინი ღმერთის საკუთრებაა: „უფლისა არის ქვეყნიერება და სავსება მისი, სამყარო და მისი მკვიდრნი” (ფსალმ. 23:1). ადამიანები მდგმურები არიან ღმერთის მიწაზე, ის მათ არ ეკუთვნით. ამიტომ ბიბლიაშივე არის გაცხადებული ის პირობები, რომელთა დაცვა აუცილებელია ადამიანებისათვის. ხოლო რამდენად კარგად შეასრულებს ადამიანი ღვთის ნებას, მასზე არის დამოკიდებული მისი ცხოვრება, რადგან მთელი ქმნილება, ადამიანის ჩათვლით, შეიქმნა ღმერთის სამსახურად და მისი ნების აღსასრულებლად (გამოცხ. 4:11). სწორედ ამ ზნეობრივ პოსტულატს ეფუძნება ქრისტიანული პედაგოგიკა, ადამიანმა ყოველთვის უნდა იცოდეს, რომ ღვთის ნების შესრულება მისი არსებობის აუცილებელი პირობაა, ხოლო მისგან გადახვევა საფრთხეს უქმნის არა მარტო ადამიანის ცხოვრებას, არამედ სამყაროს არსებობასაც. ეს საშიშროება უკანასკნელ საუკუნეში კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა, რადგან მეცნიერების განვითარების შედეგად, ამჟამად შესაძლებელია პლანეტარული კატასტროფების ხელოვნურად გამოწვევა, რაც ყველამ კარგად უნდა გააცნობიეროს.

ადამიანი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა რაიმე დედამიწაზე, რადგან ყველაფერი

ადამიანისთვის არსებობს და არა პირიქით. ამის შესახებ იესო ქრისტემ მიგვითითა: თუ ღმერთმა ამდენი იზრუნა ხეებისა და ყვავილების გამშვენებაზე, ფრინველთა გამოკვებაზე — ეს ყველაფერი კი მხოლოდ ადამიანის მიწიერი საცხოვრისის სამკაულია, იგი უცილობლად უფრო მეტ მზრუნველობას გამოიჩენს ადამიანის მიმართ, რომელიც პატრონია ამ საცხოვრისისა (მათ. 6: 25-31). ეს საკითხი უფრო რომ გავაღრმავოთ, იმის თქმაც შეიძლება, რომ ადამიანის მნიშვნელობა ბევრად აღემატება სამყაროში არსებულ მატერიალურ ძალებს, რომლებზედაც თვით ადამიანები ვართ დამოკიდებულნი. მაგალითად, ჩვენ მზის გარეშე ვერ ვიცოცხლებთ, მაგრამ მნიშვნელობის თვალსაზრისით მზე ადამიანს ემსახურება და არა პირიქით, იგი ადამიანისთვის შეიქმნა, როგორც მისი მსახური და ღვთაება, როგორც ძველ ხალხებს მიაჩნდათ. ჩვენ ვიცით მზის დანიშნულება და ადგილი, მან კი არ იცის ჩვენ შესახებ.

რაც უფრო მეტი გაცემა და მოწინება დაგვეუფლება სიცოცხლის საოცრების მიმართ, მით უფრო მეტად დავაფასებთ სიცოცხლეს. საჭიროა ახალგაზრდებმა იცოდნენ, რომ ადამიანის სხეული და ტვინი ზუსტად დაბალანსებული სისტემაა, რომელსაც სათანადო მოვლა ესაჭიროება. ზომიერება ადამიანმა ყველაფერში უნდა გამოიჩინოს, თვითნებობამ შეიძლება დაარღვიოს სხეულისა და ტვინის ფაქიზი სისტემა და უბედურებამდე მიიყვანოს ადამიანი (ნიკოტინი, ალკოჰოლი, შიდსი, პროსტიტუცია, ...).

ღვთიური წესრიგის გამოვლენად და დედამიწაზე ჰარმონიის დამყარებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ღმერთმა ადამიანს შემოქმედებითი და ესთეტიკური უნარი უბოძა. ეს გარემოება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ღვთიური წესრიგი ადამიანის ჰარმონიული არსებობისათვის აუცილებელი პირობა იყო, ამიტომ ღმერთმა მინის ერთ ნაწილში ბალი გააშენა და იქ კაცი დაასახლა, რათა მისთვის მოეწყო. ბაღში მარტო საკვებად გამოსაყენებელი ხეები კი არ იყო, იქ „სანახავად“ საამო ხეებიც იდგა. აქედან გამომდინარე, ადამიანს უნარი შესწევს დააფასოს მშვენიერება, ამიტომაც აშენებენ ადამიანები ბაღებს — ესწრაფვიან სილამაზეს. ასეთი რამ ცხოველებს არ ახასიათებს. ასეთი უნარი მხოლოდ ადამიანს აქვს, რომლითაც იგი ღმერთს უახლოვდება. კაცობრიობის ისტორია — ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა, ღმერთის, შემოქმედის მიბაძვაა. ხოლო ის, ვინც ღუპავს დედამიწას, აბინძურებს მდინარეებს, არღვევს ატმოსფერულ შრეებს და საფრთხეს უქმნის ჩვენს პლანეტას, ღმერთის წინააღმდეგ ილაშრებს, ამიტომ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ასეთი ადამიანები დიდ ცოდვას სჩადიან. ძველ და ახალ აღთქმაში მნიშვნელოვანი მინიშნებებია მოცემული ამასთან დაკავშირებით. თანამედროვე მეცნიერები ზნეობრივ-ეკოლოგიურ აღზრდაში ბიბლიურ საფუძვლებს ხედავენ.

ადამიანმა სამყაროს ჰარმონიიდან ბევრი ისწავლა, სწორედ ეს მიზანი ჰქონდა ღმერთს, როცა მკაცრად რეგლამენტირებულ სამყაროს ქმნიდა. ზნეობის პირველი გაკვეთილები ადამიანებმა სამყაროში არსებული ღვთიური წესრიგის და ჰარმონიის წყალობით მიიღეს, რომლისკენაც უფალი დღენიადაგ მოუწოდებდა: „შეკრიბე ხალხი: კაცები, ქალები და ბავშვები, და ხიზნები, რომელიც შენს კარიბჭეებში არიან, რომ გაიგონ და ისწავლონ, და ეშინოდეთ უფლისა, შენი ღმერთისა, და შესასრულებლად დაიცვან ამ რჯულის ყოველი სიტყვა“ (რჯლ. 31,12).

სამყაროში არსებული ჰარმონია და წესრიგი ადამიანებში ყოველთვის ინვევდა დადებით განწყობას და აჯანსაღებდა საზოგადოებას. ამის შესახებ ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე, დიდი ჩინელი ფილოსოფოსი კონფუცი მიუთითებდა. მას მიაჩნდა, რომ „ცა მასში ქმნიდა ზნეობას“. ხოლო ბიბლიური ფსალმუნთმგალობელი დავითის აზრით, ეს ცაც და ირგვლივ ყოველივე ღმერთის შემოქმედების ნაყოფი იყო: „...შევხედავ შენს ცას—შენი თითების ნამოქმედარს, მთვარესა და ვარსკვლავებს, რომლებიც დააფუძნე. უფალო, ჩვენი მბრძანებელო! რაოდენ დიდია შენი სახელი მთელს ქვეყანაზე“ (ფსალმ. 8:4,10). ამის მიუხედავად, უფლის ნებით შექმნილი სამყარო მაინც წინააღმდეგობრივად ვითარდებოდა, რადგან ადამიანმა ვერ გაამართლა იმედები, ამიტომაც დღენიადაგ ზრუნავს შემოქმედი დაცემული ადამიანის ზნეობრივი გაჯანსაღებისათვის.

ღმერთის მიერ მოვლენილი სასჯელები ყოველთვის განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელია. მაგალითად, ენათა აღრევის აქტმა ერთის მხრივ ზღვარი დაუდო ადამიანთა უკიდევანო გაამპარტავნებს და ამასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დედამიწაზე ჰარმონიის დამკვიდრებაში. როგორც საყოველთაოდაა აღიარებული, სამყაროს მრავალფეროვნება მისი ჰარმონიულობის უმთავრესი წინაპირობაა, ამიტომაც სხვადასხვა ერები და ეროვნებები სრულყოფილებას სძენენ ჩვენს მიწიერ ცხოვრებას, რომლის განუყოფელი კომპონენტი ენათა

მრავალფეროვნებაცაა. ამდენად, ღმერთის მიერ ბაბილონის გოდლის მშენებლობის შეჩერება, რასაც იმპულსი ენათა აღრევამ მისცა, ლოგიკურად სამყაროში წესრიგის და ჰარმონიის ისეთი შემადგენელი ელემენტების შემოტანის წინაპირობა გახდა, როგორც ენების და ხალხების წარმოშობა იყო.

დაბადების წიგნში ღვთიური წესრიგისა და ჰარმონიის დამკვიდრების კიდევ რამდენიმე ეპიზოდი. მათგან განსაკუთრებულია სოდომისა და გომორის განადგურების ამბავი, რაც იყო ადამიანთა არა მარტო ზნეობრივი გაუკუღმართება, არამედ ბუნების კანონზომიერებათა სანინალმდეგო გამოწვევა და პროტესტი, რომელიც არ დაუშვა ღვთიური წესრიგის და ჰარმონიის მოსურნე უფალმა „...დაამხო ეს ქალაქები და მთელი მათი შემოგარენი, და ყოველი მკვიდრი ამ ქალაქისა და ყოველი მცენარე მიწისა“ (დაბ.19:25). ამიტომაც შეიცავს აღნიშნული ეპიზოდი დიდ ზნეობრივ-ალმზრდელობით პლასტებს.

დედამიწაზე ღვთიური წესრიგი ყოველგვარი განვითარების და პროგრესის საფუძვლად არის მიჩნეული, ამიტომ უფალი დღენიადაგ დასტრიალებს თავს მისსავე შექმნილ ადამიანს და ზნეობრივი კატაკლიზმებისგან იცავს მას, თუმცა რადიკალური ზომებისგანაც არ იხევს უკან და ხშირად უმკაცრესი განაჩენიც გამოაქვს, მაგრამ სასჯელებიც მისსავე საკეთილდღეოდ წესდება, რათა არ განადგურდეს მთავარი - არ დაირღვეს ღვთიური წესრიგი და ჰარმონია.

გამოსვლათა წიგნში ღმერთი მრავალგზის მოუწოდებს თავის რჩეულ ხალხს დადგენილი წესების დაცვას (გამოს. 13:10), მაგრამ ეს მარტო ზოგადი მოწოდება როდია, აქ არის მოცემული ზნეობრივი კოდექსი და მთელი ცხოვრების საზრისი (გამოს. 20:1-17). ამავე წიგნში უფალი რჩეულ ხალხს მოსეს მეშვეობით ყოველდღიური ცხოვრების ისეთ წესებს უდგენს, როგორცაა: დადგენილება მსახურთა შესახებ, ადამიანის დაზიანების შესახებ, ქურდობისა და საზღაურის შესახებ, აღთქმებისა და შესანიშნავების შესახებ, სამსხვერპლოს, გამოსასყიდის და სხვადასხვა აკრძალვების შესახებ (გამოსვ. 21,22,23).

როცა ღმერთმა შექმნა სამყარო (მიწა, წყალი, მნათობები, ცოცხალი არსებები და სხვა არაცოცხალი საგნები და მოვლენები) და მისი გამორჩეული უმაღლესი არსება - ადამიანი, წესები და კანონები დაუდგინა. ადამიანებმა აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ, როგორც დაუშვებელია პლანეტათა მოძრაობის შეცვლა, ან მზის სისტემის კანონზომიერებათა დარღვევა, ისე არ შეიძლება უფლის მიერ ადამიანებისთვის დადგენილი წესებიდან გადახვევა, რადგან ადამიანი მიწიერი სამყაროს გვირგვინია და მისი ყოველი გადაცდომა შემოქმედის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია, ამიტომ ადამიანის მიერ ღვთიური წესრიგის დარღვევის თითოეული მცდელობა ცოდვად მიიჩნევა.

მიწიერი ცხოვრება რაციონალურად არის მოწყობილი, ცოცხალი არსებები და არაცოცხალი სინამდვილე ისე მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ განაპირობებენ ერთმანეთის არსებობას და მათ ფუნქციებს. ასეთი გონივრული ურთიერთმიმართება, სამყაროში არსებული ღვთიური წესრიგი და ჰარმონია, იმის მტკიცე საფუძველია, რომ ადამიანებმა ინამონ ღმერთის არსებობა, რაც ხელს არ უშლის ცხოვრების ემპირიულ შემეცნებას, პირიქით, იგი შემოქმედის მიმართ რწმენით აღავსებს ადამიანს.

ღმერთის მიერ სამყაროს შექმნა ყველაზე ბრძნული აქტი იყო, ამიტომ არის იგი საყოველთაო წესრიგის ნიმუში. თუმცა, მარტო სამყაროს შექმნა ბევრი ვერაფერი სიკეთე იქნებოდა, ამას რომ მისი რაციონალური მოწყობა არ მოჰყოლოდა. სწორედ წესრიგსა და დედამიწის რაციონალურ გამართულობას განაპირობებს ცოდნა და უმაღლესი გონიერება, რადგან: „უფალმა სიბრძნით დააფუძნა დედამიწა, გონებით განამტკიცა ცა“ (იგავ. 3,19). წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაზე კარგად მოწყობილი სამყაროც ვერას გახდებოდა, თუ მასში უწესრიგობა და ქაოსი დაისადგურებდა, მაგრამ ბრძნულად შექმნილს ისევ გონიერება მიჰყვება კვალში, რათა შეინარჩუნოს და მუდმივად განამტკიცოს ღვთიური წესრიგი უკვე ადამიანთა შორის, რადგან, სწორედ ადამიანთათვის შეიქმნა ყოველივე და მას ადამიანმა უნდა უპატრონოს ღვთის განგებულების შესაბამისად. ამდენად, ღვთიური წესრიგი და ჰარმონია არ არის რალაც განყენებული იდეა—ფიქსი, მას კონკრეტული დანიშნულება აქვს, რაც ადამიანის მიერ მის დაცვასა და განმტკიცებაში მდგომარეობს. ამიტომ ადამიანმა უმაღლესი ზნეობის გაკვეთილები სამყარის ღვთიური წესრიგიდან უნდა მიიღოს.

უფლის მცნებათა დაცვა ღვთიური წესრიგის გამოვლენაა თითოეული ადამიანისაგან. ღმერთი კანონებისა და კანონზომიერებათა დაცვისაკენ მოუწოდებს ყველას.

სიმართლის მსახურების შეგნება თაობიდან თაობაში უნდა გადადიოდეს, სწორედ ამით დამყარდება ღვთიური წესრიგი და ჰარმონია.

ღვთიური წესრიგი უფლის განგებულების შესრულებას ავალდებულებს ყველას, მათ შორის, ძლიერთა ამა ქვეყნისათა, რომლებმაც ყველა დანარჩენზე უფრო უნდა დაიცვან ღვთიური მცნებები და ამით სამაგალითონი გახდნენ თავიანთ ქვეშემდომთათვის: „მაშ, მისმინეთ და შეიგნეთ, მეფენო, ისწავლეთ მთელი დედამიწის მსაჯულნო! ყურად იღეთ, მრავალთა მბრძანებელნო, ქედმაღლურად რომ დაჰყურებთ ხალხებს! უფალმა მიგანიჭათ ძალაუფლება, უზენაესმა-მეუფებმა; ის გამოიძიებს თქვენს საქმეებს და თქვენს ზრახვებსაც გამოსცდის” (სოლ. 6:1-3). მართალია, მეფეებს უმაღლესი ძალაუფლება უპყრიათ ხელთ, მაგრამ ეს ძალაუფლება უკონტროლო არაა. ყველა წესს უფალი ადგენს. ზღვარგადასულ ქცევას ღმერთი არ დაუშვებს, რადგან ღვთიური წესრიგი უმაღლესი ჰარმონიაა, რომელსაც ყველა უნდა ემსახუროს, ხოლო ხალხის წინამძღოლთ გაცილებით დიდი მისია აკისრიათ: „ბრძენი მსაჯული აღზრდის თავის ხალხს და გონივრულ მმართველობას დაამყარებს. როგორცაა მმართველი, ისეთნივე არიან მისი მსახურნი. როგორცაა ქალაქის თავი, ისეთნივე არიან მისი მცხოვრებნიც” (ზირ. 10:1-2). წესრიგისაკენ მონოდება ღმერთისთვის თვითმიზანი არ არის, ღვთიური წესრიგი ყველასათვის სასარგებლოა, მისი მიმდევარი ადამიანი სრულყოფილია, რადგან ჰარმონიულად ეწერება ღვთიურ სამყაროში და მისი ორგანული ნაწილი ხდება, ხოლო უფლის მცნებათა დამრღვევი ეწინააღმდეგება სამყაროს ღვთიურ წესრიგს. ღმერთმა სამყარო წინააღმდეგობებისა და კატაკლიზმებისათვის კი არ შექმნა, არამედ მისი სურვილი საყოველთაო სიყვარული და ჰარმონია იყო: „სიყვარული კი ისაა, რომ დაიცვა მისი კანონები, ხოლო კანონთა დაცვა უკვდავების საწინდარია, უკვდავება კი ღმერთთან გვაახლოებს” (სოლ. 6:19-19).

ღვთიური წესრიგი სამყაროს არსებობის ქვაკუთხედიანია. როგორც ბიბლია გვასწავლის, უსახურ-უდაბური ბნელეთისა და ქაოსისაგან შექმნა ღმერთმა ყოველივე, რაც გვხიბლავს თავისი წესრიგითა და გამართულობით. სწორედ ეს არის ყველაზე დიდი მანიშნებელი იმისა, საიდან უნდა აიღოს ადამიანი მაგალითი. რადგან ყველაზე თვალსაჩინო სიბრძნე-სამყაროს ღვთიურობა, მისი წესრიგიანობა და ჰარმონიულობაა. ამიტომ გონიერია ის, ვინც ამას კარგად აღიქვამს და სწორ დასკვნებს აკეთებს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ: რადგან სამყაროში არსებული ღვთიური წესრიგი და ჰარმონია პირდაპირ შეესაბამება უფლის მიერ დადგენილ წესებს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სამყაროს უზენაესი არსება ადამიანი უფლის მზრუნველობისა და მფარველობის ქვეშაა, აქედან გამომდინარე, ადამიანი ღვთიური წესრიგის მთავარი წარმმართველი ძალა უნდა იყოს, რაც უფლის მიერ დადგენილი წესებით ცხოვრებაში გამოიხატება. თუმცა, სწორედ ეს აღმოჩნდა ყველაზე რთული პრობლემა ცოდვით დაცემული ადამიანისათვის. ამიტომაც არის უფლის ძალისხმევა მიმართული ადამიანის გაკეთილშობილებისკენ, რაშიც გარკვეულ როლს ღვთიური რწმენით აღვსილი ადამიანის აღზრდა ასრულებს.

გარემომცველ სამყაროსთან ურთიერთობა თანამედროვე პედაგოგიკურ მეცნიერებაში მოზარდის განვითარების, პიროვნებად ჩამოყალიბების ერთ-ერთ ფაქტორადაა მიჩნეული და მას ემპირიზმის თეორიის სახით იცნობენ. სწორედ ის გარემო პირობები ახდენს ბავშვის აღზრდაზე ზემოქმედებას (მემკვიდრეობასთან და აღზრდასთან ერთად), რომელიც ღვთიური წესრიგის და ჰარმონიის სრული განსახიერებაა. აქედან გამომდინარე, ძველი აღთქმის პედაგოგიკაში სამყაროს ღვთიური წესრიგი და ჰარმონია ადამიანის განვითარების ერთ-ერთ ფაქტორად უნდა იქნეს მიჩნეული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბ., 1989.
2. ბიბლიის ენციკლოპედია, ერთტომეული, თბ., 1998.
3. კიკნაძე ზ., ძველი აღთქმის ნუთისოფელი, თბ., 2003.
4. დევიდ ვ. გუდინგი, ჯონ ლენოქსი, ბიბლია და ეთიკური განათლება, თბ., 2000.
5. Священник Евгений Шестун, Православная педагогика, Самара, 1998.

ავთანდილ ასათიანი

სამყაროს ღვთიური წესრიგი და ჰარმონია როგორც ადამიანის განვითარების ფაქტორი ძველი აღთქმის პედაგოგიკაში

რეზიუმე

ღვთიური წესრიგი სამყაროს არსებობის ქვაკუთხედიანია. როგორც ბიბლია გვასწავლის, უსახურ-უდაბური ბნელეთისა და ქაოსისაგან შექმნა ღმერთმა ყოველივე, რაც გვხიბლავს თავისი წესრიგითა და გამართულობით. სწორედ ეს არის ყველაზე დიდი მანიშნებელი იმისა, საიდან უნდა აიღოს ადამიანმა მაგალითი. რადგან ყველაზე თვალსაჩინო სიბრძნე-სამყაროს ღვთიურობა, მისი წესრიგიანობა და ჰარმონიულობაა, აქედან გამომდინარე, ძველი აღთქმის პედაგოგიკაში სამყაროს ღვთიური წესრიგი და ჰარმონია ადამიანის განვითარების ერთ—ერთ ფაქტორად უნდა იქნეს მიჩნეული.

АВТАНДИЛ АСАТИАНИ

БОЖЕСТВЕННЫЙ ПОРЯДОК И ГАРМОНИЯ ВСЕЛЕННОЙ КАК ФАКТОР РАЗВИТИЯ ЧЕЛОВЕКА В ПЕДАГОГИКЕ ВЕТХОГО ЗАВЕТА

Резюме

Божественный порядок является краеугольным камнем существования Вселенной. Библия учит нас, что из тьмы и бездны, хаоса и пустоты Бог сотворил мир, который завораживает нас своим порядком и гармоничностью. И именно этот божественный порядок и гармония являются для человека ориентирами бытия. Самая наглядная мудрость – божественность и созидательная гармоничность мира. Таким образом, одним из факторов развития человека в педагогике Ветхого Завета следует признать Божественный порядок и гармонию Мироздания.

AVTANDIL ASATIANI

THE DIVINE ORDER AND HARMONY OF THE UNIVERSE AS A FACTOR OF HUMAN DEVELOPMENT IN THE PEDAGOGICS OF THE OLD TESTAMENT

Abstract

Divine order is the corner-stone of the universe. As the Bible teaches us, it is the darkness and chaos from which God created everything that we like due to its order. It is the very model which a human should follow. As the divinity, order and harmony is the most visible wisdom of the universe, hence the divine order and harmony should be considered to be one of the factors of human development in the pedagogy of the Old Testament.



ნანი გუგუნივა

თანამედროვე ქართული პედაგოგიკის

კლასიკოსი /საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე/

საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქი, უნმინდესი და უნეტარესი ილია მეორე თანამედროვე ქართული პედაგოგიკის ნამდვილი კლასიკოსია. მის მრავალრიცხოვან ეპისტოლეებსა და ქადაგებებში უხვად არის მსჯელობა ქრისტიანული პედაგოგიკის აქტუალურ პრობლემებზე მოზარდი თაობის აღზრდის, სწავლებისა და განათლების საკითხებზე.

პატრიარქი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ოჯახის, სკოლისა და სოციალური გარემოს როლზე მოზარდის ფორმირებაში. ამასთან იგი, როგორც ღვთივეკუთხეული ადამიანი, გვმოდღვრავს, რომ ცოდნა, მონყვეტილი რწმენასა და ზნეობას, ვერ მიიყვანს ადამიანს

სულიერ კათარზისამდე. იგი ადამიანის პიროვნებად ფორმირების აუცილებელ პირობად მის განათლებულობას მიიჩნევს.

ჟურნალის წინამდებარე ნომერში ვბეჭდავთ ამონარიდებს პატრიარქის ეპისტოლეებიდან აღზრდისა და განათლების შესახებ. ჟურნალის შემდეგ ნომერში დაიბეჭდება ამონარიდები პატრიარქის ქადაგებებისა და სიტყვებიდან.

საშობაო ეპისტოლე

არ შემიძლია გვერდი ავუარო და არ შევეხო სამშობლოს სიყვარულის საკითხს: სამშობლო ადამიანის სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია, უსამშობლო ადამიანი სულით ლატაკია და საცოდავი, სამშობლოს სიყვარულით მნიფდება და ყალიბდება ადამიანის სულიერი სამყარო, მისი მისწრაფებანი და ფილოსოფიური შეხედულებანი, მისი ფულწრფელობა და სიყვარული სხვა ერებისადმი... ვისაც არ უყვარს თავისი თავი, ის ხომ ვერც სხვას შეიყვარებს... და ვისაც არ უყვარს თავისი სამშობლო, ის როგორ იგრძნობს ცარიელ გულში სხვათა სამშობლოს სიყვარულს?! ამიტომ ბრძანა რაფიელ ერისთავმა: „სამშობლო — დედის ძუძუ არ გაიცვლების სხვაზედა“ და „როგორც უფალი, სამშობლოც — ერთია ქვეყანაზედა“.

საშობაო ეპისტოლე

ქრისტე აღდგა!

იმისათვის, რომ ადამიანი სულიერ სიყვარულსა და სიხარულს მუდამ გრძნობდეს, აუცილებელია შინაგანი მშვიდობა, მშვიდობა ღმერთთან, მშვიდობა მოყვასთან, მშვიდობა საკუთარ თავთან.

დღეს კაცობრიობა გოგანტურ ნაბიჯებს დგამს ცივილიზაციის გზაზე. ჩვენ მონმენი ვართ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა, მაგრამ დავკარგეთ შინაგანი მშვიდობა, ანუ ის აუცილებელი პირობა, რომელიც მარად საჭირო იყო და იქნება ყოველი ეპოქის ადამიანისათვის. ხოლო როდესაც შინაგანი მშვიდობა დაკარგული, მაშინ გარეგანი მშვიდობაც და მასთან ერთად სიხარულიც იკარგება.

საშობაო ეპისტოლე

საშობაო ეპისტოლე

ქალი, უპიპრველეს ყოვლისა, დედაა. დედობის ძირითადი ფუნქციის შესრულება განსაზღვრავს მის მის საერთო სახეს, მის ღირსებას, როგორც ადამიანისას, გამგრძელებელს კაცთა ნათესავისა. ძნელია გაგება ქალისა, რომელიც გაურბის თავის ძირითად მოვალეობას — დედობას. ასეთ ქალს ეუფლება ეგოიზმი, ზედმეტი სიყვარული თავისი თავისა, სწრაფვა დროსტარებისაკენ, მას ეუფლებიან სხვადასხვა სახის ვნებანი და იმ უნაყოფო ხეს ემსგავსება, რომელზეც სახარებაშია საუბარი. დღევანდელ პირობებში ქალების დიდი ნაწილი დგას პრობლემის წინაშე — იმსახუროს და თან შვილებიც აღზარდოს.

შვილის შედეგიანი აღზრდა მხოლოდ იმ ოჯახშია შესაძლებელი, სადაც მას ადამიანის, სამშობლოს, მშობლების, ბუნებისა და წიგნის, სიკეთისა და სიმართლის სიყვარულს ასწავლიან; ასწავლიან რწმენასა და ღოცვას, სადაც მშობლებს შორის მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა სუფევს, სადაც არა მხოლოდ ბავშვისაგან მოითხოვენ მაღალზნეობრივ თვისებებს, არამედ თვით მშობლებიც მორალური ნორმების დამცველნი არიან.

საშობაო ეპისტოლე

საშობაო ეპისტოლე

მოგმართავთ თქვენ, დედებო! შვილიერება და ბავშვების აღზრდა უდიდესი ღვაწლია, რომელიც ყველა სხვა სამსახურზე მაღლდა დგას. თქვენზეა დამოკიდებული ჩვენი ერის მომავალი. გვიჩვენეთ მაგალითი რწმენისა და სიყვარულისა, სიყვარულისა ღვთისა და სამშობლოსადმი. გვიჩვენეთ მაგალითი თავგანწირული დედობისა, იყოლიეთ იმდენი შვილი, რამდენსაც გაჩუქებთ ღმერთი. შვილები თქვენი საყრდენნი იქნებიან სიბერეში და იმედი ჩვენი ერისა. ჩვენი ბავშვები უნდა ასახავდნენ თავიანთ თავში ყველაფერს, რაც შეადგენს კულტურულ სიმდიდრეს ჩვენი ერისას. დედის რძესა და აღერსთან ერთად ბავშვებმა უნდა შეისისხნხორცონ ყველაფერი, რაც ახასიათებს ჩვენს ქრისტესმოყვარე ერს: ღრმა რწმენა, მხურვალე სიყვარული ღვთისა და ადამიანისა, ჩვენი სამშობლოსი, პატივისცემა სხვა ერებისა და მათი კულტურისა, ყველა ის სიკეთე, რითაც ამყოფდნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრები.

საშობაო ეპისტოლე

სააღდგომო ეპისტოლე

ხშირად ვეკითხებით ერთმანეთს: რამდენი წლის ხარ? ეს უღმობელი კითხვა თითოეული ცვენგანის წინაშე დგას. სულ ცოტა ხნის წინ ბავშვი იყავი და თანატოლებთან თამაშობდი, ახლა კი ოცი წლისას ცხოვრების გზა გაქვს ასარჩევი. ყრმობის ასაკმა ადრეული გაზაფხულივით სწრაფად გაიფრინა. თუ უკვე ორმოცისა ხარ, მაშ შენი მზე დასავლეთისკენ მიდრეკილა; ამის დამადასტურებელია ჭალარა, თოვლივით ნელ-ნელა რომ ფარავს შენს თავს; რამდენი წლის ხარ? თუ სამოცს გადასცილდი და მალე სამოცდაათისაც გახდები, გახსოვდეს, მარადიულობის კარიბჭესთან დგახარ. „დღენი წელიწადთა ჩუენთანი მათ თანა სამეოცდაათ ნელ, ხოლო უკეთუ ძლიერებასა შინა, ოთხმეოც ნელ“ [ფსალმ. 89, 10], - ამბობს დავით წინასწარმეტყველი.

საშობაო ეპისტოლე

საშობაო ეპისტოლე

შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების სიჯანსაღის საზომი ახალგაზრდობაა. იგი ყოველთვის იყო და არის ყოფის უშუალო მონაწილე, დიად საქმეთა თანაზიარი. მისი ცხოვრების ჭეშმარიტების გზით წარმართვა აუცილებელია, რადგანაც ახალგაზრდები ერის სასიცოცხლო ძალას წარმოადგენენ.

საშობაო ეპისტოლე

სააღდგომო ეპისტოლე

უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა არსებითი ცვლილებები ადამიანის პრობლემისადმი დამოკიდებულების საკითხში. ახლა უკვე ყველა აღიარებს, რომ ამქვეყნად ადამიანზე ძვირფასი არაფერია, რომ იგია საზომი საზოგადოებრივი და ყოველგვარი მატერიალური სიმდიდრისა. თვით ისტორიაც სულ უფრო ხშირად განიხილება არა როგორც საზოგადოების ისტორია, არამედ როგორც ადამიანის განვითარებისა და სულიერი სრულყოფის ისტორია.

საშობაო ეპისტოლე

სააღდგომო ეპისტოლე

ჩვენს საუკუნეში, როდესაც ძალიან ბევრია უმაღლესდამთავრებული, ხოლო დანარჩენი საშუალო განათლებით არიან, ვრწმუნდებით, რომ მხოლოდ განათლება კულტურას არ ნიშნავს. ჩანს კულტურული შეიძლება ენოდოს პიროვნებას, რომელსაც შეუძლია სხვას ზიანი მოუტანოს? რომელმაც ცოდნა იმისთვის შეიძინა, რომ უფრო კარგად დაწეროს ცილისმწამებლური, ანონიმური წერილები, რომ უფრო მოხერხებულად დაუგოს მახე მოყვასს, დასცინოს და შეურაცხყოს იგი? ასეთი კაცი თავის ვინრო ეგოიზმშია ჩაკეტილი, უსაზღვრო სიმდიდრისადმი მისი ლტოლვა და ყოველდღიური ზრუნვა მიწიერ სიკეთეთა მოსაპოვებლად; რა შეიძლება ითქვას ისეთ კაცზე, რომელმაც არასწორი გზით მოიპოვა მაღალი სამსახუროებრივი მდგომარეობა, რომელიც ცდილობს, დაამციროს, შეურაცხყოს მისადმი დაქვემდებარებულნი, ატყუებს ხალხს და ცხოვრობს პრინციპით: „მე ვარ ხელმძღვანელი, შენ ხარ სულელი; შენ ხარ ხელმძღვანელი, მე ვარ სულელი“. ასეთი ადამიანი შორსაა არა მარტო ღვთისა და რწმენისაგან, არამედ ყოველგვარი კულტურისაგან.

საშობაო ეპისტოლე

სააღდგომო ეპისტოლე

ადამიანის შინაგანი კულტურა აუცილებლად გამოვლინდება გარეგნულ ქცევაში. თუმცა არცთუ იშვიათად დახვეწილ ქცევას, განათლებას, ეტიკეტის ცოდნას, გარეგნულ ბრწყინვალეობასა და მოცვენებით გულითადობას იყენებენ შინაგანი სიყვარულის, შურის, ზიზღისა და ცინიზმის დასაფარავად; მაგრამ „არა არს დაფარული, ... რომელი არა გაცხადნეს“ [მატ. 10, 26].

საშობაო ეპისტოლე

საშობაო ეპისტოლე

ვინ არის მეგობარი ჩვენი?

ჭეშმარიტი მეგობარი იგია, რომელიც უდრტვინველად იტანს თავს დამტყდარ უბედურებას და განიცდის მოყვასის გასაჭირს, როგორც საკუთარს. მეგობარი იგია, ვინც სიყვარულით მიგვითითებს შეცდომებზე და გვიჩვენებს სწორ გზას, ვინც ჩვენთანაა როგორც სიკეთისა და მხიარულების დროს, ისე უკიდურესი გაჭირვების ჟამს, მაშინაც კი, როცა ახლო ნათესავები დაგვტოვებენ.

საშობაო ეპისტოლე

საშობაო ეპისტოლე

როცა სიყვარულზე, მშვიდობაზე, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებასა და მათ შორის კეთილგანწყობაზე ვსაუბრობთ, ვერ დავივიწყებთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა სამართლიანობა.

სამართლიანობა არ არის მხოლოდ იურიდიული ან განყენებული ფილოსოფიური აზროვნების გამოვლინება, არამედ ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული ზნეობრივი გრძნობაა.

და მაინც, რა არის სამართლიანობა?

ზოგიერთები სამართლიანად მიიჩნევენ მხოლოდ მას, რაც შეესატყვისება მათ აზროვნებასა და უფლებებს; ანუ სამართლიანია ის, რაც მათთვის ხელსაყრელი და სასარგებლოა.

სამართლიანობა იმ კაცისა, ვინც მხოლოდ თავის უფლებებს იცავს და არ აქცევს ყურადღებას სხვათა გაჭირვებას, სხვათა ნუხილს, რა თქმა უნდა ეგოიზმიდან მოდის.

ჭეშმარიტი სამართალი შეიძლება იყოს მხოლოდ იქ, სადაც ნონასწორობაა ჩემსა და სხვას შორის; ვექცევი თუ არა სხვას ისე, როგორც საკუთარ თავს. ეს კი გამოცდილებით ვიცით, რასაც ნიშნავს: იმის მიუხედავად, კარგია ჩვენი საქციელი თუ ავი, თავი მაინც გვიყვარს და შეცდომებსაც ადვილად ვპატიობთ.

საშობაო ეპისტოლე

სააღდგომო ეპისტოლე

სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში იკითხება საგანი, რომელსაც „ზნეობრივი ღვთისმეტყველება“ ეწოდება. თუ ღვთისმეტყველება ჯერ კიდევ მიუღებელია ჩვენს სკოლებში, ზნეობა ხომ აუცილებელია. საგანს დავარქვათ „ზნეობრივი კულტურა“ და შევიტანოთ იგი სკოლის პროგრამაში.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ თანამედროვე პედაგოგიკის ნაკლზე. გამოთქმულია მრავალი მოსაზრება, შემუშავებულია პროგრამა... მაგრამ იმას კი არავინ დაკვირვებია, რომ პირველი კლასიდან დამამთავრებელ კლასამდე ერთ სკოლაში მოსწავლეთა სწორად აღზრდა შეუძლებელია; რომ აბსურდი და უდიდესი დანაშაულია, როცა პირველკლასელს ვაძულებთ, თითქმის იმდენივე ხანს იჯდეს გაკვეთილზე მობილიზებული, რამდენ ხანსაც ვთხოვთ, ვთქვათ, მეათე კლასის მოსწავლეს. სწავლების ასეთი ფორმით ხომ ბავშვს ძალაუნებურად რობოტად ვზრდით.

საშობაო ეპისტოლე

სააღდგომო ეპისტოლე

საერთოდ უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ადამიანის აზროვნება ზედაპირულია, მოკლებულია ღრმა განსჯას, რასაც მეცნიერები რადიოს, ტელევიზიის, პრესის, კინოს, თეატრისა და ინფორმაციის სხვა საშუალებების სიმრავლით ხსნიან. ვაძვირებ ვეველაფრის აღქმას, ამიტომაც მისი გონება სწრაფად გადადის ერთი საგნიდან მეორეზე.

მიგვაჩნია, რომ ამ ხარვეზის გამოსწორება შეგვიძლია, თუ შეიქმნება I კლასიდან დამამთავრებელ კლასამდე სასკოლო კურსი ღრმა აზროვნების სწავლებისათვის, სადაც გამოყენებული იქნება ღვთისმეტყველების, ლოგიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, ანთროპოლოგიის... მონაპოვარი, ჩვენი ერის სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალი (თეორიული მასალა აუცილებლად მაგალითებით უნდა იყოს განმტკიცებული).

ღრმა აზროვნებასთან ზიარება ბავშვს მეტად გაუადვილებს სხვა საგნების ათვისებას. ამასთან, ჩვენ აღვზრდით ნამდვილად ჭკვიან ახალგაზრდებს, რომლებიც იცხოვრებენ და იმოქმედებენ არა მხოლოდ ემოციებით, თავისუფალნი იქნებიან მაქსიმალური ზმისაგან და ჩვენზე უფრო გონიერად, რწმენით და სიმართლით წარმართავენ ცხოვრებას.

საშობაო ეპისტოლე

საშობაო ეპისტოლე

ყოველ ეპოქას თავის შეხედულება აქვს ადამიანზე. ადამიანს ხან ამაღლებდნენ, ხან — დაამდაბლებდნენ, ხან — აღმერთებდნენ. დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთად, მაგრამ უმთავრესი — ხატება ღვთისა — უცვლელი რჩება ჩვენში და იგი იმდენად ძლიერი და განმსაზღვრელია, რომ შეუძლია მთლიანად შეცვალოს პიროვნება, თუ, რა თქმა უნდა, მას ამის სურვილი აქვს.

ჰარმონიული შერწყმა გონებისა და გულის შესაძლებლობებისა ეხმარება ადამიანს

სულიერ, ინტელექტუალურსა და კულტურულ სრულყოფაში, თავის შეცნობაში. ასევე უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბიბლიის შესწავლას.

საშობაო ეპისტოლე

საშობაო ეპისტოლე

ჭეშმარიტი მეგობარი რომ იყო, აუცილებელია გქონდეს ამალღებული, მოსიყვარულე და მტკიცე სული. უნდა შეგეძლოს ბევრი რამის პატიება, ბევრის დავინწყება, ბევრის მოთმენა. დედობის, საერთოდ, მშობლის ვალის შემდეგ ამქვეყნად ყველაზე მეტ მსხვერპლს მეგობრობა ითხოვს. მეგობარს უნდა შევნიროთ არა მარტო დრო და გრძნობები, არამედ მთელი ჩვენი შესაძლებლობები და, თუ აუცილებელია, სიცოცხლეც კი; იმაზე სასიხარულო და განმამტკიცებელი აზრი რა უნდა იყოს, როცა იცი, შენი მეგობარი არასდროს გილაღატებს, არასდროს მიგატოვებს.

საშობაო ეპისტოლე

სააღდგომო ეპისტოლე

მშობლები ანდა პედაგოგები, როცა შვილს ანდა მოსწავლეს ამა თუ იმ კეთილ რჩევას აძლევენ, ხშირად მათი ნათქვამი რჩევა ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა. უფროსების დარიგება, ახსნა, მტკიცება უმეტეს შემთხვევაში უნაყოფია, რადგან თავიდანვე დაშვებული აქვთ ერთი დიდი შეცდომა: მათ ვერ შეძლეს ბავშვის გულის კარის გაღება. ჩული კი მხოლოდ სიყვარულით იხსნება.

მშობელმა თუ მასწავლებელმა, უპირველეს ყოვლისა, მსმენელთა სიყვარული უნდა დაიმსახუროს და გასაღებიც მის ხელში იქნება; გაღვივებული, შედი შიგ, დაამყარე წესრიგი და შენი გემოვნებით განაღაგე ყოველი; ხელის შემშლელი არ გეყოლება.

მაგრამ სიყვარული რომ დავიმსახუროთ, ჯერ ჩვენ უნდა შევიყვაროთ ბავშვი ნამდვილი სიყვარულით. დიდებს უნდა ახსოვდეთ, რომ ბავშვის მოტყუება შეუძლებელია; იგი გაცილებით იმაზე მეტს გრძნობს, ვიდრე ჩვენ გვგონია (ადამიანებს შორის ხომ, გარდა ხილულისა, თვალისთვის შეუმჩნეველი სულიერი კავშირიც მყარდება).

საშობაო ეპისტოლე

სააღდგომო ეპისტოლე

მინდა შევეხო ჩვენი მოზარდი თაობის პოპულმას, აღზრდის საკითხს ოჯახსა და სკოლაში, საშუალო სკოლის საგანმანათლებლო კურსს და იმ ზოგიერთ გადაუჭრელ საკითხს, რომელიც დღეს დგას ჩვენს სკოლაში.

პრობლემები ბევრია და ხშირად არც ვიცით, საიდან დავიწყოთ მათი მოგვარება. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მოზარდების მიმართ დიდად სცოდავენ როგორც ოჯახი, მშობლები, ისე სკოლა და პედაგოგები.

ბავშვის აღზრდისას ყველაზე დიდი ბიძგის მიმცემი მშობლების პირადი მაგალითია. იმ ოჯახში, სადაც ყოველდღიურად აღევლინება ლოცვა, სადაც მშობლები ყოველდღიურად კეთილსინდისიერად შრომობენ, ერთმანეთს სიყვარულითა და პატივისცემით მიმართავენ, ცდილობენ დაეხმარონ გაჭირვებულებს, იქ, სადაც არავინ არავის უყვირის, არ უხესობს, არ ატყუებს... იზრდებიან ასეთივე კეთილი თვისებების მქონე პიროვნებები.

საშობაო ეპისტოლე

სააღდგომო ეპისტოლე

მშობლების პატივისცემა და მათი რჩევის გათვალისწინება არის საფუძველი ქალიშვილისა თუ ვაჟის მომავალი ოჯახის სიმტკიცისა და ბედნიერებისა. უპატივცემლობა კი — მიზეზი ოჯახის უბედურებისა და დარღვევისა.

პიროვნების ინტელექტუალური და სულიერი ჩამოყალიბებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლას. კარგად უთქვამთ: სკოლა ისეთია, როგორც არის საზოგადოებაო.

საშობაო ეპისტოლე

სააღდგომო ეპისტოლე

მასწავლებლობა ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო და საპატიო პროფესიაა მთელ მშოფლიოში, რადგანაც იგი ზრდის მომავალ თაობებს. ჩვენთან კი პედაგოგს არა აქვს ავტორიტეტი არც ოჯახში, არც საზოგადოებაში და არც მოსწავლეთა შორის. უფრო მეტიც, უმრავლეს შემთხვევაში მონაფეს არ უყვარს სკოლა და არც აღმზრდელი.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ მასწავლებლის შრომის სოციალურ და საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე; ამის თაობაზე ადგენენ სხვადასხვა დეკლარაციებს... საქმე კი ადგილიდან არ იძვრის, პირიქით უფსკრულისკენ მიექანება.

ჩემი შეხედულებით, ყველაზე დიდი ხელფასი, ნებისმიერი პროფესიის ადამიანებთან შედარებით, პედაგოგებს უნდა ჰქონდეთ. აქ უნდა მივიზიდოთ ყველაზე ნიჭიერი კადრები, ისეთნი, რომელნიც გამორჩეულნი იქნებიან არა მარტო ცოდნით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ღრმა რწმენით, სიყვარულით, დიდი მოთმინებით და სხვა კეთილი თვისებებით, რასაც ისინი თავიანთ მოსწავლეებს გადასცემენ.

მასწავლებლის შესახებ შეიძლება დაუსრულებლად ვილაპარაკოთ, მაგრამ მისი უპირველესი მოვალეობაა გააკეთოს ყველაფერი, თვით შეუძლებელიც კი, რათა მოსწავლეებმა ნამდვილი სიყვარულით შეიყვარონ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიყვარებენ ისინი საგანს, რომელსაც სწავლობენ.

მასწავლებელთა შორის, რა თქმა უნდა, დღესაც არიან ნიჭიერი პიროვნებები, რომელნიც, გარდა იმისა, რომ კარგად ფლობენ საგანს, დაინტერესებულნი არიან, მაგალითად, კარგი ბიბლიოთეკის შექმნით, სოფლის მეურნეობით, ხელოვნებით, გატაცებულნი არიან ფილატელით ან წერენ ლექსებს... და თავიანთ ინტერესებსა და მისწრაფებებს აღსაზრდელებსაც უზიარებენ.

ასეთი პედაგოგები სხვათაგან განირჩევიან მაღალი სულიერებით, ზნეობით, კულტურით. ისინი ღიმილით შედიან საკლასო ოთახებში და თავიდანვე ქმნიან მშვიდ და სასიამოვნო განწყობილებას. არ იჩენენ პედანტობას ჟურნალში დასწრების აღრიცხვისას, არ ცდილობენ ორიანის დანერას და იმ მოსწავლეთა დასჯას, რომელთაც არა აქვთ გაკვეთილი მომზადებული. ბავშვებთან მათი შეხვედრა რომ საინტერესო იყოს, ისინი რამდენიმე წუთს უთმობენ მეცნიერულ მიღწევებზე, ხელოვნების სიახლეზე ან სხვა საჭირო და მნიშვნელოვან საკირხებზე საუბარს.

საშობაო ეპისტოლე

სააღდგომო ეპისტოლე

როდესაც მასწავლებლის ნაკლზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვაგინყდეს, რომ ისინი დამნაშავენი არ არიან; დამნაშავეა განათლების დღეს არსებული სისტემა, რომელმაც კარგა ხანია დრო მოჭამა, მაგრამ მაინც ვერავინ ბედავს მის შეცვლას.

ამ სისტემაში აღმზრდელი არარაობას წარმოადგენს. მას აძლევენ გარკვეულ პროგრამას და აიძულებენ მის შესრულებას; დაფიქრების საშუალებასაც კი უსპობენ იმაზე, რომ მიხვდეს, პროგრამის ათვისება კი არ არის მთავარი, არამედ ბავშვებისათვის მორალური, ზნეობრივი, სულიერო საზრდოს მიწოდება, რათა ისინი ჭეშმარიტ პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ. პედაგოგი სახელმწიფოსა და საზოგადოებისაგან, მშობლების, დირექტორისა და მონაფეებისაგან იმდენად დათრგუნულია, რომ ფაქტობრივად დაკარგული აქვს თავისი თავისადმი რწმენა, თვითონაც ადვილად იმცირებს თავს და არც ცდილობს, როგორმე განშორდეს ამ ჭაობს.

საშობაო ეპისტოლე

სააღდგომო ეპისტოლე

ალბათ, ასევე საჭიროა, მეცნიერთაგან შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეიმუშავებს პროგრამას და შეადგენს წიგნების სერიას ბავშვების აღზრდის თაობაზე ოჯახში. ჯველანაირად უნდა ვეცადოთ, პატარები თავიდანვე მიეჩვიონ ფიქრს; დაე, მათ ნორჩ თავებსა და გულელებში დაიბადოს ახალი იდეები, თუნდაც უტოპიური; შემდეგ ეს ყველაფერი თავისთავად მოწესრიგდება.

დღეს სკოლადამთავრებული ყმაწვილები საერთოდ არ იცნობენ ცხოვრებას, არ არიან მასთან შეგუებულნი, არ არიან შრომას შეჩვეულნი და ხშირად სრულიად შემთხვევით ხვდებიან ამა თუ იმ სასწავლებელში.

ვფიქრობ, სკოლაში ყოფნის პერიოდში მოსწავლეები ხშირად უნდა ატარონ ქარხნებში, ფაბრიკებში, სამეცნიერო ცენტრებში, რომ მათ გარკვეული წარმოდგენა შეექმნათ ამა თუ იმ საქმიანობაზე. საშუალო სკოლაში ბავშვმა აუცილებლად უნდა შეითვისოს რაიმე ხელობა, რომელიც მას მთელი სიცოცხლის მანძილზე გამოადგება. არჩეული სპეციალობა უნდა აინტერესებდეს მოსწავლეს და უნდა იყოს ისეთი, რომ ამ ხელობით საჭიროების შემთხვევაში, ირჩინოს თავისი თავიც და ოჯახიც.

ბოლოს მინდა შევეხო მშობლებისთვისაც და მასწავლებლისათვისაც ერთ მეტად საყურადღებო საკითხს, საკითხს სიტყვის მნიშვნელობის შესახებ.

სიტყვა არ არის მარტო ბგერათა ერთიანობა; მასში განსაკუთრებული მისტიკური ძალაა ჩადებული.

მშობლებო! არასდროს, არავითარ შემთხვევაში არ დასწყევლოთ თქვენი შვილები, არამედ აკურთხეთ, გეცოდებოდეთ და გიყვარდეთ ისინი. იცოდეთ, თქვენი სიტყვები დიდი ძალისაა და აუცილებლად შესრულდება. ბიბლიაც გვასწავლის, რომ კურთხევა მშობლების განამტკიცებს შვილების სახლებს, მათ ოჯახებს, წყევლა კი საფუძვლამდე ანგრევს მათ.

საშობაო ეპისტოლე

საალდგომო ეპისტოლე

მასწავლებლებო! თქვენმა სიტყვამ, თქვენმა კეთილმა ან უხეშმა დამოკდიებულებამ შეიძლება გადაარჩინოს ან დაღუპოს აღსაზრდელი. ხომ ნათქვამია: ხეს რომ ყოველ დღეს შესძახო, გახმეო, გახმება. ნურასოდეს ეტყვიტ ბავშვებს, რომ უნიჭონი და ცუდნი არიან, შეიბრალებთ ისინი და ნუ დაამცირებთ კლასის წინაშე.

განსაკუთრებული ყურადღებით მოექეცით ე. წ. ძლიად აღსაზრდელთ. სწორედ მათგან გამოდიან გენიალური ადამიანები ან ცნობილი დამნაშავენი. ასეთი ბავშვები ფლობენ დიდ ენერგიას და ითხოვენ განსხვავებულ დამოკდიებულებას. ჯარგი აღმზრდელის ხელში ისინი გამორჩეულ პიროვნებებად ჩამოყალიბდებიან, თუ არა და მათი განვითარება სხვა მიმართულებით წავა.

ყოველთვის გახსოვდეთ: თითოეულ თქვენს მოსწავლეში ჩადებულია რაღაც განსაკუთრებული ნიჭი და უნარი. მიეხმარეთ მას, გამოავლინოს იგი.

პედაგოგს, რომელიც ვერ იოკებს სიბრაზეს, საჯაროდ კიცხავს და შეურაცხყოფს მოსწავლეებს, უნდა ეყოს ვაჟკაცობა და გამბედაობა იმისა, რომ თვითონ დატოვოს სკოლა. იგი შეიძლება გამოდგეს ნებისმიერ სანარმოში, დანესებულებაში, მაგრამ არა სკოლაში, რადგანაც ის ვერ შეძლებს რწმენითა და სიყვარულით აღზარდოს კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარის მქონე მომავალი თაობა. ეს კი ჩვენ წინაშე მდგარი მეტად რთული, მაგრამ აუცილებლად გადასაწყვეტი ამოცანაა.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ხელი შევუწყოთ ბავშვების სულიერ ამაღლებას, ხელი შევუწყოთ მათი ნორჩი, სეურყვნელი გულის კულტურის სრულყოფას.

საშობაო ეპისტოლე

საალდგომო ეპისტოლე

თუ ნორმალური საზოგადოების შექმნა სვსურს, ჩვენმა ინტელიგენციამ, ერისმთავრებმა უპირველესად უნდა იზრუნონ მოზარდი თაობის სწორ აღზრდაზე. ადამიანის ბუნება დაცემულია და ჩვენი ცოდვისმიერი თვისებანი ასაკისდა მიხედვით გამოვლინდებიან. ამიტომაც ბავშვებმა თავიდანვე უნდა ისწავლონ ავისა და კარგის გარჩევა, ბრძოლა ბოროტებასთან და უფლის შეწვევით დაძლიონ მანკიერი მიდრეკილებანი. ამ რთულ საქმეს მასწავლებლები სიფრთხილით უნდა მოეკიდონ. ჯარგი იქნება, თუ ისინი უზნაძის განწყობის თეორიით იხელმძღვანელებენ და პიროვნულ თვისებათა გათვალისწინებით მიუდგებიან თითოეულ აღსაზრდელს. ბავშვებს თავიდანვე უნდა გავუღვიძოთ გრძნობა ადამიანის ღირსების დანახვისა და დაფასებისა, განვამტკიცოთ რწმენა იმისა, რომ ყოველი ჩვენგანი ღვთისაგან განსაკუთრებული ნიჭითაა დაჯილდოებული, ოღონდ აუცილებელია ამ მადლის გამოვლენა.

მოზარდი თაობა უნდა დაეუახლოვოთ შრომას, შევაცვაროთ მინა, ყვავილები, ცხოველები, ბუნება; ვასწავლოთ მასთან კავშირი, რათა მან შემდეგ ადვილად დაამყაროს ჰარმონიული ურთიერთობა გარემოსთან.

სამწუხაროდ, რომ ყოველივე ამის განსახორციელებლად ცოტა გვყავს სათანადოდ მომზადებული პედაგოგები; არა გვაქვს ჯარგად შედგენილი პროგრამები.

სკოლის ცხოვრებაში სიახლის შეტანა რომ აუცილებელია, ყველა გრძნობს, მაგრამ ზოგჯერ არასწორ ნაბიჯებს დგამენ. მაგალითად, აპირებენ ინგლისური სკოლების გახსნას, სადაც პირველი კლასიდანვე ყველა საგანს ბავშვებს უცხოელები შეასწავლიან და ეს მიაჩნიატ ფრიად სასარგებლოდ; სინამდვილეში კი იგი დიდი შეცდომაა ჩვენს წარსულს მონყვეტილი თაობის აღზრდისა, ანდა, ფიქრობენ რელიგიური სკოლების დაარსებას, სადაც

საღვთისმეტყველო გაკვეთილებს პასტორები ჩაატარებენ. ჩანა შეიძლება ასე ხელვყოთ ჩვეი მეობა?

საშობაო ეპისტოლე

საშობაო ეპისტოლე

ადამიანთა ერთობა ქმნის ოჯახს, გვარს, ერს, სახელმწიფოს: სულიერად განწმენდილ პიროვნებათა კავშირი — ასეთივე სახელმწიფოს, ხოლო ცოდვისაგან დათრგუნულთა ერთობა — შესაბამის ოჯახსა და საზოგადოებას. ამიტომაც, ვინც ფიქრობს ერის მომავალზე, უპირველესად უნდა იფიქროს თავის სულიერ ამაღლებაზე და დაიწყოს ერის გამოსწორება თავისი თავის განწმენდით — საკუთარი ჯვრის მტვირთველობით, ღვთის ჭეშმარიტ გზაზე დადგომით. მხოლოდ ამის შემდეგ დაინახავს ადამიანი სინამდვილეში სხვას რა უჭირს და იმასაც მიხვდება, როგორ უშველოს მას.

საშობაო ეპისტოლე

საშობაო ეპისტოლე

ვფიქრობ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ დანყებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებს, რომლის პროგრამებიც კარდინალურ ცვლილებებს მოითხოვს.

სკოლებშიც და ინსტიტუტებში სრულიად არ ექცევა ყურადღება ახალგაზრდობის ზნეობრივ აღზდას. ჩვენი გოგონები და ყმაწვილები მოკლებულნი არიან ელემენტარულ სარწმუნოებრივ და მორალურ აღზრდას, არ იციან ეთიკური ნორმები, ოჯახსა და საზოგადოებაში ქცევის წესები.

ძველ დროს ამ საკითხებით მშობლები იყვნენ დაკავებულნი, ახლა დედაც და მამაც მსახურობენ და არა აქვთ დრო შვილებისათვის, ანდა თვითონაც არ ყოფნით დონე სათანადო აღზრდის მისაცემად.

დღეს ჩვენს ახალგაზრდობას ძირითადად ქუჩა აყალიბებს, რის სამწუხარო შედეგსაც უკვე იმკის თითქმის ყველა ოჯახი.

საშობაო ეპისტოლე

საშობაო ეპისტოლე

დღეს, როდესაც ბევრი სიძნელეა გადასალახი, აუცილებელია ღრმა, აბსტრაქტული და ანალიტიკური აზროვნება, რაც მოგვცემს საშუალებას განვჭვრიტოთ შესაძლო კოლიზიები ამა თუ იმ მოქმედებისა და თავი ავარიდოთ არასწორ გადაწყვეტილებებს.

დანყებით და საშუალო სკოლებში მეტად სასურველია იკითხებოდეს სულიერი და ზნეობრივი კულტურის კურსი, რომელიც შეეხება ღმერთის, სარწმუნოების, სიყვარულის, ბოროტებისა და სიკეთის, ამპარტავნების, თავმდაბლობის, მიტევების, შერიგების, ადამიანებთან ურთიერთობის საკითხებს ან ნებისმიერი ნორმალური ადამიანის ცხოვრების ყოვლადაუცილებელ ნორმებს.

ყველა უმაღლეს სასწავლებელში კარგი იქნებოდა, რომ ისწავლებოდეს ზნეობრივი ფილოსოფიის კურსი. არ არსებობს ისეთი ღვთისმეტყველი ან ფილოსოფოსი, რომელიც არ ეხებოდეს ადამიანის ზნეობის საკითხებს. ამ ფილოსოფოსთა განსჯის გაცნობა მეტად გაამდიდრებს ჩვენი ახალგაზრდობის სულიერ სამყაროს.

სკოლებში აუცილებელია ესთეტიკური კურსის შეტანა. ხალხში თანდათან იკარგება სილამაზის გრძნობა. ადამიანი იმდენად გაუხეშდა, რომ აღარც ბუნების აღქმის უნარი აქვს, არც მუსიკის განცდისა. კულტურა სულიერებისაგან დაიშრიტა, უღვთო და უსული გახდა. ხელოვნება, რომელმაც უნდა აღზარდოს ადამიანები და სულიერი ამაღლებისა და ზნეობრივი სრულყოფის კიბეზე აიყვანოს ისინი უშინაარსო გასართობად იქცა.

შევძლებთ ამ წინააღმდეგობების გადალახვას? შევძლებთ შევადლოთ ახალგაზრდების შინაგანი სამყაროს კარი, რათა დაიწყოს იქ ფერისცვალების დიადი პროცესი? ძნელია ეს, მაგრამ ყოვლადაუცილებელი.

ამისთვის არ უნდა დავიშუროთ ჩვენი მწირი შესაძლებლობანი და გავაკეთოთ ყველაფერი ჩვენი მომავალი თაობის, ქვეყნის ხვალისდელი დღის სწორი აღზრდისათვის.

საშობაო ეპისტოლე

სააღდგომო ეპისტოლე

აუცილებელია, გავაანალიზოთ არა მარტო ჩვენი მოქმედება, არამედ, უპირველეს

ყოვლისა, ჩვენი აზრები, რადგან ესა თუ ის კეთილი თუ ბოროტი სურვილი ჯერ აზრობროვად ყალიბდება და მერე იქცევა მოქმედებად.

თუ კეთილი რამ განიზრახე, მაინც კარგად დაფიქრდი, მრავალი კუთხით განიხილე იგი და განსაზღვრე მისი შემდგომი განვითარებაც. დაიმახსოვრე, კეთილი ფიქრი ისაა, თუ განხორციელების შემთხვევაში სიხარულს მოუტანს არა მარტო მას, რომელ ადამიანშიც იგი იშვა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სხვებს, - მის გარშემო მყოფთ. მსგავსად ამისა, ბოროტი განზრახვაც პირველ რიგში ზიანს აყენებს თვითონ ამ ადამიანს, ანგრევს მის სულიერ ტაძარს, შეურაცხყოფს და ბილწავს მას.

საშობაო ეპისტოლე

საალდგომო ეპისტოლე

ჩვენ უნდა ვისწავლოთ შრომა, შრომა დაულალავი და თავდადებული, მსგავსად იმ ქვეყნის მოქალაქეებისა, რომელთა ყოფასაც შევნატრით.

ხშირად მეკითხებიან: რა ვქნა, შესაძლებლობები არა მაქვს, რომ სერიოზულ საქმეს მოვკიდო ხელიო. ჩზის დასაწყისშივე სერიოზული ნაბიჯების გადადგმა არც არის სწორი. გადავხედოთ ისტორიას. თითქმის ყველა დიდმა ადამიანმა თავისი მოღვაწეობა უბრალო საქმით დაიწყო.

საშობაო ეპისტოლე

საალდგომო ეპისტოლე

ცალკეული ადამიანი ისევე, როგორც მთელი კაცობრიობა დროის ორი განზომილებით ცხოვრობს: წარსულითა და მომავლით. ახლანდელი დრო თითქმის არ არსებობს. იგი, რაც აწმყოდ იწოდება, ერთ წამში წარსულად იქცევა. დრო უღმობლად ისწრაფვის წინ და მის მსვლელობას ვერავინ შეაჩერებს. დრო უძვირფასესი საჩუქარია ღვთისგან ბოძებული, ჩვენ კი მას ვერ ვიყენებთ.

საშობაო ეპისტოლე

საშობაო ეპისტოლე

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ხანაში, მოზღვავებული ინფორმაციისა და სწრაფადცვალებადი მოვლენების გავლენით ადამიანმა თითქოს დაკარგა თავისი ადგილი, დაკარგა შეგნება თავისი ღირსებისა, როგორც ღვთის ხატებისა და დედამიწაზე მისი მადლისა და ჭეშმარიტების მთავარი მატარებლისა.

ეს მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენი საზოგადოება მადლს მოკლებულია. უნებურად იბადება კითხვა: შესწევს კი უნარი ამდენი დაცემისაგან გათანგულ ადამიანს კვლავ აღდგომისა და განახლებისა ან იქნებ გამოსავალი უკვე აღარ არის?

თუ პიროვნება დამცირებისა და შეურაცხყოფის ქურაში გაივლის, დაინახავს თავის უღირსებას, სულიერ ჭურჭელს და გაუჩნდება სურვილი ფერისცვალებისა, დაიწყება იდუმალი და საოცარი პროცესი განწმენდისა და ამაღლებისა. მხოლოდ ტკივილითა და ჩვენს თავში ჩაღრმავებით მოვიპოვებთ სიმდაბლეს, რაც არის სათავე წინსვლისა. ჩვენი ხალხი დღეს ამ ეტაპს გადის და, მადლობა უფალს, სახარებისეული უძლები შვილის მსგავსად თანდათან უბრუნდება ღმერთს.

საშობაო ეპისტოლე

საშობაო ეპისტოლე

მინდა მივმართო ჩვენს ახალგაზრდებს, დამწყებ ბიზნესმენებსა და ბანკირებს: მიზნად ნუ დაისახავთ ქონების დაგროვებას, აირჩიეთ ის სპეციალობა, რომელიც თქვენს შინაგან სამყაროს შეესაბამება და გიყვართ; თუ თქვენ სრულად გამოავლენთ თქვენს ინტელექტს, თქვენს გონებრივ თუ ფიზიკურ შესაძლებლობებს, სიკეთის მომტანი იქნებით ქვეყნისათვისაც და საკუთარი თავისთვისაც. დაიწყეთ მცირედით, რათა დიდს შეეჭიდოთ, თუ შეცდომას დაუშვებთ, სასონარკვეთილებას ნუ მიეცემით, არამედ უნდა გეყოთ ძალა და ნებისყოფა ყველაფრის თავიდან დაწყებისათვის.

საშობაო ეპისტოლე

საალდგომო ეპისტოლე

ბავშვი უნდა შევაჩვიოთ, რომ თავისთვის სამუშაო გეგმა შეადგინოს: წლიური, თვიური და კვირეული. მან ყრმობიდანვე უნდა შეაგროვოს წიგნები და იკითხოს. ღოველ ოჯახს თავისი ბიბლიოთეკა უნდა ჰქონდეს. არიან ადამიანები, რომელნიც მთელი წლის

მანძილზე წასაკითხ წიგნთა კატალოგებს წინასწარ ადგენენ. ტელევიზორი თითქმის სრულიად ნთქავს ჩვენს თავისუფალ დროს, რადგან ხშირად უსარგებლო გადაცემებსაც ვუყურებთ. მშობლებმა ბავშვებს ტელევიზორის ყურების დროც უნდა გაუკონტროლონ და განუსაზღვრონ. ტელეგადაცემები ხომ, სამწუხაროდ, ჩვენს ბავშვებს არა თუ ზრდიან, არამედ სულიერად ასახიჩრებენ. ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ, მაგრამ მოსაუბრეს ცოტას ვუსმენთ და კიდევ უფრო ცოტას ვაკეთებთ.

საშობაო ეპისტოლე

სააღდგომო ეპისტოლე

და, მაინც ვის უნდა დაეკისროს მთავარი პასუხისმგებლობა მომავალი თაობის ფორმირებისათვის?

ამ საქმის მხოლოდ მშობლებზე მინდობა არ იქნება სწორი, რადგან ისინი ხშირად სამსახურით არიან დაკავებული და სათანადოდ ვერ იცლიან შვილებისათვის. ვერც მხოლოდ სკოლა აიღებს ამ ტვირთს.

ვფიქრობ, ყველაზე ეფექტურია სამი ძალის — ოჯახის, სკოლის და ეკლესიის შეთანხმებული მოქმედება. უნდა შეიქმნას ავტორიტეტული კომისია და გამოიკვეთოს თითოეულის პასუხისმგებლობა და მოვალეობა. დამლუპველი იქნება შედეგი, თუ აღზრდის პროგრამა და მოქმედება არ იქნება შეთანხმებული ოჯახს, სკოლასა და ეკლესიას შორის.

ჩანათლების სამინისტრომ აუცილებლად უნდა შეიმუშაოს პროგრამა ჩვენი მომავალი თაობის სულიერი, ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარებისა. სკოლადამთავრებული ახალგაზრდა მომზადებული უნდა იყოს როგორც ოჯახური ცხოვრებისათვის, ისე საზოგადოებრივი პრობლემების გადასალახავად.

იგივე ითქმის სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებზეც. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვთავისუფლდებით ძველი სტერეოტიპებისა და სტანდარტებისაგან. განათლების პროგრამების შემუშავება კი დაუშვებელია ანთროპოლოგიის, ლოგიკის, ფსიქოლოგიის, სოციალური ფილოსოფიის გაუთვალისწინებლად. ცნობილი ფსიქოლოგი ალექსი ლეონტიევი XX საუკუნის განათლებას ახასიათებდა, როგორც სულის გალატაკების პროცესს ინფორმაციით გამდიდრების ხარჯზე. იგივე მდგომარეობაა დღესაც.

მთავარი ის კი არ არის, თუ რა რაოდენობის საგანს ვასწავლით ახალგაზრდას, არამედ ის, თუ რა შედეგს მოგვცემს ჩვენს მიერ მიცემული ცოდნა, როგორ წაადგება ის ყმანვილის სულიერ თუ პრაქტიკულ ცხოვრებას. ამიტომაც ვიმეორებ, აუცილებელია დაიძლიოს ზღვარი ოჯახს, ეკლესიას, კულტურასა და განათლებას შორის.

საშობაო ეპისტოლე

სააღდგომო ეპისტოლე

კულტურა და განათლება პარალელურ წრფეთა მსგავსი კი არ არის, არამედ ხშირად თანხვედრი ცნებებია. კულტურისა და განათლების კავშირი ბუნებრივად ბადებს ეკლესიასა და ოჯახთა ურთიერთობის აუცილებელ მოთხოვნილებას. მხოლოდ ასეთ გარემოში შეიძლება არიზარდოს ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ადამიანს სრულფასოვანი წარმოდგენა სამყაროზე და გამოუმუშავდება უნარი კრიტიკულ სიტუაციებში სწორი გადაწყვეტილების მიღებისა.

საშობაო ეპისტოლე

საშობაო ეპისტოლე

ჭეშმარიტ თავისუფლებას, რომელიც ზნეობრიობის საფუძველია, უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც აქვს, რადგან ნებისმიერი სახელმწიფო ამა თუ იმ მორალის მქონე საზოგადოებას ემყარება. როგორც ძველი სიბრძნე ამბობს, სახელმწიფოსათვის უმჯობესია, მის მოქალაქეებს ჰქონდეთ მაღალი ზნეობა, ვიდრე კარგი კანონები, რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ დასაშვებია, კანონები იყოს სუსტი ან ცუდი, მაგრამ ეს ნიშნავს იმას, რომ მაღალზნეობრივი საზოგადოება ძლიერი და განვითარებული სახელმწიფოს საწინდარია.

საშობაო ეპისტოლე

სააღდგომო ეპისტოლე

დღეს მსოფლიო პროცესები ახალ გამოწვევას სთავაზობს ყველას. ჩვენმა ერმაც პასუხი უნდა გასცეს გლობალიზაციის მიერ შემოთავაზებულ მოთხოვნებს და თანამედროვე მსოფლიოში თავისი ადგილი და ფუნქცია იპოვოს, რაც აუცილებლად მოითხოვს

სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებას. სახელმწიფოებრივად მოაზროვნე საზოგადოების არსებობა კი ქვეყნის წარმატების საწინდარია.

საშობაო ეპისტოლე

საალდგომო ეპისტოლე

ქართველი კაცი დაჯილდოებულია სიყვარულის განსაკუთრებული ნიჭით; ალბათ, ამიტომაც, რომ ჩვენ წილად გვხვდა მსოფლიოს უდიდესი სინმინდე, უკერველი კვართი ქრისტესი, რომელიც სიმბოლოა ქრისტეს განუყოფელი ეკლესიისა, რომლის სწავლებასაც ოცი საუკუნეა შეურყენელად იცავს ჩვენი ხალხი. ეს არის ჩვენთვის განცხადებული უმთავრესი მისია ქართველი ერისა, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა მხნეობითა და დიდი თავგანწირვით აღასრულეს. თუ როგორ ვუერთგულვებთ ამ გზას, ეს დიდად არის დამოკიდებული ჩვენს მომავალ თაობაზე.

საშობაო ეპისტოლე

საშობაო ეპისტოლე

მეცნიერებასა და განათლებას ქვეყნის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწავლის პროცესში ხდება მომავალი თაობის ფორმირება პიროვნებებად. ამიტომაც სკოლა და ზოგადად, სასწავლებელი მარტო ცოდნას კი არ უნდა აძლევდეს მოზარდს, არამედ მან უნდა აღზარდოს იგი და თავისი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქედ ჩამოაყალიბოს. ამ საქმეში მეტად დიდია ოჯახისა და ეკლესიის როლი. სასწავლებელი, როგორც ხალხის მიერ დაქირავებული დანესებულება, ვალდებულია, თავისი საქმიანობა საზოგადოების ინტერესების შესაბამისად წარმართოს და რადგანაც საზოგადოებას ფაქტობრივად ოჯახთა ერთობლიობა და ეკლესია (რომლის წევრია ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა) შეადგენს, განათლების სისტემა ეკლესიისა და ოჯახის ტრადიციულ ღირებულებებს უნდა შეესაბამებოდეს (ვისაც სურვილი აქვს განსხვავებულ გარემოში აღზარდოს შვილები, შეუძლია ეს კერძო სასწავლებლებში განახორციელოს). ეს არის სწორედ იმის საწინდარი, რომ მომავალი თაობა ავაცილოთ თუნდაც ისეთ საშინელ სენს, როგორიც ნარკომანია და სხვა მანკიერებანია.

საშობაო ეპისტოლე

საალდგომო ეპისტოლე

ანალიტიკური აზროვნება საჭიროა ბავშვობიდანვე ისწავლებოდეს. ამ საგნის შემოღება დიდად დაეხმარება ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდებს, ადვილად დაეუფლონ თავიანთ მომავალ სპეციალობებს.

რაკი ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბება ადრეული ასაკიდან იწყება, კარგი იქნება, თუ საბავშვო ბაღებში, ბატონ დიმიტრი უზნაძის თეორიაზე დაყრდნობით, პატარებს გავუღვივებთ როგორც ერთმანეთის, ისე საერთოდ, ადამიანის თანადგომის სურვილს, პატიების უნარს, უფროსის პატივისცემას, მამულის სიყვარულს. ეს დამოკიდებულება გაჰყვებათ მათ სკოლაშიც და მთელ ცხოვრებაშიც.

სკოლაში აუცილებლად უნდა იყოს ფსიქოლოგი, რომელიც პედაგოგებსა და მშობლებთან ერთად დააკვირდება მოსწავლეს და, დაეხმარება ღვთისაგან ბოძებული ნიჭის გამოვლენასა და განვითარებაში.

საშობაო ეპისტოლე

საალდგომო ეპისტოლე

აღზრდის საქმეში მასწავლებელს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც არ შეიძლება სკოლაში შემთხვევითი ადამიანები მუშაობდნენ. სამწუხაროდ, ამას ჩვენთან სათანადო ყურადღება არ ექცევა, რის გამოც ყველაზე მეტად მომავალი თაობა ზიანდება. მასწავლებელს ბავშვები უნდა უყვარდეს და მშობელივით უნდა მოექცეს მათ. ამასთან, თვითონაც უნდა შეაყვაროს მათ თავისი თავიც და თავისი საგანიც. აუცილებელია, რომ იგი არ შემოიფარგლოს მხოლოდ საგნის სწავლებით და ცხოვრებისათვისაც მოამზადოს ისინი. ამ მიზნით მოსწავლეებთან უნდა ჩაატაროს კლასგარეშე შეხვედრები და საუბრები მათ მომავალზე, იმ პრობლემებზე, რომელნიც შეიძლება ცხოვრებაში შეხვდეთ; ასწავლოს ავისა და კარგის გარჩევა. ასწავლიდეს სწრაფი რეაგირების კულტურას.

მიმაჩნია, რომ ყველაზე მაღალი ხელფასი საშუალო და უმაღლესი სკოლების პედაგოგებს უნდა ჰქონდეთ, რადგან ისინი აყალიბებენ ქვეყნისა და ერის მომავალს და არ

არსებობს სხვა, ამაზე მეტად საპასუხისმგებლო პროფესია. პედაგოგის საქმიანობა უნდა იყოს პრესტიჟული და ეს წოდებაც დიდი შრომის ფასად უნდა მიენიჭოს ამა უ იმ ადამიანს.

საშობაო ეპისტოლე

საშობაო ეპისტოლე

ჩვენთან ხშირად ლაპარაკობენ ამა თუ იმ უფლებებზე, მაგრამ ძალიან ნაკლებად — მოვალეობასა და პასუხისმგებლობაზე. ჯველას აქვს არა მარტო უფლება, არამედ — პასუხისმგებლობაც; პასუხისმგებლობა უფლის, სამშობლოს, ოჯახის წინაშე, გაჭირვებული თუ დაცემული მოყვასის წინაშე.

საშობაო ეპისტოლე

საშობაო ეპისტოლე

რა არის სამშობლო, როგორ აღვიქვამთ მას?

ჩვენი სამშობლო არის ჩვენი გენი, ღვთისა და მოყვასისადმი გამოვლენილი ჩვენი სიყვარული, ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი.

საქართველო არის ჩვენი მოგებული თუ წაგებული ბრძოლები, წინაპართა დადებითი და უარყოფითი თვისებები.

საქართველო არის მტკიცე ოჯახი, ნათესავების თანადგომა და მათი კავშირი;

საქართველო არის ქვეყანა, სადაც მეგობრისთვის თავს სწირავენ და სადაც მეზობელი ოჯახის წევრად არის მიჩნეული; სადაც ნათელ-მირონობა და ძმადნაფიცობა სისხლისმიერ ნათესაობაზე მეტია.

საქართველო ჩვენი უნიკალური ფლორა და ფაუნაა, ჩვენი მთა და ბარია, ჩვენი უდაბნოა, ჩვენი წყალი და ზღვაა.

საქართველო ურღვევია, როგორც კვართი უფლისა!

თითოეული ჩვენგანი ატარებს მას. საქართველო მე ვარ, იგი ჩემშია და მე მასში!

საშობაო ეპისტოლე

სააღდგომო ეპისტოლე

მოყვასის მიმართ ჩვენი სამართლიანი მიდგომა ასეთი უდნა იყოს; „ყველაფერში, როგორც გსურთ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისევე მოექცით მათ“ [მათ. 7, 12].

რა მოკლე განმარტებაა, მაგრამ როგორი მრავლისმომცველი!

ეს სიტყვები ყოველთვის გახსოვდეთ და ცხოვრების წესად გქონდეთ.

უნდა ვეცადოთ იმასაც, რომ არ ვიყოთ გულგრილნი სხვათა მიმართ გამოჩენილი უსამართლობის მიმართ და დავიცვათ ტყუილუბრალოდ დაჩაგრული ადამიანი.

საშობაო ეპისტოლე



შემოქმედების პედაგოგიური ასპექტები

გიორგი სავანელი

ბერტოლდ ბრახტის თეატრალური მეთოდის სწავლების დანერგვა სამსახირო ფაკულტეტზე

თითქმის 30 საუკუნეა თეატრი არსებობს... იგი დროთა განმავლობაში იხვეწებოდა ვითარდებოდა, საკუთარი თავის წინაშე ახალ-ახალ მოთხოვნებს წამოაყენებდა, მათ გადაჭრას ესწრაფვოდა და — დღევანდელი გადასახედიდან — თანდათან პროფესიონალიზმის სტანდარტებში ექცეოდა. ჩვენთვის დიდი მონაპოვარია თეატრალური ხელოვნების და მისი ათვისების, პროფესიონალური, მწყობრი კანონების არაერთი სისტემა თუ მეთოდი; კანონებისა, რომელთა „არსის წვდომა გვათავისუფლებს კანონებისაგან“. თეატრის პროფესიონალიზაციის საკითხს დიდი ღვაწლი დასდეს ისეთმა ტიტანებმა, როგორებიც იყვნენ შექსპირი თუ გოეთე, ვოლტერი, გოლდონი, დევიდ გარიკი... თუმცა აქამომდე, პროფესიონალური თეატრალური ხელოვნების ბურჟუაზ და მისი შესწავლის მეთოდოლოგიის უალტერნატივო საწყისად, მტკიცედ

დგას კონსტანტინე სტანისლავსკი! რომელმაც, წარსულისა და საკუთარი გამოცდილებით, შექმნა და გვიანდერდა თეატრალური ხელოვნების ათვისების პედაგოგიური სისტემა, თეატრალური პედაგოგიკის „დედაენა“, შეიძლება „ანბანი“ თუ გნებავთ „გრამატიკა“ ან რაც გნებავთ ის უწოდეთ... რომლის ჩანაცვლება, მსახიობისა თუ რეჟისორის ოსტატობის შესწავლის საწყის ეტაპზე, ძნელად წარმოსადგენია. თუმცა...

დღეს, როცა ჩვენ, ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო აღიარებისაკენ მივისწრაფით, ცივილიზებული მსოფლიოს ღირსეული წევრი გვინდა ვიყოთ; როგორც განვლილი გამოცდილება გვიჩვენებს, ეს პირველ რიგში ჩვენი კულტურითა და განათლებითაა შესაძლებელი. ამიტომ, აუცილებელიც კია, უცხოური, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და ეროვნულ გამოცდილებასთან შერწყმა, დამატება, მისი გამდიდრება, სწორედ კულტურისა და განათლების დარგში; მითუმეტეს, თითქმის საუკუნოვანი საბჭოთა უღელის და კარჩაკეტილობის პერიოდის შემდეგ, რომლის მემკვიდრეობა ჯერ კიდევ ვერ მოგვიშორებია აბეზარი მწერივით ან მანყევარი დედაბერივით თან გვდევს (სახელმწიფოებრივად თუ მენტალურად). თავისთავად კარგი ტენდენციაა, განათლების სისტემის მოდერნიზაციის პროცესი; ნამდვილად აუცილებელია ბოლონის პროცესი, რომელიც მიზანმიმართულად ხორციელდება; რომელიც ჩვენს სფეროს რატომღაც ბოლომდე ვერ მოარგეს საქართველოში და ხანდახან „პროკრუსტეს საწოლის“ ფუნქციას სწევს, ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ეს არაჩვეულებრივი მიღწევა. ვაღიაროთ, რომ განახლების სიომ, რეფორმებმა სულზე მოგვისწრო გაუკურმართებული კულტურულ-საგანმანათლებლო მონყობის პირობებში (ეს იქნება ერთიანი ეროვნული გამოცდები, საერთაშორისო კრიტერიუმებით ცნობადი შეფასების თუ კრედიტების სისტემა და სხვა). მაგრამ, დაფიქრდეთ, უფრო მნიშვნელოვანი ხომ არ გვრჩება ყურადღების მიღმა? ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ ადმინისტრაციულ-ინსტიტუციონალურად გავმართოთ, ამ შემთხვევაში ჩვენი სფერო — და ალბათ უნებლიედ გვაზიწყდება ის უმთავრესი, შემოქმედებითი მხარე (ასპექტები) - სასწავლო პროგრამის და მეთოდის მოდერნიზაცია, განახლება და მუდმივი გამდიდრებისაკენ სწრაფვა. თემიდან გამომდინარე, ავიღოთ ერთ-ერთი ასეთი პუნქტი, რაც (ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ჩართული ქვეყნების სასწავლებლებში) საერთაშორისო დონის სასწავლებლებში, კარგა ხანია აპრობირებული პრაქტიკაა და მახასიათებელი; რომ დავაკონკრეტოთ... საერთაშორისო დონის უნივერსიტეტებში (ეს იქნება სახელოვნებო პროფილის სასწავლებელი თუ უნივერსიტეტი, რომელსაც აქვს სახელოვნებო მიმართულება) აშშ-სა და ევროპაში, სამსახიობო ოსტატობას სწავლობენ რა თქმა უნდა სტანისლავსკის სისტემით, რიგ შემთხვევაში სენდორფ (სენდი) მეისნერის, ლიი სტრაზბერგის ან სტელა ადლერის მიერ გადამუშავებული სტანისლავსკისეული მეთოდით; მეტიც, ჰარვარდის უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს 1 სემესტრის განმავლობაში მოსკოვში, „მხატვის“ სკოლაშიც აგზავნიან სასწავლო პრაქტიკაზე, მაგრამ!.. ამასთანავე, ასწავლიან: ბრეჰტის, გროტოვსკის, მ. ჩეხოვის, მეიერჰოლდის „ბიო-მექანიკის“ მეთოდით, კომედია დელ'არტეს, ანტიკური თუ შექსპირის დრამატურგიის თამაშის სპეციფიკას და ა.შ. ჩვენ კი, დღემდე, თუნდაც უდავოდ გენიალურ, მაგრამ მხოლოდ სტანისლავსკის სისტემაზე ვართ ორიენტირებული. ზემოთნახსენები პირობის გადმოტანას რატომ არ ვცდილობთ?.. მოდით ამის მაგალითიც ავიღოთ, საერთაშორისო პრაქტიკიდან, ოლონდ არსებული პრობლემებიდან და დანაკლისის გაანალიზებიდან გამომდინარე.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული თეატრი მეტ-ნაკლებად მაინც, ჩამორჩება „თანამედროვე თეატრში“ მიმდინარე პროცესებს, ვგულისხმობ სტილისტურ ფორმებს; ეტაპობრივად, მაინც შეინიშნება ახალ-ახალი ტენდენციები, ახალი ფორმებისაკენ სწრაფვა, ჟანრული მრავალფეროვნების გაჩენა; ეს თავისთავად რეჟისორის პრეროგატივაა, მაგრამ დღესაც კი, „გოტალური რეჟისურის“ ეპოქაში, სცენაზე ნებისმიერი სახის სპექტაკლს მსახიობი წარმოადგენს და რეჟისორის იდეები თუ ფორმები მან უნდა გააცოცხლოს. ვინაიდან ამ ჭეშმარიტებაზე არავინ დავობს, არსებული ვითარებიდან და პერსპექტივიებიდან გამომდინარე, საჭიროა მსახიობები მაქსიმალურად იყვნენ მომზადებულნი, სხვადასხვა ნოვაციური თუ „კარგად ცნობილი სახეობების“ ტრანსფორმირებული სახის წარმოდგენების შესაქმნელად. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამა თუ იმ თეატრში, თეატრალური სასწავლებლიდან მაქსიმალურად მომზადებული მივიდეს მსახიობი. ვინ უნდა იკისროს ამ საკითხის გადანყევება და მოგვარება, თუ არა თეატრალურმა უნივერსიტეტმა, რომელიც თეატრალური ხელოვნების

შესასწავლად ერთადერთი პროფესიონალური სასწავლებელია საქართველოში, რომელიც სახელმწიფო სუფსიდიზე და მისი ვალია ერთიანი ეროვნული სახელოვნებო ინტერესებით იხელმძღვანელოს. იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ მუდმივი განახლებისა და წინსვლისაკენ უნდა ისწრაფვოდეს.

მაშ ასე, საკმარისია თუ არა, დღეს, მსახობისათვის — მხოლოდ ერთი თეატრალური მეთოდით და მხოლოდ მის მიხედვით თამაშის ცოდნა; მხოლოდ ერთი მეთოდოლოგიის ესთეტიკისათვის დამახასიათებელი გამომსახველობითი საშუალებების ფლობა? აშკარად არა! ლადგან, ჩვენმა ეპოქამ წარმოშვა მრავალი სხვადასხვა თეატრალური ფორმა (მულტიმედიური, ვერბალური თუ არავერბალური თეატრის სხვადასხვა ნაირსახეობა) და ჟანრი (რევიუ, კაბარე, პერფორმანსი, ჰეფენინგი, ე. წ. „პოლიტიკური თეატრი“ ან თუნდაც სატირა ან ფარსი), რომლებიც საშემსრულებლო ხერხების არაერთგვაროვნებას, დამახასიათებელ, სპეციფიურ საშემსრულებლო მანერას და გამოხატვის საშუალებებს საჭიროებს.

ეს, საკითხის ერთი მხარეა და მაორგანიზებელი... მეორე — არა ნაკლებ მნიშვნელოვანი... ვიცით, რომ მაყურებელი თეატრის შემადგენელი „მესამე“ აუცილებელი კომპონენტია; უმაყურებლოდ თეატრი არ არსებობს (იშვიათი გამონაკლისის გარდა) და სწორედ მაყურებლის მოსაზიდად, მის დასაინტერესებლად საჭიროა, პირველ რიგში, თეატრმა იზრუნოს თავისი შესაძლებლობების სრულად გამოვლენისათვის, რათა მაყურებელს მისდამი ინტერესი მუდამ გააჩნდეს; თეატრმა კი, მათზე ზემოქმედება იქონიოს და აღზარდოს. ესე იგი, არსებულ რეალობაში, თეატრმა უნდა შესძლოს და კონკურენცია გაუწიოს, ფსიქოლოგიური, სანახაობრივი და მორალისტური ზემოქმედების საკითხში, მის კონკურენტად ქცეულ დარგებს, როგორცაა — ტელევიზია, კინო, ტელე და რეალითი შოუ, „სით-კომი“, ესტრადა და ა.შ. ამ კონკურენციაში თეატრის გამარჯვება, ჩვენთვის მითუმეტეს, ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩამოთვლილი სახეობები საკმაოდ არასახარბიელო დონისაა და საეჭვოა რაიმე სასარგებლოს მომტანი იყოს საზოგადოებისათვის, გადაღლილობის ჟამს დროის უზრუნველად გატარების გარდა; ხოლო თეატრს, შეუძლია „სანუკვარი იდეები უქადაგოს თავის ხალხს“. ამისათვის, თეატრმა უნდა შეიძინოს თითქმის თანასწორი სანახაობრივი ეფექტი, ზემოქმედების საშუალება და ამასთანავე არ დაკარგოს მისთვის დამახასიათებელი თვისებები, დანიშნულება — მორალისტური და აღმზრდელობითი ფუნქცია, უნარი რომ ხალხი დააფიქროს, მოუწოდოს, შეცვალოს ისინი უკეთესობისაკენ; თეატრი ხომ, „ერთ-ერთი ყველაზე ბასრი და ქმედითი იარაღია ქვეყნის აღმშენებლობისა. იგი, ერის აღზევების და დაცემის მიმანიშნებელი ბარომეტრია“. ასე რომ, მაყურებლის შესანარჩუნებლად თუ ხელახლა მოსაზიდად საჭიროა მრავალფეროვნება ფორმის, შინაარსის და თეატრის შემადგენელი ყველა კომპონენტის; ამისთვის კი, პირველ რიგში, სწორედ მსახობი უნდა იყოს მომზადებული; მისი როლი განსაკუთრებულია... რადგან, ყველაფერი შეიძლება წაართვა თეატრს — შენობა, პიესა, მხატვარი, მუსიკა, სცენიკი კი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მსახობი; სწორედ ის არის თეატრალური ხელოვნების უალტერნატივო საწყისი - „მოედანზე გამოვა 3 მსახობი, გაშლის პატარა ხალიჩას, დაინყებს თამაშს და უკვე თეატრია. სწორედ ამაშია თეატრალური წარმოდგენის არსი“ (ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო). ასე რომ, ბოხოქარო ცივილიზაციის, ტექნიკის საუკუნის, პოსტმოდერნიზმის თუ ტრანსავანგარდის ხანაში, როგორც უმეტესად მოიხსენიებენ კრიტიკოსნი ჩვენს ეპოქას, მსახობისათვის აღარ არის საკმარისი, მხოლოდ ერთი სამსახობო მეთოდოლოგიის ცოდნა და ერთი სკოლის ესთეტიკით მუშაობა. პირველ რიგში მან უნდა აუწყოს ფეხი თანამედროვე, სასიამოვნო თუ უსიამოვნო საზოგადოებრივ-სოციალურ პროცესებს.

* * *

ახლა თუ რატომ „ბრეჰტი“?.. მიმაჩნია, რომ პირველ ეტაპზე მსახობის ოსტატობის არსებულ სასწავლო პროგრამას, ბრეჰტის თეატრალური მოდელის მიხედვით სწავლების კურსი უნდა დაემატოს. ჩვენ გარკვეული წარმოდგენა გაგვაჩნია ბ. ბრეჰტის თეატრალური მოდელის შესახებ, რუსთაველის თეატრის განვლილი პრაქტიკიდან და მოღვაწეობიდან გამომდინარე, შესაბამისად ინტერესიც მეტია ამ მეთოდის სრულყოფილად ცოდნისა და დაუფლებისა. ბრეჰტის თეატრალურ მოდელზე გარკვეული შთაბეჭდილება კი გაგვაჩნია, მაგრამ ეს ბევრს ხომ არ ნიშნავს... როცა ვამბობთ, რომ საჭიროა მომავალ მსახობებს ვასწავლოთ ბრეჰტის

მეთოდი, მისი შემოქმედებითი კანონების სისტემა, მათი აქტიური უნარების გამდიდრებისა და მრავალმხრივობისათვის; როგორ გამოვიყენოთ იგი სასწავლო პრაქტიკაში და როგორ ვასწავლოთ მომავალ მსახიობებს ბრეჰტის თეატრის ესთეტიკით და მოთხოვნებით მუშაობა, რომ ეს იყოს მათი გამომსახველობითი არსენალის ორგანული ნაწილი, რომლის გამოყენება შესაბამის ვითარებაში თავადაც შეეძლება და არა, ყველაზე საუკეთესო შემთხვევაშიც კი, ეს იყოს მხოლოდ ამა თუ იმ როლის შესრულების მანერა, რომელიც რეჟისორისაგან იქნება ნაკარნახევი; რაც მსახიობებისათვის კონკრეტულ როლზე მუშაობის ხერხი იქნება (ხერხად დარჩება) და არა ამ მეთოდის ცოდნა. მითუმეტეს, რომ ბრეჰტის თეატრალური მეთოდი, იმიტომაც იწოდება მეთოდად, რომ მისი გამოყენება სავსებით შესაძლებელია სხვა დრამატურგთა ნაწარმოებების და სხვადასხვა სახის ნაწარმოებების დადგმისას, რისი პრაქტიკაც არსებობს ბრეჰტის თანამედროვე თუ პოსტბრეჰტისეული ევროპული თეატრების სცენებზე და თავად ბრეჰტის თეატრ „ბერლინერ ანსამბლში“. და ერთიც... იგი სტანისლავსკის სისტემის შემდეგ ყველაზე სრულყოფილი, თანმიმდევრული, პოპულარული და გამოყენებადი მეთოდია, რომელზეც დღესაც არ ამბობენ უარს მონინავე თეატრებიც კი; მისგან არის ნაწარმოებული და ნასაზრდოები არა ერთი ახალი თეატრალური ფორმა თუ თეატრის სახეობა; მაგალითად შემიძლია მოვიყვანო, ჩემთვის ყველაზე ცნობილი, ბრაზილიელი რეჟისორის მიერ შექმნილი „ჩაგრულთა თეატრი“ - „ინტერაქტიული თეატრი“. მისი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობაა „ფორუმის თეატრი“, რომელმაც უდიდესი თეატრალური ტრადიციების მქონე „ნისლიან ალბიონშიც“ საფუძვლიანად მოიკიდა ფეხი. იგი ამჟამად მოიცავს დიდ, მსოფლიო თეატრალურ გაერთიანებას და მას სწორედ ინგლისელები ხელმძღვანელობენ. ხოლო, ჩვენს თემას რომ დავეუბრუნდეთ და ბრეჰტის თეატრალური მეთოდით სწავლების აუცილებლობაზე და აპრობირებულობაზე საუბარი დავამთავროთ, დასკვნით სიტყვად ვიტყვი, რომ იგი საერთაშორისო დონის უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამის განუყოფელი ნაწილია, მსახიობის პროფესიული აღზრდის და მომზადების საქმეში; ისეთ უნივერსიტეტებში, როგორებიცაა იელისა და ჰარვარდის უნივერსიტეტები, ნიუ-იორკის კინოაკადემია თუ სან-ფრანცისკოს ხელოვნების აკადემია; რომელთა სასწავლო კურსის გავლა ავტომატურად ხარისხთან არის გაიგივებული და მათი ზღურბლიდან გზა უმეტესად წარმატებისაკენ მიდის.

* * *

ახლა, როცა ბრეჰტის მეთოდით სწავლების აუცილებლობაზე, საკმაოდ ვიმსჯელებთ, გადავიდეთ შემდეგ საკითხზე; უნივერსიტეტში სწავლის რა ეტაპზე უნდა დავამატოთ ბრეჰტის მეთოდით მსახიობის ოსტატობის სწავლება. პირველ რიგში, მე ვთვლი, რომ ეს არ უნდა იყოს ფაკულტეტური საგანი ან სასემინარო დისციპლინა. ასევე, მას არ უნდა ჰქონდეს პერიოდული „ვორქ-შოფის“ ან „მასტერკლასის“ სახე. იგი უნდა იყოს მსახიობის ოსტატობის კურსის განუყოფელი ნაწილი და ამ მიმართულებით სწავლება უნდა მიმდინარეობდეს სრული დატვირთვით, პარალელურად სტანისლავსკის სისტემით სწავლისა. ოღონდ... ვგონებ (მიმაჩნია), რომ ბრეჰტის მეთოდით სწავლების პროცესი უნდა დაიწყოს მეოთხე სემესტრიდან; რათა სტუდენტმა, უკვე იცოდეს სამსახიობო პროფესიის საფუძველი ანუ ის „ანბანი“, რომელიც საჭიროა ნებისმიერი სახის სცენური ქმედებისათვის — ორგანული მოქმედების კანონები, ხასიათის შეთხზვის პრინციპები და სხვადასხვა, უამრავი ამ ეტაპისათვის განვლილი ნიუანსი და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება მიზანშეწონილი დავამატოთ მსახიობის ოსტატობის, როგორც საგნის სასწავლო პროგრამას, ბრეჰტის თეატრალური მეთოდით სწავლება; და სტუდენტებმა, პარალელურად ისწავლონ უკვე ნასწავლი ელემენტების, ბრეჰტის ესთეტიკის მიხედვით გამოხატვა (რადგან ბრეჰტი სულაც არ უარჰყოფს, განცდის თეატრისათვის დამახასიათებელ არც ერთ თეატრალურ ელემენტს). და კიდევ ის დამატებითი მათემატიკური დებულებები, სტილისტიკისა და თამაშის პრინციპები, რაც ბრეჰტის მეთოდს თან ახლავს და განასხვავებს სხვა დანარჩენი თეატრალური მოდელებისაგან. იმის გამო, რომ სამსახიობო ოსტატობის საფუძველი განვლილი აქვს სტუდენტს და თან ასევე აუცილებელია ნორმალურ სიტუაციაშიც კი, არა თუ საუკეთესო შემთხვევაში, ამ ორი თეატრალური მოდელის გარდა ბაკალავრიატის საფეხურზევე მინიმუმ, კიდევ რომელიმე ერთი თეატრალური პრინციპებით თამაში ისწავლებოდეს. ამიტომ, წინამდებარე მეთოდით ანუ ბრეჰტის მეთოდით სწავლების

კურსის ხანგრძლივობა მიმაჩნია, რომ უნდა განისაზღვროს სამი სემესტრით. სადაც, ბრეჰტის მეთოდით სწავლების პირველი სემესტრის განმავლობაში, სტუდენტები, აითვისებენ სტანისლავსკის სისტემის მიხედვით, უკვე ნასწავლი პირველი კურსის პროგრამის, ბრეჰტის თეატრალურ ენაზე გამოხატვის ტექნიკას; მეორე სემესტრში — დრამატურგიულ მასალაზე იმუშავებენ, ნაწყვეტებზე პიესებიდან, და ისწავლიან ბრეჰტის მოდელის მიხედვით ხასიათის შექმნას, მაცურებლისა და დარბაზის ურთიერთობის საკითხებს; ხოლო მესამე სემესტრში, უკვე ბრეჰტის თეატრალური მეთოდით და პრინციპებით დადგმულ სპექტაკლში მიიღებენ მონაწილეობას, რათა მათი ნასწავლის რეალიზება, მეტად ალქმა, დაფიქსირება და გათავისება მოახერხონ. ამ მეთოდის სწავლა, ხომ მათი მომავალი პრაქტიკული საქმიანობისათვის არის გათვალისწინებული, ამიტომ ამის საშუალება მათ სტუდენტობის პერიოდშივე უნდა ჰქონდეთ. არის კიდევ ერთი ვარიანტი, სადაც ბრეჰტის მეთოდით სწავლების ხანგრძლივობა და სასწავლო პროგრამის სემესტრებზე გადანაწილება უცვლელი რჩება, მაგრამ შეიძლება შეიცვალოს სასწავლო პროცესის თუ რომელ საფეხურზე იქნება ეს პროგრამა ჩართული სასწავლო ბადეში. მეორე ვარიანტია, ის შეიძლება ჩართული იყოს მაგისტრატურის საფეხურზე, სადაც იგივე ინტენსივობით, დატვირთვით და ხანგრძლივობით განხორციელდება იგი, როგორც ბაკალავრიატში სწავლების შემთხვევაში. ეს კი, იმ შემთხვევაში იქნება შედეგის მომცემი, თუ სამსახიობო ხელოვნების მაგისტრატურის საფეხურის გავლა აუცილებელი იქნება პროფესიული ხარისხის მისანიჭებლად და არა სასწავლო პროცესის უბრალო დანამატი, როგორც ახლა ან მხოლოდ აკრედიტაცია-ავტორიზაციის პროცესში შეფერხების ასარიდებლად თუ აკადემიური სტატუსის გასამტკიცებლად. თუ ის, სამაგისტრო პროგრამაში ჩაისმება, მაშინ, ამ ეტაპის გავლა აუცილებელი უნდა იყოს, რათა სტუდენტმა მიიღოს პერსპექტივაში, თეატრში მოღვაწეობის დანებების შესაბამისი ცენზი, როგორც შემოქმედებითი ისე იურიდიული თვალსაზრისით.

სასწავლო პროგრამის ამ კურსისათვის ბუნებრივია სპეციალური და სპეციფიური პროგრამა იქნება საჭირო. პროგრამა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ახალგაზრდა მსახიობებს სრულყოფილად შევასწავლოთ მათთვის აქამდე უცნობი მეთოდი. მასში აკუმულირებული იქნება სამსახიობო ხელოვნების ყველა კომპონენტი და თეორიული მასალა, ვინაიდან ბრეჰტი თავისი სისტემისათვის არ უარჰყობს „განცდის თეატრის“ სამსახიობო ოსტატობის, (პრინციპში) არც ერთ კომპონენტს. ამ სამსემესტრიანი პროგრამის გავლისას, სტუდენტები ისწავლიან მათთვის უკვე ნაცნობი თეატრალური ელემენტების „ბრეჰტისეული“ გამომსახველობით გამოხატვას. არ არის გამორიცხული ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი სავარჯიშოების გამოყენება ამ პროცესში, ოღონდ მოთხოვნებიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე სხვადასხვა დოზით, ინტენსივობით და რიგ შემთხვევაში განსხვავებული მიზნითაც კი. თუმცა, საჭირო იქნება შემუშავდეს ახალი სავარჯიშოები, ისეთი კომპლექსური საკითხებისათვის, როგორცაა, მაგალითად: „ქუჩის სცენის“ მოთხოვნების შესაბამისად თამაში („მეოთხე კედლის“ გამორიცხვით), კუნთების გათავისუფლება (პერსონაჟის ჩვენების პროცესში სცენიდან სცენაზე გადასვლისას, როგორ უნდა იყოს გამოყოფილი მანერით ეს მომენტი), „ჩვენების“ პრინციპის გამომუშავება, ამბის „ნახტომისებურად“ განვითარება, „ჟესტი“, ჩართულობის და ორგანულობის ხარისხი, პერსონაჟის „წარმოდგენისას“ და ა.შ. არის ზოგიერთი სამსახიობო დეტალი, რომელიც სარეპეტიციო პროცესისათვის მეტად აქტიურად იქნება გამოყენებული, ვიდრე უშუალოდ სცენაზე თამაშისას ან მკვეთრად ტრანსფორმირდება მისი დანიშნულება, ამ კომპონენტების სწავლების დროსაც სახეცვლილი ხერხები დაგვჭირდება; ესენია — შინაგანი მონოლოგი (რომელიც კლასიკური გაგებით სარეპეტიციო პროცესის დროს მეტად დაგვჭირდება, ხოლო უშუალოდ თამაშისას აღარ; სამაგიროდ სცენაზე დგომისას თავად მსახიობის შინაგანი მონოლოგია საჭირო, რომელიც ასევე სარეპეტიციო პროცესში ყალიბდება), იმპროვიზაცია (რომელიც სარეპეტიციო მეთოდად მეტად უპრიანია, სცენაზე თამაშისას კი მას არსობრივი მნიშვნელობა ნაკლებად გააჩნია), ე.წ. პირველადობის ცნება, რომელიც ბრეჰტის მეთოდში უარყოფილია და უნდა ვითამაშოთ ისე, როგორც რომ წარმოვადგინოთ „უკვე მომხდარ და ნანახ ამბავს“ და საგულდაგულოდ დამუშავებულს მაცურებლისათვის. არის სამსახიობო კომპონენტები, რომლებიც უკვე ათვისებული აქვს სტუდენტს, ამიტომ მათი მხოლოდ გამოხატვის საშუალებების შეცვლაზე იქნება აქცენტი გადატანილი (დამოკიდებულება, შეფასება, ქვეტექსტი, ამოცანა

და ა.შ.). ყურადღებას, როგორც კომპონენტს, კიდევ მეტი დრო დაეთმობა, რათა სტუდენტს გამოუმუშავდეს ავტომატიზმამდე მისული ეს უნარი, რადგან ეს ერთ-ერთი მაორგანიზებელია, როგორც ბრეჰტის მეთოდის სარეპეტიციო პროცესის წარმართვისას ასევე სპექტაკლის დროს. ასე რომ საჭირო სავარჯიშოებიც ამ მიზნის მიხედვით უნდა იყოს შექმნილი. რაც შეეხება როლებზე მუშაობის პრინციპს, აქ თითქმის არ არის უარყოფილი სტანისლავსკისეული პუნქტები, მაგრამ საჭიროა ყველაფერ ამის ბრეჰტის მეთოდის შესაბამისი გამომსახველობითი საშუალებებით „გადათარგმნა“ ეპიკური თეატრის „ენაზე“. ორგანული მოქმედების კანონების თანმიმდევრული ტრანსფორმირება კი სანინდარი იქნება, რომ ბრეჰტის მეთოდით სწავლების მესამე სემესტრში სტუდენტებმა ითამაშონ სპექტაკლი „გაუცხოების თეატრის“ სპეციფიკით. სასწავლოპროგრამის შედგენამოხდება თავად ბრეჰტის ნაშრომებისა და პრაქტიკული მოღვაწეობის საფუძველზე; ასევე, სხვადასხვა სახელოვნებო სასწავლებლებში დანერგილი მსგავსი ტიპის კურსების მაგალითზე და ამა თუ იმ სახის არსებული მასალების მიხედვით (სტატიები, ვიდეო-არქივი, თეატრალური ლიტერატურა და სხვა.) კურსისათვის ასევე მომზადდება თეორიული ნაწილი, რათა მომავალი მსახიობები ფლობდნენ ბრეჰტის თეატრალურ „მეთოდს“, თავისი არსითა და მიზნით და არა მხოლოდ მის პრაქტიკულ ნაწილს. ეს კი მათი არტისტული თვალსაწიერის და შესაძლებლობების მრავალმხრივობის და უნივერსალურობისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბ.ბრეჰტი „პატარა ორგანონი თეატრისათვის“ გამომც. „ხელოვნება“ თბ.1982.
2. ვ.ქართველიშვილი „ინტელექტუალურისა და რომანტიკულის ზღვარზე“ გამომც. „კენტავრი“ თბ. 2006.
3. კ.სტანისლავსკი „მსახიობის მუშაობა თავის თავზე“ გამომც. „ხელოვნება“ თბ.
4. მ.თუმანიშვილი „სამსახიობო ხელოვნება“ გამომც. „ხელოვნება“, თბ. 1977.
5. Б.Брехт «О театре» изд. Москва 1960.
6. Б.Брехт «Театр» т. 4-5 , изд. Москва 1964.
7. Б.Райх «Брехт» изд. Москва 1960.

გიორგი სავანელი

ბრეჰტის თეატრალური მეთოდით სწავლების კურსი და მისი დანერგვა სამსახიობო ფაკულტეტზე რეზიუმე

ნაშრომში წარმოჩენილია ბრეჰტის თეორიის და მეთოდის თანადროულობის საკითხი, მსახიობის ოსტატობის წინაშე მდგარი მოთხოვნები და ამ საკითხების საერთაშორისო ანალოგები.

თემაში ჩამოყალიბებულია — თუ რატომ არის სასურველი, პირველ რიგში ბ. ბრეჰტის თეატრალური მეთოდით სწავლების კურსის დამატება: მისი გარემოები და მოტივები.

აღწერილია ამ საკითხის ფუნქციური და არსობრივი ასპექტები, მისი სასწავლო ბადაში განთავსების საკითხი (რა სახით უნდა იყოს იგი ჩართული და რა პერიოდის განმავლობაში) სპეციალობის სწავლების სტრატეგიიდან და მიზნებიდან გამომდინარე. ასევე, როგორ უნდა შემუშავდეს სასწავლო პროგრამა, რომ სტუდენტმა ისწავლოს, გარდასახვის თეატრალური მეთოდის მიხედვით განვლილი „მასალის“, ბრეჰტის თეატრალური პრინციპების მიხედვით ტრანსფორმირება და გამოხატვა; სამსახიობო ოსტატობის, რომელი კომპონენტები იქნება ჩართული ამ პროცესში და როგორ მოხდება, ორგანული მოქმედების კანონების და სახეზე მუშაობის სპეციფიკის ბრეჰტის თეატრალურ ენაზე გადატანა და „ბრეჰტისეული“ გამომსახველობით სწავლება; რა არსებული სავარჯიშოები იქნება საჭირო ამ პროცესისათვის ან რის მიხედვით უნდა შეირჩეს თუ შემუშავდეს ისინი; — რათა შედეგად, მომავალმა მსახიობმა მეთოდოლოგიურად იცოდეს და ფლობდეს გაუცხოების ეფექტის, „წარმოდგენის“ თეატრის და „ეპიკურობის“ არსს, მისი პრინციპებით როლის შექმნას, შესრულებას და შესაბამისი გამომსახველობის ცოდნას.

ГЕОРГИЙ САВАНЕЛИ

**КУРС ОБУЧЕНИЯ ПО БРЕХТОВСКОМУ МЕТОДУ И ЕГО ВНЕДРЕНИЕ
НА АКТЕРСКОМ ФАКУЛЬТЕТЕ**

Резюме

В работе выявлена своевременность постановки вопроса о теории и методе Брехта, о требованиях, стоящих перед актером и международных аналогах решения этих вопросов. Установлено также, почему желательно добавить в учебный курс, в первую очередь, брехтовский театральный метод: его обстоятельства и мотивы.

Перечислены функциональные и сущностные аспекты этого вопроса, включение в учебную сетку: в каком виде следует включать и на какой срок, исходя из стратегии обучения и целей специальности; каким образом должна быть разработана учебная программа, чтобы студент учился перевоплощению в соответствии с театральными принципами Брехта; какие компоненты актерского мастерства будут включены в этот процесс и как будет происходить перевод специфики работы над образом на брехтовский театральный язык; какие упражнения понадобятся для этого процесса, чтобы в итоге будущий актер знал и владел эффектом «остранения», театральное «представления», сущности «эпикурейства» и в соответствии с этими принципами создавал и исполнял роль.

GIORGI SAVANELI

**THE COURSE OF BRECHT'S THEATRICAL METHOD AND
ITS INTRODUCTION TO THE FACULTY OF ACTING**

Abstract

The paper discusses in which circumstances, for what reason and why it is necessary to establish Brecht's theatrical method in acting. Respectively it deals with: the ways of setting the course in curriculum; its form and duration; levels appropriate for the instruction; whether it must be a special/additional course in acting taught on graduate program and the number of semesters it should be implemented through; how to create a teaching program so that students will be able to learn the ways to transform and express components already known for them by "Method of Stanislavsky" according to Brecht's theatrical principles; which acting components will be involved in the process; how to transform "The Organic Law of Act" and traditional method of creating a role to Brecht's theatrical language and how to realize and put it into practice; What existing acting exercise will be needed in this case, what the exercise should be based on or which points must be taken into consideration while creating new tasks.



აკეთანდილ ჩაჩავა

**ფერები და ფერთა სიმბოლიკა ქართულ საკულტო სანახაობებში
და მათი აღმზრდელობითი მნიშვნელობა**

ყოველი საკულტო სანახაობა სავსეა ფერებით. შეიძლება ითქვას, რომ ფერთა სიჭრელე, მათი კალეიდოსკოპი ყოველი სანახაობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ფერები აძლევს ამ სანახაობებს შნოსა და ლაზათს, ხდის მათ მიმზიდველსა და ესთეტიკურად სასიამოვნოს. იმას, რომ მთელმა რიგმა სანახაობამ /მათ შორის, ყენობამ და ბერიკაობამ/ საუკუნეებს გაუძლო და დღემდე აგრძელებენ არსებობას, ისიც განაპირობებს, რომ ეს სანახაობები ფერთა ზეიმს წარმოადგენენ. ფერთა სიმრავლეს ქმნის ნაირნაირი ნიღბები, საკარნავალო სველები, სადღესასწაულო კოსტიუმები.

სრულიად ნათელია, რომ ფერები მარტო სასიამოვნო აღსაქმელი როდია, როგორც ამბობენ, მარტო თვალს როდი ახარებს, არამედ იგი გარკვეული ნიშნებისა და სიმბოლოების

მატარებელიცაა. სწორედ ეს თვისება სძენს მას საიდუმლო ელფერს და, გარდა ესთეტიკურისა, გარკვეულ ინტელექტუალურ-შემეცნებით დატვირთვასაც ანიჭებს. საილუსტრაციოდ თუნდაც თეთრი და შავი ფერები ავილოთ. თეთრი ფერი მსოფლიოს ხალხთა უდიდეს ნაწილში უბინოების, უმნიცკლოების, სისპეტაკის, სინმინდის, კდემამოსილების, ქალწულებრივი უმანკოების, ღვთაებრივი სინმინდის სიმბოლოა. შავი ფერი კი პირიქით, სიკვდილის, მწუხარების, ბნელი ზრახვების, ბოროტების, გლოვის, ტანჯვის და საერთოდ ყოველ- გვარი ნეგატიურის აღმნიშვნელი ფერია.. ამიტომაც არის „ყეენობაში“ ყეენი ან მუქი ფერით გამურული, ანდა, სულაც შავი ფერის. ყეენი ხომ ჩვენი ხალხის მტრების /სულერთია არაბი იქნებოდა იგი, ბიზანტიელი, მონღოლი, თურქი თუ სპარსი/ სიმბოლო იყო.

ზემოთ ჩვენ ორივე ფერთან იმიტომ ვახსენეთ „მსოფლიოს ხალხთა უმეტესი ნაწილი“, რომ ზოგიერთ ხალხთან /მაგალითად, ჩინელებთან და იაპონელებთან, თეთრი ფერი ტრადიციულად გლოვის ფერია, ანუ ამ ხალხში თეთრ ფერს სხვა სიმბოლური დატვირთვა გააჩნია. სხვა დატვირთვა გააჩნია იგივე თეთრ ფერს ომიანობის დროს. აქ იგი დანებების, ომის შეწყვეტის სიმბოლოა, ან კიდევ სხვა შინაარსი მნიშვნელობა აქვს იგივე ფერს ზღვაზე დიდი შტორმის დროს. თუ ზღვის სანაპიროზე გასულს თეთრი ფერის დროშა დაგვხვდებათ აღმართული, ეს იმის ნიშანია, რომ დღეს ზღვაში საბანაოდ შესვლა აკრძალულია და ა. შ.

ზემოთ ჩვენ მხოლოდ ორი ფერი დავასახელებთ. ანალოგიური სიმბოლური დატვირთვა აქვს ნებისმიერ სხვა ფერსაც, რომლებზედაც ქვემოთ გვექნება მსჯელობა. მანამდე კი იმაზე ვიმსჯელოთ, თუ რა არის ფერი, როგორ ახასიათებენ მას ფსიქოლოგები, უფრო ზუსტად კი ფერთა ფსიქოლოგიის /როგორც ფსიქოლოგიის ერთ-ერთი დარგის/ სპეციალისტები.

ფერის მეცნიერული განმარტება ასეთია: ფერი არის სინათლის გარკვეული სიგრძისა და სიხშირის ტალღები. შესაბამისად, სხვადასხვა სიგრძისა და სიხშირის ტალღებს სულ სხვადასხვა ფერი შეესაბამება და მას ყველა ნორმალური მხედველობის მქონე ადამიანი ერთნაირად აღიქვამს. ამიტომ, როცა ჩვენ ვამბობთ; „ცარცი თეთრია“ ან „დროშა წითელი“, გვაქვს იმის ღრმა რწმენა, რომ მას სხვა ადამიანებზე ისევე თეთრად ან წითლად აღიქვამენ, როგორც ჩვენ, თუ, რასაკვირველია, რაიმე პათოლოგიასთან არ გვაქვს საქმე /ისეთებთან როგორებიცაა, მაგალითად: ფერთა ნაწილობრივი ან სრული სიბრმავე, დალტონიზმი, ე.წ. „ქათმის სიბრმავე“ და ა.შ.

როგორც პროფ. ვახტანგ ჭელიძე ამბობს, მეცნიერებასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში გავრცელებული გამოთქმა: „თეთრი ფერი“ არაფერ სხვას, გარდა სითეთრისა, არ შეიცავს. იგი ჩვენში მხოლოდ თეთრი ფერის შეგრძნებას /ან აღქმას/ იწვევს და სხვას არაფერს. ამით ბატონ ვახტანგს იმის თქმა უნდა, რომ ფერის მეცნიერული შესწავლისას ფერის აღქმა დაცლილია ყოველგვარი სუბიექტური „მინარევებისაგან“. და მართლაც, მეცნიერი ისე ლაპარაკობს ფერებზე, რომ არსად არ ამჟღავნებს, მოსწონს თუ არა ეს ფერები, ან ჩამოთვლილ ფერთაგან, რომელია მისთვის უფრო სასიამოვნო, ნაკლებად სასიამოვნო, თუ სულაც უსიამოვნო. ფერი ამ შემთხვევაში მისთვის შესწავლის, დაკვირვების ობიექტია და მეტი არაფერი. მაშ, როგორც ითქვა, მეცნიერისათვის თეთრი ფერი გარკვეული სიგრძისა და სიხშირის ტალღებია და სხვა არაფერი. მაგრამ სრულიად განსხვავებულია ფერებისადმი ადამიანის ესთეტიკური დამოკიდებულება. შეიძლება თამამად ითქვას: როგორც სამყაროს სრულყოფილება წარმოუდგენელია ფერების გარეშე. ისევე წარმოუდგენელია ადამიანი ფერებისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების გარეშე. ადამიანი, რომელიც ფერთა მშვენიერებასა და სილამაზეს ვერ აღიქვამს, კაცმა რომ თქვას, არც არის სრულყოფილი ადამიანი.

ამიტომაც, რომ, როცა გენიალური შოთა რუსთაველი თავისი უკვდავი „ვეხისტყაოსნის“ პირველსავე სტროფში აღწერს სამყაროს შექმნის ისტორიას, ცხადია, არც ფერებს ივინყებს. გავიხსენოთ:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მათგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“.

ცხადია, მხოლოდ გენიოსს შეეძლო ერთ სტროფში ჩაეტია სამყაროს შექმნის მთელი ისტორია /კოსმოგონია/, სადაც არც „ზეგარდმო არსნი“ არიან დავინყებულნი, არც ცა და მიწა, არც მზე, მთვარე და ვარსკვლავები, არც მთები, ზღვები და ოკეანეები /ანუ „ქვეყანა“/

და არც ბუნების გვირგვინი - ადამიანი. და აი, ამ ერთ სტროფში, სადაც მთელი „შესაქმეა“ დატეული, არც ფერები არაა დავინწყებული, ნიშნად იმისა, რომ სამყაროს სრული ჰარმონია წარმოუდგენელია ნაირნაირი ფერების, ანუ მშვენიერების, სილამაზის გარეშე.

ამიტომაც გასაგებია, რომ ფერებისადმი ინტერესი უძველესი დროიდან მოდის. რაც შეეხება ფილოსოფოსთა დამოკიდებულებას ფერებისადმი, ჯერ კიდევ არისტოტელე ამბობდა: „ყველა ცოცხალი არსება ისწრაფის ფერებისაკენ“. ფერი ნებისმიერი საგნის არსებობის აუცილებელი პირობაა. უფერო საგნები არც არიან რეალობაში და, ცხადია, არც აღიქმებიან. აქ ლაპარაკია როგორც ფერის შეგრძნებაზე, ისე მის აღქმაზე /ცნობილია, რომ ფერის შეგრძნება არ არსებობს ფერის აღქმის გარეშე, თუმცა ჯერ ფერის შეგრძნებაა და მერე მისი აღქმა/. ადამიანი აღიქვამს ფერს /საგნის ფერს/. ფერის შეგრძნება გულისხმობს უსაგნო ფერს, „წმინდა ფერს“. ასეთი რამ მიუწვდომელია ადამიანისათვის. ადამიანი რომ საგნის ფერს აღიქვამს, იქ უკვე შედის ფერის შეგრძნება, როგორც ამ ფერის აღქმის შემადგენელი ნაწილი. ამდენად, ფერის შეგრძნება მხოლოდ აბსტრაქციის გზით გამოიყოფა ფერის აღქმისაგან. ამასთან დაკავშირებით აკად. რევაზ ნათაძე წერს: „შეგრძნებები აღქმის გარეშე არ განიცდებიან. ადამიანი გარემოს განიცდის აღქმისა და არა შეგრძნებების სახით, ე.ი. საგნებისა და არა საგნობრიობას მოკლებულ თვისებათა სახით“.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ფერის შეგრძნება არ არსებობს ფერის აღქმის გარეშე, მაგრამ ზოგჯერ /თუმცა ძალზე იშვიათად/ სუბიექტი, მისი გარკვეულ პირობებში ყოფნის გამო, აფიქსირებს შეგრძნებას /„წმინდა შეგრძნებას“/, რომელიც მყისვე საგნის აღქმად გადაიქცევა. ერთი ასეთი შემთხვევა თავად რ. ნათაძესაც აქვს აღწერილი: „გალვიძების მომენტში /ლაპარაკია მის გალვიძებაზე/ მწვანე ფერი აღქმული იყო როგორც უსაგნო და სივრცეში ლოკალიზაციას მოკლებული „სიმწვანე“, რომელმაც უმაღლესი მის მიმართ ყურადღების გამახვილებასთან ერთად გადაინაცვლა მწვანე ხის მიმართულებით ეზოში და ხედ, ე.ი. ხის აღქმად გადაიქცა. „წმინდა სიმწვანის“ ხის მწვანე ფერად გადაქცევის ეს მოძრაობა სავსებით თვალსაჩინოდ იყო განცდილი. სრულიად უდავოა, - აგრძელებს რ. ნათაძე, - რომ თვალის გახელის მომენტში, აღქმის აქტის შესრულებამდე, ეზოში მდგარი ხის მწვანე ფერით თვალის ბადურის გალიზიანებისას ერთ მომენტში აღმოცენდა მწვანე ფერის შეგრძნება /ლოკალიზაციას მოკლებული „სიმწვანე“/, რომელიც ამ მწვანე ფერის აღსაქმელად სუბიექტის წარმართვისთანავე „გასაგნობრივდა“ - გამოეყო სუბიექტს და მის გარეთ მდგარ მწვანე საგნად /მწვანე ფოთლად/ გადაიქცა.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ პირველი მეცნიერული ცოდნა ფერთა შესახებ არისტოტელემ მოგვცა. არისტოტელეს შემდეგ კი ფერის კვლევა გააგრძელა მისმა მოწაფემ თეოფრასტემ, რომელმაც სპეციალური ტრაქტატიც კი მიუძღვნა ფერებს.

დღეს ფერთა მეცნიერული კვლევის საქმეში ბევრი რამ არის დადასტურებული. კერძოდ, დადასტურებულია ის, რომ, გარდა კინესთეტიკური შეგრძნებებისა და ასევე ყნოსვის, გემოს, სმენის, შეხების შეგრძნებებისა, არსებობენ მხედველობის შეგრძნებები, ანუ სინათლისა და ფერის შეგრძნებები და რომ მათი გამომწვევი ფიზიკური გამლიზიანებელი არის სინათლე ე.ი. ელექტრომაგნიტური ტალღების გარკვეული სიგრძე და სიხშირე. როგორც აკად. რ. ნათაძე ამბობს, მხედველობის შეგრძნებების გამომწვევი რხევის დიაპაზონი საკმარისად დიდია. იგი თავსდება ელექტრომაგნიტური ტალღების დაახლოებით შემდეგ სიგრძეთა შორის 396 მილიმიკრონიდან 760 მილიმიკრონამდე. მეცნიერებისთვის ზუსტადაა ცნობილი, თუ რა სიგრძისა და სიხშირის ტალღები რა ფერის შეგრძნებას იწვევს ნორმალური მხედველობის მქონე ადამიანში. ასე მაგალითად, 760 მილიმიკრონის ტალღა წითელი ფერის შეგრძნებას იწვევს, 600 მილიმიკრონის სიგრძისა - ნარინჯისფერის შეგრძნებას. უმოკლესი ტალღა (360 მილიმიკრონი) იისფერის შეგრძნებას იწვევს.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მეცნიერება მხედველობის შეგრძნებებს ორ ჯგუფად ჰყოფს: სინათლის შეგრძნებებად და ფერების შეგრძნებებად. პირველს უწოდებენ ნეიტრალურ ფერების, ანუ უფერო (აქრომატული) ფერების შეგრძნებებს, მეორეს კი სპექტრალური, ანუ ფერადი (ქრომატული) ფერების შეგრძნებებს.

როგორც რ. ნათაძე წერს, ნეიტრალური ფერები წარმოადგენენ რუხი ფერების ელფერებს, თეთრისა და შავის ფერის ჩათვლით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის სინათლის ხარისხის რიგი, დაწყებული მაქსიმალურად ნათელი, ე.ი. თეთრით და გათავებული სინათლის მინიმალური ხარისხით, ე.ი. შავით ეს ის ფერებია, რომელთაც ჩვენ კინო ან ტელეეკრანზე ვხედავთ იმ შემთხვევაში, როცა გამოსახულება არაფერადია, ანუ შავ-თეთრია.

აკად. რ. ნათაძის აზრით, ნეიტრალური ფერები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ ერთი თვისებით-სინათლის ხარისხით, ყოველი ორი ნეიტრალური ფერი იმით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ ერთი უფრო ნათელია, მეორე კი-უფრო ბნელი. რაც მეტია სინათლის ხარისხი, ე.ი რაც უფრო ნათელია ნეიტრალური ფერი, მით უფრო უახლოვდება იგი თეთრს (მით უფრო ბაცი რუხია იგი) და, პირიქით, რაც ნაკლებ ნათელია ნეიტრალური ფერი, მით უფრო უახლოვდება იგი შავს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ნეიტრალური ფერების რომელიმე მათ სინათლის ხარისხს ემთხვევა.

როგორც უკვე ითქვა, სპექტრალური ანუ ქრომატიული ფერები ეწოდება იმ ფერებს, რომლებიც წმინდა სახით გვეძლევა სპექტრში. ეს ფერებია: წითელი, ნარინჯი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი და იისფერი (სხვათაშორის, ამ თანმიმდევრობით არიან ეს ფერები წარმოდგენილი ცისარტყელაში).

ფერებზე რომ ვსაუბრობთ, ისიც უნდა ითქვას, რომ თითოეული სპექტრალური ფერი სხვადასხვა ელფერით ვლინდება, ანუ ჩვენ შევიგრძნობთ არა ერთი სახის წითელს, არამედ წითელი ფერის მრავალ ელფერს. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს სხვა ფერების მიმართაც. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ თვალი არჩევს რომელიმე ფერის თითქმის ორას ელფერს. სპეციალურად გავარჯიშებული თვალი კი (მაგალითად, მხატვრის თვალი) გაცილებით მეტ ელფერს შეიგრძნობს.

მიუხედავად იმისა, რომ სპექტრალურ ფერებში შედიან წითელი, ნარინჯი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი და იისფერი, მათგან მაინც გამოიყოფა 4 მთავარი ფერი: წითელი, ყვითელი, მწვანე და ლურჯი. დანარჩენი ფერები იმიტომ არ არიან მთავარი ფერები, რომ ისინი იმ ოთხ მთავარ ფერთა შორის გარდამავალ ფერებს წარმოადგენენ. ასე მაგალითად, ნარინჯისფერი წითელსა და ყვითელს შორის გარდამავალი ფერია, იისფერი გარდამავალი ფერია ლურჯსა და წითელს შორის, ცისფერი ლურჯსა და მწვანეს შორისაა გარდამავალი.

რამდენადაც ჩვენი ამოცანა არის არა ფერების მეცნიერული დახასიათება, არამედ ფერის ადგილის ხაზგასმა ხელოვნებაში და ფერთა ზემოქმედება ადამიანზე, მის განცდებსა და ემოციებზე, მის გუნება-განწყობილებაზე, ფერთა დახასიათებას მეტს აღარ აღარ გავაგრძელებ, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ფერის შეგრძნების ზემოქმედების შესახებ ადამიანზე, მასზე საინტერესო მოსაზრებები ჯერ კიდევ გოეთეს გააჩნდა. მან სპექტრალური ფერები „თბილ“ და „ცივ“ ფერებად იმის მიხედვით გააყო, თუ როგორ ზემოქმედებენ ისინი ადამიანზე.

მან „თბილი“ ფერები უწოდა წითელს, ნარინჯსა და ყვითელს და აჩვენა, რომ ეს ფერები ზემოქმედებენ ადამიანებზე აღმგზნებლად, გამამხნეველად, გამაცოცხლებლად, რაც შეეხება ლურჯსა და იისფერს, ისინი, პირიქით, ქმნიან ნაღვლიან, მწუხარე გუნება-განწყობილებას, მწვანე და ცისფერი კი დამანყნარებლად, დამამშვიდებლად ზემოქმედებენ ადამიანზე.

სხვათაშორის, გოეთეს ეს დაკვირვება და მსჯელობა ექსპერიმენტულად დაადასტურა ცნობილმა ფსიქოლოგმა, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ფუძემდებელმა ვილჰელმ ვუნდტმა. როგორც აკად. რ. ნათაძე წერს, ვუნდტის ლაბორატორიის მონაცემებითაც წითელი, ნარინჯი და ყვითელი ფერები აღმგზნებლად ზემოქმედებენ ადამიანზე, მწვანე, ცისფერი, ლურჯი და იისფერი კი, პირიქით, დამამშვიდებლად, დამანყნარებლად.

გოეთესა და ვუნდტის კვლევის შედეგებს დღესაც დიდი პრაქტიკული გამოყენება აქვთ ფერთა თერაპიაში. ასე მაგალითად, დეპრესიულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს ნარინჯისფერი განათების პირობებში ამყოფებენ, აგზნებულ მდგომარეობაში მყოფ პარანოიკებს კი, პირიქით, ლურჯ განათებას უქმნიან და ა.შ.

ცნობილია ისიც, რომ აღგზნებულ მდგომარეობაში მყოფ ნერვულ ავადმყოფებს ურჩევენ მწვანე ტყის, ცისფერი ზღვის ან მწვანე მინდვრის ცქერას და ა.შ.

როგორც უკვე ითქვა, ფერებისადმი მეცნიერული დამოკიდებულება არსებითად განსხვავებულია ფერებისადმი ადამიანის ემოციური დამოკიდებულებისაგან: თუ პირველი გამორიცხავს ემოციურ მიმართებას, ფერებისადმი ადამიანის ყოველდღიური ურთიერთობა სწორედ რომ ემოციური ურთიერთობაა.. ასეთივეა (და კიდევ უფრო ძლიერი) ხელოვანის დამოკიდებულება ფერებისადმი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი წერს: „თვალეში მშვენიერს

ვეტრფი მე ცისა ფერსა“.

ან: „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,

პირველად ქმნილსა ფერს

და არ ამ ქვეყნიერს,

სიყრმიდან ვეტრფი“.

აშკარაა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი აქ ცისფერის მეცნიერულ დახასიათებას კი არ იძლევა, მისი სინათლის ტალღების სიგრძესა და სიხშირეს კი არ არკვევს, იმას კი არ აზუსტებს ქრომატული თუ აქრომატული ეს ფერი, არამედ გამოხატავს თავის პირად (პიროვნულ) დამოკიდებულებას ამ ფერისადმი. მისთვის ეს ფერი არა მარტო „სიამით გამოკრთის“, არამედ „თვალეშიდაც მშვენიერია“.

ახლა გალაკტიონი გავიხსენოთ: „აქ მრავალია ცისფერი ფერი,

ეს ფერი მარად თვალს ეყვარება,

როგორც ქალწულის სახელი მერი

არის ცისფერი და მწუხარება“.

აქაც იგივე ემოციური დამოკიდებულებაა გამჟღავნებული. ცისფერი მისთვის ქალწულებრივი უბინოების, სისპეტაკისა და კდემამოსილების გამოხატულებაა და ნუხილთან, სევდიან განწყობილებასთანაა დაკავშირებული.

რაკი ცისფერი იგივე ლურჯი ფერია, ამიტომ მასთან ცისფერს ზოგჯერ ლურჯიც ენაცვლება. ასე მაგალითად, ნიკოლოზ ბარათაშვილი წერს:

„ფიქრი მე სანატრი,

მიმინვეს ცისა ქედს,

რომ ეშხით დამდნარი

შევერთო ლურჯსა ფერსა“.

აქ ლურჯი ფერი დადებითად ზემოქმედებს პოეტზე, რამდენადაც მასთანაა დაკავშირებული მისი, როგორც ადამიანის, ძალთა მოზღვავება, შეუცნობლისაკენ ლტოლვა და სწრაფვა.

რომანტიკოსების მიხედვით, ცისფერი ცის ბინადართა, ღვთაებათა ფერია. როგორც პროფ ზ. აბზიანიძე და ქ. ელისაშვილი წერენ, თუ ადრეულ ქრისტიანულ იკონოგრაფიაში ღვთისმშობელი და ყრმა იესო იისფერით იყვნენ მოსილნი, შემდგომში ისინი უკვე ლურჯი ფერით არიან გამოხატულნი.

ცისფერის, ანუ ლურჯის ფერის საყვარელ ფერად წარმოჩენის XIX საუკუნის ტრადიცია XX საუკუნეშიც გაგრძელდა. კერძოდ, იგი მთელი სისრულით წარმოჩინდა ქართველ სიმბოლისტ პოეტებთან. თვით სახელწოდებაც კი სიმბოლისტური ორდენისა - „ცისფერ ყანწელები“- ამის დასტურია.

ლურჯი დიდი გალაკტიონის საყვარელი ფერია. გავიხსენოთ:

„ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ

უდაბნო ლურჯად ნახავერდები“.

ან: „თოვს! ამნაირ დღის ხარებამ ლურჯი

და დაღალული ფიფქით დამთოვა“.

ან: „სიზმარიან ჩვენებით-ჩემი ლურჯა ცხენებით

ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!“

ან: „როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,

ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები“.

და მრავალი სხვა.

გალაკტიონის ასეთივე საყვარელი ფერია იისფერი. აკი ასე იწყება მისი გენიალური ლექსი „თოვლი“ : „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის

ფანტელებივით ხიდიდან ფრენა“.

მეცნიერები ამბობენ, რომ იისფერი-წითელისა და ლურჯის ნაჯერი ფერია. მისი სიმბოლიკა თავშეკავებასთან, ზომიერებასთან, სულიერებასთანაა ასოცირებული. იისფერი ზოგიერთ შემთხვევაში მიანიშნებს აქტიურობიდან პასიურობისაკენ, სიცოცხლიდან-სიკვდილისაკენ გადანაცვლებას, როგორც ზ. აბზიანიძე და ქ. ელაშვილი ამბობენ, მისი ამგვარი ინტერპრეტაცია ემყარება ამ ფერის ორსაწყისიანობას: წითელი (ლტოლვა, გზნება, ცეცხლი) გადადის ლურჯში

(ინტელექტი, სიმშვიდე, წყალი ან ცა), ამიტომ ქრისტიანული იკონოგრაფიის უძველეს ნიმუშებში ქრისტესა და ღვთისმშობლის სამოსი იისფერია, რაც მიგვანიშნებს ღვთისმშობლის უბინოებისა და ყრმა იესოს თვინიერებაზე.

„სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედიაში“ იისფერის ფსიქოლოგიური ეფექტის დასადგენად ასეთი მაგალითია დასახელებული: ტესტმა, რომელიც 1600 უმცროსი ასაკის მოწაფეს ჩაუტარდა, ცხადყო, რომ გამოკითხულთა 75%-მა აღიარა იისფერის დამამშვიდებელი ეფექტი (ლიუშერის ფერთი ტესტი). სწორედ ამიტომ სარგებლობს ეს ფერი დიდი პოპულარობით კათოლიკურ ეკლესიაში. სწორედ ამიტომ მიიჩნევენ მას „წინააღმდეგობათა ჰარმონიის სიმბოლოდ“.

ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებული ფერი არის მწვანე ფერი. იგი აღმოცენების, განახლების ბუნების გამოცოცხლების ფერია, ამიტომ უყვართ ადამიანებს ზამთრის ძილის შემდეგ ბუნების გაცოცხლების, განახლების მაჩვენებელი მცენარეთა გამწვანება, მწვანე ბალახის აბიბინება. როგორც გაცოცხლების, განახლების სიმბოლო, იგი იმედის მომცემი ფერია. მას განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა არა მარტო ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში, არამედ ისლამურ სამყაროშიც, როგორც ზ. აბზინიძე და ქ. ელაშვილი წერენ, „ვეროპის ქვეყნებში მწვანე ფერის სიმბოლიკა ძირითადად მაინც წარმატებას, აღორძინებას, სტაბილურობას განასახიერებდა“.

ზემოთ ჩვენ ფერების შესახებ მსჯელობა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტროფით დავიწყეთ და ვთქვით, რომ სამყაროსეული ჰარმონია ფერთა სიუხვის გარეშე წარმოუდგენელია-თქო. ახლა კი იმას შევხვით, როგორ შეესაბამება ფერთა ცვლა ადამიანის გუნება-განწყობილების შეცვლას.

ასე მაგალითად, შოთა რუსთაველის პოემაში ლალისა და ბროლის ფერი სიხარულისა და ბედნიერების სიმბოლოა. ყვითელი ანუ ზაფრანისფერი-მაღალი სულიერი განწყობილების გამომხატველი, შავი და ამარტის ფერი კი მწუხარების გრძნობებს უკავშირდება, ხშირად პოეტი პერსონაჟთა გუნება-განწყობილების შეცვლას კარგად გამოხატავს ფერთა სათანადო შეცვლით:

„ამარტის ფერად შეცვლა ბროლი ცრემლისა დენამა“.

როგორც პროფ ვ. ჭელიძე წერს, აქ ფერთა ცვლა „დაღმავალი ხაზით“ მიდის-ბროლის ფერი ამარტის ფერმა შეცვალა. მაგრამ, ცხადია, არის ისეთი შემთხვევებიც, როცა რუსთაველს სურს ფერთა შეცვლით გამოხატოს თავისი პერსონაჟის სიხარული და სასიამოვნო განწყობილება. ამის მაგალითია:

„შეჰხედნის, თვალნი ამართნის,
შავ-თეთრი ელვა კრთებოდა,
მართ ვითა ლალსა მზისაგან,
მას ფერი ეზარდებოდა“.

ფერებისადმი ადამიანთა დამოკიდებულება ინდივიდუალურია. ეს ნიშნავს, რომ ყოველ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს მისი საყვარელი ფერები, რომელიც არ ემთხვეოდეს მეორე ადამიანის საყვარელ ფერებს. ეს განსხვავებულობა ხშირად გამოიხატება ტანსაცმლის, ინტერიერის ან ავტომობილის შერჩევაში. ობიექტური კი ემთხვევა ფერის სიმბოლურ მნიშვნელობას. ამ აზრით, ის ობიექტურიცაა და ზოგადიც.

როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ფერი, რომელსაც უპირატესობას ანიჭებს ესა თუ ის ადამიანი საინტერესო ინფორმაციას იძლევა თავად ამ ადამიანის ხასიათის, ტემპერამენტისა და ემოციური მდგომარეობის შესახებ. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ ინტერნეტი სავსეა სტატიებით ამგვარი სათაურით: „მითხარი რომელია შენი საყვარელი ფერი და გეტყვი - ვინა ხარ შენ“. „გეტყვი ვინა ხარ შენ“- გულისხმობს შენი ხასიათის, შენი ტემპერამენტის და ა.შ გამოცნობას.

ფსიქოლოგიაში ცნობილია ასევე მაქს ლუშერის „ფერთა ტესტი“, რომელიც XX საუკუნის 40 იან წლებშია შექმნილი. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ამ ტესტის ჩატარებას სპეციალური პროფესიული მომზადება ესაჭიროება, თუმცა მისი „გამარტივებული“ ვარიანტით თითოეულ ჩვენთაგანს შეგვიძლია ვისარგებლოთ.

ასეთია ფერებისა და ფერთა სიმბოლიკის მოკლე დახასიათება. ამ დახასიათების პარალელურად, ჩვენ ვეცადეთ გვეჩვენებინა, თუ რა აღმზრდელი მნიშვნელობა გააჩნია მათ მომავალი თაობის ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

ავთანდილ ჩაჩავა

ფერები და ფერთა სიმბოლიკა ქართულ საკულტო სანახაობებში და მათი აღზრდელობითი მნიშვნელობა

რეზიუმე

ფერები საკულტო სანახაობების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ფერები აძლევს ამ სანახაობებს შნოსა და ლაზათს, ხდის მათ მიმზიდველსა და ესთეტიკურად სასიამოვნოს.

წინამდებარე ნაშრომში დახასიათებულია საკულტო სანახაობებში გამოყენებული ფერები და გარკვეულია თითოეული მათგანის სიმბოლური მნიშვნელობა, გაანალიზებულია განსხვავება ფერებისადმი მეცნიერულ და ემოციურ დამოკიდებულებას შორის.

АВТАНДИЛ ЧАЧАВА

ЦВЕТА И СИМВОЛИКА ЦВЕТА В ГРУЗИНСКИХ КУЛЬТОВЫХ ЗРЕЛИЩАХ И ИХ ВОСПИТАТЕЛЬНОЕ ЗНАЧЕНИЕ

Резюме

Цвета являются необходимой составной частью культовых зрелищ. Цвета придают этим зрелищам красоту и привлекательность, эстетическое удовольствие.

В данной работе охарактеризованы цвета, используемые в культовых зрелищах, и выявлено символическое значение каждого из них, проанализировано различие между научным и эмоциональным отношением к ним.

AVTANDIL CHACHAVA

COLORS AND COLOR SYMBOLISM IN GEORGIAN CULT WORSHIP SHOWS AND THEIR EDUCATIONAL IMPORTANCE

Abstract

Colors are necessary components of cult worship shows. Color gives to these activities charm and brilliance and makes them attractive and pleasurable. The article deals with the colors used in cult worship shows; defines their symbolic importance and analyses the difference between scientific and emotional attitudes toward the color.



სპორტის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია

გიორგი მქინარაშვილი

კონტრილეთების სწავლების სპეციფიკა თავისუფალ ჭიდაობაში

თავისუფალ ჭიდაობაში, როგორც სხვა ჭიდაობის სახეობებში მოჭიდავეთა არსენალი შედგება როგორც დგომის, ასევე ჩოქბჯენის ილეთებისაგან, მათ შორის: ძირითადი - შეტევითი (საიერიშო), დაცვითი ილეთები და კონტრილეთები. მოჭიდავე შედგის მისაღწევად სრულყოფილად უნდა იყოს მომზადებული, უნდა ფლობდეს მრავალფეროვან ილეთებს, კონტრილეთებს და დაცვის ილეთებს. როგორც ვიცით, თავისუფალი ჭიდაობა მოიცავს 1000-ზე მეტ ილეთს და რამდენად ძლიერი არ უნდა იყოს მოჭიდავე დგომში და ჩოქბჯენში ჯამურ ჩათვლაში საიერიშო 7-9 ილეთზე მეტს საშეჯიბრო მოღვაწეობის პროცესში არ აკეთებს. ამასთან ერთად, მაღალკვალიფიციური მოჭიდავეები, როგორც წესი ფლობენ ყველა ილეთის საწინააღმდეგო ილეთს და ყველა ილეთის საწინააღმდეგო დაცვით ილეთებს.

დღი როლი მოჭიდავის ჩამოყალიბების პროცესში და შესაბამისად მისი არსენალის

ფორმირებაში ენიჭება სწავლების საწყის ეტაპს და ე.ი. იმ ეტაპს, როცა ხდება მოსწავლის მიერ ტექნიკურ-ტაქტიკური მოქმედებების - ფიზიკური თვისებების განვითარებასთან ერთად სწავლება უნარის დონეზე და მათი სრულყოფა და აყვანა ჩვევის დონემდე.

საქართველოს საჭიდაო სკოლებში სხვადასხვა წლებში თბილისში, გორში, ქარელში და ამ ეტაპზე გორის რაიონის სოფელ ქორდში ჩვენ ვიყენებდით და ვიყენებთ სასწავლო-საწვრთნო პროცესის საწყის ეტაპზე, რომელიც მოიცავს სწავლების პირველ და მეორე წელს ტექნიკო-ტაქტიკური მოქმედებების შესწავლისათვის კონცენტრულ მეთოდს.

ამ მეთოდის სპეციფიკა და ჩვენს მიერ რეკომენდებული ილეთების რაციონალური მოცულობა და თანამიმდევრობა შესახებ წარმოდგენილი იყო ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებში.

აქცენტი წინა ნაშრომებში გაკეთებული იყო იმაზე, თუ რა ადგილი უკავია მოცემულ თანამიმდევრობაში და მოცულობაში იმ ილეთებს, რომელიც ეხება მონინალმდეგის გადაყვანას დგომიდან - ჩოქბჯენში (სხვადასხვა ვარიანტებითა და მოვლებებით) ერთი ან ორი ფეხის მოვლების შემდეგ. ჩვენ ვთვლით საჭიროდ ამ ილეთების სწავლება სასწავლო-საწვრთნო პროცესში სწავლების მეორე წელიწადს.

სასწავლო-საწვრთნო პროცესის მიმდინარეობისას აუცილებელია მწვრთნელის მიერ სპორტის ყველა თეორიისა და პრაქტიკის კანონების დაცვა.

სწავლების ეფექტურობის ამაღლების მიზნით მწვრთნელმა და სპორტის სპეციალისტმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა მიერ ახსნილი მასალის ათვისების უნარი ფიზიოლოგიური და ფიზიკური შესაძლებლობები და ყველა მოსწავლის მიმართ ჰქონდეს ინდივიდუალური მიდგომა.

როდის და როგორი კონტრილეთების და დაცვითი ილეთების შესწავლა უნდა მოხდეს მოსწავლეების მიერ - ამის გათვალისწინება არის აუცილებელი. თავისუფალ ჭიდაობაში ილეთების მრავალფეროვნებაში და ილეთების დიდ მოცულობაში კონტრილეთებს და დაცვით ილეთებს უკავია პროცენტულად დიდი რაოდენობა, ეს არის ილეთები დგომში და ჩოქბჯენში.

მანამდეც და თანამედროვე ჭიდაობაშიც უპირატესობა ყოველთვის ჰქონდა აქტიური სტილით მოჭიდავე სპორტსმენს. აქტიური სტილით ეს იმას ნიშნავს, რომ მოჭიდავე ხშირად და ეფექტურადც ასრულებს ტაქტიკური მომზადების შემდეგ საიერიშო ილეთებს. ამიტომ აქტიურობის თვალსაზრისით ცნობილ და აუცილებელ რაოდენობიდან პირველ ადგილს იკავებს საიერიშო ილეთები, მეორე ადგილზე - კონტრმოქმედებები, მესამეზე კი დაცვითი ილეთები.

ჩვენ ყოველთვის უნდა ვეცადოთ, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ გონივრულად გააზრებული ჭიდაობის აქტიური სტილი, ამიტომ სასწავლო-საწვრთნო პროცესის მიმდინარეობისას პრიორიტეტის მიხედვით სწავლებისა და დამუშავების დროს პირველი ადგილი უნდა მივაკუთვნოთ ჯერ ილეთებს, შემდგომ კონტრილეთებს, მერე კი დაცვებს.

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო-საწვრთნო პროცესის საწყის ეტაპზე ერთი და ორი ფეხის მოვლებები და შემდეგ იქიდან გადაყვანები გადავიტანეთ სწავლების მეორე წელიწადს, ყველა შემთხვევაში აღნიშნულ სექციაში ხდებოდა (ხდება) ამ ილეთებთან დაკავშირებული ჯერ კონტრმოქმედებების მერე კი დაცვითი ილეთების შესწავლა. კონტრმოქმედებებს შორის ხდებოდა შემდეგი ვარიანტების შესწავლა: 1) კონტრმოქმედებები, რომლებიც სრულდება მონინალმდეგის ფეხის (ფეხების) მოვლების მცდელობის შემდეგ; 2) კონტრმოქმედებები, რომელიც სრულდება მონინალმდეგის მიერ ფეხის (ფეხების) მოვლების შესრულების შემდეგ; 3) როდესაც მოხდა ფეხის მოვლება (თავი შიგნიდან); 4) როდესაც მოხდა ფეხის (ფეხების) მოვლება (თავი გარედან); 5) როცა მოხდა მოვლება ორივე ფეხზე; 6) როდესაც მოხდა ფეხის (ფეხების) მოვლება და შემდგომ მონინალმდეგის მიერ აყვანა მალლა; 7) როცა მონინალმდეგემ ფეხის (ფეხების) მოვლებით მოახდინა მალლა აყვანა და ცდილობს გდების შესრულებას. რაც ეხება სხვა ილეთების საწვრთნო კონტრმოქმედებებსა და დაცვით ილეთებს - ხდებოდა ჯერ კონტრმოქმედებების შესწავლა და სრულყოფა შემდგომ გარკვეული ეტაპის მერე დაცვითი ილეთების შესწავლა და დამუშავება. ეს ხდებოდა იმის შემდეგ, როდესაც მოსწავლეების მიერ იყო შესრულებული კონკრეტული ტექნიკური მოქმედება - თანაბარი წონის, ასაკის და ფიზიკური მონაცემების მონინალმდეგესთან ვარჯიშზე - სასწავლო, სასწავლო-საწვრთნო და საწვრთნო შეხვედრებში კარგი და დამარწმუნებელი ხარისხით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ილეთების, კონტრილეთების და დაცვის ილეთების შესახებ მარტო ცოდნა კი არ არის საკმარისი, უნდა იყოს დაცული ამ ყველა მოქმედების შესწავლისათვის რაციონალური მოცულობა, თანამიმდევრობა და სწავლების ეტაპები. ამით ჩვენ მეტად გავხსნით მოსწავლეთა შესაძლებლობებს და გავამრავალფეროვნებთ მოჭიდავეთა არსენალს.

რაც მთავარია, არ არის აუცილებელი დამწყებმა სპორტსმენებმა ვარჯიშის მოკლე პერიოდის შემდეგ მოაწილონ მიიღონ შეჯიბრზე. აქაც კი, რა თქმა უნდა, უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები. ჩვენი აზრით, პირველ შეჯიბრში სასურველია მონაწილეობის მიღება წვრთნის რვა თვის შემდეგ. ამ პერიოდისათვის მოჭიდავეები კარგი სწავლებისა და ვარჯიშის შედეგად იქნებიან სათანადო დონეზე მომზადებულნი, როგორც ტექნიკურად, ასევე ფიზიკურად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Алиханов И.И. Техника и тактика вольной борьбы. М., ФиС, 1986.
2. Медведь А.В, Кочурко Е.И. Совершенствование подготовки мастеров спортивной борьбы. Минск, «Полымя», 1985.
3. Миндиашвили Д.Г., Дашинобоев В.Д., Колесник Л.Ф., Гупалов В.К., Нелюбин В.В. Методические рекомендации в помощь студентам. Контратакующие действия в вольной борьбе, Красноярск, 1985.
4. Нелюбин В.В. Методика фазного обучения контрприёмам. Ленинград, 1980.
5. Ленц А.Н. Спортивная борьба. М., ФиС, 1964.

გიორგი მძინარაშვილი

კონტრილეთების სწავლების სპეციფიკა თავისუფალ ჭიდაობაში

რეზიუმე

თავისუფალი ჭიდაობა, რომელიც მოიცავს ტექნიკურ-ტაქტიკური მოქმედებების დიდი არსენალი შედგება აგრეთვე კონტრილეთებისაგან და დაცვით ილეთებისაგან.

სწავლების პროცესში ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ კონტრილეთებს, ვიდრე დაცვით ილეთებს. მაგრამ ვთვლით საჭიროდ კონტრილეთების სწავლება დავინყოთ მაშინ, როდესაც თვითონ ტექნიკური ტექნიკური ილეთები იქნება შესწავლილი სათანადო დონეზე. კონტრილეთები და თვითონ ჭიდაობა კონტრშეტევზე უფრო ეფექტურია, ვიდრე დაცვითი სტილით ჭიდაობა.

მიუხედავად ამისა, ჩვენს მიერ შესწავლილი ილეთების თანამიმდევრობისა და მოცულობიდან გამომდინარე, კონტრილეთების სწავლება, რომლებიც არის დაკავშირებული იმის მერე, როდესაც მონინააღმდეგე ასრულებს ერთი ან ორი ფეხის მოვლებას შესაძლებელია სწავლების დასაწყისშივე.

ГЕОРГИЙ МДЗИНАРАШВИЛИ

СПЕЦИФИКА ИЗУЧЕНИЯ КОНТРПРИЁМОВ В ВОЛЬНОЙ БОРЬБЕ

Резюме

Вольная борьба, которая насчитывает большое количество технико-тактических действий, включает также в свой арсенал контртехнические действия и приёмы защиты.

В процессе обучения мы отдаём предпочтение изучению контрприёмов, чем приёмам защиты, и считаем нужным начинать изучение контрприёмов тогда, когда само техническое действие будет изучено на хорошем техническом уровне, контрприёмы и сама борьба на контратаки более эффективна, чем борьба в стиле защиты.

Исходя из предлагаемого нами объёма и последовательности для изучения технико-тактических действий, изучение контрприёмов, связанных с приёмами, которые выполняются после захвата соперника одной или двумя ногами, по нашему мнению, можно начать на первом же этапе процесса обучения.

THE SPECIFICS OF TEACHING CONTRA SKILLS IN FREE WRESTLING

Abstract

Free wrestling which has a large variety of technical-tactical activities contains contra skills and defending skills. In the teaching process we give more preference to contra skills than to defending skills. But we consider that it is important to start teaching contra skills when the technical skills are properly gained. Contra skills and contra attack itself is more efficient than wrestling with defending style. However, the experience shows that teaching contra skills may be implemented from the beginning when the competitors use the methods of grasps with one or two legs.



საბანთა სწავლების მეთოდოლოგია

წუგზარ აბაკელია

**გეომეტრიული ფიგურების გაცნობის თავისებურება
დაწყებით საფეხურზე**

საზოგადოდ, როდესაც ვინცერთ გეომეტრიული ფიგურების გაცნობას, ჩვენ, აპრიორი, თავიდან ვაცნობთ ისეთ ფიგურებს, როგორცაა სამკუთხედი, ოთხკუთხედი და წრე. სამწუხაროდ ვერსად ვნახე, რატომ ვაძლევთ უპირატესობს ამ ფიგურებს და, რატომ არაფერს ვამბობთ მათ წარმომავლობაზე. უბრალოდ ვაჩვენებთ ბავშვებს სხვადასხვა ბრტყელ ზედაპირზე (იატაკი, ფურცელი და სხვ) მათ გამოსახულებებს და ვარქმევთ სათანადო სახელწოდებებს: წრეს, სამკუთხედს ან ოთხკუთხედს. ზოგიერთი ხმარობს აგრეთვე მართკუთხედს და/ან კვადრატს. ესეც გაურკვეველია, რატომ ვაცნობთ ესეთ რთულ ფიგურებს? ამ ფიგურების სახელწოდებებს ვხმარობთ, როგორც ნებისმიერ საკუთარ სახელს. უკეთეს შემთხვევაში ხდება მათ დამახასიათებელ ნიშნებზე აპელილებაც. მაგალითად, წრეს ვახასიათებთ მრგვალობით, სამკუთხედსა და ოთხკუთხედს, კი კუთხოვნობით. ზოგჯერ მიუთითებენ გვერდებისა და კუთხეების არსებობაზეც (?!). საზოგადოდ, ბრტყელ გეომეტრიულ ფიგურებს ბავშვები ინტენსიურად იყენებენ თავიანთ პრაქტიკულ ქცევაში. მაგალითად: კლასობანას თამაშის დროს აგებენ რამოდენიმე ოთხკუთხედისაგან შემდგარ ნახაზს, წრეს იყენებენ ლახტისა და სხვა თამაშებისათვის; ორნამენტების ხატვაში ბავშვები მრავლად იყენებენ წრეებს, ოთხკუთხედებს, სამკუთხედებს და ა.შ.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ პატარებთან ბრტყელ გეომეტრიულ ფიგურებზე, ზოგჯერ ვაჩვენებთ, მაგალითად მუყაოსგან მრგვალად გამოჭრილ ან კუთხოვან ხის (შესაძლოა სხვა მასალის) ფიგურებს და ვარქმევთ მათ წრეს, სამკუთხედს და/ან ოთხკუთხედს. რაც ვფიქრობ არაა მართებული, რადგან თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი სისქე და ამდენად იგი რეალურად ვერ იქნება ბრტყელი ფიგურა. აქ უმჯობესია ვიხმაროთ შემდეგი დეფინიცია - ისინი არიან: წრის ფორმის მუყაოს ნაჭერი, ოთხკუთხედის ფორმის ძელაკი, სამკუთხედის ფორმის ფირფიტა და ა.შ.

ამასთან ერთად თითოეული დასახელებული ბრტყელი გეომეტრიული ფიგურა საკმაოდ მაღალი დონის აბსტრაქციას წარმოადგენს. თუ გავიხსენებთ, წრეს, თავისი განმარტებით, იგი არის სიბრტყის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია წრენივით. ხოლო, რაც შეეხება ოთხკუთხედსა და სამკუთხედს ისინი წარმოადგენენ სიბრტყის ნაწილებს, რომლებიც შესაბამისად შემოსაზღვრულნი არიან ჩაკეტილი ოთხგვერდიანი და სამგვერდიანი ტეხილებით. რასაკვირველია ამის შესახებ ბავშვს არავითარ ინფორმაციას არ ვანვდით.

როგორც ცნობილია, ბუნებაში არ არსებობს არც სამკუთხედი, არც წრე და არც ოთხკუთხედი — ისინი არსებობენ ჩვენს წარმოსახვაში. ჩვენ შეიძლება ვისაუბროთ მრგვალად

მოჭრილ ფურცელზე, რომელსაც აქვს წრის ფორმა, მაგიდის ზედაპირზე, რომელსაც აქვს ოთხკუთხედის, კვადრატის, სამკუთხედის ფორმა და არა წრეზე, ოთხკუთხედზე, კვადრატსა თუ სამკუთხედზე. სამაგიეროდ ბუნებაში მრავლად არიან მოცულობითი გეომეტრიული ფორმების ანალოგები, ისეთების, როგორიცაა ბირთვი (ბურთი, საზამთრო, დედანინა და ა.შ.), ცილინდრი (ხის ღერო, მილი და ა.შ.), კონუსი (გუმბათი, ძაბრი და ა.შ.), კუბი (ყუთი, აგური და ა.შ.) და პირამიდა (სახურავი, პირამიდები და ა.შ.). ამასთან ერთად ისინი მრავლად არიან ე.წ. “საშენ მასალაშიც“, რომლებსაც ასე ხალისიანად იყენებს თითოეული ბავშვი სხვადასხვა კონსტრუქციის ასაგებად. არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტი, რომ ახალშობილის ერთერთი პირველი სათამაშოები სწორედ მოცულობითი გეომეტრიული ფიგურებია, საუბარია ბურთსა (ბირთვსა) და კუბზე. მათი “კვლევის“ პროცესში პატარები აკეთებენ ერთერთ პირველ “ფუნდამენტურ“ დასკვნებს: ბურთი (ბირთვი) მრგვალია და გორავს, ხოლო კუბი კუთხოვანია - მას უჭირს გაგორება.

ვფიქრობ, და ამას პრაქტიკაც ადასტურებს, რომ უმჯობესია, თავიდან გავაცნოთ სწორედ ხსენებული მოცულობითი გეომეტრიული ფორმები. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას ღირსია გეომეტრიული ფორმების გაცნობის პროცედურა. სკოლამდელ ასაკში ვაცნობთ ისეთ სივრცით ფიგურებს, როგორიცაა კუბი, ბირთვი და უფრო მოგვიანებით ცილინდრი, კონუსი და პირამიდა. თავიდან მათ ვანვლით როგორც სათვლელი ან საშენი მასალის ობიექტებად. პარალელურად აღსაზრდელების ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ ზოგი მათგანი არის კუთხოვანი (კუბი, პირამიდა), ხოლო ზოგიც მომრგვალებულია (ბირთვი, კონუსი, ცილინდრი). შემდეგ, მათი კვლევის შედეგად, “აღმოჩნდება“, რომ ზოგს უჭირს გაგორება, ხოლო ზოგიერთი — გორავს, თან საკმაოდ კარგადაც. ყველაზე კარგად გორავს ბირთვი, ცილინდრი უკეთ გორავს ვიდრე კონუსი, მაგრამ ნაკლებად, ვიდრე ბირთვი. სხვადასხვა კითხვების დახმარებით და გეომეტრიულ ფიგურებზე შესაბამისი მანიპულირებით “აღმოვაჩინეთ“ აგრეთვე სხვა თავისებურებებს — ყველაზე მყარია კუბი; ყველაზე მერყევია ბირთვი; ბირთვს აქვს ბურთის, საზამთროს და სხვათა ფორმა; ცილინდრი მოგვავაგონებს საკვამურს; კონუსი — ბოთლს; კუბი მოგვავაგონებს აგურს, ყუთს; პირამიდა ჰგავს სახურავს და ა.შ.

საწყისი ეტაპიდან დანყებული განსაკუთრებული აქცენტები კეთდება სწორი ზეპირმეტყველების ფორმირების ჩამოყალიბებაზე. ამ კუთხით, სამწუხაროდ, “განსაკუთრებით“ დაჩაგრულია კუბი - მას ბოლო ხანებში უწოდებენ “კუბურას“. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ფიგურა არ არსებობს, მის დამკვიდრებასაც კი ცდილობენ. საკმაოდ არის გავრცელებული აგრეთვე “კობიკი“ - მცირე ზომის კუბის რუსული კალკიაა.

ვაცნობთ რა კუბსა და ბირთვს, ვახსიათებთ მათ მრგვალობითა და კუთხოვნობით, პრაქტიკული მანიპულირებით ბავშვები “აღმოაჩინენ“ რამდენად უჭირთ თუ კარგად გადაგორდება თითოეული მათგანი; პარალელურად ვაცნობთ აგრეთვე წრესა და კვადრატს, როგორც ბრტყელ გეომეტრიულ ფიგურებს. დასაწყისში მათი აგება შესაძლებელია ერთის მხრივ იატაკზე, ეზოში თუ სხვა ბრტყელ ზედაპირზე დახატვით და/ან ნებოვანი ზოლის დაკვრით. ბავშვებთან კომუნიკაციის დამყარებისას, ვითომ სხვათაშორის, ვხმარობთ ხსენებულ სახელწოდებებს (ტერმინებს). რაც შეეხება ამ ფიგურების მოზრდილ კონტურებს, მათ ვიყენებთ აგრეთვე, როგორც სათამაშო მოედნებად. მაგ.: ბავშვების დახმარებით ვაგებთ, რა წრეს (შემოვხაზავთ ცარცით) ან კვადრატს (დავაკრავთ ფერად ზოლებს) და შემდგომ ვთავაზობთ მათ განთავსდნენ კონტურების შიგნით და/ან მათ გარეთ, როგორც მოითხოვს ამას თამაშის წესი (ყველა ბავშვე ჩადგეს წრეში. ერთი ბიჭი დადგეს წრის გარეთ. ახლა სადაა ბევრი ბავშვი - წრეში თუ მის გარეთ?; ყველა გოგონა დადგეს წრის გარეთ. რამდენი გოგონაა წრეში და ა.შ.);

მსგავსად მოცულობითი ფიგურებისა, აქაც ვამახვილებთ მათ ყურადღებას მხოლოდ სახელწოდებებზე. უბრალოდ სათანადო პრაქტიკული ქცევების განხორციელების დროს (ფიგურების შესაბამისი დახაზვით და/ან ფერადი ნებოვანი ზოლის დაკვრით) ბავშვები ისმენენ რა ამ ახალ ტერმინებს, იმასსოვრებენ და საჭიროების შემთხვევაში იყენებენ მათ ადეკვატურად საუბარში.

თუ გავიხსენებთ, თითოეული ჩვენგანი პატარობისას როგორ ინტენსიურად თამაშობდა სილაში და აკეთებდა სხვადასხვა ფიგურების ანაბეჭდებსაც. აღნიშნული პროცედურების შესრულება ჩვენ შეგვიძლია შევთავაზოთ ბავშვებსაც. განიერ პირიან ლამბაქში ჩავასხათ გათხელებული გუაშის საღებავი ან მელანი. შემდეგ ბავშვები დაასველებენ ცილინდრის, კონუსის, კუბის ფუძეებისა და პირამიდის წახნაგებს. მელნით ან საღებავით წაცხებულ ფიგურები

მუყაოზე დატოვებენ შესაბამის კვალს. მაგალითად: ცილინდრისა და კონუსის ფუძე ტოვებს წრის, კუბის ფუძე — კვადრატის, პირამიდის წახნაგი კი — სამკუთხედის კვალს.

ამასთან ერთად, ხელის მტეხვის ფალანგების ნატიფი კუნთების გასაფარჯიმებლად ბავშვებს სთავაზობენ სხვადასხვა პლასტიკური მასალებისაგან გამოძერწონ სხვადასხვა ფიგურები. ჩვენ შევთავაზეთ იგივე მანიპულაციები განახორციელონ ჩვეულებრივი ცომისაგან - კერძოდ მათ შუძლიათ გამოძერწონ მოცულობითი (მაგალითად ბურთვი ან ცილინდრი) ფიგურები და, მათ შორის, ლავაშიც. ამ უკანასკნელზე ბავშვებს შეიძლება შევთავაზოთ გააკეთონ მეღვინით ან საღებავით ნაცხებული ფიგურების ფუძეებისა თუ წახნაგების ანაბეჭდები. როდესაც ბავშვები დახელოვნდებიან ცალკეული ბრტყელი ფიგურების ანაბეჭდების გაკეთებაში, იწყებენ შედარებით რთული კონფიგურაციის გამოსახულების მიღებასაც.

ჩვენი მიზანი არაა რამენაირად გავართულოდ პატარებისათვის ინფორმაციის მიწოდება. როგორც ვხედავთ საქმე ეხება ასათვისებელი მასალის საინტერესო ფორმით მიწოდებას. ამასთან ერთად მოცულობითი ფიგურების გაცნობა შემოიფარგლება მათ მრგვალობაზე, კუთხოვნობასა და გაგორადობის ხარისხზე საუბრით. ბავშვები ამ ფიგურებს ისედაც კარგად იცნობენ როდესაც უხდებათ საშენი მასალის გამოყენება კონსტრუქციების ასაგებად ანალოგიურად ვიქცევით ბრტყელი გეომეტრიული ფიგურების გაცნობისაც - სწორი მეტყველების ჩამოყალიბებასთან ერთად მათ ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ ზოგი მათგანი არის მრგვალი (წრე), ხოლო ზოგიც კუთხოვანია (სამკუთხედი, ოთხკუთხედი).

წუგზარ აბაკელია

გეომეტრიული ფიგურების გაცნობის თავისებურება დაწყებით საფეხურზე

რეზიუმე

ცნობილია, რომ სკოლამდელ ასაკში გეომეტრიული ფიგურების გაცნობისას, დასაწყისში ბავშვებს უბრალოდ ვაჩვენებთ სხვადასხვა ბრტყელ ზედაპირზე (იატაკი, ფურცელი და სხვ) მათ გამოსახულებებს და ვარქმევთ სათანადო სახელწოდებებს - ოთხკუთხედს (ვხმარობთ აგრეთვე მართკუთხედს და/ან კვადრატს), წრეს და/ან სამკუთხედს. ზოგჯერ ვაჩვენებთ, მაგალითად მუყაოსგან მრგვალად გამოჭრილ ან კუთხოვან ხის (შესაძლოა სხვა მასალის) ფიგურებს და ვარქმევთ მათ წრეს, სამკუთხედს და/ან ოთხკუთხედს. რაც ვფიქრობ არაა მართებული. უმჯობესია ვიხმაროთ შემდეგი დეფინიცია - წრის ფორმის მუყაოს ნაჭერი, ოთხკუთხედის ფორმის ძელაკი, სამკუთხედის ფორმის ფირფიტა.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ უმჯობესია თავიდან გავაცნოთ მოცულობითი გეომეტრიული ფიგურები კუბი, ბირთვი, ცილინდრი, კონუსი და პირამიდა. აღსაზრდელების ყურადღებას ვამახვილებთ სახელწოდებებზე, კუთხოვნობაზე, მრგვალობასა და გაგორებადობის ხარისხზე. მათზე მანიპულირებით "აღმოვაჩენთ", რომ ყველაზე მყარია კუბი; ყველაზე მერყევია ბირთვი; და სხვ. რაც შეეხება ბრტყელ ფიგურებს, მათი გაცნობა და მიღება უფრო მარტივია თუ გავიხსენებთ, რომ ისინი მოცულობითი ფიგურების წახნაგებისა და ფუძეების ასლებია (კვალია). ჩვენ მეთოდით ბავშვებს ვთავაზობთ გააკეთონ ცილინდრის, კონუსის, კუბის ფუძეებისა და/ან პირამიდის წახნაგის ანაბეჭდები: მეღვინით ან საღებავით ნაცხებული მოცულობითი ფიგურები მუყაოზე ტოვებენ შესაბამის კვალს. მეორე ვერსიით სამკუთხედის, წრისა და ოთხკუთხედის ამოტვიფვრა შეიძლება გაბრტყელებულ ცომზეც.

НУГЗАР АБАКЕЛИЯ

ОСОБЕННОСТИ ОЗНАКОМЛЕНИЯ С ГЕОМЕТРИЧЕСКИМИ ФИГУРАМИ НА НАЧАЛЬНОЙ СТУПЕНИ ОБУЧЕНИЯ

Резюме

Как известно, при ознакомлении дошкольников с геометрическими фигурами, вначале детям показываем их изображения на разных плоскостях (пол, лист бумаги и др.) и даем соответствующее название – четырехугольник (используем также квадрат или прямоугольник), круг или же треугольник. Иногда показываем, например, изготовленные фигуры из картона, дерева или

другого материала и называем их кругом, треугольником или четырехугольником. Думаю, что это неоправданно. Будет лучше, если используем такую дефиницию – кусок картона круглой формы, брусок четырехугольной формы, пластина треугольной формы.

Практика подтверждает, что лучше вначале ознакомить детей с объемными фигурами: кубом, сферой, пирамидой, цилиндром и конусом. Внимание дошкольников фокусируем на названии, угловатости, округлости и способности катания. Манипулируя ими, дети делают открытия, что самый устойчивый – это куб, самая неуравновешанная – сфера и т.д. Что касается плоских гометрических форм, их получение и ознакомление не составляет труда, если вспомним, что они являются копиями (следами) сторон и оснавания объемных фигур. По нашей методике детям предлагаем сделать оттиски основания куба, цилиндра, конуса, а также сторон пирамиды – намоченные в краске объемные фигуры оставляют соответствующий след на бумаге. По другой версии, оттиски круга, треугольника и четырехугольника можно получить также на пракатанном тесте.

NUGZAR ABAKELIA

PECULIARITY OF GEOMETRIC SHAPES AT PRIMARY LEVEL OF LEARNING

Abstract

By and large pupils at pre-school age while being introduced to geometric figures, initially are shown a flat surface (a floor, a piece of sheet, etc.) and are told the names of the images - a square (a rectangle or a quadrate), circle and / or triangle. Sometimes we show pupils, for example round figures cut out from cardboard or angular wooden figures (or of some other material), and we call them a circle, triangle or rectangle which I do not think is appropriate. It is better to use the definition such as a piece of cardboard in the shape of a circle, rectangle-shaped bar, triangle-shaped plate. Practice shows that it is better to introduce volume geometric figures such as a cube, kernel, cylinder, cone and pyramid at the beginning of teaching. We draw children's attention to the names, roundness and roll quality. By manipulating them we found out that the most solid is a cube, the shakiest is a kernel and so forth. As for the flat figures, getting acquainted with them is simpler if we remember that they are a copy of facets and bases of the volume figures. Our method offers children to make prints of a cylinder, cone, and cube base and/or pyramid facet with ink or paint. Colored capacitive figures leave the appropriate track on the cardboard. Cutting out a piece of dough is the other way of making the geometrical figures as well.



მამული გუჟუნვილი

მუშაოვის აქტიური ფორმები მათემატიკის გაკვეთილებზე

თანამედროვე სწავლებაში ცოდნის და უნარ—ჩვევების ფორმირების პროცესში, რომელსაც მოსწავლეები ღებულობენ საშუალო სკოლაში, განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის მათემატიკას. ძველი ბერძნები ცნობდნენ მატემატიკის ოთხ დარგს: სწავლება რიცხვების შესახებ (არიტმეტიკა), მუსიკის თეორია (ჰარმონია), სწავლება ფიგურებისა და მათი სწავლების შესახებ (გეომეტრია) და ასტრონომია, ასტროლოგია. ყველა ეს მიმართულება დღეს მეტად განზოგადოებული, განსაკუთრებით უწყობს ხელს მოსწავლეთა ჰარმონიულ განვითარებას, რაც შეიძლება მასწავლებელს დაეხმაროს მთავარი ამოცანის გადაჭრაში, რომელსაც წარმოადგენს: მივცეთ მოსწავლეებს არამარტო ცოდნის გარკვეული რაოდენობა, არამედ ვასწავლოთ მათ თუ როგორ უნდა ისწავლონ.

ცნობილა, რომ გაკვეთილი არის სასწავლო—აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზების ძირითადი ფორმა და სწავლების საერთო ხარისხი შეიძლება ჩავთვალოთ როგორც გაკვეთილის

ხარისხი. ხარისხიანი გაკვეთილის ჩასატარებლად აუცილებელია, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების, ასევე უახლესი მეთოდისა და მეთოდოლოგიების დანერგვა სწავლების პროცესში.

კარგად გააზრებული სწავლების მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს, საპროგრამო და პროგრამის გარეთ არსებული მასალის შეთვისებას და ეხმარება მოსწავლეებს: შემეცნებით ძიებაში, აჩვენენ აქტიურად და დამოუკიდებლად მოიპოვონ ცოდნა, ალაგზნებენ მათ აზროვნებას და ავითარებენ ინტერესს.

მათემატიკის კურსში მოგვეპოვება ბევრი სხვადასხვა ფორმულა და დებულება, რომელთა ცოდნა აუცილებელია ზეპირად. იმისათვის რომ მოსწავლეებს შეეძლოთ მათი თავისუფალი ოპერირება ამოცანების და სავარჯიშოების ამოხსნის დროს, მათ ზეპირად უნდა იცოდნენ მათგან ყველაზე გავრცელებული და პრაქტიკაში ხშირად შემხვედრი ასეთი ფორმულები. ფორმულები და დებულებები უკეთესად დასამახსოვრებელი და ამსთანავე ადვილად გასაკონტროლებელი გახდეს, გაკვეთილებზე შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა დიდაქტიკური თამაშები. ჩგანვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

მათემატიკური დომინო — შედგება 12—30 ბარათისაგან. ყოველი ბარათი გაყოფილია ხაზით ორ ნაწილად — ერთ ნაწილზე წერია დავალება, მეორეზე — სხვა დავალების პასუხი.

უკუკავშირის ბარათები — შედგება გამჭვირვალე ფირისაგან დამზადებული ხუთი—ექვსი პლანშეტისაგან, რომლებიც შეკრულია ერთ „ნიგნად“, რაშიც იდება პასუხიანი ბარათები. ყველა მოსწავლეს აქვს ასეთი ბარათები. კითხვები დაისმება ზეპირად, მოსწავლეები ნახულობენ სწორ პასუხს და აჩვენებენ მას. ამრიგად, მასწავლებელი ხედავს, ვინ იცის მასალა.

გატაცებით სწავლის დროს გაკვეთილის ეფექტურობა საგრძნობლად იზრდება. ამ შემთხვევაში მოსწავლეები ხალისით ასრულებენ მათთვის შეთავაზებულ დავალებებს, ხდებიან მასწავლებლის დამხმარეები გაკვეთილის ჩატარებაში. უმჯობესია, თუ კი გაკვეთილი ტარდება ძირითადად ევრისტიული და საძიებო საუბრის მეთოდით. ეს ნიშნავს, რომ პირადად მასწავლებლის მხრიდან არ ხდება არც ახალი მასალის ახსნა და არც მოსწავლეების გამოკითხვა — ყველაფერი ეს კეთდება მოსწავლეებთან ერთად. მიმანიშნებელი კითხვები აიძულებს მათ ჩანვდნენ არსს, ამასთანავე დგინდება, რომელი მათგანი და რამდენად სიღრმისეულად არის მზად ახალი გაკვეთილისთვის.

გაკვეთილზე საგრძნობლად ამაღლებენ მოსწავლეთა შემეცნებით ინტერესს დიდაქტიკური თამაშები. როგორც შემეცნებითი თამაშის ერთ—ერთი სახეობა წარმატებით გამოიყენება სასწავლო კროსვორდები. მასწავლებლის ამოცანაა არა შეუსაბამოს სწავლება მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, არამედ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ყველას გონებრივ განვითარებას. ახალი მასალის განსამტკიცებლად წარმატებით გამოიყენება თამაში „კი“ — „არა“. კითხვას დასვამენ მხოლოდ ერთხელ, კითხვა არ მეორდება, კითხვის დასმის დროს აუცილებელია ჩაინეროს პასუხი „კი“ ან „არა“. აქ მთავარია სწავლაში ჩართონ ყველაზე პასიური მოსწავლეებიც. მნიშვნელოვანია ბავშვების დაინტერესება, მათ უნდა აიძულო იფიქრონ. მოსწავლეებს შეუძლიათ გამოხატონ საკუთარი აზრი, დაასაბუთონ დასკვნები, მაგრამ, თუ ისინი მცდარია, აუცილებელია მათი შესწორება.

გაკვეთილების ჩატარებაში ხშირად ჩართულია ტექნიკური კარნახები, „გონებრივი იერიში“, „იდების აუქციონი“, წყვილი გაკვეთილები, პრეს—კონფერენციები, გაკვეთილი—კონკურსი, ვიქტორინები, მხიარულთა და საზრიანთა კლუბი, საქმიანი თამაშები, ოლიმპიადები. შეუძლებელია არატრადიციული სწავლების ყველა ფორმის და მეთოდის განხილვა, ამიტომაც განვიხილოთ მხოლოდ რამოდენიმე მათგანი.

1. წყვილი გაკვეთილი.

ასეთ გაკვეთილს ხშირად უწოდებენ ინტეგრირებულს. წყვილი გაკვეთილის მთავარი უპირატესობა არის შესაძლებლობა მოსწავლეებს შეექმნას ცოდნის სისტემა, დახმარება წარმოიდგინონ საგანთა ურთიერთკავშირი. წყვილი გაკვეთილები მოითხოვენ ყველა მოსწავლის აქტიურობას, ამიტომაც კლასი უნდა იყოს მომზადებული მათ ჩასატარებლად: უნდა იყოს შეთავაზებული ლიტერატურა გაკვეთილის თემის ირგვლივ, მიეცეთ დარიგებები განაზოგადონ პრაქტიკული გამოცდილება, დააკვირდენ კონკრეტულ მოვლენას. წყვილი გაკვეთილები ეხმარება პედაგოგიური კოლექტივის გაერთიანებას, ერთიანი მოქმედებების და მოთხოვნების

შემუშავებას. წარმატებულად ერწყმება წყვილ გაკვეთილებს თეორიული და პრაქტიკული სწავლება.

2. საუბარი, თამაში, შემოქმედება”, — გაკვეთილი.

გაკვეთილი შეიცავს სამ ელემენტს: საუბარს, თამაშს, შემოქმედებას. “სშთ”—გაკვეთილის უპირატესობა მის ცნობისმოყვარეობაშია. მოსწავლეები ვერ ასწრებენ დალლას, მათი ყურადღება სულ ხელშეწყობილია და ვითარდება. ასეთ გაკვეთილს თავისი ემოციონალური დატვირთვით, შეჯიბრების ელემენტებით გააჩნია ღრმა აღმზრდელობითი ეფექტი. ბავშვები პრაქტიკაზე ხედავენ იმ შესაძლებლობებს, რასაც წარმოადგენს შემოქმედებითი კოლექტიური მუშაობა.

3. გაკვეთილი—აუქციონი.

„აუქციონის“ დაწყებამდე ექსპერტები განსაზღვრავენ იდეების „გასაყიდ ღირებულებას“. შემდეგ იდეები „იყიდება“, გამარჯვებულად ითვლება ის, ვინც მიიღო მეტი ფასი. იდეები გადადის დამმუშავებლებთან, რომლებიც ასაბუთებენ საკუთარ ვარიანტებს. აუქციონი შეიძლება ჩატარდეს ორ ტურად. მეორე ტურში გასული იდეები შესაძლოა გამოყენებული იქნეს პრაქტიკულ ამოცანებში.

4. „გონებრივი შეტევა“.

გაკვეთილს აქვს მსგავსება „აუქციონთან“. ჯგუფი იყოფა „გენერატორებზე“ და „ექსპერტებზე“. გენერატორებს სთავაზობენ სიტუაციას (შემოქმედებითი ხასიათის). განსაზღვრულ დროში მოსწავლეები გამოთქვამენ მოცემული ამოცანის გადანწყვის სხვადასხვა ვარიანტებს, რომლებსაც აფიქსირებენ დაფაზე. მოცემული დროის დასრულების შემდეგ „ბრძოლაში“ ერთგვებიან ექსპერტები. დისკუსიის მსვლელობის დროს მიიღება საუკეთესო წინადადებები და გუნდები ცვლიან როლებს. მოსწავლეებისათვის გაკვეთილზე დისკუსიის, იდეების გაცვლის მიცემული შესაძლებლობა არა მხოლოდ ავითარებს მათ შემოქმედებით აზროვნებას და ამალვებს მასწავლებლისადმი ნდობას, არამედ „კომფორტულს“ ხდის მათ სწავლას.

5. გაკვეთილი —საქმიანი თამაშები.

ასეთი გაკვეთილის ჩატარება მოსახერხებელია თემის გამეორების ან განზოგადების დროს. კლასი იყოფა ორ—სამ ჯგუფად. ყოველი ჯგუფი იღებს დავალებას და შემდეგ მოუთხრობს მის გადანწყვლას. ხდება ამოცანების გაცვლა.

ასევე შეიძლება განვიხილოთ: **გაკვეთილი — ექსკურსია. „ჭკვიანთა და საზრიანთა კლუბის“ ტიპის, გაკვეთილი „მრგვალ მაგიდასთან“, გაკვეთილი — სემინარი, გაკვეთილი— ჩათვლა.**

საინტერესოდ შეიძლება განვიხილოთ ინტეგრირებული გაკვეთილები.

ასეთი ტიპის გაკვეთილებს ერთად ატარებს 2—3 მასწავლებელი. მაგალითად: ა)მათემატიკის, ფიზიკის და ინფორმატიკის; ბ) მათემატიკის, ხაზვის ადგენენ ამოცანის ამოხსნის ალგორითმებს მათემატიკის, ფიზიკის ცოდნის გამოყენებით და ა.შ.

მოსწავლეებისათვის ძალიან საინტერესო ხდება ლექცია გაკვეთილი.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ლექციის ტემპი უნდა იყოს მოსწავლეებისათვის მისაღები, ლექციების გამეორება არ არის სასურველი. ამის თავიდან აცილება შეიძლება ძირითადი აზრის ვარიანტით. თვალსაჩინო საშუალებების დემონსტრირების დროს არ უნდა იყოს მონოლოგიური თხრობა, საუბარში უნდა ჩაერთონ მოსწავლეები. ლექცია ორიენტირებას უკეთებს მოსწავლეებს რთულ მასალაში, განავითარებს მათ გონებრივ აქტივობას, ასწავლის აზროვნებას. ლექცია ატარებს საძიებო ხასიათს, საკითხები იზიდავს მოსწავლეებს. მაგალითად, ლექცია თემაზე“დეკარტის კოორდინატები სივრცეში“.

1. დეკარტის კოორდინატების შეტანა — სიბრტყეზე
3. რ.დეკარტის ცხოვრება და მოღვაწეობა. (მოსწავლეები)
4. მანძილის ფორმულა ორ წერტილს შორის.
5. მონაკვეთის შუა წერტილის კოორდინატების ფორმულები.
6. ფიგურების გარდაქმნა სივრცეში.
7. დეკარტის კოორდინატების გამოყენება სხვა მეცნიერებებში.

შეიძლება გვექნეს გაკვეთილის ფორმა, სადაც გამოყენებული გვექნება მოსწავლეების

მიერ შექმნილი ჯგუფების კონტროლის მექანიზმი. ამ მეთოდის ეფექტურობა დიდი ხნის შემონმბებულია და აღიარებულია. მოსწავლეები ირჩევენ ჯგუფებად წარმატებულ მოსწავლეებს და თვითონაც ერთვებიან ამ ჯგუფებში. ჯგუფები ამონმბენ საშინაო დავალების შესრულებას, აფასებენ ნაშრომებს მათემატიკური კარნახის შემდეგ, ასწავლიან მათ, ვინც არ ესწრებოდა გაკვეთილს, ეხმარებიან ჩამორჩენილებს. ჯგუფებს შორის შჯიბრება ამალლებს მოსწავლეების ინტერესს და შემეცნებით აქტიურობას. ასევე შეიძლება განვიხილოთ “მათემატიკური ბრძოლა” ურთიერთკონტროლის გაკვეთილები და სხვა.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ: კარგად გააზრებული სასწავლო პროცესი, სწავლების უახლესი და თანამედროვე მეთოდების გამოყენება მოგვცემს შესაძლებლობას, მოსწავლეებში განვაფიქროთ სწორი მათემატიკური და ლოგიკური აზროვნება, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს ინტელექტუალური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი პიროვნების ჩამოყალიბებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯ. ჯინჯიხაძე. მათემატიკის დანყებითი კურსის სწავლების მეტოდიკა და ტექნოლოგია. ჩგამომცემლობა “უნივერსალი” თბილისი 2011 წ.
2. თ. სურგულაძე “სასკოლო მათემატიკის ზოგიერთი ტერმინის წარმოშობის ისტორია” აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალები 2013 წ.

მამული ბუჭუხიშვილი

მუშაოების აქტიური ფორმები მათემატიკის გაკვეთილებზე

რეზიუმე

თანამედროვე სწავლებაში დიდი როლი ენიჭება მათემატიკას, როგორც ლოგიკური აზროვნების განვითარების ერთერთ ძირითად დისციპლინას. კვარგად გააზრებული სწავლების მეთოდების გამოყენებით, შეიძლება მოსწავლეები დავაუფლოთ როგორც პროგრამულ, ასევე პროგრამის გარეთ არსებულ მასალას.

სტატიაში მოვიყვანეთ მაგალითები სწავლების სხვადასხვა ფორმებზე და გამოვიტანეთ დასკვნა, რომ ამ ფორმების გამოყენებით მივდივართ სასურველ შედეგამდე.

МАМУЛИ БУЧУХИШВИЛИ

АКТИВНЫЕ ФОРМЫ РАБОТЫ НА УРОКАХ МАТЕМАТИКИ

Резюме

В современном преподавании большая роль отводится математике, как одной из дисциплин развития логического мышления. Используя хорошо продуманные методы преподавания, можно помочь ученикам изучить как программный, так и внепрограммный материал.

В статье приводятся примеры различных форм преподавания и сделан вывод о том, что использование этих форм позволяет получить желаемый результат.

MAMULI BUCHUKHISHVILI

ACTIVE WORK FORMS AT MATHEMATICS LESSONS

Abstract

In modern teaching mathematics has a significant role to play, as one of the disciplines of developing logical thinking. By using well-designed teaching methods, it is possible to help pupils to learn both the curricular and extracurricular materials. The paper provides various teaching forms, and concludes that using these forms enable us to obtain desired outcomes.



თამარ გომოლაშვილი

პროფესიული განათლებისა და მომზადების ეფექტიანობისათვის ჰუმანური პედაგოგიკის ელემენტებით

პროფესიული განათლების სისტემაში კადრების მომზადების ეფექტიანობისათვის საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის და პერსპექტივებისათვის საჭიროა ახალი ამოცანების დაყენება. მითუმეტეს, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, დრომ მოითხოვს ცხოვრებისათვის აუცილებელი და პრაქტიკულად სასარგებლო პროფესიების დაუფლება-სახელობო ცოდნა. ცნობილია, რომ მოსწავლეთათვის ის წარმოადგენს სკოლის შემდგომი განათლების მიღების ალტერნატივას, ხოლო ზრდასრულებისათვის შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად ახალ სპეციალობაში გადამზადების საშუალებას. მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაცია გლობალური სოციალურ-პედაგოგიური პრობლემაა, პროფესიულ არჩევანზე დამოკიდებულია არა მარტო პირადი წარმატება, კეთილდღეობა, მორალური კმაყოფილება, არამედ მთელი საზოგადოების მომავალი.

საქართველოში დაწყებითი პროფესიული განათლება პრესტიჟულად თითქმის არასოდეს არ ითვლებოდა. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული იგი სისტემურ ცვლილებებს განიცდიდა. ამჟამად ფაქტობრივად მოშლილია პროფესიული განათლების სისტემა. არსებული პროფესიული სასწავლებლები (დანყებითი, საბაზო, საშუალო) ვერც თეორიულად და ვერც პრაქტიკულად აკმაყოფილებენ მოთხოვნებს. სასკოლო რეფორმით პრიორიტეტული ინგლისური ენა და კომპიუტერული ტექნოლოგიებია, რომელთა ცოდნაც მეტნაკლებად ყველა ჩვენგანისათვის თავისთავად კარგია, მაგრამ ქვეყნის აღმშენებლობისათვის სხვადასხვა რეგიონების შრომითი საქმიანობის სპეციფიკისათვის უფრო კარგი იქნება საფუძველი ჩაუყაროთ საჭირო პროფესიონალების აღზრდას. ჩვენი მოსწავლეები კომპიუტერს და ინგლისური ენის ცოდნას გამოიყენებენ თავიანთ მიერ არჩეულ სპეციალობებში ცოდნის განსამტკიცება - გაღრმავებაში, პროფესიის უკეთ დაუფლებაში.

დღეისათვის კვალიფიციური ხელოსნების დეფიციტია, რის გამოც სახელმწიფოს ხშირ შემთხვევაში ისინი უცხოეთიდან ჩამოჰყავს ავღაბრის ვეტიკალური ბალების, ხიდების და სხვათა დასაპროექტებლად თუ ასაშენებლად, ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეფორმამ მიზნად დაისახა თანამედროვე სამუშაო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი თაობების აღზრდა, რაც თავისთავად მასწავლებლების თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი პროფესიული განვითარებისა და ტექნოლოგიებით გამდიდრებული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას მოითხოვს.

საქართველოში პროფესიული განათლების სისტემის აქტიური რეფორმირება 2005 წლიდან დაიწყო. საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო რამდენიმე პრიორიტეტულ პროექტს ახორციელებს. ცნობილია, რომ “პროფესიული განათლების შესახებ” კანონი მხოლოდ ცალკეული პროფესიის დაუფლების საშუალებას იძლევა და მოსწავლეები აღარ ისწავლიან სასკოლო საგნებს. გამკაცრდება მოთხოვნები დიპლომის დაცვისას-სერტიფიკატი მთელი წლის დაულალავი შრომის შედეგად გაიცემა.

პროფესიული განათლებისა და მომზადების ეფექტიანობისათვის საუკეთესო წინაპირობად მიგვაჩნია (ბიზნესმენტა, მეცენატეთა) საქველმოქმედო საქმიანობანი. სულ რამდენიმე წელია რაც არსებობა შეწყვიტა მე-XX-ე საუკუნეში მოღვაწე ილია წინამძღვრიშვილის მიერ დაარსებულმა სასოფლო-სამეურნეო სკოლამ. კარგი იქნება XXI-ე საუკუნის საქართველოში მას მიმდევრები თუ გამოუჩნდებიან, მითუმეტეს ეხლა, როცა სახელმწიფოს გასაძლიერებლად სოფლის მეურნეობა ქვეყნის პრიორიტეტული დარგი გახდა.

ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ, პუბლიცისტმა, პედაგოგმა ი.წინამძღვრიშვილმა 1883 წლის 4 სექტემბერს საკუთარი ხარჯით, თავისივე მამულში, საზოგადოების დახმარებით გახსნა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა, რომელსაც გადასცა ”55 ჰა სახნავ-სათესი მიწა და ტყე. 20 ათასი ლიტრი ტევადობის ღვინის სარდაფი საწინახითა და ქვევრებით, შენობა კლასებისა და მუზეუმისათვის, სახლი მასწავლებელთათვის, მოსწავლეთა საერთო

საცხოვრებელი, ორი სასაბუღალტრო თავისი სამზარეულოთი და სარდაფით, პურის საცხობი და სახელოსნოები” (ქსე ტომი 11, გვ. 327).

ი.გოგებაშვილმა და ნ.ცხვედაძემ ი.წინამძღვრიშვილის მოწვევით შეადგინეს სკოლის წესდება, სასწავლო გეგმა და პროგრამები. სწავლება ქართულ ენაზე ექვს წლიანი იყო და აქ ყველას ლებულობდნენ განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა. სხვადასხვა დროს სკოლაში ასწავლიდნენ ს.კავსაძე, ნ.სულხანიშვილი, მ.ზაალიშვილი, ს.ხუნდაძე, ლ.ბოცვაძე და სხვ. სკოლაში სწავლობდნენ: მ.ჯავახიშვილი, ნ.ქუმისიაშვილი, მ.მამულაშვილი და სხვ. სკოლის გახსნაზე მისი ფუძე ილია ჭავჭავაძემ დალოცა, რომლის სიტყვაში ნაჩვენებია იყო მეცნიერული ცოდნის ძალა, პროფესიული და ზოგადი განათლების როლი საზოგადოების განვითარებაში.

პროფესიული განათლებისა და მომზადების ეფექტიანობისათვის სწავლა/სწავლების პროცესში ჰუმანური პედაგოგიკის კატეგორიების შესაბამის ცნებებსაც ვითვალისწინებთ. ცნობილია, რომ ჰუმანური პედაგოგიკა ეფუძნება სულიერი ერთიანობის, თანამშრომლობისა და თანაშემოქმედების იდეას, იგი მუდმივ დიალოგს ეწევა მოზარდებთან. ჩვენი მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ჰუმანური პედაგოგიკის ელემენტებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ჯგუფური მუშაობა. 4-5 ახალგაზრდისაგან შემდგარ ჯგუფში ხელმძღვანელს მოსწავლეები თვითონვე ამოირჩევენ. მათ მიეცემათ კომპლექსური საზიარო დავალება, ეს კი მიზნად ისახავს მოსწავლეების ჩართვას თანამშრომლობაში, დავალებების შესასრულებლად ჯგუფის ყველა წევრის გაერთიანებას ამა თუ იმ საკითხზე, ერთობლივ მსჯელობასა და შემოქმედებით მუშაობას.

ჯგუფების ფორმირების დროს შემდეგ კრიტერიუმებს გავითვალისწინებთ:

1. ჯგუფებს მიეცემათ ისეთი კომპლექსური ამოცანები და დავალებები, რომლებიც ურთიერთ თანამშრომლობას მოითხოვენ, პასუხისმგებლობას თვითიული ერთმანეთის წინაშე;

2. ჯგუფს თავიდან შედარებით იოლ ამოცანებს მივცემთ, რასაც თანდათან გავართულებთ. მაგ. დანერონ საერთო პროექტი რეგიონში ყველაზე პრაქტიკულად საჭირო (გავრცელებულ) ეროვნულ შრომით პროფესიებზე. თითოეული ჯგუფის წევრი პასუხისმგებელია ისტორიული წყაროს შესწავლაზე. შემდეგ ისინი ბოლოს ერთად დაამუშავებენ მოცემულ პროექტს ან თემას;

3. ჯგუფებს შორის მოხდება შეჯიბრი, რაც გამარჯვებულის რაიმე სახის ნახალისებით აღინიშნება. მაგ. სიტყვიერი შექებით, ქების სიგელით ან საჩუქრით და სხვა მექანიზმებით. ასეთი სახის მუშაობა ხელს უწყობს ახალგაზრდებში თანამშრომლობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სამუშაო იარაღებისა და მასალების დარიგება-შეგროვებასა და შრომის დისციპლინის დაცვას, რაც საშუალებას მისცემთ მათ სკოლის დამთავრების შემდეგ ადვილად შეეგუონ ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობას, სადაც ძირითადად ჯგუფური მუშაობის ფორმა გამოიყენება. ასეთი მუშაობის ორგანიზაციით ხელს შევუწყობთ ერთიანი ჯგუფური საქმიანობისადმი დადებითი განწყობის ფორმირებას და შრომითი უნარ-ჩვევების მქონე ახალგაზრდებს აღვზრდით. დადებით ზემოქმედებას მოვახდენთ მათ პროფესიულ ორიენტაციაზე.

სასურველია წელიწადში ორჯერ მოენწყოს ნამუშევართა გამოფენა, რაც მეტი სტიმულის მიმცემი იქნება ახალგაზრდებისათვის, რათა უფრო შემოქმედებითად დაეუფლონ იმ უნარ-ჩვევებს რასაც ისინი ცხოვრებაში პრაქტიკულად გამოიყენებენ.

ყოველი ახალი მასალის შესწავლისა და ახალი დავალების შესრულების წინ მოსწავლეებს განვუმარტავთ რატომია მისი შესწავლა მნიშვნელოვანი, რაში გამოვიყენებთ პრატიკულად შექნილ ცოდნას. შემდეგ საკითხის შესწავლის სირთულეებზე გავამახვილებთ ყურადღებას, სხვადასხვა სტრატეგიების შერჩევაში მოვიშველიებთ ახალგაზრდებს და ერთად შევარჩევთ მოდელს, რომლითაც შესაძლებელი იქნება ყველაზე უფრო კარგ შედეგს მივალნიოთ. დავგეგმავთ, როგორ უნდა წარვმართოთ სწავლის პროცესის თითოეული ეტაპი და ცალკეულ ეტაპზე მიღებულ ცოდნას ვალრმავებთ შესაბამისი პრაქტიკული სამუშაოთი. საჭიროების შემთხვევაში გამოვიყენებთ პედაგოგიკაში დანერგილ ყველა მეთოდს ან მოვახდენთ მეთოდთა შერწყმას, რათა თითოეული მეთოდის გამოყენებით ხელი შევუწყოთ თეორიული და პრაქტიკული მასალების ღრმა და საფუძვლიან შესწავლას, ეფექტურად ათვისებას და ახალგაზრდების დაინტერესებას მოცემული პროფესიების შესწავლით. აღუძრათ ინტერესი

რეგიონში გავრცელებულ წინაპართა ტრადიციულ შრომით პროფესიებზე და დავებმართო მის მიზნობრივად არჩევაში.

ყველა ხელთარსებული რესურსი უნდა გამოვიყენოთ, რათა მოსწავლეებს დაწყებითი კლასებიდან შევუქმნათ წარმოდგენები ყველა პროფესიაზე, თავიდანვე ჩავუნერგოთ, რომ ეს პროფესიები მომავალში მათი წარმატებისა და ბედნიერების საფუძველი იქნება, ხოლო შემდეგ კლასებში გავუფართოვოთ თვალსაწიერი და ავუმადლოთ ინტელექტუალური განვითარების დონე, დავებმართო პროფესიულ თვითგამორკვევაში და მოვახდინოთ ნაკლებად პრესტიჟული, მაგრამ ქვეყნისათვის მეტად საჭირო პროფესიების პოპულარიზაცია.

კარგ შედეგს მოგვცემს თვითივე სკოლაში პროფორიენტაციის კაბინეტის (კუთხის) ამოქმედება, სადაც გაერთიანებული იქნებიან პროფესიის შესაბამისი დისციპლინების პედაგოგები, რომელთა ნაყოფიერი მუშაობის სასარგებლო შედეგები ის იქნება, რომ მოსწავლეები სასურველ პროფესიაზე ყურადღებას გაამახვილებენ საბაზო კლასებიდან, ხოლო X კლასში უკვე შერჩეული ექნებათ სპეციალობა სახელობო განათლებაში, რაც საფუძვლად დაედება პროფესიულ ორიენტაციას.

სასურველია უწყვეტი და ინკლუზიური განათლების პრინციპების რეალური დანერგვა პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემაში. ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დანერგვებების დაფუძნება რაიონების ცენტრში რეგიონისათვის პრიორიტეტული ხელობების დავინწყებული ძირძველი შრომითი ტრადიციების აღსადგენად, ახალ ტრადიციებთან ერთად გავითვალისწინოთ ძველი სახეიმო ტრადიციები: პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა მუშად კურთხევა, პირველი ხელფასის სახეიმოდ გადაცემა და სხვ.

მოწყობის საბაზო და საშუალო სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვა (ტესტების შევსებით) მათი პროფესიული მიდრეკილებების დასადგენად, მიენოდოთ ამომწურავი ინფორმაცია პროფესიებზე და პროფესიული განათლების პერსპექტივებზე, გათვალისწინებულ იქნას როგორც სადღეისო, ისე სამომავლო მოთხოვნები - ამ მიზნობრივად შეიძლება რეგიონში ახალი პროფესიული სასწავლებლების ამოქმედება;

პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში პოზიტიურ როლს თამაშობენ ოჯახური შრომითი ტრადიციები. მათი ეფექტურობა ერთი-ორად იზრდება უფროსების მიერ მიცემული ბიძგით, რათა ახალგაზრდებს დაეხმარონ სიძნელეთა დაძლევაში. მოსწავლეებს წარმოდგენები ექმნებათ ჩვენი წინაპრების მიერ ათვისებულ ეროვნულ შრომით პროფესიებზე, რაც შეიძლება შემდეგში- თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით მათი კვალიფიციურ კადრებად მომზადების საფუძველიც კი გახდეს.

პროფესიულმა განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ადამიანური რესურსების მდგრად გაუმჯობესებას-სიღარიბის შემცირებას, ამჟამინდელი თუ სამომავლო მოთხოვნების დაკმაყოფილებით ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ განვითარებას. საჭიროა, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება ისეთ პერსპექტიულ პროფესიებზე, რომლებიც ნებისმიერ ბიზნესს მოერგება და მათ შრომის ბაზარზე საქმიანობის პრესტიჟულობის მიხედვით საკმაოდ მაღალი ანაზღაურებაც ექნებათ.

მიგვაჩნია რომ, საჯარო სკოლებში მოსწავლეთა მუშურ-გლესურ პროფესიებზე პოზიტიური დამოკიდებულების აღზრდისათვის, აუცილებლობას წარმოადგენს სასწავლო წლის ერთ სემესტრში მაინც, შრომითი სწავლების აღდგენა- პრაქტიკულ უნარ-ჩვევებთან ერთად, განსაკუთრებით კი სასოფლო-სამეურნეო შრომითი სწავლებისა სოფლად, მითუმეტეს სოფლის მეურნეობა ქვეყნისათვის პრიორიტეტულ დარგად ითვლება და მომავალ სპეციალისტებს საფუძველი სკოლიდანვე უნდა ჩავუყაროთ, ხოლო საყოფაცხოვრებო და ტექნიკური შრომებიდან საყოველღეობოდ აუცილებლად საჭირო, პრაქტიკული ცხოვრებისათვის მოსამზადებელი საკითხების შესწავლისათვის.

პროფესიული განათლებისა და მომზადების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ასევე მიგვაჩნია, რომ კვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით სასწავლო წლის მაძილზე 1-2 - ჯერ ჩატარდეს კონფერენცია, სადაც პროფესიული სასწავლებლების პედაგოგებს საშუალება ექნებათ ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება, როგორც წარმატებები ისე სირთულეები. ასევე მოხდეს სამეცნიერო ნაშრომების განხილვა ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით კადრების მომზადების მიმართულებების, სამეცნიერო კვლევის მასშტაბებში

კვლევის ეფექტურობის პირობებისა და სხვა სადღეისო აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ პროფესიული პედაგოგიკის შემდგომ განვითარებას.

პროფესიულ სასწავლებლებში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაა. იგი მთელი სასწავლო წლის მანძილზე უნდა ემსახურებოდეს პროფესიაში-კონკრეტული მიმართულებით ცოდნის შექმნასა და უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ამისათვის წელიწადში 1-2 ჯერ პროფესიული სასწავლებლის პედაგოგებისათვის უნდა ტარდებოდეს მოკლევადიანი პროფესიული ტრენინგები, სადაც პედაგოგებს შესაძლებლობა ექნებათ უახლესი ტექნოლოგიების გაცნობა-გამოყენების დასაუფლებლად, სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდების გასაცნობად, მოცემულ სპეციალობაში ახალი თანამედროვე პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესაძენად უსაფრთხოების ტექნიკის წესების მკაცრი დაცვით და ამასთან ერთად საშუალება ექნებათ პრობლემურ საკითხებზე რეკომენდაციების მიღებისათვისაც.

ამასთან მიგვაჩნია, რომ პროფესიული განათლებისა და მომზადების ეფექტიანობისათვის საჭიროა შემდეგი ხელშემწყობი პირობების შექმნა:

1. პროფესიული სწავლება სახელმწიფოში პრიორიტეტული უნდა იყოს ყოველთვის. ამის სურვილი პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან დაწყებული, პარლამენტის და სამინისტროების ჩათვლით ყველა უწყებას უნდა ჰქონდეს. იგი მთლიანად სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს, რადგანაც პროფესიულ სასწავლებლებში ძირითადად ნაკლებად შეძლებული ოჯახის შვილები მიდიან და რეალურად ვერ უზრუნველყოფენ სწავლის საფასურის გადახდას;

2. პროფესიულ სასწავლებლებში “კარიერული ჩიხი” არ უნდა არსებობდეს. ახალგაზრდებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროფესიის ათვისების პარალელურად საშუალო განათლების მიღება და სწავლა სხვა ტიპის სკოლებში ან ექსტერნად გამოცდების ჩაბარება, უმაღლეს სასწავლებელში მიღების დროს ისარგებლონ ე.წ. ლიმიტებით;

3. აუცილებელია პროფესიული სტანდარტებისა და არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გადახედვა, დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით პროფესიული სტანდარტების განახლება, პროფესიული სასწავლებლების სწავლების დონისა და პრესტიჟის გაზრდა, კარგი სასწავლო მატერიალური ბაზა-მართვის დახვეწილი სისტემით და კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით, რომელთა დაკომპლექტება სამუშაოზე სასურველია საკონკურსო წესით განხორციელდეს. სწავლების ეფექტურობისათვის თვითეულ საგანში (სპეციალობაში) შემუშავებულ იქნეს საგნის სწავლების მეთოდის “გზამკვლევი” და მასწავლებელთა ტრენინგი სანარმოებში;

4. შრომის ბაზარზე ყველაზე მოთხოვნადი პროფესიონალების მომზადება, პროფესიაათვისებული ახალგაზრდების დასაქმება ანუ სამუშაო ადგილით უზრუნველყოფა, მათი კონტაქტი ბიზნესმენებთან. სახელმწიფო და კერძო პროფესიული სასწავლებლების დამსაქმებლებთან-მსხვილი ბიზნესის წამომადგენლებთან ურთიერთობა და მათი აქტიურად ჩათულობა ანუ ამ მხრივ კერძო სექტორის გააქტიურება. სწავლებისა და დასაქმების საცდელ პერიოდებში დიდი ყურადღების გამახვილებაა საჭირო სამუშაოს უსაფრთხოების ტექნიკის წესების მკაცრად დაცვაზე;

5. პროფესიული განათლების სისტემაში დაინერგოს ელექტრონული/დისტანციური სწავლება, რომელიც მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში უკვე კარგად აპრობირებული სისტემაა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის, სასწავლებელში არსებული კომპიუტერული ლაბორატორიის მიზანმიმართულად და გეგმიურად გამოყენება სასწავლო პროცესში;

6. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით საერთაშორისო მობილობასა და გაცვლით პროგრამებში რაც შეიძლება მეტი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტისა თუ მასწავლებლის ჩართვა;

7. სასურველია, პროფესიული განათლების სისტემაში (სფეროში) მომუშავენი: საგნის პედაგოგები, ლექტორები ასისტენტებითურთ - იმ ჰუმანური პედაგოგიკის მიმდევრები იყვნენ, რომელიც მემკვიდრეობით გადმოგვეცა წარსულის უდიდესი მოაზროვნეებისაგან.

გამოყენებული ლიტერატურა:

ელექტრონული რესურსები:

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ. 11;

2. ლევინა ი.ლ. პედაგოგიური ფსიქოლოგია, 2005 წ. ნოვოკუზნეცკი, რუსულ ენაზე;
3. საქართველოს განათლების მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემია, სამეცნიერო კონფერენცია
“საქართველოში განათლების რეფორმირების მეცნიერული მართვის პრობლემები”, თეზისები, თბილისი, 2013 წლის დეკემბერი.

თამარ გოგოლაშვილი

პროფესიული განათლებისა და მომზადების ეფექტიანობისათვის ჰუმანური პედაგოგიკის ელემენტებით

რეზიუმე

ნაშრომში მსჯელობაა კადრების მომზადების აუცილებლობაზე, რათა მათი ჩამოყვანა აღარ დაგეჭირდეს საზღვარგარეთიდან. მიგვაჩნია სახელმწიფოსთან და კერძო სტრუქტურებთან ერთად ყველამ უნდა ვიზრუნოთ ახალგაზრდების პროფესიული დაოსტატებისათვის. ჰუმანური პედაგოგიკის ელემენტებიდან ჯგუფური მუშაობის ფორმა გვაქვს მოცემული, რათა მოზარდები თავიდანვე თანამშრომლობას შევაჩვიოთ. ნაშრომში დასკვნები და პედაგოგიური რეკომენდაციებია.

TAMAR GOGOLASHVILI

ЭЛЕМЕНТЫ ГУМАННОЙ ПЕДАГОГИКИ ДЛЯ ЭФФЕКТИВНОГО ПРОФЕССИОНАЛЬНОГО ОБРАЗОВАНИЯ И ПОДГОТОВКИ

Резюме

В данной работе показана необходимость подготовки кадров, чтобы не было необходимости приглашать их из-за границы. Мы считаем, что все должны вместе с государством и частными структурами заботиться о профессиональном совершенствовании молодых специалистов. Мы даем формы групповой работы из элементов гуманной педагогики, чтобы с самого начала приучить подростков к сотрудничеству.

В конце статьи делаются выводы и даются педагогические рекомендации.

TAMAR GOGOLASHVILI

FOR THE EFFICIENCY OF VOCATIONAL EDUCATION AND PREPARATION WITH ELEMENTS OF HUMAN PEDAGOGY

Abstract

The work discusses the necessity to qualify staff so that there is no need to invite specialists from abroad. We think together with the state and private structures, everybody else should be considerate of professional development of youngsters. Out of the elements of human pedagogy, team work is represented in the paper with all the corresponding conclusions and recommendations to help youngsters get used to collaboration from the very beginning.



მერაბ მაღრაქაძე

განწყობის სტრუქტურის დინამიკური ცვალებადობის თავისებურებები ინტერაქტიური სწავლების პირობებში

თანამედროვე განათლების ფსიქოლოგიაში მკაფიოდ იკვეთება სწავლის ბუნების ასოციაციონისტურ-ბიჰევიორისტული გაგების კოგნიტივისტურ-ჰუმანისტური გაგებით ჩანაცვლების ტენდენცია. პედაგოგიურ სფეროში ეს აისახება მასწავლებელზე ორიენტირებული

დირექტიული სწავლების სტილის, მოსწავლეზე ორიენტირებული კონსტრუქტივისტული სტილით შეცვლაში. მათ შორის არსებითი განსხვავება ისაა, რომ დირექტიული სწავლების პირობებში მასწავლებელი მზა ფორმით აწვდის მოსწავლეს საჭირო ცოდნას და მასაც მხოლოდ მისი აქტიურად მიღება (აღქმა, გაგება და დამახსოვრება) მოეთხოვება, კონსტრუქტივისტული სწავლების პირობებში კი მოსწავლე თვითონ იკვლევს გზას ცოდნის ლაბირინთებში და საკუთარი გონებრივი მუშაობის შედეგად ქმნის ცოდნის სტრუქტურათა მისთვის ახალ კონსტრუქციებს. მასწავლებელი, როგორც თავისუფალი სასწავლო საქმიანობის ფასილიტატორი, მხოლოდ ეხმარება მოსწავლეს მისი გარჯის წარმატებით დაგვირგვინებაში.

კონსტრუქტივისტული მიდგომა, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ **კ. დიუის** პროგრესული პედაგოგიკიდან იღებს, დამყარებულია გასული საუკუნის შუახანებში ჩამოყალიბებულ კოგნიტური განვითარების თეორიებზე (**ჟ. პიაჟე, ლ. ვიგოტსკი, ჯ. ბრუნერი**) და ამერიკულ ფსიქოლოგიაში იმავე ხანაში განვითარებულ ჰუმანისტურ ფსიქოლოგიაზე (**ა. მასლოუ, კ. როჯერსი**). ასეთი მიდგომის პრაქტიკული რეალიზაციის ერთ-ერთ ეფექტურ გზად მიჩნეულია სწავლება-სწავლის ინტერაქტიური მეთოდები, როგორებიცაა, სიუჟეტურ-როლებიანი თამაში, გონებრივი იერიში, დისკუსია და სხვ. (დანვრილებით იხ. **[2, 2005]**). ეს მეთოდები, ბოლო ხანებში, აქტიურად ინერგება ჩვენს სკოლებში, როგორც განათლების რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი.

პედაგოგიური პრაქტიკა ადასტურებს, რომ ინტერაქტიური სწავლების ყველაზე დადებითი მომენტია მოსწავლეთა აქტიური და უწყვეტი ჩართულობა გაკვეთილის მსვლელობაში. ამას იმით ხსნიან, რომ ამ პირობებში მოსწავლე თავს განიცდის არა იძულებითი, არამედ თავისუფალი ქცევის სუბიექტად, რომ იგი არა მხოლოდ განსაზღვრული შედეგების მიღწევაზეა ორიენტირებული, როგორც ეს ხდება დირექტიული სწავლების პირობებში, არამედ მისთვის მიმზიდველია საკუთრივ სწავლის პროცესიც, რომ ამ პროცესში იგი სიამოვნებას ღებულობს და ა. შ. ერთი სიტყვით, აქცენტი კეთდება სუბიექტის განცდებზე, ხოლო საკითხი მათი საფუძვლისა და იმის შესახებ, თუ როგორ ახდენს ეს მდგომარეობა გავლენას სწავლის პროცესის მიმდინარეობაზე, მხედველობის გარეთ რჩება. მაგრამ რაც არ უნდა სწორად და დანვრილებით აღვწეროთ ინტერაქტიურ სწავლება-სწავლაში ჩართული მოსწავლის განცდები, თუ მათი აღმოცენების მექანიზმი არ იქნა გარკვეული, მოცემული პედაგოგიური სიახლე ფსიქოლოგიურ დასაბუთებას ვერ შეიძენს. სწავლის ფსიქოლოგიური თეორია ვერ შემოიფარდება მხოლოდ იმის აღწერით, რაც ამა თუ იმ მეთოდით სწავლების პირობებში ხდება. მან აღწერის გზით კონსტანტირებულ ვითარებას ადექვატური ახსნა უნდა მოუძებნოს და აჩვენოს, თუ რატომ ხდება ასე და არა სხვაგვარად. ინტერაქტიური მეთოდებით მუშაობა რომ ბავშვებისთვის უფრო სახალისო და მიმზიდველია, ეს თვალსაჩინო ფაქტია, მაგრამ გასარკვევი სწორედ ისაა, თუ რატომაა პროგრამით გათვალისწინებული ერთი და იგივე საკითხი უფრო საინტერესო და უფრო სახალისოდ შესასწავლი ინტერაქტივობის პირობებში, ვიდრე ტრადიციული ფორმით ორგანიზებული სწავლების პირობებში.

საგულისხმოა ის ვითარებაც, რომ ინტერაქტიური მეთოდების და ზოგადად კონსტრუქტივისტულ-ჰუმანისტური მიდგომის თეორიული ბაზა მრავალი განსხვავებული ზოგადფსიქოლოგიური ორიენტაციის თეორიას მოიცავს, რის გამოც, ამ მიდგომის საფუძველზე შექმნილი პედაგოგიური ინოვაციების ფსიქოლოგიური დასაბუთება ხან ცალმხრივია, ხან ეკლექტიკური. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ აღნიშნული პედაგოგიკური ინოვაციების მიზანშეწონილობის (ვალიდობის) დასაბუთებისთვის მოხმობილი კოგნიტივიზმი და ჰუმანისტური ფსიქოლოგია, არა მხოლოდ ცალკეულ ნიუანსებში განსხვავებული მიდგომებია, არამედ სრულიად სხვადასხვა ტიპის და ერთმანეთთან პრინციპულად დაპირისპირებული მეცნიერული მიმართულებებია. ეს განსხვავება, სწავლება-სწავლასთან დაკავშირებით, იმაში აისახება, რომ ჰუმანისტები სწავლის თავისუფლების იდეას იცავენ და მასწავლებლისგან მაქსიმალურ შემოქმედებითობას მოითხოვენ, კოგნიტივისტები კი (ბიჰევიორისტების კვალდაკვალ), მკაცრად დაპროგრამებულ და ინსტრუქციათა ჩარჩოებში მოქცეულ სწავლებას უჭერენ მხარს.

კონსტრუქტივისტული მიდგომა (კერძოდ, ინტერაქტიური მეთოდებით სწავლება) მეტ-ნაკლებად ორივე ამ მოთხოვნას ითვალისწინებს, რადგან ცალმხრივ უკიდურესობაზე აგებული პრაქტიკა ვერასოდეს სასურველ შედეგს ვერ აღწევს, მაგრამ ეს სწორედ თეორიული ბაზის არასაკმარის გამართულობაზე მეტყველებს. შეიძლება ითქვას, რომ, ინტერაქტიური სწავლების

სახით, არსებობს წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკა, რომელიც თეორიულად კარგად გაანალიზებული არაა. საჭიროა მოიძებნოს ისეთი თეორიული მოდელი, რომელიც სწავლის ყველა თავისებურებას, მათ შორის, მოსწავლის სხვადასხვაგვარ აქტიურობას სწავლება-სწავლის სხვადასხვაგვარი ორგანიზების პირობებში, ერთიანი პრინციპის ნიადაგზე ახსნის და დაახასიათებს. ამისათვის ყველაზე ნაყოფიერ გზად ინტერაქტიური სწავლების **დ-უზნადის** განწყობის ფსიქოლოგიის კონტექსტში ([3], [4] და სხვ.) გააზრება გვესახება. ვფიქრობთ, ამ ზოგადფსიქოლოგიური მოძღვრების პოტენციალი, რაც, მის სხვა ღირსებებთან ერთად, იმაშიც გამოიხატება, რომ მის ფარგლებში ყველა ფსიქოლოგიური ფაქტი და მოვლენა ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპის დაცვით განიმარტება, საკმარისად არაა გამოყენებული განათლების ორიგინალური და ჩვენი სინამდვილისთვის ადეკვატური სისტემის ჩამოყალიბების საქმეში.

განწყობის თეორიის თანახმად, ყოველგვარი ქცევის უშუალო მიზეზს განწყობა, ანუ ამ ქცევის განსახორციელებლად შეცვლილი სუბიექტი წარმოადგენს. მოსწავლის მიერ განხორციელებული სასწავლო მოქმედებების უშუალო მიზეზიც, რა თქმა უნდა, შესაბამისი განწყობაა. ამის გათვალისწინებით, საკითხი იმის შესახებ, თუ რა ხდება ინტერაქტიური სწავლების დროს ისეთი, რომ მოსწავლე უფრო მეტ აქტიურობას და სიხალისეს ამჟღავნებს, ვიდრე სწავლება-სწავლის სხვა პირობებში, განწყობის თეორიის სივრცეში ასე კონკრეტდება: რა განსხვავებაა ინტერაქტიურობის პირობებში მიმდინარე სწავლის განწყობასა და დირექტიული მეთოდების პირობებში მიმდინარე სწავლის განწყობას შორის, რაც სასწავლო ქცევის მიმდინარეობის პროცესსა და შედეგებში აისახება?

ვფიქრობთ, ამ შეკითხვაზე ადეკვატური პასუხის გაცემა მოითხოვს ქცევის მიმდინარეობის პროცესში განწყობის სტრუქტურის დინამიკური ცვალებადობის ფაქტის აღიარებას. საქმე ისაა, რომ თეორიის კლასიკურ ვარიანტში განწყობა წარმოდგენილია ქცევისთვის ბოლომდე სტრუქტურირებულ მზაობად, რომელიც, გარკვეულ პირობებში, მხოლოდ სხვა განწყობით შეიძლება შეიცვალოს. პოსტუზნადისეულ პერიოდში ქცევის განწყობისეული განსაზღვრულობის ასეთ დახსიათებას **შ. ჩხარტიშვილმა** განწყობის სტრუქტურის სტატიკური მოდელი უწოდა და მას დინამიკური მოდელი დაუპირისპირა. ამ უკანასკნელის მიხედვით, განწყობა (სუბიექტი) ქცევის მიმდინარეობის პროცესში განუწყვეტლად იცვლება (მოდინამიკური), რათა მის მიერ განხორციელებული აქტები მუდმივად შეესაბამებოდეს ცვალებად ობიექტურ პირობებს (სიტუაციას) [5].

თეორიაში შეტანილი ამ დაზუსტების შემდეგ, როგორც **ი. იმედაძე** აღნიშნავს, მისი განვითარების ძირითად ვექტორად, თანდათან დინამიკური მოდელი იქცა [1; 18]. ამავე კრებულში მოთავსებულ გამოკვლევებში (და სხვა ნაშრომებშიც) ავტორმა არგუმენტირებულად დაასაბუთა, რომ განწყობის სტრუქტურა დინამიკურად იცვლება არა მხოლოდ სიტუაციური ფაქტორის ცვალებადობის კვალობაზე, არამედ მოტივაციური ფაქტორის (მოთხოვნილებების) ცვალებადობის გავლენითაც. იცავს რა ქცევის პოლიმოტივირებულობის თვალსაზრისს, **იმედაძე** მიიჩნევს, რომ გარკვეულ დროსა და ადგილზე მიმდინარე ყოველი კონკრეტული ქცევის განწყობაში ერთდროულად მრავალი მოთხოვნილების ენერგეტიკული მუხტია ინტეგრირებული. ზოგი მათგანი გზადაგზა კმაყოფილდება, რაც განწყობის რეალიზაციისათვის საჭირო ძალას ასუსტებს. ხდება ისეც, რომ ქცევის მიმდინარეობის პროცესში ახალი მოთხოვნილებები აქტივირდება, რაც პირიქით, განწყობის დინამიკურ მუხტს აძლიერებს.

სასწავლო ქცევის მიმდინარეობაზე დაკვირვება ძალზე თვალსაჩინოდ ავლენს ამ მოდელის მართებულობას. ყველა მასწავლებლისთვის ნაცნობია სწავლის კონკრეტულ შემთხვევებში მოსწავლის სასწავლო აქტიურობის ცვალებადობის მოვლენა: მოსწავლე, რომელიც ერთ მომენტში მთელი არსებით იყო ჩართული გაკვეთილის პროცესში, თანდათან კარგავს ენთუზიაზმს და გარკვეული ეტაპიდან უკვე მხოლოდ მოვალეობის გამო ადევნებს თვალყურს მის მსვლელობას. ორივე ამ შემთხვევაში იგი სწავლის სუბიექტად რჩება, ე.ი. ერთი და იმავე განწყობის მოდუსშია მოქცეული, მაგრამ ნათელია, რომ ამ განწყობის სტრუქტურა პერმანენტულად იცვლება. როგორც ჩანს, პროცესის მიმდინარეობისას ზოგი მოთხოვნილება უბრალოდ დაკმაყოფილდა და, როგორც აქტუალური ძალა, მოიხსნა. განწყობა მოქმედებას განაგრძობს სხვა, მოსწავლისთვის ნაკლებად ატუალური აღმძვრელების ძალით. ჩაერთვება

თუ არა საქმეში (განწყობის სტრუქტურაში) ახალი მოტივაციური ძალები, ეს, პირველ რიგში, სწორედ სწავლების მეთოდებზეა დამოკიდებული.

როდესაც სასწავლო მოქმედებები დირექტიული სწავლების პირობებში მიმდინარეობს, მათ საფუძვლად მდებარე განწყობა თანდათან სუსტდება, რადგან ქცევის ყოველი ახალი რგოლი აღარბეჭდს მის მოტივაციურ კომპონენტს. საპირისპირო ვითარებას აქვს ადგილი ინტერაქტიული სწავლება-სწავლის პირობებში. აქ ქცევის მსვლელობის მანძილზე ჩნდება ახალ-ახალი მოტივაციური ტენდენციები, რის წყალობითაც განწყობა უფრო მტკიცე და დინამიკური ხდება. განვიხილოთ ეს მოვლენა სწავლასთან ყველაზე ბუნებრივად დაკავშირებულ შემეცნებით მოთხოვნილებასთან მიმართებაში, რასაც კონსტრუქტივისტული მიდგომის თეორეტიკოსები შინაგან მოტივაციას უწოდებენ. ვთქვათ, მოსწავლე, ძლიერი შემეცნებითი ინტერესის საფუძველზე, რომელიმე კონკრეტული საკითხის შესასწავლად განწყობს. ასეთი მოტივაცია სწავლება-სწავლის პროცესში მის აქტიურ ჩართულობას უზრუნველყოფს. დირექტიული სწავლების პირობებში იგი ყურადღებით უსმენს მასწავლებელს, რომელიც დეტალურად განმარტავს მისთვის საინტერესო საკითხს. მოსწავლისთვის მალე გასაგები ხდება რაში ყოფილა საქმე, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი აქტიურობის განმსაზღვრელი მოტივაციური ტენდენცია უკვე დაკმაყოფილდა და დღის წესრიგიდან მოიხსნა.

მზა ფორმით მიწოდებული ცოდნის მიღებამ დააკმაყოფილა მოსწავლე, როგორც ამ საქმისთვის (ახლის გაგებისთვის) მობილიზებული სუბიექტი. იგი უკვე ისე აქტიურად აღარაა ჩართული სასწავლო პროცესში, რომელიც ჯერ ისევ გრძელდება, რადგან სასწავლო მოქმედებათა ჯაჭვი გაგების რგოლთან ერთად დასწავლის რგოლსაც შეიცავს. მაგრამ უკვე დაკმაყოფილებული შემეცნებითი მოთხოვნილება დასწავლისთვის საჭირო მომაბეზრებელი განმორებებისთვის სუბიექტის (განწყობის) აქტიურობის საჭირო დონეს ვერ უზრუნველყოფს. სწავლების ორგანიზაცია ციფრული ხდება საქმეში სხვა ისეთი მოტივები ჩართოს, რომლებიც მის შედეგებთან ასე ბუნებრივად არ არიან დაკავშირებული (ე.წ. გარეგანი მოტივაცია). ამიტომაც, რომ დირექტიული სწავლება, მაშინაც კი, როდესაც შინაგანი მოტივაციით (ჩვენს მაგალითში, შემეცნებითი მოთხოვნილებით) იწყება, გარკვეულ ეტაპზე აუცილებლად გარეგანი მოტივაციის (ძირითადად, ნახალისება-დასჯის ნაირფეროვანი ფორმების სახით) მოშველიებას საჭიროებს. კიდევ უარესი, თუ საქმე თავიდანვე გარეგანი მოტივაციით იწყება და სწავლის განწყობის შექმნაში თეორიული მოთხოვნილებები საერთოდ არ მონაწილეობენ.

ახლა განვიხილოთ სწავლება-სწავლის ინტერაქტიული მოდელი, კერძოდ გონებრივი იერიშის მეთოდი: კლასის წინაშე დგება პრობლემა, რომლის შესახებაც მოსწავლეები შეუზღუდავად გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს. მომდევნო ეტაპზე ხდება გამოთქმული მოსაზრებების მიმოხილვა და შინაარსით ახლო იდეების გაერთიანება. ამის შემდეგ, მოსწავლეები, დარჩენილი (განზოგადებული) იდეებიდან აარჩევენ 4-5 ისეთ იდეას, რომელიც, მათი აზრით, სხვებზე უფრო ღირებულია და განალაგებენ მათ მნიშვნელობის მიხედვით, რის შედეგადაც გამოიკვეთება კიდევ პასუხი დასმულ პრობლემაზე, რაც განზოგადებული აზრის სახით ჩამოყალიბდება (დანვრილებით იხ. [2: 15-16]).

თუ მოსწავლეს თავიდანვე ჰქონდა შემეცნებითი ინტერესი მოცემული საკითხისადმი, საკითხის პრობლემური ფორმით დაყენება ამ ინტერესს, ცხადია, კიდევ უფრო გააძლიერებს. მეტიც, პრობლემური სიტუაცია ინტერესს აღვიძებს მაშინაც, როდესაც იგი საქმის დაწყებამდე სრულიად ინაქტიურია. ამხანაგების მიერ გამოთქმული ყოველი ახალი აზრი მოსწავლის შემეცნებით მოთხოვნილებას კიდევ უფრო აძლიერებს და აქეზებს მას უფრო მეტად დაძაბოს საკუთარი კოგნიტური უნარები, რათა თავადაც წამოაყენოს გარკვეული მოსაზრებები. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ ამ პირობებში აქტივირდება სოციალური შინაარსის მქონე მოტივებიც (წარმატების მიღწევის, შეჯიბრებისა და ჯობნების, სოციალური პრესტიჟის და ა.შ.), რომლებიც აძლიერებენ სუბიექტის (განწყობის) მობილიზაციას სამოქმედოდ. გასაგებია, რომ მთელი პროცესის განმავლობაში მოსწავლე აქტიურობის მაღალ დონეს ინარჩუნებს. გარდა ამისა, შესასწავლ მასალაზე აქტიური ინტელექტუალური მუშაობა, როგორც დასწავლის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, ამ მასალის მტკიცედ დამახსოვრებასაც უზრუნველყოფს.

გონებრივი იერიშის მეთოდის ასეთი ანალიზის საფუძველზე, რაც ზოგადად ყველა ინტერაქტიურ მეთოდს ეხება, შეგვიძლია დავასკვნათ: ინტერაქტიული სწავლების პროცესში მოსწავლის აქტიურ და უწყვეტ ჩართულობას უზრუნველყოფს განწყობის სიმტკიცის მაღალი

ხარისხი, რაც, აქტივობის პროცესში მისი მოტივაციური კომპონენტის თანდათანობით გაძლიერებასა და გამდიდრებასთანაა დაკავშირებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. იმედაძე, გამოკვლევები თეორიულ ფსიქოლოგიაში, თბ. 2013
2. მ. მაღრაძე, ინტერაქტიური მეთოდებით სწავლების ფსიქოლოგიური საფუძვლები, ქუთ. 2005
3. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1998
4. დ. უზნაძე, შრომები, ტ., VI, თბ., 1977
5. შ. ჩხარტიშვილი, განწყობა და ცნობიერება, თბ. 1975

მერაბ მაღრაძე

განწყობის სტრუქტურის დინამიკური ცვლადობის თავისებურებები ინტერაქტიური სწავლების პირობებში

რეზიუმე

სტატიაში განხილულია სწავლების ინტერაქტიური მეთოდების თეორიული ბაზა და ნაჩვენებია, რომ ამ პედაგოგიკური ინოვაციის ეფექტურობა უფრო ძალდაუტანებლად აიხსნება დ. უზნაძის განწყობის თეორიის მიხედვით. სასწავლო ქცევის მიმდინარეობის პროცესში მის საფუძვლად მდებარე განწყობა დინამიკურად იცვლება მოტივაციური კომპონენტის გამრავლდებურების ხარჯზე, რაც პროცესში სუბიექტის პერმანენტულ აქტიურ ჩართულობას უზრუნველყოფს.

МЕРАБ МАГРАДЗЕ

ОСОБЕННОСТИ ДИНАМИЧЕСКИХ ИЗМЕНЕНИЙ УСТАНОВКИ В УСЛОВИЯХ ИНТЕРАКТИВНОГО ОБУЧЕНИЯ

Резюме

В статье рассмотрены теоретические основы интерактивных методов обучения и показано, что эффективность этой педагогической инновации более свободно объясняется по теории установки Д.Н.Узнадзе. При осуществлении учебной деятельности её установка динамически изменяется, что и обеспечивает перманентное активное включение субъекта в этот процесс.

MERAB MAGRADZE

CHARACTERISTICS OF DYNAMIC CHANGES OF SET STRUCTURE IN THE CONDITION OF INTERACTIVE LEARNING

Abstract

The article gives an overview of theoretic base of interactive learning and shows that the effectiveness of this pedagogical innovation is easily explained through psychology of set of D.Uznadze. During the learning behavior the set is dynamically changed through enriching motivation component which ensures permanent active involvement of subject in the learning process.



მარინე სირბილაძე

უცხო ენის ათვისების ინდივიდუალურ-ტიპოლოგიური კვლევის ასპექტები და სიტყვის გრძნობის უნარი, როგორც ინდივიდუალურად განსხვავებული მაჩვენებელი

ენა ინდივიდის ცხოვრების ნაწილია და გამოიყენება სხვა ადამიანებთან ურთიერთობისათვის. ენობრივი კომუნიკაციის კომპეტენციის განვითარება დღევანდელის

აქტუალური მოთხოვნაა, რასაც ბევრი ფაქტორი განსაზღვრავს. გლობალური თუ ლოკალური ურთიერთობების მასშტაბებსა და საჭიროებებს რომ თავი დავანებოთ, ენის შესწავლას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ადამიანის სოციალურ სფეროზე და კულტურაზე, ვინაიდან მოიცავს ახალ სოციალურ და კულტურულ ქცევებს და აზროვნებას.

ენის დაუფლების უნარის და შესწავლის განმსაზღვრელი ფაქტორების კვლევა კარგახანია მიმდინარეობს. ენის ათვისების განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის ინდივიდუალურ-ტიპოლოგიურ განსხვავებებსაც მოიაზრებენ. ამიტომ განათლების კონტექსტში მნიშვნელოვანია, გაცნობიერებული გვექონდეს, რომ ზოგადი მოდელების გარდა არსებობს თითოეული ინდივიდის უნიკალურობა, ინტერესები, ცოდნა და რასაკვირველია, შესაძლებლობები. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ სელინკერს (1972), რომელიც აღნიშნავს, რომ მეორე ენის შესწავლის თეორია, თუ ის არ ითვალისწინებს და ცენტრალურ ადგილს არ უთმობს ინდივიდუალურ განსხვავებებს შემსწავლელთა შორის, არ ჩაითვლება მისაღებად. მაგრამ საქმე იმაშია, რომ როგორც ვ. ქუქი (1991) წერს, ამ განსხვავებათა ზუსტი, ნამდვილი ბუნება სრულყოფილად არ არის დამუშავებული. განსაკუთრებით არ არის ნათელი თუ რას მოიცავს; ა) არსებობს მხოლოდ განვითარების ერთი მიმართულება, რომელსაც ყველა შემსწავლელი მიჰყვება, ინდივიდუალური განსხვავებები კი უბრალოდ ასახავენ, რამდენად სწრაფად ან რამდენად ღრმად აღწევნ ნარმატებას სპეციალური შემსწავლელები ამ გზაზე; ბ) ინდივიდუალური განსხვავებები აიძულებენ შემსწავლეებს, წინ წავიდნენ განვითარების სხვადასხვა გზით, როცა ეცნობიან ენას. ვ. ქუქის აზრით, გამოკვლევების უმრავლესობა, რომლებიც ეხება ინდივიდუალურ განსხვავებებს, არ ეხება განსხვავებების ნამდვილ ბუნებას. ნაცადია მონახოს კავშირი დახელოვნებულობასა და არალინგვისტურ ფაქტორებს შორის, როგორცაა მოტივაცია, ინდივიდუალობა, გონიერება. თუ ჩაითვლება, რომ მოტივაციისა და გონიერების მაღალი დონე უზრუნველყოფს ან კორელაციაშია ენის შესწავლის ნარმატებასთან, როგორც ვ. ქუქი ფიქრობს, არ ნიშნავს იმას, რომ უკეთესად მოტივირებული ან მეტად გონიერი ადამიანი აუცილებლად უფრო მეტად ნარმატებული იქნება, ვიდრე საშუალოდ ის, ვისაც უფრო მეტი უნარი აქვს, იყოს ასეთი. ვ. ქუქი აჯგუფებს მეორე ენის შესწავლის ნარმატებაზე მოქმედ ფაქტორებს ძირითადად შემდეგნაირად: სწავლის მოტივაცია, სწავლის შესაძლებლობები, სწავლის უნარი. რეალურად - მიუთითებს ავტორი - ეს ფაქტორები აშკარად იზოლირებულნი შეიძლება იყონ. მაგალითად, თუ შემსწავლელს აქვს ადეკვატური შესაძლებლობა და უნარი, შეუძლია უზრუნველყოს მოტივაცია.

როგორც აღვნიშნეთ ზემოთ, ვ. ქუქი ენობრივ ნიჭს ფაქტორთა ფართო ერთობლიობაში განიხილავს - როცა გააჩნიათ შემსწავლელთ თანაბარი მოტივაცია და შესაძლებლობები (opportunities) - უნარი აძლევს საშუალებას, უკეთესად ისწავლონ ენა ზოგიერთებმა, ვიდრე სხვებმა. იგი იღებს კოგნიტურ ფაქტორებს, პიროვნულ ეფექტებს, ახალ და აქტიურ სტრატეგიებს, რომლებსაც შემსწავლელი ირჩევს. კოგნიტურ ფაქტორებს შორის ერთად აღებული ენობრივი ნიჭი და მოტივაცია, რომელიც ეყრდნობა შესაბამის დამოკიდებულებას, არიან ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ ნარმატებას. ვ. ქუქის მიხედვით, ეს არის აზრი, რომელიც რეგულარულად მოცემულია სხვადასხვა გამოკვლევებში, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტორები ჯერ კიდევ ვერ ხსნიან ბევრ ცვლილებას შემსწავლელთა შორის.

ემპირიული გამოკვლევებიდან ნათელი ხდება, რომ პიროვნულ ფაქტორებსა და მეორე ენის შესწავლის უნარს შორის კავშირი უფრო სუსტია, ვიდრე ეს ეგონათ. ხშირად ფიქრობენ, რომ ექსტრავერტი განსაკუთრებით კარგად ეუფლება მეორე ენას. თუმცა, რეალურად, მკვლევარებმა ამასთან დაკავშირებით უარყოფითი შედეგები მიიღეს, შედარებით დადებითი რეზულტატები მიიღო ტუკერმა (1976), რომელიც ფიქრობს, რომ ექსტრავერტს დიდი უპირატესობა აქვს ბუნებრივ სასწავლო სიტუაციაში, ვიდრე ფორმალური სწავლის შემთხვევაში.

როგორც ჰამერსი და ბლენკი (1994) აღნიშნავენ, კორელაციური გამოკვლევები აჩვენებენ, რომ ინდივიდუალური ცვლადების დიდი რაოდენობა ახდენს გავლენას მეორე ენის დაუფლებაზე. შუმანი (1978) გვთავაზობს 49 ფაქტორის ტიპოლოგიას, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ მეორე ენის დაუფლებაზე. ის განასხვავებს სოციალური, აფექტური, პიროვნულ, კოგნიტურ, ბიოლოგიურ, ნიჭთან დაკავშირებულ შეთვისებას და ინსტრუქციონალურ ფაქტორებს.

ს. კრეშენი (1988) განასხვავებს ენის კარგ და ცუდ შემსწავლელებს. კარგი შემსწავლელი მისთვის პირველ რიგში არის მომპოვებელი, რომელსაც, უპირველეს ყოვლისა, შეუძლია მოიპოვოს საკმარისი ცოდნა (intake) მეორე ენაში, და, მეორე, აქვს დაბალი აფექტური ფილტრი,

რამაც უნდა მისცეს შესაძლებლობა, გამოიყენოს ეს ცოდნა (input) ენის დაუფლებისათვის. ენის კარგი შემსწავლელი, კრემენის გაგებით, შეიძლება იყოს ან არ იყოს ცნობიერი შემსწავლელი, თუკი არის, ის არის „მონიტორის ოპტიმალური გამოყენებელი“. ამიტომ, ამბობს ის, არ გაგვიკვირდებოდა, აღმოგვეჩინა საშუალოზე მაღალი ან ზედმინევით მაღალი ენობრივი ნიჭი ასეთ შემსრულებელში. რაც შეეხება ენის ცუდ შემსწავლელს, კრემენის მიხედვით, ისინი იყოფიან სამ კატეგორიად: ყველაზე ცუდს არ შეუძლია არც დაუფლება (acquisition) და არც სწავლა (learning), მონიტორის ცუდად მომხმარებელი დამოკიდებულია მის ატიტუტებზე, ხოლო მონიტორის კარგად მომხმარებელი იზღუდება ცნობიერი ცოდნით და განიცდის სპონტანურობის ნაკლებობას.

ენის დაუფლების და შეძენილი ენობრივი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების მეტ-ნაკლები სიადვილე სხვა ავტორებთანაც არის აღწერილი. ბ. ბელიაევი თავის ცნობილ ნარკვევში უცხოური ენის შესწავლის ორ ტიპს განასხვავებს: ინტუიტიურ-გრძნობადს და რაციონალურ-ლოგიკურს. პირველი ენას ეუფლება უპირატესად პრაქტიკულად, არ საჭიროებს გრამატიკულ ანალიზს და სწრაფად სრულყოფს ცოდნას, რანამს დაინყებს მის გამოყენებას. ენის შეთვისების მეორე ტიპი საჭიროებს თეორიული ენობრივი ცოდნის შეძენას, გრამატიკულ ანალიზს. ამერიკულ ფსიქოლოგიურ მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში ამ ორ ტიპს პირობითად აღნიშნავენ „Jones“ და „Smith“ სახელებით. ამ ტიპების დასადგენად მიმართავენ ბიოგრაფიულ მეთოდებს, ანკეტებს, რომელთა საშუალებით შეიძლება აღწერილ იქნას ამა თუ იმ ადამიანის მიერ ენის დაუფლების ისტორია. ქართულ ფსიქოლოგიაში ენის შეთვისებაში წარმატებების ინდივიდუალური თავისებურებები განხილულია განწყობის შემუშავებისა და გამოვლენის ინდივიდუალურ თავისებურებებთან კავშირში.

ნ. იმედაძე განიხილავს განწყობის ტიპოლოგიურ ასპექტს მეორე ენის დაუფლების წარმატებულობის ხარისხთან და დაუფლების ნიჭთან კავშირში, რამდენადაც განწყობის ფიქსაციისა და გაქრობის თავისებურებები ვლინდებიან ინდივიდებს შორის ტიპოლოგიურ განსხვავებებში (ნ. იმედაძე, 1979). ნ. იმედაძის აზრით, ის, რომ ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ენობრივი ფორმების საკომუნიკაციოდ გამოყენების უნარით, დაკავშირებულია განწყობის შექმნის სიძნელე-სიადვილესთან. მისი ექსპერიმენტებით დადასტურდა, რომ მოსწავლეები, რომლებსაც არ უჭირთ სწრაფი გადანაცვლება ერთი ენიდან მეორეზე, უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მეორე ენის გაკვეთილზე. განწყობის შეცვლის ეს განსხვავებული უნარი შეპირისპირებულ იქნა იმავე მოსწავლეების წარმატებასთან მეორე ენის შესწავლაში. ცხადი გახდა, რომ განწყობის ტიპოლოგიური თავისებურებები, კერძოდ ის, რომ ზოგიერთ ადამიანში განწყობა ადვილად იცვლება, მეტი დინამიურობით ხასიათდება, ზოგში კი - ნაკლებადიოლად, ე.ი. ნაკლებ დინამიურობით ხასიათდება, მნიშვნელოვან დამოკიდებულებაშია მეორე ენაში წარმატებებთან. სწავლაში ძლიერი მოსწავლეები უფრო ადვილად გადადიან ერთი განწყობიდან მეორეზე, ავლენენ უკეთეს წარმატებას ენაში. განწყობის ტიპოლოგიური დახასიათება ასახავს ინდივიდის დიფერენცირებულ უნარს ახალი განწყობის შექმნისადმი მინიმალური ინსტრუმენტალური შესაძლებლობებით.

როგორც მოცემული კონტექსტიდან ჩანს, ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ენობრივ ფორმების საკომუნიკაციოდ გამოყენების უნარით - ზოგს ნაკლები ცოდნით შეუძლია მეტყველება, ზოგს - მეტით. ეს უნარი ს. სოდხის და ნ. იმედაძის გამოკვლევებით, მეორე ენაზე მეტყველების განწყობის შექმნის სიძნელე-სიადვილეს უკავშირდება.

როგორც მიუთითებენ, უცხო ენის ათვისების ინდივიდუალური თავისებურებები ვლინდება შემდეგი ძირითადი კომპონენტების სახით: უნარში, განწყობაში, მოტივაციაში, სწავლის სტილში და სწავლის სტრატეგიებში. რ. გოგობიას შრომაში (2012) ნაკვლევა სამი სფერო: სტუდენტთა ენის შეთვისების მოტივაცია, სწავლის სტილი და სტრატეგიები. კვლევაში აღნიშნულია, რომ გაიზარდა მოტივაციის ძალა, რომელიც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია; წარმატებულ სტუდენტებთან გაზრდის დინამიკა აღინიშნა ინტეგრალურ მოტივაციაში; ნაკლებად წარმატებულ სტუდენტებთან გაიზარდა ინსტრუმენტული მოტივაცია; სტილთან დაკავშირებით დადგინდა, რომ ცდისპირთა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს ანალიტიკურ და ლიად დასრულებულ სტილებს; არ არსებობს სტატისტიკურად სანდო განსხვავება მეტად თუ ნაკლებად წარმატებულ სტუდენტებს შორის კონკრეტული სტილის შეფასებაში; კორელაციურმა ანალიზმა უჩვენა, რომ წარმატებული სტუდენტები მეტ განსხვავებულ სტილებს იყენებენ, ნაკლებად წარმატებულები

კი მიჯაჭვულნი არიან ერთ სტილს. ავტორი ფიქრობს, რომ ყველაზე უფრო სასურველია საკუთარი ინდივიდუალური სტილის გაცნობიერება, ერთის მხრივ, და სტილთა გამდიდრება-გამრავალფეროვნება, მეორეს მხრივ (რ. გოგოხია, 2012).

არის თუ არა მოტივაცია, სწავლის სტილი, სტრატეგია ან სხვა ფაქტორი უფრო მეტად ან ნაკლებად მნიშვნელოვანი, ვიდრე უნარი? ეს კითხვა საბოლოოდ ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია. მთავარი ის არის, რომ ყველაფერი გაკეთდეს, ყველა საკითხი და ყველა ასპექტი, რაც ენის ათვისების წარმატებას განსაზღვრავს, განიხილებოდეს და შეისწავლებოდეს.

როგორც აღვნიშნეთ, ენის ათვისების ეფექტურ განმსაზღვრელად ლინგვისტურ უნარს მოიაზრებენ (კრემენი, ქუქი). ამ უნარის კვლევა დიდ და დამოუკიდებელ სფეროს წარმოადგენს - ეს სადავო არ არის, ხოლო რამდენად ექვემდებარება უნარი პედაგოგიურ ზემოქმედებას, ეს კიდევ დასაზუსტებელია.

მათემატიკური მეტყველების კულტურა, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია მათემატიკური კულტურის ცნებასთან. მათემატიკური კულტურის ცნება კი კულტურის ზოგადი ცნების იზომორფულია. მათემატიკური კულტურა, როგორც ფენომენი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული და დამოკიდებული თავის მათემატიკურ ენასთან, წარმოადგენს მოვლენასაც, პროცესსაც და ადამიანის მათემატიკურ საქმიანობაში მათემატიკური ობიექტებით ოპერირების შედეგსაც. მეტყველებითი აზროვნების პროცესში, თავის მხრივ, აზროვნების, მეტყველებისა და ენის თვითგანვითარების შინაგანი პროცესებიც მიმდინარეობს და, ამდენად, ამ სამეული ერთმთლიანობის შინაგანი ურთიერთმიმართებები სრულიად გამოკვეთილ ეკვივალენტურობის მიმართებას ქმნის, რადგანაც იგი ხასიათდება რეფლექსიურობით, სიმეტრიულობითა და ტრანზიტულობით.

ДЖЕМАЛ ДЖИНДЖИХАДЗЕ

К ВОПРОСУ ПОДГОТОВКИ БУДУЩИХ УЧИТЕЛЕЙ НАЧАЛЬНОЙ ШКОЛЫ

Резюме

Процесс профессиональной подготовки будущих учителей всегда дифференцирован. Это значит, что пути подготовки будущих учителей не могут быть одинаковыми, они весьма разнообразны. К тому же этот процесс всегда противоречив. В этом процессе «сталкиваются» между собой требования, предъявляемые учителю, и возможности их удовлетворения, стремления, желания и интересы учителя и результаты его работы, амбиции и способности, необходимые для их реализации. Но главное в том, что в современной Грузии подготовка учителей затруднена, поскольку в стране в течение последних двух десятилетий неправильная и вредная, с национальной точки зрения, образовательная политики сделала эту задачу весьма проблематичной и завела в тупик. В статье предпринята попытка найти выход.

JEMAL JINJIKHADZE

FOR DEVELOPMENT OF PUPILS' MATHEMATICAL CULTURE OF SPEECH

Abstract

Mathematical culture of speech primarily is related to the notion of Mathematical Culture. Notion of Mathematical Culture is isomorphic to general concept of Culture. Mathematical Culture as a phenomenon, which is tightly related and depends on its Mathematical Language, is an event, a process and even the result of operation by mathematical objects in person's mathematical activity. In its turn, in the thinking process of speech inner process of thinking, speech and language development is taking place and so, the three overall relations create quite distinct equivalence, because it is characterized as reflexivity, symmetry and transitivity.



ჯემალ ჯინჯისაძე

დანახვითი სკოლის მომავალი მასწავლებლის მომზადების საკითხისათვის

კარგადაა ცნობილი, რომ მასწავლებლის პროფესიონალური მომზადება, განსაკუთრებით თანამედროვე პირობებში, რთული პროცესია. ამ პროცესში სხვადასხვა საფუძვლის მიხედვით გამოიყოფა სხვადასხვა ეტაპი:

- პროფესიამდელი ეტაპი,
- პროფესიონალური მომზადების ეტაპი,
- პროფესიონალური საქმიანობის ეტაპი.

აღსანიშნავია, რომ ყველა შემთხვევაში არსებობს ამ ეტაპების ურთიერთკავშირისა და მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფის აუცილებლობა. ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალი მასწავლებლის მიერ წარსულში მიღწეულ როგორც საგანმანათლებლო, ისე პიროვნულ შედეგებზე დაყრდნობით ანმყოფი უნდა მოინახოს დახმარების ისეთი ეფექტური გზები, რომელთაც მომავალში უთუოდ ექნება გაგრძელება.

მასწავლებლის პროფესიონალური მომზადების პროცესი ყოველთვის **დიფერენცირებულია**, განსაკუთრებით ახლა. იგი მუდამდებდა პროფესიის შერჩევის მოტივების ნაირგვარობაშიც, პროფესიაში ჩართულობის ხარისხშიცა და თვით პროფესიონალური საქმიანობის შედეგებშიც. ეს იმას ნიშნავს, რომ პროფესიონალურ ქმნადობაში მომავალი მასწავლებლის დახმარების გზები არ შეიძლება ერთნაირი იყოს. მასწავლებლის მომზადების გზები ძალზე მრავალფეროვანია.

მასწავლებლის ქმნადობის პროცესი ყოველთვის **წინააღმდეგობრივია**. ამ პროცესში ერთმანეთს „ეჯახება“ მასწავლებლისადმი ნაყენებული მოთხოვნები და მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობები, მასწავლებლის მისწრაფებები, სურვილები, ინტერესები და მისი საქმიანობის შედეგები, ამბიციები და ის უნარები, რომლებიც მათი რეალიზაციისთვისაა აუცილებელი.

მაგრამ არსებითი ისაა, რომ თანამედროვე საქართველოში მასწავლებლის მომზადების ამოცანა ძალზე რთულდება, რადგანაც სახელმწიფოში ბოლო ორი ათეული წლის არასწორმა და ეროვნული თვალსაზრისით მავნებელურმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ ეს ამოცანა უაღრესად პრობლემური გახადა და ჩიხშიც მოამწყვდია.

მასწავლებელი და მოსწავლე ერთმთლიანია და განუყოფელი, ისინი მუდმივად და უწყვეტად ასწავლიან ერთმანეთს. ყოველი მასწავლებელი სიცოცხლის ბოლომდე მოსწავლედ რჩება, და იგი ერის დიდებისა და მარადიულობის მდინარების ჯაჭვის ერთი რგოლია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **მასწავლებელი ზესაზოგადობრივი მოვლენაა. იგი უწყვედადა დარწმუნებული ყოველი მოსწავლის უსაზღვრო შესაძლებლობებში, სჯერა, რომ მოსწავლე თავის თავში ატარებს საკუთარ გზას, საკუთარ მისიას; და სწორედ ეს რწმენაა მასწავლებლის ოპტიმისტური და შემოქმედებითი საქმიანობის დაუღალავი ძალის დაუშრეტელი და ანკარა წყარო.**

მასწავლებელს არ სჭირდება **მოტივაცია**, რადგანაც მასწავლებლობა პროფესია კი არა, ცხოვრების რაგვარობაა, ეს – მასწავლებლის ცხოვრებაა თვითონ. მასწავლებლად მიდის (უფრო სწორად – უნდა მიდიოდეს) ის პიროვნება, რომელიც ბუნებითაა მოწოდებული ამისათვის, მასწავლებლობა ღვთაებრივი ნიჭია, ის ერის კელაპტარია, მას მოტივაცია კი არა, დაფასება და შრომის კარგი ანაზღაურება სჭირდება. ჭეშმარიტი მასწავლებელი მასწავლებლობას არც ერთ პროფესიაზე არ ცვლის. ვისაც მასწავლებლობაში მოტივაცია სჭირდება, ის მასწავლებლად არ ვარგა.

ჯერ-ჯერობით მასწავლებლის მიმართ, მის მომზადება-გადამზადებაში, მხოლოდ მოთხოვნებია ნაყენებული: უნდა ჩააბაროს გამოცდები, უნდა მიიღოს სერტიფიცირება და სხვ. გაურკვეველია, ვინ დაეხმარება მასწავლებელს, ვინ მივა მასთან სკოლაში, ვინ დაესწრება გაკვეთილებზე და უშუალოდ ვინ აღმოუჩენს თანადგომას კვალიფიკაციის ამაღლებაში.

მასწავლებლობა **კარიერა** არ არის. მასწავლებელი, მისი პროფესიული ზრდით, ერის ძლიერებას ამტკიცებს და არა საკუთარ კარიერას. მასწავლებელი ერის მსახურია, მისი მომავლის მჭედელი და არა – პროფესიული მუშაკი ან დასაქმებული მენტორი. ამიტომ

მასწავლებლის პროფესიული ზრდა და განვითარება თვითონ მასწავლებელს კი არა, მთელ ერს ესაჭიროება აუცილებლად. მასწავლებლის დახმარება ერის მოვალეობაა, რადგანაც ამით ერი საკუთარ მომავალს უზრუნველყოფს. ამით განსხვავდება მასწავლებელი ყველა პროფესიის ადამიანთაგან. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს მასწავლებლის კეთილდღეობაზე, სახელმწიფოს კარგი მასწავლებელი სჭირდება.

თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებში მეტად აქტუალურია მომავალი მასწავლებლის პროფესიონალური კომპეტენტურობის დონის ამაღლების პრობლემა. მაღალი კომპეტენტურობის მქონე მასწავლებელს უნდა შეეძლოს თავისუფალი და აქტიური აზროვნება, საგანმანათლებლო პროცესის მოდელირება, სწავლებისა და აღზრდის ახალი იდეებისა და ტექნოლოგიების დამოუკიდებელი გენერირება.

ამ მიზანს ემსახურება პედაგოგიურ-მეთოდოლოგიურ-ფსიქოლოგიური დისციპლინების სწავლება პედაგოგიურ და ე. წ. განათლების ფაკულტეტებზე. განსაკუთრებით ეს ეხება მათემატიკისა და მათემატიკის სწავლების მეთოდოლოგიას. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მათემატიკა არამც და არამც არ არის მშრალი მათემატიკური ფაქტების ერთობლიობა. მათემატიკა ის მშვენიერებაა, რომელიც სწორედ იმ ფაქტებს მიღმა იმალება. ბედნიერი ის კი არ არის, ვინც წამებაში და წვალებაში დაეუფლება მშრალ მათემატიკურ ფაქტებს, თუნდაც საკმაოდ მაღალ დონეზე, არამედ – ბედნიერია ის, ვინც იმ საოცარ და ჯადოქრულ მშვენიერებას თვითონ მიაგნებს თავისი ინტუიციით, შეიგრძნობს მის სურნელებას, დატკბება მისით. ის მშვენიერება აუცილებლად შეაცნობინებს მას მათემატიკურ ფაქტებს და ეს ფაქტები მისთვის უკვე აღარ იქნება მშრალი და მოსაწყენი. ასეთ შემთხვევაში თვით შემეცნებითი პროცესი იქნება მშვენიერი. მათემატიკა – შემოქმედება და ესთეტიკა გახდება თავად, ყოველი მათემატიკური დისკურსი პოემას დაემგვანება.

მათემატიკის სასწავლო-შემეცნებითი პროცესი მეთოდოლოგიურად გამართულია და ექვემდებარება ბუნებრივ მდინარებას, თუ იგი ორბუნებოვნებას ამჟღავნებს: ერთდროულად უნდა მოიცავდეს აღმოჩენით და გამოგონებით კომპონენტებს. საზოგადოდ, აღმოჩენასა და გამოგონებას შორის განსხვავება, პირველი შეხედვით, თითქოს თვალში საცემია. აღმოჩენა ეხება ისეთ საგანს, მოვლენას, კანონს, პროცესს, ცოცხალ არსებას, რომელიც მანამდე უკვე არსებობდა, მაგრამ არ იყო ცნობილი. მაგალითად, **კოლუმბმა** თუ **ამერიგო ვესპუჩიმ**, ევროპელთათვის აღმოაჩინა ამერიკა, მაგრამ ამერიკა არსებობდა ამის გარეშეც. **ფრანკლინმა** გამოიგონა მეხამრიდი და მანამდე მეხამრიდი არ არსებობდა. **გალვანიმ** და **ვოლტამ** აღმოაჩინეს ელექტრული დენის არსებობა, ხოლო **შილინგ ფონ კონშტადტმა**, **უიტსონმა**, **მორზემ** და **სხვებმა** აღმოაჩინეს ელექტრული ტელეგრაფები. გამოგონებასა და აღმოჩენას შორის განსხვავება მკაცრი არ არის, ნაკლებთვალსაჩინოა და ხშირად ეს ორი აქტი ერთმანეთს ემთხვევა. მაგალითისათვის **ბელის** ტელეფონიც კმარა. ფრანკლინის მიერ მეხამრიდის გამოგონება უშუალოდაა დაკავშირებული იმასთან, რომ მან აღმოაჩინა ელქეის ელექტრული ბუნება. **ტორიჩელიმ** შენიშნა, რომ ვერცხლისწყლიან ჭურჭელში ზემოდან დალუქული მილის ჩაშვებისას ვერცხლისწყალი მილში მაღლა იწევს გარკვეულ დონემდე. ეს აღმოჩენაა. ასეთი აღმოჩენის შემდეგ ტორიჩელიმ ბარომეტრი გამოიგონა. გამოდის, რომ აღმოჩენითი და გამოგონებითი პროცესები ერთი საერთო აზროვნებითი პროცესის ორი კომპონენტია, ერთმანეთთან უახლოესად დაკავშირებული, დიალექტიკურ ერთიანობაში მყოფი. გამოგონება არ არსებობს აღმოჩენის გარეშე.

ამ მხრივ ფილოსოფოსები უფრო შორს მიდიან. ისინი თვლიან, რომ აზროვნება წარმოადგენს უწყვეტ გამოგონებით პროცესს. **რიბო** გამოგონებას ხელოვნებაში და გამოგონებას მეცნიერებაში მხოლოდ კერძო შემთხვევებად თვლიდა. პრაქტიკულ ცხოვრებაში, – ამბობდა იგი, – მექანიკურ, სამხედრო, სანარმოო, კომერციულ, რელიგიურ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ინსტიტუტებში ადამიანურმა გონებამ გამოამჟღავნა იმდენივე წარმოსახვა, რამდენიც ნებისმიერ სხვა სფეროში. **ბერგსონის** აზრით, გამოგონებითა ძალისხმევამ, რომელიც ვლინდება ახლის შექმნისას ცხოვრების ყველა სფეროში, მხოლოდ კაცობრიობაში ჰპოვა საშუალება, რომ გაგრძელებულიყო ინდივიდების მიერ, რომლებსაც გონებასთან ერთად მინიჭებული აქვთ ინიციატივის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების უნარი. მართლაც, არა გვაქვს საფუძველი, განვაცხადოთ, რომ გამოგონების სხვადასხვა სახე იქმნება ერთნაირად. კარგად შენიშნა **პოლ სურიომ**, რომელიც აღნიშნავდა, რომ მხატვრულ და მეცნიერულ შემოქმედებას

შორის არსებობს ის განსხვავება, რომ ხელოვნება ფლობს დიდ თავისუფლებას, რადგანაც მხატვარი ხელმძღვანელობს მხოლოდ საკუთარი ფანტაზიით. ამ აზრით ხელოვნების ქმნილებები ჭეშმარიტი გამოგონებებია. **მოცარტისა და ბეთჰოვენის** სიმფონიები, **როსინის** ტრაგედიებიც კი, წმინდა სახის გამოგონებებია, გენიალური გამოგონებები. მეცნიერებაში ასეთი თავისუფლება არ არის, იქ თავისუფლება თავისებურია. შესანიშნავად ამბობდა **ერმიტი**, – ჩვენ მათემატიკაში უფრო მსახურები ვართ, ვიდრე ბატონებიო.

ყოველივე ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, რომ აღმოჩენასა და გამოგონებას – შემოქმედებითი საქმიანობის ამ ორ სახეს შორის არ არსებობს ანალოგიები. პირიქით, მათ შორის უამრავი ანალოგიაა.

სწორედ ამ ანალოგიებზე იყო საუბარი 1937 წელს პარიზის „სინთეზის ცენტრში“, სადაც შესანიშნავი მოხსენებები წაიკითხეს მეცნიერებისა და ხელოვნების კორიფეებმა. ექსპერიმენტულ მეცნიერებებში გამოგონებათა შესახებ ისაუბრეს ლუი დე ბროილიმა და ედმონდ ბაუერმა, ხოლო პოეზიაში გამოგონებათა შესახებ პოლ ვალერიმ გააკეთა ვრცელი მოხსენება.

გალაკტიონის მიერ შექმნილი პოეტური აბსტრაქტი:

„მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის

ქალწულებივით ხიდიდან ფენა“ –

ჭეშმარიტი გამოგონებაა, თანაც, – უბრწყინვალესი და უგენიალურესი გამოგონება.ჩ

მოსწავლე კი, სასწავლო მათემატიკური შემეცნებისას, მათემატიკური ამოცანების ამოხსნისას, განსაკუთრებით – ალგებრული გარდაქმნებისა და გეომეტრიული აგებებისას, უწყვეტად აკეთებს თავისებურ აღმოჩენებსაც და გამოგონებებსაც. და ისინი მოსწავლის ერთიანი მათემატიკური აზროვნების ურთიერთგანმაპირობებელი კომპონენტებია.

სასწავლო მათემატიკური შემეცნება დიალექტიკური პროცესია. ეს შემეცნება უწყვეტად მოძრაობს, იგი სიცოცხლითაა სავსე, ხალისიანია. ამასთან, სასწავლო პროცესში არსებობს მათემატიკური შემეცნების მოძრაობის ოთხი ფორმა:

- ერთი გრძნობადი სახეებიდან მეორეებისკენ (გრძნობადი შემეცნება);
- ერთი ცნებებიდან მეორეებისკენ (ლოგიკური შემეცნება);
- სახეებიდან ცნებებისკენ (გრძნობადისა და ლოგიკური შემეცნების ურთიერთქმედებები);
- ცნებებიდან სახეებისკენ (ლოგიკურისა და გრძნობადი შემეცნების ურთიერთქმედებები).

ამდენად, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებში კოგნიციურ უნართა განვითარებას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ „საშუალო“ ადამიანისათვის კოგნიციური უნარები ვითარდება თანდათანობით; მათი განვითარება იწყება დაბადებიდანვე, ან ოდნავ მოგვიანებით, და გრძელდება 20-22 წლის ასაკამდე, თუმცა, შესაძლოა, მიმდინარეობდეს სხვადასხვა ტემპით. ძალზე ძნელია სხვადასხვა უნართათვის აბსოლუტური სკალების ან მეტრიკების დადგენა და იმდენადვე ძნელია უნართა შედარება მათი განვითარების ტემპების მიხედვით, მაგრამ კოგნიციური განვითარების ტემპებში მნიშვნელოვან ინდივიდუალურ განსხვავებათა არსებობაში – ეჭვის შეტანა არ შეიძლება. ეს განსხვავებები ეხება როგორც ზოგად უნარებს, ისე სპეციალიზირებულს.

საზოგადოდ, მათემატიკის სწავლების მეთოდთა განიხილება ორი პოზიციიდან:

- პედაგოგიური,
- პედაგოგიკური.

პირველი პოზიციიდან დანახული იგი სასწავლო საგანს წარმოადგენს, მეორე პოზიციიდან კი — მეცნიერებას.

ჩვენს კონცეფციაში ეს საგანი, პირველი პოზიციის ინტერპრეტირებით, პედაგოგიურ ფაქულტეტზე ორი ფუნდამენტური ნაწილისაგან შემდგარი ერთი სასწავლო დისციპლინის შემადგენლობაში გვესახება. ეს ნაწილებია:

- **მათემატიკის დანყებითი კურსის მეცნიერული საფუძვლები,**
- **მათემატიკის დანყებითი კურსის სწავლების მეთოდთა.**

პედაგოგიურ პროცესში ამ დისციპლინის პირველი ნაწილი ვერ იარსებებს მეორის გარეშე და ვერც მეორე იარსებებს პირველის გარეშე. სწავლების ეფექტურობის მიღწევაში თითოეული მათგანი განაპირობებს მეორის არსებობასა და განვითარებას, ზემოქმედებს მის შინაარსსა და

მეთოდებზე. მეთოდიკურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ეს ორი ნაწილი ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ერთ სასწავლო დისციპლინაში გაერთიანებითა და სინთეზირებით ისინი ქმნიან ჰარმონიულ ერთიანობას. წინააღმდეგ შემთხვევაში სწავლების პროცესი სრულყოფილი ვერ იქნება.

საგანი „მათემატიკა“, რომელიც ამჟამად ისწავლება პედაგოგიურ ფაკულტეტზე, იწოდება სრულიად არასწორად. სიტყვა „მათემატიკა“ იმდენად ზოგადია, რომ ვერანაირად ვერ განსაზღვრავს სასწავლო საგნის შინაარსსა და მოცულობას, მით უმეტეს, ამ დისციპლინის სწავლების მიზნებს. მას უნდა ეწოდებოდეს **„მათემატიკის დანყებითი კურსის მეცნიერული საფუძვლები“** და მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი, სწორად განისაზღვროს მისი შინაარსი და მოცულობა, მისი სწავლების მიზნები, ამოცანები, მეთოდები. აქ ძირითადი და პრინციპული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმას, რომ ზემოხსენებული ორი სასწავლო საგნისაგან შემდგარი დისციპლინის შინაარსი უნდა იყოს ორიენტირებული სპეციალობაზე, ხოლო მათემატიკის დანყებითი კურსის მეცნიერული (თეორიული) საფუძვლების შინაარსი, მოცულობა, აგრეთვე, პედაგოგიურ (განათლების) ფაკულტეტზე მისი სწავლების მიზნები, ამოცანები, მეთოდები, საშუალებანი მკაცრად უნდა იყოს ორიენტირებული მათემატიკის დანყებითი კურსის სწავლების მეთოდიკაზე და ორივე დისციპლინის სწავლება, თავის მხრივ, ორიენტირებული იყოს სტუდენტზე, ორიენტირებული იყოს წინასწარ განსაზღვრულ საბოლოო შედეგებსა და მათ ინდიკატორებზე. ამის გამო, ფრიად მნიშვნელოვნად და მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ორივე საგანი სტუდენტებს ერთმა ლექტორმა წაუკითხოს. ორივე საგანში ერთმა პიროვნებამ უნდა დაწეროს სილაბუსები და ეს პიროვნება აუცილებლად მათემატიკის მეთოდისტი უნდა იყოს. ეს ორი საგანი სწავლების პროცესში ერთმანეთს ავსებს, ერთმანეთს განაპირობებს, რის გამოც ამ ორი საგნის სწავლება, მეთოდოლოგიური, მეთოდიკური, პედაგოგიკური თუ ფსიქოლოგიური თვალთ დახედვით, უნდა განიხილებოდეს ერთ პლანში. წინააღმდეგ შემთხვევაში, სწავლისა და სწავლების სასურველი შედეგები და მათი ინდიკატორები, შესაძლოა, მიუღწეველი აღმოჩნდეს.

ამ მიმართებით დღევანდელ საქართველოში უკიდურესად მძიმე მდგომარეობაა:

1. სკოლებში მასწავლებელთა შორის მოხდა პროფესიონალური აღრევა. ამის გამო, მონოდებით მასწავლებელი სკოლაში სანთლით საძებარი გახდა. შედეგად, გაქრა შემოქმედებითი პედაგოგიური ძიების სურვილი და მასწავლებლობა მხოლოდ ვიწრო პრაქტიკული საქმიანობით შემოიფარგლა. მიზეზი ამისა ორია:

- ეროვნული გამოცდების (გაუგებარია, რატომ ჰქვია ეროვნული) უკვე დამკვიდრებული არასწორი წესები და ორგანიზაცია, რომლის თანახმადაც აბიტურიენტი დაგროვილი ქულებით უმაღლესში შეიძლება მოხვდეს არა არჩეული სპეციალობით,
- კანონი განათლების შესახებ, რომლის თანახმადაც დანყებით სკოლაში მასწავლებლობა შეუძლია ნებისმიერი სპეციალობის ადამიანს.

2. შეიქმნა აზრი (და იგი წარმატებით ხორციელდება), რომ მასწავლებელი არ უნდა გადავტვირთოთ ისეთი თეორიებით, როგორცაა, მაგალითად, მათემატიკის სწავლების მეთოდიკა და სხვ., მით უმეტეს – მათემატიკის დანყებითი კურსის მეცნიერული საფუძვლები. ამის გამო, ფაქტობრივად უარყოფილია ყველაფერი, რაც ადრე შეუქმნია ქართველ ერს განათლების მთელ სისტემაში; სრულიად უგულვებლყოფილია ძველი მეთოდისტიკის აზრი და გამოცდილება.

3. მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა, რომ წინასწარ დაგეგმილი მიზნებისა და მათი ინდიკატორების სახით ყოველ სასწავლო საგანში მასწავლებელთათვის შეიქმნას კონკრეტული ტექნოლოგიები, ორიენტირებული წინასწარ დაგეგმილ შედეგებზე. ეს სულ მალე სრულად ჩაკლავს მასწავლებელთა შემოქმედებითობას და მასწავლებელი დაემგვანება წინასწარ დაპროგრამებულ რობოტს.

მოვიყვანოთ სწავლების მეთოდიკის აუცილებლობის ერთი მაგალითი.

მეორე კლასში ისწავლება თემა „რიცხვიდან სხვაობის გამოკლება“. ცხადია, აქ მიზანი იქნება ასეთი: გავაცნობიერებინოთ მოსწავლეს შემთხვევა: $a - (b - c)$. მეორე კლასში ბავშვი 7 წლისაა. ამ ასაკში **პიაჟეს** მიხედვით იწყება კონკრეტული ოპერაციების სტადია, **სპერის** მიხედვით დომინირებს თავის ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო. ბავშვის აზროვნება

თვალსაჩინო-ხატოვანია და აბსტრაქტულ-ლოგიკური მხოლოდ აწი იწყება. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი აზროვნებს თვალსაჩინო სახეებით, აზრობრივი ოპერირებები ხორციელდება მოცულობად-საგნობრივი მიმართებებით და ამიტომ მიზნის ინდიკატორებს შორის აუცილებლად უნდა გაერიოს შემდეგიც:

შეუძლია ამოცანის შედგენა რიცხვითი ფორმულით: $x = 5 - (12 - 9)$.

ასეთი ამოცანის შედგენის სწავლებაში მხოლოდ მეთოდიკა გვიშველის, და არა ინდიკატორების ჩამონათვალი.

4. უნივერსიტეტში მისაღებ ეროვნულ გამოცდებზე ან მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებზე რომ დავაყენოთ სამი წლის ბავშვი, ალბათობის თეორიის თანახმად ის 100 ქულიდან აუცილებლად (საშუალოდ) მოიპოვებს 25 ქულას, ისიც არაა გამორიცხული, რომ მიიღოს მინიმალური გამსვლელი ქულა, რის გამოც ჩასარიცხი იქნება უნივერსიტეტში. ეს – სასწაულებრივი პარადოქსული სიტუაციაა!

ყოველივე ამან, ჩვენის აზრით, წლების შემდეგ შესაძლოა გამოიწვიოს ქართველი ერის ხელოვნური ინტელექტუალური გაღატაკება.

მათემატიკის სწავლების მეთოდიკის, და ნებისმიერი სხვისაც, უარყოფა ძალიან ცუდ მომავალს გვიქადის. სწავლების მეთოდიკა თავის თავში აერთიანებს პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიას (და არამარტო), სასწავლო საგნის ნიაღში მათი მეცნიერული ინტეგრირებითა და სინთეზირებით, მათ ურთიერთპარამონიულობაში, იგი ეძიებს და სახავს მოსწავლის პიროვნული განვითარების ახალ გზებს, რაც ერის ნათელ მომავალს ემსახურება.

ახალი საგანმანათლებლო სტრატეგიის შინაარსს უნდა ქმნიდეს საქართველოს ყოველი მოქალაქის პიროვნული მომზადებულობის მაღალი დონის მიღწევის იდეები, ფორმები და მეთოდები. ეს დონე ისეთი უნდა იყოს, რომ მან ქვეყანას მისცეს საშუალება: შეინარჩუნოს თავისი ენა, თავისი კულტურა, ტერიტორიული მთლიანობა და სოციალური ერთიანობა, განავითაროს ერისა და საზოგადოების პოტენციალი მიმდინარე და მომავალი მოთხოვნების დონეზე.

საქართველოში განათლების განვითარების ეფექტური სტრატეგია შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგ პირობებში:

- თუ ჩამოყალიბდება ეფექტური ეროვნული სახელმწიფოებრივი საგანმანათლებლო პოლიტიკა.
- თუ შეიქმნება მოსწავლეების (სტუდენტების), მათი მშობლების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს პარტნიორობის გაძლიერების ახალი ფორმები.
- თუ გადავალთ განათლების მართვის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ ფორმაზე.

ჯემალ ჯინჯისაძე

დანყიბითი სკოლის მომავალი მასწავლებლის მომზადების საკითხისათვის რეზიუმე

მასწავლებლის პროფესიონალური მომზადების პროცესი ყოველთვის დიფერენცირებულია. ეს იმას ნიშნავს, რომ პროფესიონალურ ქმნადობაში მომავალი მასწავლებლის დახმარების გზები არ შეიძლება ერთნაირი იყოს. მასწავლებლის მომზადების გზები ძალზე მრავალფეროვანია. მასწავლებლის ქმნადობის პროცესი ყოველთვის წინააღმდეგობრივია. ამ პროცესში ერთმანეთს „ეჯახება“ მასწავლებლისადმი წაყენებული მოთხოვნები და მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობები, მასწავლებლის მისწრაფებები, სურვილები, ინტერესები და მისი საქმიანობის შედეგები, ამბიციები და ის უნარები, რომლებიც მათი რეალიზაციისთვისაა აუცილებელი. მაგრამ არსებითი ისაა, რომ თანამედროვე საქართველოში მასწავლებლის მომზადების ამოცანა ძალზე რთულდება, რადგანაც სახელმწიფოში ბოლო ორი ათეული წლის არასწორმა და ეროვნული თვალსაზრისით მავნებლურმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ ეს ამოცანა უაღრესად პრობლემური გახადა და ჩიხშიც მოამწყვდია. სტატიამი გამოსავლის ძიების ცდებია მოცემული.

ДЖЕМАЛ ДЖИНДЖИХАДЗЕ

К РАЗВИТИЮ МАТЕМАТИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЫ РЕЧИ УЧАЩИХСЯ

Резюме

Математическая культура речи, прежде всего, связана с понятием математической культуры, которая изоморфна понятию общей культуры. Математическая культура, как феномен, тесно связана с математическим языком, это одновременно и процесс, и результат оперирования математическими объектами. В свою очередь в процессе речевого мышления происходит внутренний процесс саморазвития мышления, речи и языка, поэтому в этом триединстве внутренние взаимоотношения создают полную эквивалентность, поскольку они характеризуются рефлексивностью, симметричностью и транзитивностью.

JEMAL JINJIKHADZE

FOR THE ISSUES ON PREPARATION OF FUTURE TEACHER OF ELEMENTARY EDUCATION

Abstract

The process of Teacher's professional preparation is always differentiated. It means that in professional activity the ways supporting the future teacher could not be similar. The ways of training the teachers are rather various. The process of teachers' preparation is always contradictory. In this process the demands stating before teachers and the abilities satisfying the demands are teacher's aspirations, wishes, interests and the results of his/her activities, ambitions and those skills, which are necessary for their realization. But the essential thing is that, in contemporary Georgia, the task of preparing the school teacher is rather complicated, because the incorrect and harmful national educational policy of our government during the last two decades made this task rather problematic and turned this problem into a deadlock. Thus, the article tries to convey the ways out and some solutions to the stated problems.



კონფერენციის მასალები

2013 წლის დეკემბერში გაიმართა საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კონფერენცია: „საქართველოში განათლების რეფორმირების მეცნიერული მართვის პრობლემები“. გთავაზობთ ამ კონფერენციის მონაწილეთა მოხსენებების თეზისებს:

პლენარულ სხდომაზე წაკითხული მოხსენებები

რევაზ ბალანჩივაძე

განათლების რეფორმის შუქ-ჩრდილები

1. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ განათლების რეფორმამ, რომლითაც ასე ყელყელაობდა ძველი ხელისუფლება, არაფერი სასიკეთო არ მოუტანა ჩვენს საგანმანათლებლო სისტემას. ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ, როგორც ჩანს, განათლების სამინისტროს არ ჰქონდა მეცნიერულად დასაბუთებული და სათანადოდ არგუმენტირებული განათლების კონცეფცია. ყოველშემთხვევაში, ის უცნობი იყო, როგორც პედაგოგიკის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტისათვის, ისე საქართველოს განათლების მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემიისათვის.

2. ერთადერთი, რაც ჩვენ პრესიდან ვიცოდით, ის იყო, რომ განათლების სამინისტრო ეყრდნობოდა განათლების უცხოელ ექსპერტებს, რომლებიც, როგორც შემდეგ გაირკვა, არსებითად განვითარებადი ქვეყნების განათლების საკითხებზე იყვნენ დასპეციალებულები. განიხილავდნენ რა როგორც განვითარებად ქვეყანას, მათ, ალბათ, არ იცოდნენ ჩვენი დიდი და სახელოვანი ტრადიციები განათლების სფეროში, არ იცოდნენ, რომ ჩვენ გვქონდა ფაზისის, გელათისა და იყალთოს აკადემიები, გვყავდნენ გრიგოლ ხანძთელი, გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელები, გიორგი ჭყონდიდელი, პეტრე იბერი და ბოლოსდაბოლოს, იაკობ გოგებაშვილი, მსოფლიო პედაგოგიური მეცნიერების კლასიკოსი.

3. როცა ამერიკიდან უკრიტიკოდ იღებდნენ განათლების სიახლეებს, განათლების რეფორმის ქართველმა მესვეურებმა, ალბათ, არ იცოდნენ, რომ ამერიკის საგანმანათლებლო სისტემა 49-ე ადგილზე იყო მსოფლიოში და რომ იგი თვითონ ამერიკელებმა დაახასიათეს როგორც ღრმა კრიზისში მყოფი. მათთვის ალბათ არც ამერიკის განათლების დეპარტამენტის განცხადება იყო ცნობილი, ამერიკაში განათლების მდგომარეობის გამო რომ გაკეთდა: ამერიკელი ერი საფრთხეშია!

4. ვთქვით, ამერიკაზე უზომოდ შეყვარებულები, ველოდით, რომ, იმის შემდეგ, რაც ჩავწვდებოდით ამერიკის სულს, განათლების სისტემაში შეიქმნებოდა სასიკეთო სიტუაცია, მაგრამ ახლა ხომ მაინც უნდ დავრწმუნდეთ და ვალიაროთ, რომ ამ რეფორმამ და მასზე დახარჯულმა მილიონებმა არაფერი სასიკეთო არ მოუტანა ჩვენს განათლების სისტემას.

5. მაინც რას ველოდით და რა მივიღეთ? ჩამოვთვალოთ: უნდა დამარცხებულიყო და ვერ დამარცხდა მასიური უნივერსიტეტი. უნდა ამაღლებულიყო და ვერ ამაღლდა სკოლაში დისციპლინა, უნდა გაზრდილიყო და ვერ გაიზარდა მასწავლებლის პრესტიჟი და ავტორიტეტი, უნდა გაუმჯობესებულიყო და ვერ გაუმჯობესდა მასწავლებლის სოციალური პირობები. უნდა გამყარებულიყო და ვერ გამყარდა ზნებრივი ღირებულებები, უნდა აღორძინებულიყო და ვერ აღორძინდა ეროვნული ცნობიერება. პირიქით, დაემცრო და დაკნინდა. ამის მიზეზი კი ის სახელმწიფო პოლიტიკა იყო, რომელსაც ძველი ხელისუფლება ატარებდა.

განათლების სახელმწიფო პოლიტიკის ნაკლია ისიც, რომ მეცნიერება/ფილოსოფია, ფსიქოლოგია, პედაგოგიკა/ მონყდა სკოლას. არადა, ბევრი პრობლემა, რომელსაც ქვემოთ ჩამოვთვლით, სწორედ მეცნიერებამ უნდა დანერგოს სკოლაში. ლაპარაკია განსხვავებულობაზე კულტურასა და ცივილიზაციას შორის, ახსნისა და გაგების მეთოდებს შორის, ადამიანსა და პიროვნებას შორის, სუბიექტურ და ობიექტურ გონს შორის ღირებულებათა იერარქიას შორის, ტექსტის ჰერმენევტიკული ანალიზის ცოდნაზე და ა.შ.

6. იზიარებდა რა გაეროს მასალებისა და მთელი რიგი საერთაშორისო დოკუმენტების სულისკვეთებას, რომლებშიაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პიროვნების უფლებათა ვისუფლებებს, ხოლო ეროვნება, ეროვნული ცნობიერება სიტყვიერადაც კი არ არის ნახსენები, ძველი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა ეროვნული ცნობიერების, ეროვნული თვითშეგნების დაკნინებისათვის /გავიხსენოთ პასპორტიდან მამის სახელისა და ეროვნების აღმნიშვნელი გრაფის ამოღება და მრავალი სხვა/.

7. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამერიკა ჩვენი მეგობარი და პარტნიორი ქვეყანაა. მაგრამ განა ამ პარტნიორი ქვეყნიდან ყველაფერი უნდა გადმოვიღოთ კარგიც და ცუდიც! არადა, ცუდი გაცილებით მეტი გადმოგვაქვს, ვიდრე-კარგი. გადმოგვაქვს ისეთი რამ, რაც სრულიად შეუფერებელია ჩვენი კულტურისათვის, ჩვენი ეროვნული ცნობიერებისათვის, ჩვენი მენტალობისათვის, ჩვენი მართლმადიდებლობისათვის, ჩვენი იდეოლოგიისათვის: „მაჟული, ენა, სარწმუნოება“.

8. მე, მგონი, ჩვენც ისევე უნდა მოვიქცეთ, როგორც იქცევა, მაგალითად, საფრანგეთი, რომელიც ერთგულად იცავს თავის კულტურულ ტრადიციებს და საგანმანათლებლო სისტემას. ჩვენი ძირძველი, უნიკალური და უმდიდრესი ქართული ეროვნული კულტურა, ჩვენი დიდი საგანმანათლებლო ტრადიციები გვაძლევს იმის საშუალებას, რომ არცერთ ქვეყანას არ მივსდით ბრმად, უკრიტიკოდ, სათანადო ანალიზის გარეშე. ჩვენ ხომ ფასდაუდებელი „ლექსი ვეფხისა და მოყმის“ შემქმნელი ხალხი ვართ. ჩვენ ხომ იმ დიდი ერის შვილები ვართ, რომელსაც მოყვასისადმი სიყვარული და თავგანწირვა „თამაშად და გვიჩანს მღერად“. ამიტომ შემომავსებს წინადადება და კონფერენციის მონაწილეებს ვთხოვ მხარდაჭერას - იმისათვის,

რომ ქართულმა პედაგოგიკამ მთელ მსოფლიოს დაანახოს ჩვენი უნიკალური მიღწევები როგორც სახალხო /ხაზს ვუსვამ: სახალხო/, ისე მეცნიერულ პედაგოგიკაში, შევქმნათ ვახტანგ V1 „სწავლულ კაცთა კომისიის“ მსგავსი მეცნიერთა სოლიდური ჯგუფი და დავეწროთ ნაშრომი: „ქართული პედაგოგიკა“, რომელიც, დარწმუნებული ვარ, სასიამოვნოდ განაცვიფრებს და ქართული კაცთმოყვარეობისა და ჰუმანიზმის იგავიუნვდომელ სიმაღლეებს დაანახვებს მთელ მსოფლიოს.



თამაზ კარანაძე

პედაგოგიკა - განათლების სრულყოფის საფუძველი

პიროვნების აღზრდა, სწავლება და განვითარება, როგორც უმნიშვნელოვანესი სოციალური პრობლემა, მეცნიერებათაშორისი კვლევის მთავარი ობიექტია. აღზრდის ხელოვნების საკითხებს ეხებიან ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ეკონომიკა და ა. შ., მაგრამ ერთადერთი მეცნიერება, რომლის საგანი არის აღზრდა, პედაგოგიკაა, უფაქიზესი და ურთულესი მეცნიერება. მიხელ მონტენი წერდა: „ადამიანთა შემეცნება ყველაზე მეტ და მნიშვნელოვან სიძნელეებს მეცნიერებათა იმ ნაწილში აწყდება, რომელიც პიროვნების აღზრდას და სწავლას ეხება“. სწორედ ამ სიძნელეთა დაძლევის უპირველესი საშუალებაა პედაგოგიკა, მეცნიერება პიროვნების განვითარების კანონზომიერებათა შესახებ.

დღეს ჩვენს ქვეყანაში ამ მეცნიერებას მძიმე პერიოდი უდგას. ხდება მისი დაკნინება, იგნორირება. სამწუხაროდ, ამ მოვლენის მთავარ კატალიზატორად განათლების შესახებ მოქმედი კანონები და არასწორად დაგეგმილი გატარებული რეფორმა გვევლინება. ცოტას თუ სჯერა, რომ განათლების სისტემის მხოლოდ დირექტივებით, მოჩვენებითი და ზერეულე კვლევით, ტრადიციების უგულვებელყოფით, იმპორტირებული იდეოლოგია-ფასეულობებით გაჯერებული მოქმედებით შორს ვერ წავალთ.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერული პედაგოგიკა, როგორც სასწავლო დისციპლინა, სულს ღაფავს. აღარ მზადდება კადრები საშუალო სკოლებისათვის, აღარ ფიგურირებს პედაგოგიკის ერთ-ერთი ნამყვანი დარგი - საგნის სწავლების მეთოდიკა. არავინ ფიქრობს იმაზე, რომ მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთი საშუალება მძლავრი პედაგოგიური უნივერსიტეტის აღდგენაა, რაც ქვეყანას დაეხმარება იმაში, რომ პედაგოგიკის მეცნიერებამ, მასწავლებელმა საზოგადოებაში დაიბრუნოს კუთვნილი ღირსეული ადგილი.

პედაგოგიკის მეცნიერების ბედი, პირველ რიგში, სკოლის ყოველდღიურობაზე აისახება. ტრადიციული პედაგოგიკის ხელაღებით უგულვებელყოფამ, უცხოური გამოცდილების უკრიტიკოდ გადმოტანამ, გააღარიბა და ნირი უცვალა ეროვნულ მენტალიტეტს, ცხოვრების წესს. ამ პრობლემას დამატებული მძიმე სოციალური ფონი გამოუსწორებელ დარტყმას აყენებს ქართულ სოფელს. ე. წ. ოპტიმიზაციამ შეინირა ასობით სკოლა. ისედაც დაცარიელებული სოფლის მოსახლეობამ საბოლოოდ იბრუნა პირი ქალაქისკენ. გადაიკეტა ის ძარღვი ეროვნული თვითმყოფადობისა, რომლის საფუძველსაც სოფელი წარმოადგენდა. უკაცრიელი ფშავ-ხევსურეთი, სვანეთი და დემოგრაფიული კრიზისში მყოფი სხვა რეგიონები მომავლის მძიმე ყოფისაკენ მიგვაქანებს.

საერთო სატკივარმა ჩიხში შეიყვანა მომავალ მკვლევარ-მეცნიერთა აღზრდის პრობლემა. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს დოქტორანტურის ინსტიტუტი, ხარისხის მინიჭების წესები და კრიტერიუმები. დოქტორის ხარისხის მაძიებლებს მიზნის მიღწევა ისე შეუძლიათ, არავინ ინტერესდება რა კავშირი აქვთ მათ პედაგოგიკის მეცნიერებასთან, პედაგოგიკის კლასიკოსთა შედეგებთან, ცოცხალ სასკოლო პრაქტიკასთან. ნებისმიერი სპეციალობის დამადასტურებელი დიპლომის წარმოდგენა და ინგლისური ენის ცოდნა წყვეტს საკითხს.



ირაკლი იმედაძე

ფსიქოლოგია და განათლება საქართველოში — ზოგიერთი პრობლემა

1. ფსიქოლოგია იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული განათლებასთან, რომ ბოლო დროს პედაგოგიკის ნაცვლად, განათლების ფსიქოლოგიის ცნებას მიმართავენ. ეს არაა მართებული, მაგრამ ისიც ნათელია, რომ სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესის აწყობა ფსიქოლოგიური ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია. ინტელექტუალურ (კოგნიტურ), ნებელობით, მორალურ განვითარებას თავისი კანონზომიერება აქვს და გარკვეულ საფეხურებს გაივლის. ამის გათვალისწინება სრულიად აუცილებელია, თუ გვინდა სწორად გადავწყვიტოთ კონკრეტული პედაგოგიური პრობლემები, დაწყებული იქიდან, როდის უნდა დავიწყოთ სკოლაში სწავლება, როგორ დავტვირთოთ ბავშვები... დამთავრებული იმით, რა და როგორ უნდა ვასწავლოთ, როგორ წარვმართოთ ზნეობრივი აღზრდა და ა.შ. ამის გასარკვევად ფუნდამენტური ფსიქოლოგიური კვლევაა საჭირო, ხოლო ამისთვის კი - სულ ცოტა ფსიქოლოგიის ინსტიტუტი.

2. ქართულ სკოლაში ფსიქოლოგია საერთოდ არ ისწავლება. ეს სრულიად დაუშვებელია, რადგან ფსიქოლოგია ერთ-ერთი ფუნდამენტური მეცნიერებაა, რომელიც რეალობის მთელ პლასტს - სულიერ სამყაროს შეისწავლის და ამდენად, სულიერი ქმედების ნაყოფის — კულტურის — შემსწავლელ სოციალურ-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საფუძველია. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ამ რეალობის მიმართ ბავშვები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ. თუ მართლაც ყოველმხრივ განათლებაზე ვზრუნავთ, აუცილებელია ფსიქოლოგიის, როგორც სავალდებულო საგნის სწავლების შემოღება ჩვენ სკოლაში.

3. ქართული სკოლა დარჩენილია, აგრეთვე სკოლის ფსიქოლოგიის გარეშე. კულტურული ქვეყნისთვის ასეთი რამ დაუშვებელია. აუცილებელია სრულყოფილი სასკოლო ფსიქოლოგიური სამსახურის სისტემის ჩამოყალიბება. მთელი ამ სისტემის დანერგვა რიგი თეორიული, მეთოდური და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტას მოითხოვს. არსებობს ამ სისტემის ორგანიზების გეგმის მონახაზი, აგრეთვე სკოლის ფსიქოლოგიის სამუშაოს აღწერილობა. ჯერ კიდევ საჭირო პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზეა.



ავთანდილ ასათიანი

პედაგოგიური მეცნიერება და უმაღლესი სკოლა

საუკუნეების განმავლობაში ცალკეული უმაღლესი სასწავლებლების მუშაობა ავტორიტეტულ მეცნიერთა დამსახურებას და მათ პედაგოგიურ მსოფლმხედველობას ეფუძვნებოდა. ამასთან ერთად, რაკი უმაღლეს განათლებას მხოლოდ ერთეულები ეუფლებდნენ, ამიტომ პედაგოგიკის მეცნიერების ინტერესის საგანი ვერ გახდა უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე პროცესები. ამ პრობლემებით პედაგოგიკის მეცნიერება მას შემდეგ დაინტერესდა, როცა უმაღლესმა განათლებამ მასობრივი ხასიათი შეიძინა, რასაც შედეგად მოჰყვა პედაგოგიკის მეცნიერებათა სისტემაში კიდევ ერთი დარგის — უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის აღმოცენება, რომელიც მოწოდებულია მეცნიერულად შეისწავლოს უმაღლესი სკოლის პრობლემატიკა.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების შინაარსი, მიმართულება და დინამიკა მრავალ არასახარბიელო კითხვას ბადებს, რომელზეც არ არსებობს მეცნიერულად დასაბუთებული არგუმენტები. სამწუხაროდ წლების განმავლობაში რეფორმის მესვეურები ყველა კრიტიკულ შეკითხვაზე დასავლეთის ქვეყნების ანალოგიებით

იმართლებდნენ თავს, რაც არადადამაჯერებელია. არადა ისეთ ქვეყანას, რომელსაც ბოლონის უნივერსიტეტის ტოლ—სწორი გელათის აკადემია ჰქონდა, მხოლოდ მიმბაძველობით არ უნდა კმაყოფილდებოდეს. კარგია ცივილიზებული მსოფლიოს გამოცდილების გაზიარება, მაგრამ ნებისმიერმა რეფორმამ ეროვნული საგანმანათლებლო ტრადიცია უნდა გაითვალისწინოს.

სამწუხაროდ განათლების რეფორმის შედეგებიდან საიმედო ბევრი არაფერია: მასობრივი უმაღლესი განათლების შედეგად მზადდება ინფორმირებული ფუნქციონერი და არა მცოდნე სპეციალისტი. უნივერსიტეტის ამოცანა აღარ არის სტუდენტის, მოქალაქის აღზრდა, მისი სოციალიზაცია და იგი კონფორმიზმის ჩარჩოებში მოქცეული ფუნქციონერი მენეჯერის მომზადებით ამოიწურება. შესაცვლელია არსებული მიდგომები საგანმანათლებლო პროგრამებთან, სწავლების ორგანიზაციის ფორმებთან და მეთოდებთან. ძირეულ ცვლილებებს მოითხოვს საგანთა სწავლების მეთოდოლოგია, რაც სამწუხაროდ იგნორირებულია ჩვენს უმაღლეს სკოლებში.

კვლავ საჭირობოტო პრობლემად რჩება აკადემიური პერსონალის პედაგოგიური მომზადება. იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში სადოქტორო პროგრამებზე ისწავლება უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის (სწავლების თანამედროვე მეთოდების) მოკლე კურსი, არსებულ ვითარებას ვერ ცვლის. საჭიროდ მიგვაჩნია მოქმედმა აკადემიურმა პერსონალმა პერიოდულად გაიარონ უმაღლესი სკოლის პედაგოგიკისა და მეთოდოლოგიის სასწავლო კურსები.

ცვლილებებია გასატარებელი აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის წესში. ამ თვალსაზრისით საინტერესო პროექტი წარმოადგინეს მეცნიერთა ჯგუფმა პროფ. გ. დვალის ხელმძღვანელობით, თუმცა აღნიშნული პროექტიც არ იყო უნაკლო, რატომღაც მასზე მსჯელობა მოულოდნელად შეწყდა. არადა გადანყვეტილება მისაღებია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ არსებულმა რეფორმამ პროფესორი ფინანსურად სტუდენტზე დამოკიდებული გახადა, რაც მრავალი მანკიერების საფუძველია. ასევე მოსაწესრიგებელია აკადემიური ხარისხების მინიჭების წესიც.

არაფერი არ უკავშირდება მომავლს ისე, როგორც პედაგოგიკა. რეფორმებიც ხომ იმისთვის ტარდება, რომ არსებული მდგომარეობა უკეთესით შეიცვალოს. ამიტომ კატეგორიულად მიუღებელია ამ საქმეში პედაგოგიკის სფეროში დაგროვილი ცოდნის გაუთვალისწინებლობა. ახლაც და მომავალშიც განათლების რეფორმები მეცნიერული უზრუნველყოფის გარეშე ვერ განხორციელდება, სწორედ ამისთვის არის მოწოდებული პედაგოგიკის მეცნიერებათა სისტემის ერთ—ერთი დარგი — უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, რომელიც აუცილებლად უნდა ჩადგეს უმაღლესი განათლების სამსახურში.



ბია გვარამია

ინფორმაცია საგანმანათლებლო სფეროში

ბავშვები იზრდებიან განსხვავებული თამაშების, სათამაშოების და ცოდნის დაუფლების შესაძლებლობების გარემოცვაში. ისინი მოდიან სკოლაში განსხვავებული განწყობებით, უნარებითა და მოლოდინებით.

დროსთან ერთად იცვლება განათლების შინაარსი, ცვლილებები მიმდინარეობს საგანმანათლებლო ტექნოლოგიებში. იზრდება ცოდნის მოცულობა, ამავე დროს ვითარდება სწავლების საშუალებები, თანამედროვე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

დღეს საქართველოს სკოლებში მწვავედ დგას სწავლების ხარისხის ამაღლების საკითხი. ეს პრობლემა მრავალმხრივი და რთულია. ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვას შეუძლია არსებითი წვლილის შეტანა მისი გადანყვეტის საქმეში.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ამჟამად სკოლებში სავალდებულო საგნად გათვალისწინებულია "ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების" (საოფისე პროგრამების ფარგლებში) სწავლება მხოლოდ მე-5 და მე-6 კლასებში.

დღეისათვის ინფორმატიკა, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების "დედა ენა", სკოლაში სავალდებულო საგნად აღარ ფიგურირებს (ისწავლებოდა 1985 წლიდან). ჩვენი აზრით, საგნის — ინფორმატიკის — ამოღება სავალდებულო პროგრამიდან გაუმართლებელია.

ინფორმატიკის ცალკე საგნად სკოლაში სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეებში ზოგადსასწავლო უნარებისა და ჩვევების ფორმირებას. ინფორმატიკის ძირითადი ცნებების პრობლემეტიკული შესწავლა უზრუნველყოფს ისეთი ზოგადმეცნიერული ცნებების მიზანმიმართულ ფორმირებას, როგორცაა "ობიექტი", "სისტემა", "მოდელი", "ალგორითმი" "შემსრულებელი" და სხვა. ამ ცნებების დაუფლება და მათი შეგნებული გამოყენება მოსწავლეებს დაეხმარება სასკოლო დისციპლინების შესწავლისას. ამასთან ერთად მოსწავლეებს უყალიბებს ინფორმაციის თვისებების შესახებ საწყის წარმოდგენებს, შემეცნებით და პრაქტიკულ საქმიანობაში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევებს, უნვითარებს ანალიზის, სამოქმედო გეგმების შემუშავების და ლოგიკური დასკვნების უნარებს.

მეცნიერების მიერ პოსტულირებულია, რომ ინფორმატიკა სკოლის ყოველ სასწავლო დისციპლინას სთავაზობს ფრიად სრულყოფილ ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს, უფრო ღრმად და ეფექტურად გახსნას თავისი საგნის არსი მოსწავლეთა წინაშე. ამასთან, ვერ დასახელდება ვერც ერთი სასკოლო საგანი, რომელშიც ინფორმატიკის აპარატი უსარგებლო აღმოჩნდება. მოსწავლისთვის სასკოლო ინფორმატიკა არის არა დამატებითი დატვირთვა, არამედ მისი ზედმეტი დატვირთვის შემცირების, სკოლის პროგრამის შემცირებისა და შემჭიდროვების უმნიშვნელოვანესი საშუალება.

სკოლის საბაზო საფეხურზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია სავალდებულო საგნად ინფორმატიკის საფუძვლების შემოტანა. ჩვენი აზრით, თანამედროვე მოთხოვნების თვალსაზრისით, მოსწავლეები საბაზო საფეხურის დამთავრების შემდეგ უნდა ფლობდნენ ინფორმატიკის საბაზისო ცნებებსა და უნარ-ჩვევებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმატიკის, როგორც სავალდებულო საგნის სწავლებამ დიდი როლი შეასრულა საქართველოს მოსწავლეთა შორის კომპიუტერული წიგნიერების გავრცელების საქმეში. გაიზარდა ნიჭიერ მოსწავლეთა მთელი თაობა, რომლის საუკეთესო წარმომადგენლებმა პროგრამირებაში მოსწავლეთა მსოფლიო ოლიმპიადებზე ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს.



ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის სექცია

კონსტანტინე რამიშვილი

უნყვეტი განათლების კონცეფციისა და მისი რეალიზაციის საკითხისათვის საქართველოში

ჯერ კიდევ 1972 წელს იუნესკოს III საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა უწყვეტი განათლების პრობლემებს, გამოითქვა აზრი, რომ იგი იქცევა განათლების სახელმძღვანელო კონცეფციად მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. წამყვანი სპეციალისტების, თეორეტიკოსების: რ. დავე (ინგლისი), დ. კიდი (კანადა), პ. ლანდჟევანი (საფრანგეთი), კ. ჯესუპი (აშშ), ა. დარინსკი (რუსეთი) და სხვ. დასკვნა ერთმნიშვნელოვანია - უწყვეტი განათლება მონოდედებულია განათლების სფეროში არსებული ყველა რესურსის გაერთიანებისაკენ და უნდა ემსახუროდეს პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას და საზოგადოების გარდაქმნის პროგრესს.

შემდგომ წლებში რეგიონების ეკონომიკური გარდაქმნების საფუძველზე, შრომის შინაარსის პროგრესული ტენდენციების გათვალისწინებით, მისი შემოქმედებითი ორიენ-

ტაციის, პროფესიონალური მოქნილობის, კადრების მობილურობის, ეროვნული კულტურისა და ტრადიციების გათვალისწინებით მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ჩამოყალიბდა უწყვეტი განათლების სისტემები.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით გასული საუკუნის 70-90-იან წლებში ქართველი თეორეტიკოს - სპეციალისტების (ს. ბაკურაძე, გ. მიმინოშვილი, ს. აბდალაძე, კ. რამიშვილი და სხვ.) მიერ შემუშავდა საქართველოშიც უწყვეტი განათლების განსავითარებელი რეკომენდაციები. მათ შორის მთავარი პრინციპებია:

- ჰუმანური ხასიათი;
- დემოკრატიზმი (თანასწორობის მისაწვდომი);
- ინტეგრაცია (ფორმალური თუ არაფორმალური საგანმანათლებლო სტრუქტურებისა);
- მოქნილობა (სასწავლო გეგმებისა და პროგრამებისა, სასწავლო პროცესის ალტერნატიულობის ორგანიზება);
- რელევანტურობა (კავშირი პიროვნების ცხოვრებასთან, მის პროფესიონალურ და სოციალურ მოღვაწეობასთან);
- განსაკუთრებით ხაზგასმული იყო განათლების ყველა სფეროში მემკვიდრეობითობის მნიშვნელობა (დანყებული სკოლამდელი აღზრდიდან, დამთავრებული უმაღლესი განათლებით და კვალიფიკაციის ამაღლების ყველა ფორმით).

სამწუხაროდ, 90-იანი წლების ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოში მიმდინარე მოვლენებმა ხელი შეუშალეს უწყვეტი განათლების რეალურად შემოღებას, ხოლო განათლების რეფორმების შესახებ ფუძემდებელი დოკუმენტი შექმნილი იყო უწყვეტი განათლების კონტექსტის გარეშე, რაც მათ დიდ ნაკლად მიგვაჩნია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასთან ერთად, მეცნიერთა მიერ მიღებული დასკვნებისა და ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწრაფოდ უნდა შეიმუშაოს უწყვეტი განათლების განვითარების კონცეფცია. ამასთანავე, ეს უნდა ეფუძნებოდეს ევროცენტრისა და ევროპული ასოციაციის მიერ მოცემულ რეკომენდაციებს განათლებისა და თავისუფალი დროის, მოზრდილთა განათლების შესახებ.

აუცილებელია ჟურნალ "უწყვეტი განათლების" გამოცემა, რომლის ფურცლებზეც გაშუქდება ინოვაციური მიღწევები და სხვადასხვა პროგრესული იდეები აღნიშნული პრობლემის შესახებ.



მალსაზ ბაძალუა

განათლების რეფორმა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მანდატურის სამსახურის პერსპექტივა

მანდატური (ლათ. mandaturus) ხელჯოხიანი, საპოლიციო-ადმინისტრაციული აპარატის დაბალი მოხელე ფეოდალურ საქართველოში. ტერმინი „მანდატური“ ქართულ ისტორიულ წყაროებში XI საუკუნიდან გვხვდება. მანდატურები მანდატურთუხუცესს ექვემდებარებოდნენ. მათ ევალებოდათ სავაზირო შენობების დაცვა სხდომების დროს, საპატიო მგზავრის გაყოლა, სამეფო ზვრების სამუშაოთა ხელმძღვანელობა და სხვა. მანდატური თავი სამოხელეო ნიშანს - არგანს ატარებდა.

თანამედროვე საქართველოში არსებობს მანდატურის სამსახურის, რამოდენიმე სახის მანდატურის სამსახურები: საქართველო პარლამენტის აპარატში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და სასამართლოს მანდატური.

საქართველოს პარლამენტის აპარატის მანდატურის სამსახურის მიზანია პარლამენტის სასახლეში პარლამენტის პლენარული და კომიტეტების სხდომების მიმდინარეობებისას

დარბაზში და მის გარე პერიმეტრზე წესრიგის დაცვა. სამსახურს ხელმძღვანელობს მანდატურთუხუცესი. სამსახურის მუშაკები ატარებენ განმასხვავებელ სამკერდე ნიშანს.

სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს მოსამართლეების, სასამართლოს პროცესის მონაწილეებისა და მოწმეების უსაფრთხოებას. ახორციელებს წესრიგის დაცვას როგორც სასამართლოში ისე იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. იცავს სასამართლოს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობებს. სასამართლოს მანდატურს უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური ძალა, სპეციალური საშუალებები და იარაღი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. სასამართლოს მანდატური სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ატარებს ფორმას და სამკერდე ნიშანს.

არასრულწლოვანთან მართლმსაჯულების სტრატეგიის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აგვისტოს № 74/ნ ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის“ დებულება, რომლის ამოცანაა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

მანდატურის სამსახურის მიზანია:

- საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლე/სტუდენტთა ჯანმრთელობისათვის და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მიმდებარე ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების, აგრეთვე ნარკოტიკული დანაშაულის აღმოფხვრა;
- მოზარდ მოსწავლეთა შორის ურთიერთდაპირისპირების აღმოფხვრა;
- საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე მოსწავლეთა/სტუდენტთა მიერ ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის ტარება, ალკოჰოლური და ნარკოტიკული საშუალებების გავრცელების აღმოფხვრა.

აღნიშნული მიზნების მისახნვეად, მანდატურის სამსახურმა უნდა განახორციელოს შემდეგი: აკონტროლოს შიდა და გარე პერიმეტრი, უზრუნველყოს მომხდარ და გამოვლენილ სამართალდარღვევებზე რეაგირება, მისი აღკვეთა და სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება, უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებამოსილი პირების თხოვნით, სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობა, მათთან ინდივიდუალური გასაუბრება, მათ ქცევაზე დაკვირვება და მათი კონტროლი, უზრუნველყოს მოსწავლეებისათვის მანდატურის ინსტიტუტის კომპეტენციის მიკუთვნებულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება, საგანგებო სიტუაციებში ტერიტორიაზე და შენობა-ნაგებობებში მყოფ პირთა დაცვა და საევაკუაციო სამუშაოების ხელშეწყობა, კომფლიქტური სიტუაციების გამოვლენა და მათი მოგვარება, დაიცვას წესრიგი და დისციპლინა.

2010 წლის 15 აპრილიდან, მანდატურები თბილისის შვიდ საპილოტე საჯარო სკოლაში შევიდნენ და თავიანთი მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ. ეს სკოლებია: 1 ექსპერიმენტული, მე-11, 23-ე, 24-ე, 51-ე, 52-ე, 117-ე. ეტაპობრივად მანდატურის სამსახურის ინსტიტუტი ამოქმედდა საქართველოს ყველა ქალაქის საჯარო სკოლაში. მანდატურების შესვლამ საჯარო სკოლებში ძალადობის და დისციპლინარული დარღვევით ფაქტები მნიშვნელოვნად შეამცირა. მანდატურები უსაფრთხო სკოლის პროგრამის ფარგლებში გადამზადდნენ და სრულად ფლობენ იმ უნარ-ჩვევებს, რაც დაეხმარებათ სკოლებში კონფლიქტების მართვის, დანაშაულის პრევენციის და ბავშვებისთვის ყველა სახის დახმარების განევის უზრუნველყოფაში. მანდატურს სადამსჯელო ღონისძიებების განახორციელება ეკრძალებათ და ვალდებულნი არიან მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე იზრუნონ. სკოლის მანდატურები საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილ, საგანგებოდ მათთვის გამოყოფილ ოთახებში განთავსდნენ, აქვთ სპეციალური ფორმა და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები.

სკოლის მანდატურის შემოღებამ საქართველოს მოსახლეობაში გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა, საჭირო იყო თუ არა ეს ინსტიტუტი. რეალურად, ბოლო პერიოდში (მანდატურის სამსახურის შემოღებამდე) სკოლები და სასწავლო დაწესებულებები არავინ იცავდა დისციპლინას, შინაგანაწესს თუ მოსწავლის ეთიკის კოდექსს. გაკვეთილებზე დაგვიანებას, თუ არასაპატიო გაცდენებმა, არასრულწლოვნებს შორის დანაშაულის ზრდამ. მანდატურის შესვლამ

სკოლებში ბევრი რამ შეცვალა. სკოლებში შემცირდა დანაშაული. მაგრამ თავი იჩინა სხვა სახის პრობლემამ, მანდატურები უხეშად ერეოდნენ სკოლის ადმინისტრაციის და პედაგოგების საქმიანობაში.

2013 წლის დასაწყისში მანდატურის სამსახურის ბაზაზე შეიქმნა ფსიქო-სოციალური სამსახური. ფსიქოლოგიური ცენტრის ფუნქციაა ემოციური და ქცევითი დარღვევების მქონე სკოლის მოსწავლეების (6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების) ფსიქო-სოციალური დახმარება. სამსახურის მულტიდისციპლინარული ჯგუფი შედგება ფსიქოლოგების, ბავშვთა ფსიქიატრებისა და სოციალური მუშაკებისგან. ფსიქო-სოციალური მომსახურების განვლა მოიცავს რამდენიმე მიმართულებით მუშაობას: ფსიქოლოგის და ფსიქიატრის მიერ ფსიქიკური, ქცევითი და ემოციური პრობლემის იდენტიფიკაციას, ფსიქო-კორექციას, ფსიქოთერაპიას და პარალელურად სოციალური მუშაკის მიერ გარეგანი ფაქტორების დადგენას და მოგვარებას. ცენტრის მულტიდისციპლინარული ჯგუფი მუშაობს ბავშვებთან, მათ მშობლებთან, სკოლის მანდატურებთან, საჭიროების შემთხვევაში ასევე მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან.

მანდატურის სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი არის თითოეული ქცევითი, ემოციური, კომუნიკაციის პრობლემების მქონე მოსწავლის რესოციალიზაცია და ძალადობის, დევიანტური და დელიქვენტური ქცევების პრევენცია.

- 2014 წლიდან მანდატურის სამსახურში მოხდება რეორგანიზაცია, რის შედეგადაც მანდატურის გადაექმევა სახელი და გახდება მანდატურს დაერქმევა ბავშვთა დაცვის ოფიცერი (ბდო) რომელიც იზრუნებს სკოლის მოსწავლის როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ უსაფრთხოებაზე. ბდო-ს ფუნქციაში შევა:
- სკოლის მოსწავლეების ემოციური და ქცევითი, კომუნიკაციის, ფსიქიკური დარღვევებთან დაკავშირებული პრობლემის, ძალადობის დანახვა და იდენტიფიცირება;
- მცირე კონფლიქტების მოგვარება და მედიაცია (მოსწავლეებს, მასწავლებლებს, მშობლებს შორის);
- რთული კონფლიქტების, ემოციური და ქცევითი პრობლემების, ძალადობის იდენტიფიცირების შემდეგ ფსიქოლოგიურ ცენტრში და საჭიროების შემთხვევაში სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში რეფერირება.

მანდატურების ფუნქციაში შედის მხოლოდ სკოლის ტერიტორიის კონტროლი. ბდო-ს შეძლებს სკოლის ტერიტორიის გარეთ ბავშვებზე თვალსაჩინო ძალადობის და კონფლიქტის შემთხვევას და რეგულირებას. ასევე მოსწავლის თხოვნით, ან ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციაზე დაყრდნობით და საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში ბდო-ს ფსიქოლოგიური ცენტრთან კონსულტაციის შემდეგ მოსწავლის საცხოვრებელ ადგილზე მისვლა შეეძლება.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მანდატურის თუ ბავშვთა დაცვის ოფიცრის შესვლით რიგი საკითხების გადაჭრა მოხდება, მაგრამ ეს პიროვნებები აუცილებლად უნდა ფლობდნენ იმ პედაგოგიურ გამოცდილებას, რაც საჭიროა სკოლის მოსწავლეებისთვის. სკოლის პედაგოგი ზრუნავს ბავშვის ჩამოყალიბებაზე და მის განვითარება/განათლებაზე, ხოლო ბავშვთა დაცვის ოფიცერი უნდა ზრუნავდეს არა მხოლოდ მის ფსიქოლოგიურად აღზრდაზე არამედ უყურებდეს ან აფასებდეს როგორც აღზრდელი. ზრუნავდეს მოსწავლის აღზრდაზე, ფსიქოლოგიურ განვითარებაზე, უნდა ჰქონდეს სპეციალური პედაგოგიური მიდგომები.



დავით მაღაზონია

ახალი მასალის გადაცემის სტრატეგიები ისტორიის გაკვეთილზე

მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა გულისხმობს ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, როდესაც უზრუნველყოფილი იქნება თითოეული აღსაზრდელის ინდივიდუალური უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება. ამ მოთხოვნის განხორციელება ურთულესი

ამოცანაა. რადიკალურად იცვლება ტრადიციული გაკვეთილის სტრუქტურა - ახლა სასწავლო (საგაკვეთილო) პროცესი მოსწავლის აქტიურობაზე, მის ჩართულობაზეა ორიენტირებული.

შეიძლება თუ არა ე. წ. „ტრადიციული გაკვეთილი“ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი მივიღოთ? ჩვენი აზრით, არა. რადგან, „ტრადიციული გაკვეთილის“ ძირითად ხარვეზად ჩვენ მოსწავლეთა პასიურობა წარმოგვიდგენია, რასაც მოსწავლეობის მიერ ახალი მასალის ახსნა განაპირობებს. ახსნით გაკვეთილს სხვა ნაკლოვანებებიც აქვს. პირველ რიგში ის, რომ მოსწავლეებს მზამზარეულად მიეწოდებათ (განემარტებათ) ახალ საკითხთან (ცოდნასთან) დაკავშირებული ძირითადი პრობლემა (პრობლემები), მისი გადაჭრის გზები, მოვლენათა მსვლელობა და მათი განვითარების ტენდენციები /პერსპექტივები, წინასწარ შემუშავებული შეფასებები და დამოკიდებულებები.

ახსნითი გაკვეთილის ერთადერთ ალტერნატივას წარმოადგენს მოსწავლეების აქტიურიართვა უშუალოდ ახალ მასალაზე მუშაობის პროცესში. როგორ მოვახერხოთ ეს? პრობლემა საკმაოდ რთულად დასაძლევია, რადგან ასეთი მიდგომა მოითხოვს: მასწავლებლის მაღალ კვალიფიკაციას (სწავლების აქტიური, პროდუქტიული მეთოდების ფლობას), გაკვეთილის ზუსტ დაგეგმვას და დროის ეფექტურ განაწილებას, მოსწავლეთა მაღალ მოტივაციას (რათა მათ მსმენელების როლის მაგიერ ახალი — ცოდნის “შექმნელების” როლი გაითავისონ) და აქტიურობას, შეგნებულ დისციპლინას და განსხვავებული კონცეფციით შედგენილ სახელმძღვანელოებს.

ახალ მასალაზე მუშაობისას ახსნითი მეთოდის უარყოფით ჩვენ ფაქტიურად უარის ვამბობთ მოსწავლეებისათვის პრობლემის წარმოჩენაზე, მიზეზების განმარტებაზე, შედეგების დაკონკრეტებაზე და შეფასების მიცემაზე. ეს კი ნიშნავს, ახალ მასალაზე მუშაობის იმგვარად წარმართვას (დაგეგმვას), როდესაც მოსწავლეები თვითონ მოახერხებენ ზემოთდასახული ამოცანების რეალიზებას. ამ მოთხოვნის მიხედვით, ახალ მასალაზე მუშაობის დროს პედაგოგის მიზანი უნდა იყოს დაეხმაროს მოსწავლეებს: თავად აღმოაჩინონ ამა თუ იმ მოვლენის მიზეზი (მიზეზები), დაადგინონ პროცესის შედეგები და გაიაზრონ მათი მნიშვნელობა, გააცნობიერონ, რომ ერთგვარი ფაქტებისა და მოღვაწეების მიმართ შეიძლება არსებობდეს სხვადასხვანაირი დამოკიდებულება და შეფასება.

მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი, პირველ რიგში, გულისხმობს სწავლების ინტერაქციული და პროდუქტიული მეთოდებისა და ხერხების (პრობლემური სწავლების, ძიების, კვლევის, დიალოგის, დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციის...) ფართოდ გამოყენებას რეპროდუქციული მუშაობის შეკვეცის ხარჯზე. სასწავლო პროცესის ამგვარად დაყენება პროგრამული ცოდნის ღრმად და შეგნებულად დაუფლებასთან ერთად, მოსწავლეებს უვითარებს შემეცნებით ფუნქციებსა და კვლევითი მუშაობის უნარს, ასევე უყალიბებს მათ არასტერეოტიპულ, შემოქმედებით აზროვნებას.



რეკაზ ნაკაშიძე

შრომითი სწავლებისა და პროფესიული სრულყოფის ამოცანები უნყვეტ საგანმანათლებლო სივრცეში

მომავალი თაობის შრომითი და პროფესიული მომზადების სრულყოფის ინტერესები სასკოლო რეფორმას მეტად საპასუხიმგებლო ამოცანების გადაწყვეტას უსახავს მიზნად. უწყვეტი საგანმანათლებლო პროცესების წავლების ყველა საფეხურზე გარდაქმნის, მოდერნიზებისა და ადაპტირების ზუსტი მექანიზმების ცოდნას მოითხოვს; სრულიად ახალ ხედვას სძენს პროფესიული მომზადების, კვალიფიკაციის ამალღებისა და გადამზადების მწყობრი სისტემის შექმნას; განიხილავს მას, როგორც ქვეყნის ინტელექტუალური რესურსების ფორმირებისა და საწარმოო ძალების განვითარების მამოძრავებელ ფაქტორს.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესების შესაბამისად, ნიჭის, უნარის, მიდრეკილებათა და მიზანდასახულობათა წარმატებით განხორციელებისათვის სასურველი

პროფესიის დაუფლება იცავს ახალგაზრდებს ცხოვრების ასპარეზზე მოუმზადებლად გამოსვლის, არაკვალიფიციური შრომისა და უმუშევრობისაგან; მალა სწევს კვალიფიკაციისა და მისი მფლობელის პრესტიჟს, სძენს მობილურობას, უქმნის თვითდასაქმებისა და თვითრეალიზების მეტ შანსს.

ქვეყანა ასე თუ ისე საკუთარი განვითარების გზას დაადგა. საჭირო ხდება მსოფლიო სტანდარტების დონეზე სწავლა და შრომა, საკაცობრიო იდეალებით ცხოვრება. არც საკუთარი ტრადიციები უნდა დავივიწყოთ. პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა დემოკრატიის, გამჭვირვალობისა და სამართლებრივ-ნორმატიულ აქტებზე დაყრდნობით, მეცნიერებასთან მჭიდრო კავშირში, განუხრელად უნდა უზრუნველყონ პროფესიული სწავლებისა და მომზადების ხარისხის ამაღლება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, მოქნილი და ხარისხობრივი საკადრო პოლიტიკის გატარება; სოციალური პარტნიორობის გააქტიურება შრომის ბაზართან, ეკონომიკურ სტრუქტურებთან, ბიზნესმენებთან; დაფინანსების ეფექტური გზების ძიება, ინოვაციურ საქმიანობათა გააქტიურება.

სამწუხაროდ, პროფესიული განათლების პრობლემები, პროექტები და გეგმები საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი. უპირატესი ორიენტაცია ეროვნული ეკონომიკის მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე უნდა ავიღოთ, რამდენადაც მისი დანიშნულება კონკრეტულ ეკონომიკურ კატეგორიებში მოიაზრება.

საზოგადოების განვითარების კვალობაზე აუცილებელი ხდება პროფესიული სწავლების ამოცანების, პრიორიტეტების მიზანმიმართული ცვლა; პროფესიული განათლების მომსახურების სხვადასხვა კატეგორიებზე ორიენტირება: ახალგაზრდობის, ზრდასრული მოსახლეობის, უმუშევრების, ქალების, ინვალიდების, სოციალურად დაუცველი ფენებისა და სხვათა მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ეფექტური ფორმების მოძიება - „სწავლება მთელი სიცოცხლის მანძილზე“ - ნარმატებით განხორციელება.

სასწავლო დაწესებულებები საკუთარი მიმართულებით (პროფილებით), მიზნებითა და ამოცანებით, რეგიონებისა და მოცემული ტერიტორიული დასახლებისათვის, მნიშვნელოვან საგანმანათლებლო, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ფართო დიაპაზონის კერებად უნდა ვაქციოთ, რომლებმაც უნდა გაითავისონ, თუ რა ამოცანები დგას მათ წინაშე, რა შესაძლებლობები გააჩნიათ და რას ელოდება მათგან საზოგადოება.



თამარ გომოლაშვილი

პროფესიული განათლებისა და მომზადების ეფექტიანობისათვის

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, დრომ მოითხოვა ცხოვრებისათვის აუცილებელი და პრაქტიკულად სასარგებლო პროფესიების დაუფლება-სახელობო ცოდნა. ამდენად, მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაცია გლობალური სოციალურ-პედაგოგიური პრობლემაა. პროფესიულ არჩევანზე დამოკიდებულია არა მარტო პირადი ნარმატება, კეთილღობა, მორალური კმაყოფილება, არამედ მთელი საზოგადოების მომავალი.

საქართველოში დაწყებითი პროფესიული განათლება პრესტიჟულად თითქმის არასოდეს არ ითვლებოდა. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული იგი სისტემურ ცვლილებებს განიცდიდა. ამჟამად ფაქტობრივად მოშლილია პროფესიული განათლების სისტემა. არსებული პროფესიული სასწავლებლები (დანყებითი, საბაზო, საშუალო) ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს. დღეისათვის კვალიფიციური ხელოსნების დეფიციტის გამო სახელმწიფოს ხშირ შემთხვევაში ისინი უცხოეთიდან ჩამოჰყავს. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეფორმამ მიზნად დაისახა თანამედროვე სამუშაო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი თაობების აღზრდა. საამისოდ საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი ხელშემწყობი პირობების შექმნა:

1. პროფესიული სწავლების გამოცხადება სახელმწიფოს პრიორიტეტად. იგი მთლიანად სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს, რადგანაც პროფესიულ სასწავლებლებში ძირითადად

ნაკლებად შეძლებული ოჯახის შვილები მიდიან და რეალურად ვერ უზრუნველყოფენ სწავლის საფასურის გადახდას;

2. პროფესიის ათვისების პარალელურად ახალგაზრდებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საშუალო განათლების მიღება და სწავლა საღამოს ცვლის სკოლებში ან ექსტერნად გამოცდების ჩაბარება, უმაღლეს სასწავლებელში მიღების დროს მათ უნდა ისარგებლონ ე. წ. ლიმიტებით;

3. აუცილებელია პროფესიული სასწავლებლების სწავლების დონისა და პრესტიჟის გაზრდა, კარგი სასწავლო მატერიალური ბაზა-მართვის დახვეწილი სისტემით და კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით, რომელთა დაკომპლექტება სამუშაოზე საკონკურსო წესით უნდა მოხდეს, სწავლების ეფექტურობისათვის თითოეულ საგანში (სპეციალობაში) შემუშავებულ იქნეს საგნის სწავლების მეთოდის "გზამკვლევი";

4. შრომის ბაზარზე ყველაზე მოთხოვნადი პროფესიონალების მომზადება, პროფესიათვის სტრუქტურული ახალგაზრდების დასაქმება ანუ სამუშაო ადგილით უზრუნველყოფა, მათი კონტაქტი ბიზნესმენებთან.

სწავლებისა და დასაქმების საცდელ პერიოდებში დიდი ყურადღების გამახვილებაა საჭირო სამუშაოს უსაფრთხოების ტექნიკის წესების მკაცრად დაცვაზე;

5. პროფესიული განათლების სისტემაში დაინერგოს ელექტრონული/დისტანციური სწავლება, რომელიც მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში უკვე კარგად აპრობირებული სისტემაა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის. მოხდეს სასწავლებელში არსებული კომპიუტერული ლაბორატორიის მიზანმიმართულად და გეგმიურად გამოყენება სასწავლო პროცესში;

6. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, საერთაშორისო მობილობასა და გაცვლით პროგრამებში რაც შეიძლება მეტი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტისა თუ მასწავლებლის ჩართვა;



ჯამალ ჯინჯინხაძე

დანახვითი სკოლის მომავალი მასწავლებლის მომზადების პრობლემები და პერსპექტივები

1. კარგადაა ცნობილი, რომ მასწავლებლის პროფესიონალური მომზადება, განსაკუთრებით თანამედროვე პირობებში, რთული პროცესია. ამ პროცესში სხვადასხვა საფუძვლის მიხედვით გამოიყოფა სხვადასხვა ეტაპი: პროფესიამდელი ეტაპი, პროფესიონალური მომზადების ეტაპი, პროფესიონალური საქმიანობის ეტაპი. აღსანიშნავია, რომ ყველა შემთხვევაში არსებობს ამ ეტაპების ურთიერთკავშირისა და მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფის აუცილებლობა. ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალი მასწავლებლის მიერ წარსულში მიღწეულ როგორც საგანმანათლებლო, ისე პიროვნულ შედეგებზე დაყრდნობით ანმყოფი უნდა მოინახოს დახმარების ისეთი ეფექტური გზები, რომელთაც მომავალში უთუოდ ექნება გაგრძელება.

მასწავლებლის პროფესიონალური მომზადების პროცესი ყოველთვის დიფერენცირებულია, განსაკუთრებით ახლა. იგი მუდამდებდა პროფესიის შერჩევის მოტივების ნაირგვარობაშიც, პროფესიაში ჩართულობის ხარისხშიცა და თვით პროფესიონალური საქმიანობის შედეგებშიც. ეს იმას ნიშნავს, რომ პროფესიონალურ ქმნადობაში მომავალი მასწავლებლის დახმარების გზები არ შეიძლება ერთნაირი იყოს. მასწავლებლის მომზადების გზები ძალზე მრავალფეროვანია.

მასწავლებლის ქმნადობის პროცესი ყოველთვის წინააღმდეგობრივია. ამ პროცესში ერთ-მანეთს „ეჯახება“ მასწავლებლისადმი წაყენებული მოთხოვნები და მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობები, მასწავლებლის მისწრაფებები, სურვილები, ინტერესები და მისი საქმიანობის შედეგები, სურვილები, ამბიციები და ის უნარები, რომლებიც მათი რეალიზაციისთვისაა აუცილებელი.

მაგრამ არსებითი ისაა, რომ თანამედროვე საქართველოში მასწავლებლის მომზადების

ამოცანა ძალზე რთულდება, რადგანაც სახელმწიფოში ბოლო ორი ათეული წლის არასწორმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ ეს ამოცანა უაღრესად პრობლემური გახადა და ჩიხშიც მოამწყვდია.

2. თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებში მეტად აქტუალურია მომავალი მასწავლებლის პროფესიონალური კომპეტენტურობის დონის ამაღლების პრობლემა. მაღალი კომპეტენტურობის მქონე მასწავლებელს უნდა შეეძლოს თავისუფალი და აქტიური აზროვნება, საგანმანათლებლო პროცესის მოდელირება, სწავლებისა და აღზრდის ახალი იდეებისა და ტექნოლოგიების დამოუკიდებელი გენერირება.

3. საზოგადოდ, მათემატიკის სწავლების მეთოდიკა განიხილება ორი პოზიციიდან: 1. პედაგოგიური და 2. პედაგოგიკური. პირველი პოზიციიდან დანახული იგი სასწავლო საგანს წარმოადგენს, მეორე პოზიციიდან კი — მეცნიერებას.

ჩვენს კონცეფციაში ეს საგანი, პირველი პოზიციის ინტერპრეტირებით, პედაგოგიურ ფაკულტეტზე ორი ფუნდამენტური ნაწილისაგან შემდგარი ერთი სასწავლო დისციპლინის შემადგენლობაში გვესახება. ეს ნაწილებია:

- მათემატიკის დაწყებითი კურსის მეცნიერული საფუძვლები,
- მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა.

პედაგოგიურ პროცესში ამ დისციპლინის პირველი ნაწილი ვერ იარსებებს მეორის გარეშე და ვერც მეორე იარსებებს პირველის გარეშე. სწავლების ეფექტურობის მიღწევაში თითოეული მათგანი განაპირობებს მეორის არსებობასა და განვითარებას, ზემოქმედებს მის შინაარსსა და მეთოდებზე. მეთოდიკურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ეს ორი ნაწილი ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ერთ სასწავლო დისციპლინაში გაერთიანებითა და სინთეზირებით ისინი ქმნიან ჰარმონიულ ერთიანობას. წინააღმდეგ შემთხვევაში სწავლების პროცესი სრულყოფილი ვერ იქნება.

საგანი „მათემატიკა“, რომელიც ამჟამად ისწავლება პედაგოგიურ ფაკულტეტზე, იწოდება სრულიად არასწორად. სიტყვა „მათემატიკა“ იმდენად ზოგადია, რომ ვერანაირად ვერ განსაზღვრავს სასწავლო საგნის შინაარსსა და მოცულობას, მით უმეტეს, ამ დისციპლინის სწავლების მიზნებს.

4. ახალი საგანმანათლებლო სტრატეგიის შინაარსს ქმნიან საქართველოს ყოველი მოქალაქის პიროვნული მომზადებულობის მაღალი დონის მიღწევის იდეები, ფორმები და მეთოდები. ეს დონე ისეთი უნდა იყოს, რომ მან ქვეყანას მისცეს საშუალება: შეინარჩუნოს თავისი ენა, თავისი კულტურა, ტერიტორიული მთლიანობა და სოციალური ერთიანობა, განავითაროს ერისა და საზოგადოების პოტენციალი მიმდინარე და მომავალი მოთხოვნების დონეზე.

საქართველოში განათლების განვითარების ეფექტური სტრატეგია შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგ პირობებში:

- თუ ჩამოყალიბდება ეფექტური ეროვნული სახელმწიფოებრივი საგანმანათლებლო პოლიტიკა.
- თუ შეიქმნება მოსწავლეების (სტუდენტების), მათი მშობლების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, საზოგადოებრივი, ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს პარტნიორობის გაძლიერების ახალი ფორმები.
- თუ გადავალთ განათლების მართვის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ ფორმაზე.



მერაბ მაღრაძე

სწავლის განწყობის თავისებურებები ინტეგრირებული სწავლების პირობებში

ჩვენი განათლების სისტემის რეფორმირების ერთ—ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სწავლება—სწავლისადმი დირექტიული მიდგომის კონსტრუქტივისტული მიდგომით ჩანაცვლება. ამის რეალიზაციის ყველაზე ეფექტურ გზად სწავლების ინტეგრირებული მეთოდებია მიჩნეული,

რომლებიც ბოლო ხანებში აქტიურად ინერგება ჩვენს სკოლებში. პედაგოგიური პრაქტიკა, ტრადიციულ სწავლების მეთოდებთან შედარებით, მათ უფრო უპირატესობას ადასტურებს, რაც სათანადო თეორიულ ანალიზს მოითხოვს.

რამდენადაც ინტერაქტიური სწავლება ჩვენში დასავლეთიდან შემოვიდა, ამდენად მისი თეორიული გააზრება ძირითადად სწავლის იმ კოგნიტური და ჰუმანისტური თეორიების მიხედვით ხდება, რომელთა მეთოდოლოგიური პრინციპების პრაქტიკულ ხორცშესხმადაც იგი არის მიჩნეული. მაგრამ ეს თეორიები, თავისი ზოგადფსიქოლოგიური ორიენტაციით, არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ამის გამო, მათ საფუძველზე შექნილი პედაგოგიური ინოვაციების ფსიქოლოგიური დასაბუთება ხან ცალმხრივია, ხან ეკლექტიკური. საჭიროა მოიძებნოს ისეთი თეორიული მოდელი, რომელიც ინტერაქტივობის პირობებში მიმდინარე სწავლის ყველა თავისებურებას ერთიანი პრინციპის ნიადაგზე ახსნის და დაახასიათებს.

ჩვენს სინამდვილეში ამ მეთოდების მოქნილად გამოყენებისთვის აუცილებლად მიგვაჩნია მათი გააზრება დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის საფუძველზე. შევეცდებით, ზოგად ხაზებში ვაჩვენოთ, თუ როგორ შეიძლება აიხსნას ინტერაქტიური სწავლება—სწავლის ერთ—ერთი ყველაზე თვალსაჩინო ეფექტი — მოსწავლის აქტიური და უწყვეტი ჩართულობა სასწავლო პროცესში — განწყობის თეორიის მიხედვით. უზნაძის თანახმად, ქცევის უშუალო მიზეზს განწყობა, ანუ ამ ქცევის განსახორციელებლად შეცვლილი სუბიექტი წარმოადგენს. ქცევის სუბიექტის დახასიათება განუწყვეტლად ცვალებადი მთლიანობითი ორგანიზაციული მდგომარეობის სახით სწავლასთან მიმართებაში ასეთ ფორმულას გვაძლევს: ერთი და იგივე პირი, როგორც მოსწავლე (სასწავლო ქცევის სუბიექტი), სრულიად სხვადასხვაგვარია იმის მიხედვით, თუ რა ორგანიზაციულ მზაობაშია მოყვანილი მისი ფსიქო—ფიზიკური ძალები სწავლის ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში.

განწყობის თეორიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე არგუმენტირებულადაა დასაბუთებული, რომ ქცევის აქტების დაწყებამდე შექმნილი განწყობა პერმანენტულად იცვლება ამ აქტების მიმდინარეობის შესახებ უკუკავშირის გზით მიღებული ინფორმაციის შესატყვისად. ამ ცვალებადობას ინვესსის ცვლილებები, რომელიც ხდება როგორც განწყობის სიტუაციურ კომპონენტში, ისე მის მოტივაციურ კომპონენტში. რამდენადაც სუბიექტის აქტიურობა (განწყობის დინამიზმი) მოტივაციის სიძლიერეზეა დამოკიდებული, ვფიქრობთ, რომ დირექტიული და ინტერაქტიური სწავლების პირობებში სწორედ განწყობის მოტივაციური კომპონენტი იცვლება სხვადასხვაგვარად: პირველ შემთხვევაში იგი ღარიბდება და სუსტდება, მეორე შემთხვევაში კი მდიდრდება და ძლიერდება. საქმე ისაა, რომ დირექტიული სწავლების დროს, როდესაც მოსწავლეს შესასწავლი მასალა მზა ფორმით მიეწოდება, როგორც კი საკითხი განიმარტება, მოსწავლის შემეცნებითი მოთხოვნილება (სწავლის ყველაზე მნიშვნელოვანი შინაგანი მოტივაციური ცვლადი) კმაყოფილდება და მისი ძალით ორგანიზებული განწყობაც ინაქტიური ხდება. ამის შემდეგ მან მხოლოდ იძულებით (გარეგანი მოტივაციის ძალით) შეიძლება გააგრძელოს აქტივობა.

ინტერაქტივობის პირობებში, მაგალითად, გონებრივი იერიშის პროცესში, როდესაც მოსწავლეთა ჯგუფს ეძლევა პრობლემა და მასზე პასუხი მოსაზრებების თავისუფალი გამოთქმის გზით უნდა მოიძებნოს, მოსწავლის შემეცნებითი მოთხოვნილება გზადაგზა ძლიერდება. მეტიც, პრობლემური სიტუაცია ინტერესს აღვიძებს მაშინაც, როდესაც იგი საქმის დაწყებამდე სრულიად ინაქტიურია. ამხანაგების მიერ გამოთქმული ყოველი ახალი აზრი მოსწავლეს აქეზებს კიდევ უფრო დაძაბოს საკუთარი კოგნიტური უნარები, რათა თავადაც წამოაყენოს გარკვეული მოსაზრებები. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ ამ პირობებში აქტივირდება სოციალური შინაარსის მქონე მოტივებიც (წარმატების მიღწევის, შეჯიბრებისა და ჯობნების, სოციალური პრესტიჟის და ა.შ.), რომლებიც აძლიერებენ სუბიექტის (განწყობის) მობილიზაციას სამოქმედოდ. გასაგებია, რომ მთელი პროცესის განმავლობაში მოსწავლე აქტიურობის მაღალ დონეს ინარჩუნებს. გარდა ამისა, შესასწავლ მასალაზე აქტიური ინტელექტუალური მუშაობა, როგორც დასწავლის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, ამ მასალის მტკიცედ დამახსოვრებასაც უზრუნველყოფს.

გონებრივი იერიშის მეთოდის ასეთი ანალიზის საფუძველზე, რაც ზოგადად ყველა ინტერაქტიურ მეთოდს ეხება, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინტერაქტიური სწავლების პროცესში მოსწავლის აქტიურ და უწყვეტ ჩართულობას უზრუნველყოფს განწყობის სიმტკიცის მაღალი ხარისხი, რაც აქტივობის პროცესში მისი მოტივაციური კომპონენტის თანდათანობით გამდიდრებასა და გაძლიერებასთანაა დაკავშირებული.



შემაღლესი სკოლის საქცია

ღანიელ ჯიბლაძე

შემაღლესი სკოლის აღრინდელი და მიმდინარე პრობლემები

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ყოფილ საბჭოთა და პოსტსაბჭოურ საქართველოში განათლების რეფორმის რამდენიმე მცდელობას ჰქონდა ადგილი, თუმცა ბოლომდე ვერცერთი ვერ იქნა მიყვანილი, რისი „მიზეზიც“ ასეთი მასშტაბური ღონისძიების განსაკუთრებულ სირთულესა და სასაურველი შედეგების მიღებისთვის ხანგრძლივი დროის საჭიროებაში მდგომარეობს.

„ვარდების რევოლუციის“ ტალღაზე განხორციელებული, ჩვენს ქვეყანაში დღეს მიმდინარე რეფორმა, თავისი „ეფექტურობითა“ და ტემპებით ევოლუციურობის ნაცვლად ნამდვილი რევოლუციური გამოდგა, კერძოდ:

1. უფასო სწავლება შეიცვალა ფასიანით (ფასებსაც გააჩნია);
2. რადიკალურად შეიცვალა უნივერსიტეტებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის გზები და საშუალებები (იდეოლოგია, მმართველობა, კურსდამთავრებულთა შემდგომი ყურადღება და ა. შ.);
3. გაუქმდა რიგი პროფესიული (პროფილური) უნივერსიტეტები;
4. უგულვებელყოფილ იქნა აღზრდა, როგორც სწავლების შემადგენელი ნაწილი;
5. მისაღებ კონტიგენტთან (აბიტურიენტებთან) ცოცხალი კონტაქტები ჩაანაცვლა ტესტირებულმა ე. წ. „ეროვნულმა“ გამოცდებმა;
6. აღნიშნულ ძალისხმევას მოჰყა ზოგიერთი დადებითი შედეგებიც:
 - შესაძლებელი გახდა ქართული დიპლომების ნოსტრიფიკაცია,
 - გაიზარდა ე.წ. საათობრივი ანაზღაურების ოდენობა;
 - გაუმჯობესდა უცხო ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლება;
 - ახალგაზრდებს მიეცათ მეტი თავისუფლება და დამოუკიდებლობა — და სხვა;
7. სასურველია აღდგენილი იქნას:
 - პედაგოგიური (აკადემიური) პერსონალით უნივერსიტეტების დაკომპლექტების წესი;
 - ე. წ. საკონტაქტო საათების რაოდენობის „ძველი“ კოეფიციენტები;
 - აკადემიური პერსონალის საქმიანობისადმი „ძველად“ არსებული მონიტორინგი (ლექციებზე ურთიერთდასწრება, კათედრის გამგის სავალდებულო დასწრება, კვალიფიკაციის ამაღლება, ხელშეკრულებების ხანგრძლივობა და ა. შ.);
 - სახელმწიფო თანადაფინანსებით უზრუნველყოფილ იქნას განათლების ხარისხი;
 - საზღვარგარეთელი ცნობილი სპეციალისტების არაეპიზოდური, არამედ რეგულარული მონვევებითა და ე. წ. შუალედური შემონმებების სხვა ლექტორების მიერ ჩატარებით, სტუდენტთა ცოდნის გაზრდა;
 - აღდგენილ იქნას გაუქმებული პროფილური უნივერსიტეტები;
 - სტუდენტი-ახალგაზრდობის ჯანმრთელობის დაცვა-გაუმჯობესების „ძველი“ მზრუნველობა;
 - სტუდენტთა და მასწავლებელთა პიროვნული თავისუფლების დაცვა (სასწავლო და შრომითი დისციპლინის განუხრელი შესრულების გზით);
8. პროფესორ-მასწავლებელთა ღირსეული საპენსიო უზრუნველყოფა და ა. შ.;
9. არ იქნება ურიგო თუ ჩვენი აკადემია შეფობას გაუნევის რომელიმე უნივერსიტეტს სწავლება/სწავლის მეთოდიკის გაუმჯობესებისა და წიგნის, როგორც ფუნდამენტური განათლების მიღების, შეუცვლელი წყაროს პროპაგანდის კუთხით.



ნანი გუგუნავა

ტენუარის სისტემა

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების რეფორმის ახალი კონცეფციის პროექტი მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფმა პროფესორ გია დვალის ხელმძღვანელობით შეიმუშავა.

კონცეფციის მიზანია საუნივერსიტეტო განათლებისა და მეცნიერების ფუნდამენტური რეფორმა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტს ეფუძნება. ფორმატი, რასაც კონცეფცია გვთავაზობს, გახსნილია, უალტერნატივო ჩარჩოა, რომელიც თანმედროვე სამყაროში აღიარებულია.

საუნივერსიტეტო-სამეცნიერო სისტემაში ეს კონცეფცია მოიცავს აკადემიური თავისუფლების, აკადემიური მიუკერძოებლობის და აკადემიური ხარისხის ცნებებს.

ყოველივე ეს ეფუძნება ტენუარის სისტემას, ამავედროულად მეცნიერული კვლევების მოწყობის ჰარნაკის პრინციპს. ტენუარის ცნება გულისხმობს განსაკუთრებულ სტატუსს, რომელიც უნივერსიტეტის საყრდენია და იძლევა სტაბილურობის გარანტიას. ტენუარის სტატუსი ნიშნავს იმას, რომ პროფესორი იღებს უვადო სამსახურს მაღალი ანაზღაურებით.

3 წლიანი კონტრაქტი, რომელიც ამჟამად ფუნქციონირებს, დროს ჩამორჩა. ტენუარის სისტემის შემთხვევაში საუნივერსიტეტო შეფასებას ემატება გარე რეფერირების გზით მოპოვებული შეფასებებიც. ევროპაში მაგალითად, შერჩეული წარმატებული პროფესორების მონაცემები იგზავნება ოქსფორდის, კემბრიჯის და ჰარვარდის უნივერსიტეტებში.

ტენუარის სტატუსზე კანდიდატის შერჩევას აწარმოებს სპეციალური მიუკერძოებელი კომისია, რომელიც შეფასებაში ეყრდნობა, როგორც საკუთარ ექსპერტიზას, ასევე გარე რეფერირების სისტემას.

ჰარნაკის პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ კვლევითი ინსტიტუტის მთავარი დანიშნულებაა ემსახურობდეს მკვლევარის სამეცნიერო მიზნებს. მეცნიერებს აქვთ სრული თავისუფლება აირჩიონ კვლევის საგანი და წარმართოს კვლევის პროცესი თავისი შეხედულებისამებრ.

ორივე სისტემის (ტენუარი, ჰარნაკი) ფუნქციონირება დაფუძნებულია სამ აუცილებელ მართვის რგოლზე. ესენია 1. ტენუირულ პროფესორ-მკვლევართა კრება, რომელიც თვითმმართველი ორგანოა. 2. უნივერსიტეტის უმაღლესი ადმინისტრაცია (პრეზიდენტი, იგივე რექტორი) 3. გარე რეზონანსული ან მრჩეველთა საბჭო. იგი გარე მარეგულირებელი, მაკონტროლებელი რგოლია: ამ სამი რგოლის არსებობა არის დეცენტრალიზაციასა და თვითმმართველობის გარანტი.

ახალი კონცეფცია აქცენტს აკეთებს სტანდარტზე, ხარისხზე, რომელთა ქვევით დაწევა არ შეიძლება. ეს არის მოქნილი მექანიზმი, რომ განვავითაროთ რეფორმა.

კონკრეტულად უნდა გაინეროს რა განხორციელდეს განათლებაში და რა მეცნიერებაში. მეცნიერება თითქმის მოშლილია. სამეცნიერო კვლევებმა უნდა უზრუნველყონ წარმატებები მეცნიერებაში, რომელიც ჩაბრუნდება ეკონომიკაში. ფუნდამენტურ კვლევებზე დაყრდნობით მეცნიერებმა უნდა გამოთქვან აზრი, თუ რომელი დარგი უნდა განვითარდეს ქვეყანაში, რის საფუძველზეც შემუშავდება სახელმწიფოს პოზიცია. მაგრამ ჯერჯერობით მეცნიერებას საყრდენი არ აქვს, რაკი დაფინანსება არ გააჩნია.

ერთიანი მაღალი სტანდარტის შემუშავება არის მთავარი. უნდა შევქმნათ ჩამორჩენილი და მაღალი სტანდარტი ერთმანეთთან გავათანაბროთ. დისბალანსი ხარისხის ამაღლებით უნდა შევქმნათ.

მიუხედავად სირთულეების, ტენუარის ინსტიტუტი უნდა დავენერგოთ თუ გვინდა, რომ ვიყოთ მსოფლიოს საგანმანათლებლო სისტემის ნაწილი. ტენუარის პრინციპი აკადემიური თავისუფლების დამცავი მექანიზმია.

იმერ ბასილაძე

უმაღლესი განათლების ზოგიერთი პრობლემური საკითხის შესახებ საქართველოში

1. მსოფლიო მასშტაბით განათლებისა და მეცნიერების სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგები ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ საზოგადოების თითოეული წევრისათვის სრულყოფილი განათლების მისაღებად და საკუთარი ინტელექტუალური პოტენციალის სრულად გამოსავლენად გარემოს შექმნა არის, როგორც პიროვნების წარმატების ისე მთლიანად ქვეყნის განვითარების განმსაზღვრელი აუცილებელი პირობა.

2. საქართველო მსოფლიოს ორგანული ნაწილია. ჩვენი პოტენციალის სრულად გამოსავლენად, ისეთი გარემო უნდა შეიქმნას, რომ ქართველ ახალგაზრდას მიეცას საშუალება ნორმალური განათლებისა და განვითარების.

3. 2004 წლიდან საქართველოში განათლების სისტემამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა-შეიცვალა სისტემის მართვის, დაფინანსებისა და ხარისხის მართვის მოდელები და განათლების სისტემის სტრუქტურა. ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, რომელიც საფუძვლად დაედო განათლების რეფორმას საქართველოში, გულისხმობდა საქართველოს ინტეგრაციის ხელშეწყობას საერთაშორისო სივრცეში. შესაბამისად, ბევრი მნიშვნელოვანი კონცეპტუალური ცვლილება საქართველოს განათლების სისტემაში განპირობებული იყო უფრო ფართო საერთაშორისო პროცესებით, რომლებსაც საქართველო ბოლო წლებში მიუერთდა. შედეგად, საქართველოში საკმაოდ სწრაფად ჩამოყალიბდა ბევრი ე. წ. ხედვის დოკუმენტი, რომლებიც მოიაზრებდა კომპლექსურ ცვლილებებს სისტემის ყველა დონეზე.

4. სხვადასხვა მიზეზთა გამო ჩვენ ვერ შევქმენით ნაყოფიერი ნიადაგი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ისეთი აღმზრდელობითი და სასწავლო გარემო პირობების შესაქმნელად, რომელიც ქართველ ახალგაზრდას მისცემდა საშუალებას მაღალხარისხიანი განათლების მიღებისა. პირიქით შეიქმნა უამრავი უმაღლესი სასწავლებელი, სადაც სასწავლო სააღმზრდელო პროცესი თითქმის არ მიმდინარეობდა.

5. არ აგვცდა ინტეგრაციისა და გლობალიზაციის გავლენა. დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს შეტევა ეროვნულ ტრადიციებზე, ისეთ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, რომლებიც აღვივებდნენ და აფუძნებდნენ ქართულ ცნობიერებას.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმა „უმაღლესი განათლების შესახებ ფაქტიურად მთლიანად დაანგრია განათლების სისტემა საქართველოში. კარგი იქნებოდა საქართველოში ისეთი კვლევის ჩატარება, რომელიც თანამედროვე უმაღლესი განათლების სისტემის შესახებ სტუდენტების, მშობლებისა და პედაგოგების აზრს შეისწავლიდა, გამოავლენდა მათ ინტერესებსა და საჭიროებებს. სწორედ ამის გათვალისწინებით უნდა მოხდეს უმაღლესი განათლების სისტემის ხელახალი გამართვა და რეფორმირება.

6. სახელმწიფომ უმაღლეს სასწავლებლებს შეუწყვიტა დაფინანსება. ჩვენი აზრით, ეს მავნე ტრადიცია უნდა შეიცვალოს და აღდგეს სახელმწიფოს მიერ უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსება.

7. ამერიკელები და ინგლისელები თავიანთი განათლების სისტემით უკმაყოფილონი არიან და მის შეცვლას აპირებენ. ჩვენ კი მათი გამოცდილების გადაღებას ვაპირებთ.

8. საქართველოს ხელისუფლება შეეცადა ქვეყანაში დაენერგა ამერიკული და ევროპული განათლების შერწყმული სისტემა, მაგრამ არ გაითვალისწინა ეროვნული პირობები და სიახლე ისეთო ფორმით დაინერგა, რომ ამერიკული და ევროპული სისტემიდან ცოტა რამ შემორჩა.

9. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები კანონიდან გამომდინარე აღარ ანიჭებენ კურსდამთავრებულებს მასწავლებლის კვალიფიკაციას, მაშინ როდესაც მათ უფლება აქვთ მაგისტრებისა და დოქტორანტების მომზადების და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების. არ მეგულება ადამიანი ამას რომ არ აცნობიერებდეს, თუმცა პრობლემას ეს „გაცნობიერება“ ვერ შველის. ქართული განათლების სისტემა ისეა მოწყობილი, რომ ქართველ მასწავლებელს დღიდან

სკოლაში შესვლისა, არავითარი შანსი განვითარებისთვის არ აქვს. მასწავლებლის მომზადების ტრადიციული სისტემა, რომელსაც მცირეოდენი კოსმეტიკა სჭირდება მთლიანად დაირღვა.

10. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ახალგაზრდობის აზროვნების განვითარებას განსაკუთრებული პრობლემები შეუქმნა დღეს არსებულმა შეფასების სისტემამ უმაღლეს სასწავლებლებში. ცოდნის შემოწმება-შეფასება ხდება მხოლოდ წერიითი სამუშაოს შესრულების ხარისხის მიხედვით ან ტესტირებით.



ლელა თავდგირიძე

მომავალ მასწავლებელთა მომზადება და უწყვეტი პედაგოგიური პრაქტიკა

ქვეყნის მომავალი მასწავლებლებზე დამოკიდებული. კარგი სკოლა და კარგად მომზადებული მასწავლებელი ისევე საჭიროა, როგორც ჰაერი — აღნიშნავს ლ. ბოცვაძე. ამიტომ საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმის მნიშვნელოვანი მიმართულებაა მასწავლებლის პროფესიული მომზადება და გადამზადება, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადება. მასწავლებლის განათლება ემყარება უწყვეტი განათლების პრინციპს: მუდმივი წვრთნა და განვითარება. ეს გულისხმობს, მასწავლებელთა მუდმივ გადამზადებას პროფესიული განვითარების პროგრამებით და რესერტიფიცირებას, რეგულირების ეროვნული დოკუმენტების და საერთაშორისო რეკომენდაციების საფუძველზე. დარგობრივი დოკუმენტის შესაბამისად მომავალ მასწავლებლებს უნდა ჩამოუყალიბდეს შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, დასკვნის გაკეთების, კომუნიკაციის, სწავლის უნარი და ღირებულებები. ამ კომპეტენციების მისაღწევად თეორიულ ცოდნასთან ერთად მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებში მიზანშეწონილად მიგვაჩნია უწყვეტი პედაგოგიური პრაქტიკის ორგანიზება.

პედაგოგიური პრაქტიკა ავსებს და ამდიდრებს სტუდენტთა თეორიულ მომზადებას, საშუალებას აძლევს მათ განამტკიცონ და გაიღრმავონ მიღებული ცოდნა, უქმნის მათ პირობებს— პრაქტიკულად დაეუფლონ ძირითად პედაგოგიურ მოძღვრებას, რომელიც აუცილებელია თანამედროვე პირობებში მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდისათვის; პედაგოგიკა ეხმარება სტუდენტებს, შეიძინონ გამოცდილება, რომელიც აუცილებელია მათ მიერ მომავალი პროფესიის თეორიული გააზრებისა და მასწავლებლის შემოქმედებითი მუშაობისათვის მოსამზადებლად.

უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტების სწავლებისა და სკოლაში მათ მომავალ დამოუკიდებელ მუშაობას შორის პედაგოგიური პრაქტიკა დამაკავშირებელი რგოლია. პედაგოგიური პრაქტიკის მეშვეობით ხდება დამოუკიდებელი მუშაობისათვის სტუდენტის თეორიული და პრაქტიკული მომზადების შემოწმება. მოწმდება როგორ ფლობს სტუდენტი სპეციალურ და ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ დისციპლინებს, როგორია მისი მეცნიერული მომზადების დონე, პედაგოგიური უნარ-ჩვევები.

ყველა სახის პედაგოგიურ პრაქტიკას ორი უმთავრესი ამოცანა აქვს:

1. პედაგოგიური თეორიისა და სწავლება—აღზრდის პრაქტიკას შორის ოპტიმალური კავშირის დამყარება;
2. სტუდენტთა აღჭურვა პედაგოგიური უნარით, რაც აუცილებელია წარმატებული პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

პედაგოგიური უნარი ისეთი ფენომენია, რომელიც ყალიბდება პრაქტიკული საქმიანობის პროცესში. აქედან დასკვნა: უნივერსიტეტში სწავლების მთელი პერიოდის მანძილზე მომავალი მასწავლებელი, სტუდენტი, რაც შეიძლება მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული სკოლასთან. პედაგოგიური პრაქტიკა უნდა იყოს განუწყვეტელი, მეტად მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტი გარკვეული ხნის განმავლობაში სწავლობდეს, აკვირდებოდეს ბავშვის განვითარებას, ატარებდეს

გაკვეთილებს, კლასგარეშე ღონისძიებებს სწავლების მთელი პერიოდის მანძილზე, ხოლო ბოლო კურსზე მთელი ნახევარი წელი მუშაობდეს სკოლაში. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოქმედ სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული ორთვიანი პრაქტიკა სტუდენტს საჭირო უნარს მართლაც ვერ შესძენს. აუცილებელია, რომ III-IV კურსის სტუდენტი იმავე სკოლაში გადიოდეს გაკვეთილების გადაცემის პრაქტიკას, სადაც I-II კურსზე გაიარა პასიური პრაქტიკა (სამწუხაროდ, დღეს მომავალ მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადების პროგრამებში პასიური პრაქტიკა სულ ამოღებულია). ეს მისცემს საშუალებას მომავალ მასწავლებელს ოთხი წლის განმავლობაში თანმიმდევრულად აკვირდებოდეს მისთვის ნაცნობ ბავშვთა განვითარებას და გაიაროს გარკვეული პროფესიული და სოციალური ადაპტაცია. სტუდენტს უნდა ჰყავდეს ერთი მეთოდისტი სწავლების მთელი პერიოდისათვის.

პედაგოგიური პრაქტიკის ორგანიზებასა და საბაზო სკოლის მნიშვნელობაზე იქნება საუბარი მოხსენებაში.



ბიორგი სავანელი

ბ. ბრეჰტის თეატრალური მეთოდით სწავლების კურსი და მისი დანერგვა სამსახიობო ფაკულტეტზე

დღეს თეატრალურ ხელოვნებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ახალი ფორმები, ჟანრები; სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში თეატრალური გამომსახველობის განსხვავებული ხერხები და მეთოდები შეიქმნა. საზოგადოებრივ — სოციალურმა პროცესებმა კი კონკურენცია დაუნდობელიც კი გახადა. ამიტომ, ნიშანდობლივია, რომ მსახიობს ყველა გამომსახველობითი საშუალების თუ მეთოდის ფლობა ევალება.

მსოფლიოს წამყვანი თეატრალური სასწავლებლები დიდი ხანია, ტრადიციული მეთოდის — სტანისლავსკის სისტემის პარალელურად, სამსახიობო ხელოვნებას მრავალი სხვა თეატრალური მეთოდის მიხედვით ასწავლიან. მნიშვნელოვანია, ქართულმა სამსახიობო სკოლამაც გაიზიაროს ეს ტენდენციები და აქტიურად დანერგოს პრაქტიკაში; რაც მსახიობის გამომსახველობითი არსენალის მრავალმხრივობის საწინდარი იქნება. ეს კი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია თეატრალური ხელოვნების, თეატრალური ენის ჟანრობრივი, სახეობრივი თუ სხვადასხვა მიმართულებების განვითარების თვალსაზრისით.

ნაშრომში ზოგადად შევხებით და წარმოვაჩინებ ბრეჰტის თეორიის და მეთოდის თანადროულობის საკითხს, მსახიობის ოსტატობის წინაშე მდგარ მოთხოვნებს და ამ საკითხების საერთაშორისო ანალოგებს.

თემაში ნაჩვენები იქნება — თუ რატომ არის სასურველი, პირველ რიგში, ბ. ბრეჰტის თეატრალური მეთოდით სწავლების კურსის დამატება, რა გარემოებიდან გამომდინარე და რა მოტივით. აღწერილი იქნება ამ საკითხის ყველაზე ფუნქციური და არსობრივი ასპექტები, მისი სასწავლო ბადეში განთავსების საკითხი (რა სახით უნდა იყოს იგი ჩართული და რა პერიოდის განმავლობაში) სპეციალობის სწავლების სტრატეგიიდან და მიზნებიდან გამომდინარე. ასევე, როგორ უნდა შემუშავდეს სასწავლო პროგრამა, რომ სტუდენტმა ისწავლოს, გარდასახვის თეატრალური მეთოდის მიხედვით განვლილი "მასალის", ბრეჰტის თეატრალური პრინციპების მიხედვით ტრანსფორმირება და გამოხატვა; სამსახიობო ოსტატობის, რომელი კომპონენტები იქნება ჩართული ამ პროცესში და როგორ მოხდება, ორგანული მოქმედების კანონების და სახეზე მუშაობის სპეციფიკის ბრეჰტის თეატრალურ ენაზე გადატანა და "ბრეჰტისეული" გამომსახველობით სწავლება; რა არსებული სავარჯიშოები იქნება საჭირო ამ პროცესისათვის ან რის მიხედვით უნდა შეირჩეს თუ შემუშავდეს ისინი; რათა შედეგად, მომავალმა მსახიობმა მეთოდოლოგიურად იცოდეს და ფლობდეს გაუცხოების ეფექტის, "წარმოდგენის" თეატრის და "ეპიკურობის" არსს, მისი პრინციპებით როლის შექმნას, შესრულებას და შესაბამისი გამომსახველობის ცოდნას.



ელზა ბარაყანიძე

სკოლის მუსიკის მასწავლებლის გადაგზავნის მოდერნიზაცია

საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე რეფორმებმა, ძირეულმა სიახლეებმა ეროვნულ სასწავლო გეგმაში, საგნობრივი სტანდარტების დონის ამაღლებამ განსაზღვრა მუსიკის განათლების მიმართულებით არსებული პედაგოგიური კადრების გადამზადების მოდერნიზაცია. ამ პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია წარმართოს სასწავლო პროცესი განათლების თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, უახლესი სწავლების ტექნოლოგიების გამოყენებით.

განათლების უწყვეტი პროცესის აუცილებლობისათვის, თვითგანათლების გარდა, მუსიკის მასწავლებლის დიპლომის შემდგომ განათლების პირობებში მიზანშეწონილია ტრენინგ-კურსის გამოყენება. მისი მიზანია, მოამზადოს თანამედროვე მეცნიერული ცოდნითა და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრი, რომელიც წარუძღვება მოსწავლეთა მუსიკალურ აღზრდასა და განათლებას.

ტრენინგის ჩატარებისას სხვადასხვა სიძნელეების დასაძლევად აქტიურად გამოსაყენებელია პედაგოგიური ტექნოლოგიის ერთ-ერთი სახე, კერძოდ „პედაგოგიური სიტუაციების მოდელირება“, რომელიც ხელს შეუწყობს მუსიკის მასწავლებლებს პედაგოგიური საქმიანობის სრულყოფისათვის საჭირო პროფესიული უნარ-ჩვევების ფორმირებაში.

ტრენინგის შედეგად სწავლების ახალი ტექნოლოგიის პედაგოგიური სიტუაციების მოდელირების გამოყენება, ხელს შეუწყობს მასწავლებელთა აქტივობას, გააუმჯობესებს სკოლის მომქმედი მასწავლებელთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაბამისობას მასწავლებელთა პროფესიულ სტანდარტთან.

ტრენინგი წარმოადგენს ამ მოდერნიზაციის ერთ-ერთ ფორმას, რომელიც დახმარებას გაუწევს მუსიკის მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას დიპლომის შემდგომ განათლების პირობებში და პროფესიული ფუნქციის წარმატებით შესრულებას მოსწავლეთა მუსიკალური აღზრდა-განვითარების სფეროში.



სკოლამდელი და ინკლუზიური აღზრდის სექცია

ლილი მემკვიდრე

მემკვიდრეობითობა საბავშვო ბაღსა და სკოლას შორის

სკოლამდელი აღზრდა სახალხო განათლების ერთიანი სისტემის პირველი რგოლია. მემკვიდრეობითობა სახალხო განათლების სისტემაში ეს არის მოსაზღვრე რგოლებს შორის სწავლებისა და აღზრდის ამოცანების, აღმზრდელობით-საგანმანათლებლო მუშაობის შინაარსის და მისი განხორციელების მეთოდებს შორის ურთიერთკავშირის დამყარება.

საბავშვო ბაღისა და სკოლის მემკვიდრეობითობა ითვალისწინებს ერთის მხრივ სკოლისათვის ბავშვის გადაცემას განვითარებისა და აღზრდის ისეთი დონით, რომელიც უპასუხებს სკოლის მოთხოვნილებას, მეორე მხრივ სკოლა ეყრდნობა იმ ცოდნას, უნარსა და თვისებებს, რომლებიც სკოლამდელეებმა უკვე მიიღეს და აქტიურად გამოიყენოს მოსწავლეთა შემდგომი ყოველმხრივი განვითარებისთვის.

სკოლამდელი დაწესებულების მუშაკებმა კარგად უნდა იცოდნენ ის მოთხოვნები, რომლებიც ბავშვებს წარედგინებათ პირველ კლასში და შესაბამისად მოამზადონ უფროსი სკოლამდელი სისტემატური სწავლებისათვის.

დანეხებითი სკოლის პედაგოგებს კი გარკვეული წარმოდგენები უნდა ჰქონდეთ სკოლამდელი დანეხებულების მუშაობის შინაარსზე, რათა მათი მუშაობა პირველ კლასში, დაეყრდნოს ბავშვების მიერ საბავშვო ბაღში შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას.

გარდა ამისა, ამ ორი რგოლის პროგრამების და მეთოდოლოგიების შემდგენლები ურთიერთ-კავშირში უნდა ჰქმნიდნენ სახელმძღვანელოებს, რომ არ ჰქონდეს ადგილი შეუსაბამობას.

დღეს სკოლამდელ დანეხებულებებსა და სკოლას შორის მემკვიდრეობას არა აქვს ადგილი.



მარინე ფალავანდიშვილი

ბავშვი, ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება

საქართველოში მწვავედ დგას ბავშვების ფიზიკური განვითარების პრობლემა. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2002-2009 წლების მონაცემების თანახმად, ბავშვებში იმატა ისეთმა დაავადებებმა, როგორცაა: სკოლიზი (30%), ტანადობის დარღვევა (35%), თვალის დაავადება (27%) და სხვ. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ძვალ-კუნთოვანი სისტემის დაავადებების 46%-მდე გაზრდა.

ამ დაავადებების ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს პასიური ცხოვრების წესი, ხოლო მოძრაობითი აქტივობა ჯანმრთელობის შენარჩუნების ძირითადი საშუალებაა. სწორედ გიპოდინამია, არასაკმარისი, პასიური მოძრაობითი რეჟიმი იწვევს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, სიმსუქნეს, ინფექციური დაავადებებისადმი მიდრეკილებას და სხვ.

სკოლამდელი ასაკი განიხილება როგორც სენზიტიური პერიოდი ბავშვის ინტენსიურ მრავალმხრივ განვითარებაში, კერძოდ, ფიზიკურშიც. ამ პერიოდში ბავშვი სრულფასოვნად ყალიბდება "ასაკობრივი გარემოს" შექმნით ოჯახსა და საბავშვო ბაღში, სადაც შესატყვისი ფიზიკური აქტივობები იკავებენ მნიშვნელოვან ადგილს.

ბავშვის ჯანმრთელობის გასამტკიცებლად, სრულყოფილი ფიზიკური განვითარებისთვის საჭიროა:

- საბავშვო ბაღის ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობის შემცირება;
- ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება;
- გამაჯანსაღებელი პროცედურებისა და მრავალფეროვანი ფიზიკური ვარჯიშებისადმი ადრეული მიჩვევა;
- ფიზიკური აქტივობების ჩასატარებლად აღმზრდელების მომზადება-გადამზადება;
- ჰიგიენური და უსაფრთხო ინფრასტრუქტურის შექმნა (სპორტული მოედანი და დარბაზი, სპორტული ინვენტარი და სხვ).



ნუგზარ აბაკელია

სკოლისათვის კომბინირებული მზაობა

ბავშვის ცხოვრების არსი მდგომარეობს მის სწრაფვაში გახდეს დიდი, აღნიშნული ტენდენცია ვლინდება მის ყოველდღიურ ცხოვრებაში — თამაში, ცელქობა, კოგნიტური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება (ისწავლოს ასოები, თვლა, დაეუფლოს კითხვას და ა. შ.) ანუ ბავშვს სურვილი აქვს მომზადდეს სკოლაში სწავლისათვის. ზოგიერთს მიაჩნია, რომ ბავშვს არ უნდა წავართვათ ბავშვობა, ზოგიც მომხრეა ინტენსიური დახმარების და ისე მოვანერგოთ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესი, რომ ბავშვი შეხვდეს მომზადებული თავისი ცხოვრების ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდს, რომელსაც ჰქვია სკოლაში სწავლა.

ვეგონებ არავინ დავობს იმაზე, რომ ბავშვი მოვაქციოთ მიზანმიმართულ პედაგოგიურ გარემოში. მიუხედავად ამისა და ჩვენდა სამწუხაროდ დღეისათვის არ არსებობს არანაირი სტანდარტი, რომლითაც იხელმძღვანელებენ როგორც სკოლამდელი დაწესებულებები ისე ჩვეულებრივი ყველა დაინტერესებული პირი. დღეს სკოლაში მიდიან ბავშვები, რომლებმაც დაამთავრეს, მცირე დრო უვლიათ ან საერთოდ არ ყოფილან სკოლამდელ დაწესებულებებში. შედეგიც სახეზეა — ზოგიერთი კარგად არის მომზადებული, ზოგიერთი — საშუალოდ და, სამწუხაროდ არიან ისეთებიც, რომელთაც უჭირთ სათანადო დონეზე ურთიერთობა. აღნიშნული გარკვეულ სიძნელეს უქმნის როგორც მასწავლებელს ისე მოსწავლეს.

საყოველთაოდაა ცნობილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ დაბლა დაინია განათლების დაწყების ასაკობრივმა დონემ. ამაზე მეტყველებს უამრავი სასწავლო-დიდაქტიკური თუ განმავითარებელი მასალები და სათანადო პროგრამები, რომელთაც უხვად თავზობენ სხვადასხვა ავტორები. მათი ძირითადი მიზანი ბავშვის სკოლისათვის მზაობის უზრუნველყოფაა. დღეისათვის არაა ერთიანი, სახელწიფობრივი მიდგომა აღნიშნული საკითხისადმი. არაა განსაზღვრული ის ძირითადი კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ეს ნაბეჭდი ლიტერატურა. ცხადია ვერც სკოლაში მისული ბავშვი, ხშირ შემთხვევაში, არის აღჭურვილი შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით.

მათემატიკის სწავლების საკითხი სკოლამდელ დაწესებულებებში აშკარად ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე, გაზრდილ მოთხოვნებს. პროგრამები და სამწუხაროდ მეთოდურობა შორსაა ადეკვატურისაგან. დიდი ხანია გაურკვეველი პრინციპის გამო, ეს საქმე, რატომღაც იტვირთეს არასპეციალისტებმა. პროგრამები და, სამწუხაროდ, მეთოდური უზრუნველყოფაც შორსაა ადეკვატურისაგან. შედეგიც სახეზეა, უკვე რამდენი ხანია სკოლის მოსწავლის დამოკიდებულება მათემატიკისადმი ძირითადად უარყოფითია. დასავლეთში მეცნიერები ალაპარაკდნენ ე. წ. "მათემატიკურ ნევროზებზე". შეიძლება ვივარაუდოთ და ამისი საკმაოდ რეალური საფუძველიც არსებობს. ჩვენი ვარაუდის ერთერთი, შეიძლება განმსაზღვრელიც იყოს ის, რომ ჩვენ ჯერაც არ გვაქვს განსაზღვრული კოგნიტური ცოდნის რა დონით და წარმოდგენების რა მარაგით უნდა მოვიდეს ბავშვი სკოლაში.

თუ საბუთების მიღების დროს გამოვლინდა ბავშვის სუსტი მზაობა, სკოლას უნდა ჰქონდეს რეკომენდაციების პაკეტი (სასწავლო-სააღმზრდელო რეკომენდაციებისა და სავარჯიშო მასალების სახით). მათ მშობელი გამოიყენებს ზაფხულის პერიოდში ბავშვის მზაობის გასაუმჯობესებლად. შესაძლებელია, რომ სკოლამ თავად გახსნას მცირევადიანი სკოლისათვის მოსამზადებელი ჯგუფები (ორთვიანი საზაფხლო სკოლა, შესაძლებელია სხვა ვარიანტებიც).



ირინე გერსამია

ბავშვის სოციალური ადაპტაცია

სოციალური ადაპტაციის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ადაპტაციური პერიოდის სიძნელების დაძლევისათვის ადრეული ასაკიდანვე უნდა მზადება. საბავშვო ბაღის გარემო, ის პირველი სოციალური გარემოა, სადაც უხდება ბავშვს ადაპტირება და ხდება მისი სოციალურ-ემოციური, კოგნიტური და ფიზიკური განვითარება.

საბავშვო ბაღში შესვლისას, ბავშვთა უმრავლესობას, პირველ ხანებში, ერღვევა ემოციური ნონასწორობა (მდგრადობა) და ქცევითა მთელი რიგი გამოვლინებანი. ამ მოვლენებს აქვს გამოხატვისა და ხანგრძლივობის სხვადასხვა ხარისხი. მათ განეკუთვნება: სიჯიუტე, ყირვეულობა; საბავშვო ბაღში წასვლაზე, ბავშვებთან და აღმზრდელებთან კონტაქტზე უარი; ბუნებრივ მოძრაობათა შეზღუდვა, შენელებულობა, შფოთვის დონის აწევა და სხვა.

ბავშვთა ნეგატიური მდგომარეობის ხანგრძლივობა და ინტენსიურობა დამოკიდებულია ობიექტურ (საბავშვო ბაღის გარემო, აღმზრდელებთან და თანატოლებთან ურთიერთობა)

და სუბიექტურ (ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებანი, მისი ტემპერამენტი, ხასიათის თავისებები, ოჯახში აღზრდის სტილი) ფაქტორებზე.

სკოლამდელ დაწესებულებაში ბავშვის სწრაფი ადაპტაცია დამოკიდებულია ოჯახში მის მომზადებაზე. იგულისხმება საბავშვო ბაღში შესვლისათვის დადებითი განწყობის შექმნა; კულტურულ-ჰიგიენური, კომუნიკაციური და სათამაშო ჩვევების გამომუშავება, რომლებიც მოანესრიგებენ, დაარეგულირებენ ბავშვის ურთიერთობას უფროსებთან და თანატოლებთან.

საბავშვო ბაღში ბავშვის მოღებისას, ოჯახში მისი მომზადებისა და სკოლამდელ დაწესებულების პედაგოგთა მიერ სპეციალური პირობების შექმნა (ალერსიანი ტონი, აღსაზრდელთა ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება და აგრეთვე სპეციალურად შერჩეული თამაშობანი და სხვ.) ხელს უწყობს დაძაბულობის მოხსნასა და სწრაფ ადაპტაციას საბავშვო ბაღისადმი, და, რაც მთავარია, ბავშვის სრულყოფილ განვითარებას.



ნანა ცარციძე

ბარიერები, რომელსაც სკოლა აწყდება საქართველოში ინკლუზიური განათლის დანერგვის პროცესში

ინკლუზიური განათლება, როგორც ახალი სფერო საქართველოს განათლების სისტემაში, ხორციელდება ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით. საქართველოში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა ის შემაფერხებელი ფაქტორები, რაც ხელს უშლის ინკლუზიური განათლების დანერგვას. კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა 7 მთავარი ბარიერი, როგორც სასკოლო, ასევე ზოგადად სახელმწიფო დონეზე.

ესენია:

1. ადამიანური რესურსების ნაკლებობა;
2. სპეციალური აღჭურვილობისა და მასალების ნაკლებობა;
3. არაადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის;
4. ცოდნის არასათანადო დონე ინკლუზიური განათლების მასწავლებლებში;
5. ინკლუზიური განათლებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება მშობელთა მხრიდან;
6. საზოგადოების დამოკიდებულება ინკლუზიური განათლებისადმი;
7. არასტაბილური ფინანსური სისტემა.



ელისო ტაბატაძე

სსსმ ბავშვები სკოლაში და მათი პრობლემები

1. საჭიროებები, მათთან მუშაობის სპეციფიკა, სირთულეები, წარმატებები და მომავალი გეგმა; მათი რეაბილიტაციისა და საზოგადოებასთან ინტეგრაციის საკითხები სსსმ ბავშვები სკოლაში არც თუ იშვიათი მოვლენაა, ზოგადად განმანათლებლო (საჯარო/კერძო) სკოლებში კი მათთან მუშაობის გამოცდილება საკმაოდ მწირია, რადგან მათი არასპეციალიზებულ სკოლებში სწავლება, გარკვეულწილად, სიახლეს წარმოადგენს. მე, როგორც რიგითმა მათემატიკის მასწავლებელმა, უნდა ვაღიარო, რომ მათთან პირველი შეხებისას არანაირი გამოცდილება არ გამაჩნდა. არ ვიცოდი, როგორ უნდა მემუშავა მათთან და რა მეთოდები უნდა გამომეყენებინა სწავლებისას. თავიდან ეს მხოლოდ ცდისა და შეცდომების მეთოდი იყო. საკუთარ თავს მინდობილი, საკმაოდ დიდ პრობლემებს წავაწყდი:

- 1) რა მიზნები უნდა დამესახა მათთან მუშაობისას?
- 2) როგორ მიმეწოდებინა მასალა, რომ მათთვის ეს გასაგები ყოფილიყო?

3) რა შედეგით უნდა დავეკმაყოფილებულიყავი და რითი - არა?

4) როგორ მიმენოდებინა მშობლისათვის ინფორმაცია მისი შვილის შესახებ და თავად როგორ ჩამერთო სსსმ ბავშვებთან მუშაობის პროცესში, ვინაიდან მშობელთა უმეტესობა ან „ბედსაა შეგუებული“ ანდაც არსებულ რეალობას საერთოდ არ იღებს.

5) არ მქონდა საკმარისი რესურსი ასეთ ბავშვებთან სამუშაოდ (თვალსაჩინოებები, დამხმარე სახელმძღვანელოები, რომელიც ჩემთვის გზამკვლევის როლს ითამაშებდა).

2. რა გაკეთდა და რა შევძელი (ან ვერ შევძელი) სსსმ ბავშვებთან მუშაობისას

ბოლო წლებში მეტი ყურადღება ექცევა სსსმ ბავშვებთან მუშაობას. შემუშავებულია გარკვეული მეთოდები და სტრატეგიები, თუმცა ბავშვი იდივიდუალურია და ასეთივე პიროვნულ მიდგომას საჭიროებს. ორიოდ სიტყვით მოგახსენებთ, თუ რა პრობლემის მქონე ბავშვებთან მქონია მუშაობის გამოცდილება, რა შევძელი და სად შემხვდა ყველაზე დიდი სირთულეები.

პირველი ჩემი სსსმ მოსწავლე ცერებრალური დამბლით იყო ავად, რაც მას მხოლოდ გადაადგილების პრობლემას უქმნიდა. იმ პერიოდში სკოლაში პანდუსები არ არსებობდა, ამიტომ გვინევდა ცოცხალი ძალის, თანაკლასელების, გამოყენება ბუფეტიდან საკვების მოტანა, დერეფანში გასვლისას ბავშვები გარს შემოეხვეოდნენ ხოლმე და უსაფრთხოების ზონას უქმნიდნენ, რათა სხვები უნებლიეთ არ დაჯახებოდნენ.

მეორე მოსწავლესაც ცერებრალური დამბლა ჰქონდა, მეტყველების უნარის შეზღუდვითა და ხელის მტევნის მცირე კუნთების მოძრაობის პრობლემებით. აქ უკვე გაკვეთილის მოყოლის და წერის პრობლემა იყო, რაც გარკვეულწილად დაძლეულ იქნა წლების განმავლობაში, მშობლების, ექიმების, მასწავლებლების და თავად მოსწავლის მონდომებით. გამოკითხვა ტარდებოდა კითხვების დასმითა და მასზე მოკლე პასუხების მიღებით. ექიმთა ჯგუფმა შეიმუშავა სპეციალური ვარჯიშები ხელის კუნთების სავარჯიშოდ; მშობელი აქტიურად იყო ჩართული სასწავლო პროცესში; თანაკლასელები ეხმარებოდნენ სასწავლო ნივთების მონერსიგებაში, დავალების ჩანიშნვაში; როდესაც მისი პასუხის ჯერი დგებოდა, გულშემატკივრობდნენ მას.

სამწუხაროდ, სსსმ ბავშვებთან მუშაობის პროცესი ყოველთვის ასე კარგად არ მიმდინრეობს. ზოგჯერ მშობელი დამაბრკოლებელ რგოლს წარმოადგენს. მას არ უნდა, რომ მის ბავშვს ენოდოს სსსმ მოსწავლე. მას ეშინია ასეთი ფორმულირების და ყველანაირად ენინააღმდეგება მასწავლებელს და სკოლის ფსიქოლოგს. ამ დროს საკმაოდ დიდი სამუშაოა საჭირო, რათა დავარწმუნოთ მშობელი, რომ მისი ასეთი მიდგომა ბავშვისთვის საზიანოა. ყველა ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება, მათ შორის სსსმ ბავშვებსაც. მათ განათლება თავიანთ შესაძლებლობათა ფარგლებში უნდა მიიღონ.

გამოყოფდი ბავშვების კიდევ ერთ კატეგორიას: ეს არიან სოციალური უნარ-ჩვევების არმქონე ბავშვები, რომლებსაც აქვთ მაღალი ინტელექტი, მაგრამ არასაკმარისი ემოციური განვითარება. ისინი ვერ ამყარებენ თანატოლებთან ურთიერთობას, იკეტებიან საკუთარ თავში (თავის სამყაროში), მათი საგაკვეთილო პროცესში ჩართვა საკმაოდ რთულია, ვინაიდან ისინი თავიანთ სამყაროს იშვიათად ტოვებენ. ისინი კითხულობენ ბევრ წიგნს, აქვთ დიდი ინფორმაცია სხვადასხვა სფეროდან (თუმცა ძალიან ქაოტური) და თავიანთი ასაკისთვის დამახასიათებელ სოციალურ უნარ-ჩვევებს ვერ ამჟღავნებენ: არ იციან საზოგადოებრივი ტუალეტით სარგებლობა, დაბალი აქვთ ჭამის კულტურა და სხვ.

